

# ექონომიკა

ქოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და  
რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი  
„ЭКОНОМИКА“ - Ежемесячный международный  
рецензируемый и реферируемый научный журнал  
“ECONOMICS” - Monthly International reviewed  
and refereed scientific journal

№ 5-6, 2013

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან  
Journal published since 1918

რ. ვებგვერდი (მო. რედაქტორი)

ი. არჩვაძე; ა. აბრალავა; ე. ბარათაშვილი; რ. გოგოხია; ვ. დათვეგიძე; ზ. ვაშაკიძე; მ. ქაჯულაძე; დ. ქარბონი (იტალია); პ. კოღუაშვილი; ა. კურატაშვილი; ზ. ლიაპარტუა; ვ. მხრაშვილი; ი. მესხია; ე. მექაბაძეშვილი; ქ. მარმაჯია; ს. პალიაშვილი; ვ. პაპაშვილი; მ. როგორლიშვილი (აშშ); უ. სამადაშვილი; ა. სილაგაძე; ა. სიჭანეულა; თ. სოლდატერკო (უკრაინა); ა. სხიორტლაძე; ტ. ფედოროვა (რუსთა); ო. ფარულია; დ. ქვათარაძე (რუსთა); რ. ქუთაისეგაძე; კ. ღუჯიშვილია; გ. ფუფუნია; გ. შეიძლაძე; თ. შენგელია; ხ. შენგელია; უ. წიგლაური; ნ. ჭითანეულა; ლ. ჩიქავა; მ. ჩიქავა; რ. ჯაბაშვილი, რ. ჯაბაშვილი.

## ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)

Арчвадзе И., Абралава А., Бараташвили Е., Вашакидзе З., Гогокия Р., Гурцкая К., Даташвили В., Джубути М., Джабидзе Т., Кавтарадзе Д. (Россия), Какулия М., Карбон Д. (Италия), Когуашвили П., Купуния Г., Кураташвили А., Кутателадзе Р., Липартия З., Малашхия Г. Меквабишвили Э., Маршава К., Месхия Я., Папава В., Павлиашвили С., Рокетлишвили М. (США) Силагадзе А., Сичинава А., Сольдатенко О., Схиртладзе А., (Украина), Самадашвили У., Федорова Т. (Россия), Фачулия О., Чикава Л., Читанава Н., Шубладзе Г., Шенгелия Т., Шенгелия Н.; Циклаури Ж.

REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)

I. ARCHVADZE; A. ABRALAVA; E. BARATASHVILI; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI; Z. VASHAKIDZE; M. KAKULIA; D. KARBON (ITALY); P. KOGHUASHVILI; A. KURATASHVILI; Z. LIPARTIA; G. MALASHKHIA; I. MESKHIA; E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLIASHVILI; V. PAPAVA; M. ROKETLISHVILI (USA); U. SAMADASHVILI; A. SILAGADZE; A. SICHINAVA; O. SOLDATENKO (UKRAINE); A. SKHIRTLADZE O. FACHULIA; T. FEDOROVA (RUSSIA); D. QAVTARADZE (RUSSIA); R. QUTATELADZE; K. GHURTSKAIA; G. KUPUNIA; G. SHUBLADZE; T. SHENGELIA; N. SHENGELIA; ZH. TSIKLAURI; N. CHITANAVA; L. CHIKAVA; M. JIBUTI; R. JABNIDZE.

## შ06აარს0

### ეკონომიკური რეზორა

გიორგი სოლომიშვილი - ეკონომიკური კანონმდებლობის პარმონიზაციის როლი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში-----	9
<b>შოთა მინჯორაია, უუჟუნა წიკლაური-შენგელია,</b> გიორგი მინჯორაია - გადასახადები და საგადასახადო პოლიტიკა საქართველოში -----	16
გიორგი ყუფარაძე - საგადასახადო პოლიტიკის გავლენა ეკონომიკის რეალურ სექტორში ინვესტირების მოცულობაზე-----	32

### ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პროგლომები

ანზორ აბრალავა, ქეთევან ღარიბაშვილი - ეროვნულ-ეკონომიკური ინტერესები და ინტეგრაციული პროცესები -----	40
ნოდარ ფუტკარაძე - საქართველოს საინვესტიციო საქმიანობის განვითარების ტენდენციები -----	45
ინგა სიჭინავა - ნებისყოფის როლი მიზანდასახული ქცევის განხორციელებაში-----	51
რევაზ შენგელია, უუჟუნა წიკლაური-შენგელია, ნათია შენგელია- მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების პრობლემა და სწავლების სრულყოფის ზოგიერთი ასპექტი -----	57

### ფინანსები, ბანკები, პირები

ალექს ქუთათელაძე, ირმა კვეტენაძე - ფინანსური რისკები თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში -----	70
<b>Irina Vashakmadze - Necessity of Strengthening the Financial Sustainability of the Banking System in Georgia -----</b>	75

## რეგიონული ეკონომიკა

<b>ეკატერინე ბახტაძე - ადგილის მარკეტინგის სტრატეგიები -----</b>	82
<b>ნინო მაზიაშვილი, ხათუნა ხარხელაური-</b>	

რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა განვითარებულ ქვეყნებში --- 90

### დარგობრივი ეკონომიკა

<b>ქეთევან კინმარიშვილი - შრომისუნარიანი მოსახლეობა</b> შრომისუნარიან ასაკში -----	96
<b>ნოდარ ფუტკარაძე - საინვესტიციო პროექტების</b> ეკონომიკური ანალიზი -----	100
<b>Zhuzhuna Tsiklauri-Shengelia,Natia Shengelia -</b> The Main Peculiarities of Tax and Financial Accounting of Fixed Assets-----	105

<b>ქეთევან კინმარიშვილი -</b> ორგანიზაციის საბრუნვი აქტივების ანალიზი -----	113
დარეჯან ჩხეუბაძე - ეკონომიკური ანალიზის მათემატიკური (მატრიცული) მეთოდები და მისი პრაქტიკული ღირებულება -----	116
რევაზ ნაკაშიძე - ახალი რეალობის შესატყვისი პროფესიული კადრების მომზადებისათვის -----	120
უუჟუნა წიკლაური-შენგელია - საოპერაციო და ფინანსური იჯარის (ლიზინგი) ბუღალტრული აღრიცხვა -----	132
<b>ნინო ფუტკარაძე - საზღვაო საკრუიზო</b> ბაზრის გენეზისი და ფორმირება -----	139

<b>მზისადარ ბჟალავა - სანაოსნო კომპანიის საქმიანობა</b> და საფრანგო ბაზრის გამოკვლევა -----	153
<b>ნათია შენგელია- ფინანსური ანგარიშგების არსი,სახეები,</b> კომპონენტები, მათი ინტერპრეტაცია და მნიშვნელობა -----	159

## პიზნესი, მარკეტინგი, მაცხოველი

<b>დარეჯან ჩხუბაძე -</b> ეკონომიკური ანალიზის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები პროდუქციის კონკურენტუნარიანობის შეფასებისას -----	170
<b>ლალი სადალაშვილი, ნანა შავშიშვილი, ნათა მინდიაშვილი -</b> მოგებისა და ზარალის ანგარიშგების ელემენტების მნიშვნელობა აღრიცხვაში -----	176
<b>მზისადარ ბჟალვა, ლალი ხარბედია -</b> სანაოსნო კომპანიის კონკურენტუნარიანობის რეიტინგული შეფასება -----	182
<b>ირმა ჩხაიძე -</b> ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა საქართველოს რეალობაში -----	188
<b>ვასილ ხიზანიშვილი -</b> გლობალიზაცია და ბიზნესის ეთიკა -----	194
<b>ბესიკ ბაუჩაძე -</b> დანახარჯების მმართველობითი ანალიზის ძირითადი კონცეფციები თანამედროვე ეტაპზე (სამრეწველო საწარმოთა მაგალითზე) -----	199
<b>ალექსანდრე შენგელია, ზურაბ შენგელია -</b> „Supply chain management“ - მართვის თანამედროვე კონცეფცია ---	209
<b>სუზანა დობორჯვინიძე -</b> ცოდნის მენეჯმენტი -----	219

## მსოფლიო ეკონომიკა

<b>G. Baghdasaryan, Margarit Kasimyan - Perspectives of Armenian-Georgian economic cooperation -----</b>	224
<b>მედეა ქავთარაძე, ნათა ბეჭანიძე -</b> ტურისტული მომსახურებების ბაზრის გლობალიზაცია-----	238
<b>მარინა ბალათურია, ნატო გეგენავა -</b> გლობალიზაციის პრობლემები საქართველოში-----	250
<b>ქეთევან ლარიბაშვილი -</b> რეგიონული კონფლიქტების გავლენა ევროინტეგრაციულ პროცესებზე -----	255

## ეკონომიკის აუდიტორიაში

<b>რევაზ შენგელია -</b> მიკროეკონომიკის ობიექტები: საოჯახო მეურნეობები, ფირმები, მცირე და დიდი ბიზნესი -----	261
<b>ნათა შენგელია, რევაზ შენგელია -</b> მეწარმე სუბიექტები და მათი ღირსება-ნაკლოვანებები -----	269
<b>უუუნა ნიკლაური, რევაზ შენგელია -</b> მთლიანი შემოსავალი, მთლიანი ხარჯი და მოგება-----	278
<b>ლელა კამლაძე, უუუნა ნიკლაური-შენგელია-</b> კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამების მნიშვნელობა ბუღალტრული აღრიცხვის სწავლების საქმეში -----	286
<b>SUMMARY-----</b>	292

# CONTENT

## ECONOMIC REFORMS:

### ANALYZE, PROBLEMS AND PERSPECTIVES

<b>Giorgi Solomishvili</b> - The Role of Economic Legislation	
Harmonization in Development of Agriculture of Georgia -----	9
<b>Shota Minjoria, Zhuzhuna Tsiklauri-Shengelia, Giorgi Minjoria</b> -	
Taxes and Tax Policy in Georgia -----	16
<b>Giorgi Kupradze</b> -The Impact of Tax Policy on Real Sector Investments ---	32

## MODERN PROBLEMS OF ECONOMICS

<b>Anzor Abralava, Ketevan Garibashvili</b> -	
National-Economic Interests and Integration Processes-----	40
<b>Nodar Putkaradze</b> - The Tendencies of Development	
of Georgia's Investment Activity -----	45
<b>Inga Sichinava</b> - The Role of Willpower	
in the Implementation of Goal-oriented Behavior-----	51
<b>Revaz Shengelia, Zhuzhuna Tsiklauri-Shengelia, Natia Shengelia</b> -	
The Problem of Morally Outdated Scientific - technical Knowledge	
and Some Aspects of Improvement of Teaching Process -----	57

## FINANCES, BANKS AND EXCHANGE MARKETS

<b>Aleko Kutateladze, Irma Kvetenadze</b> -	
Financial risks in the Current Economic Systems -----	70
<b>Irina Vashakmadze</b> - The Necessity of Strengthening	
the Financial Sustainability of the Banking System in Georgia -----	74

## REGIONAL ECONOMY

<b>Ekaterine Bakhtadze</b> - Place Marketing Strategies-----	82
<b>Nino Maziashvili</b> - Regional Economic Policy in Developed Countries --	90

## SECTORAL ECONOMY

<b>Ketevan Kitsmarishvili</b> -The Workforce Population in the Working - age---	96
<b>Nodar Putkaradze</b> - Economic Analysis for Investment Projects-----	100
<b>Zhuzhuna Tsiklauri-Shengelia, Natia Shengelia</b> -	
The Main Peculiarities of Tax and Financial Accounting of Fixed Assets-----	105
<b>Ketevan Kitsmarishvili</b> -	
Analysis of the Organization's Working Assets -----	113
<b>Darejan Chkhubadze</b> - The Mathematical (Matrix)	
Method of Economic Analysis and its Practical Value -----	116
<b>Revaz Nakashidze</b> -	
For Preparation of New, Reality - equivalent Professional Cadres ---	120
<b>Zhuzhuna Tsiklauri-Shengelia</b> -	
Operating and Finance lease Accounting-----	132
<b>Nino Putkaradze</b> - Genesis and Formation of Sea - Cruise Market-----	139
<b>Mzisadar Bjalava</b> - The Activity of a Shipping Company	
and the Market Research of Freight Market -----	153
<b>Natia Shengelia</b> - The Definition of Financial Statements,	
its Types, Components, their Interpretation and Importance-----	159

## BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING

<b>Darejan Chkhubadze</b> - The Theoretical and Methodological Aspects of	
Economic Analysis in Evaluating the Competitiveness of Production ---	170
<b>Lali Sadagavili, Nana Savchichvili, Natia Mindiachvili</b> -	
The Importance of Elements of	
Profit and Loss Statement in Accounting-----	176

<b>Mzisadar Bjalava ,Lali Kharbedia -</b>	The Rated Evaluation of the Competitiveness of Shipping Companies -----	182
<b>Irma Chkhaidze -</b>	Social Responsibility of Business in the Reality of Georgia -----	188
<b>Vasil Khizanishvili -</b>	Globalization and Business Ethics-----	194
<b>Besik Bauchadze -</b>	The Main modern Concepts of the Administrative Analysis of Expenses in the Industrial Enterprise-----	199
<b>Alexandre Shengelia, Zurab Shengelia -</b>	„Supply Chain Management“ - a Modern Conception of Management---	209
<b>Suzana Doborjnidze -</b>	Knowledge Management -----	219

## WORLD ECONOMY

<b>G. Baghdasaryan, Margarit Kasimyan -</b>	The Perspectives of Armenian-Georgian Economic Cooperation-----	224
<b>Medea Kavtaradze , Natia Bejanidze -</b>	Globalization of the Market for Touristic Services -----	238
<b>Marina Bagaturia, Nato Gegenava -</b>	The Problems of Globalization in Georgia -----	250
<b>Ketevan Garibashvili</b> -Regional conflicts Impact on European Integration Process -----		255

## THE ECONOMIST IN THE AUDITORIUM

<b>Revaz Shengelia -</b>	The Objects of Microeconomics: Households, Firms, Small and Large businesses -----	261
<b>Natia Shengelia, Revaz Shengelia -</b>	Entrepreneurship Subjects and their Advantages and Disadvantages -----	269
<b>Zhuzhuna Tsiklauri-Shengelia, Revaz Shengelia -</b>	The full Income, full Expenses and Profit -----	278
<b>Lela Kamlaze Zhuzhuna Tsiklauri-Shengelia-</b>	The Importance of Computer Accounting Programs in the Accounting Case Studies -----	286
<b>SUMMARY-----</b>		292



## ეკონომიკური რეზორტი

**ეკონომიკური პალეოგეოლოგის  
ჰარმონიაციის როლი საქართველოს სოფლის  
მეურნეობის განვითარებაში**

**გიორგი სოლომიშვილი  
თსუ დოქტორანტი**

საქართველოს განევრიანებამ საერთაშორისო ორგანიზაციებში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საკანონმდებლო სისტემის განვითარებასა და სრულყოფაში. ამასთან, ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით აუცილებელი გახდა საქართველოს მიერ გარკვეული მოთხოვნების შესრულება. ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროში განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოს კანონმდებლობის ევროპული კავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების საკითხი. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს საქართველოს ინტეგრაციის გაღრმავებას მსოფლიო ეკონომიკაში, გამოიწვევს სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებას, ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდასა და სიღარიბის დაძლევას.

საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან შედარებით ანალიზისა და კანონმდებლობის დაახლოების ეკონომიკური მიზანშენილობის შესწავლის საფუძველზე დღეს უკვე შემუშავებულია სტრატეგია, რომლითაც განსაზღვრულია შეთანხმებით გათვალისწინებულ სფეროებში კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრიორიტეტები და გამოკვეთილია სტრატეგიის განხორციელებისათვის დარგების მიხედვით ეროვნული პროგრამის შექმნის აუცილებლობა.

დღეს განვითარებულ ქვეყნებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სურსათის უვნებლობის, სანიტარული და ფიტოსანიტარული წესების, პროდუქციის უსაფრთხოების სტანდარტებისა და რეგლამენტების გამოყენებას. აღნიშნული პირდაპირ კავშირშია

მოსახლეობის უსაფრთხოებასთან. ის ქვეყნები, რომელთაც ამ სფეროებში კონტროლის მაღალი დონე აქვთ, არ ახდენენ თავიანთ ბაზარზე დაბალი უვნებლობისა და უსაფრთხოების სტანდარტების მქონე ქვეყნებიდან პროდუქციის იმპორტს.

სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებას წებისმიერ ქვეყნაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მოკლე და გრძელვადიან პერიოდებში საქართველოს ეკონომიკური აღმავლობის სტრატეგიაც აგროსასურსათო სექტორის განვითარების შესაძლებლობებზე უნდა აიგოს<sup>1</sup>. ფარდობითი უპირატესობის მიხედვით ქვეყანას შეუძლია კონკურენტული აგროსასურსათო პროდუქტების წარმოება, შიდა და საერთაშორისო ბაზარზე წილების მოპოვება, რაც მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების აუცილებელი პირობაა. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ მცირე ქვეყანა საგარეო ვაჭრობაზე ანუ მსოფლიო ეკონომიკაში ღრმა ინტეგრირებაზე უნდა იყოს ორიენტირებული, ნათელი გახდება, რომ წარმოების ზრდა და მსოფლიო ბაზრების შესაბამისი სტანდარტების დაკმაყოფილება საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამ პროცესში ტრადიციული სავაჭრო კავშირების შენარჩუნება საჭიროა, მაგრამ, ამავე დროს, აუცილებელია ახალ ბაზრებზე შეღწევა და საექსპორტო პროდუქტის დივერსიფიკაცია. ამისათვის კი ისეთი სტრატეგიები უნდა შემუშავდეს, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება საექსპორტო ბაზრების პირობები, კონკურენტულად კი ეკონომიკური კანონმდებლობის ჰარმონიზაცია პარტნიორ ქვეყნებთან.

ევროკავშირი საქართველოს ბუნებრივ სავაჭრო პარტნიორად უნდა მივიჩნიოთ და საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ იგი ძალზე მომთხოვნი ბაზრით ხასიათდება. ევროკავშირთან ვაჭრობაში საქართველოს წილი მთელი ექსპორტის მოცულობის 56%-ს შეადგენს.<sup>2</sup> 2006 წლის იანვრიდან საქართველო ევროკავშირთან ვაჭრობაში პრეფერენციების განზოგადებული სისტემითაც სარგებლობს. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ზოგიერთი დასახელების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გარდა შეუძლია ევროკავშირში ყველა სახის

საქონლის უბაურდ ექსპორტირება. მაგალითად, ლვინის ზოგიერთი სახეობა შესულია პრეფერენციების განზოგადებულ სისტემაში), იბეგრება როგორც ღირებულების, ისე რაოდენობის მიხედვით. აღნიშნული პროდუქტი ღირებულების მიხედვით ნულოვანი, ხოლო რაოდენობის მიხედვით სრული განაკვეთით იბეგრება.

2012 წლის მონაცემებით აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტი თითქმის 4-5-ჯერ მეტია ექსპორტის მოცულობაზე და უარყოფითი სავაჭრო ბალანსი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი. სახელმწიფოს მხრიდან ექსპორტის სტიმულირება ქვეყნის სავალუტო შემოსავლების ზრდისა და სურსათის ადგილობრივი წარმოების შემდგომი გაფართოების საფუძველი იქნება.

სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტად იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკა უნდა მივიჩნიოთ. ხელშემწყობი პოლიტიკისა და შესაბამისი სამართლებრივი გარემოს პირობებში ადგილობრივი მწარმოებულად შეძლებენ იმპორტის ჩანაცვლებას. აღნიშნულის მისაღწევად სხვა ღონისძიებებთან ერთად მიზანშენონილია ეკონომიკური კანონმდებლობის ჰარმონიზაცია მსოფლიო მოთხოვნების შესაბამისად.

თანამედროვე ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია რიგ რეგიონულ პარტნიორებთან მჭიდრო ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა. ექსპერტ კ. გოგოლაშვილის აზრით საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობების ინტენსიფიკაციისა და უახლოეს პერიოდში საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების დაწყების შესაძლებლობების გათვალისწინებით, განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს თანამედროვე გლობალიზებად მსოფლიო ეკონომიკაში ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკის ძირითადი ტენდენციებისა და სავაჭრო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებების განხილვა.<sup>2</sup> ამ თვალსაზრისით, კიდევ უფრო მეტად იზრდება ეკონომიკური კანონმდებლობის ჰარმონიზაციის როლი.

1 www.geostat.ge

2 ბერუბაშვილი თ., ეთერია ე., ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკის თანამედროვე ტენდენციები და პრიორიტეტები, უურნალი საქართველოს ეკონომიკა, 2009, №9.

<sup>1</sup> ე. ხარაბეგილი, კონკურენციისა და კონკურენტულარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში, თბილისი, 2011, გვ. 73.

<sup>2</sup> www.maf.gov.ge

ქვეყნის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებით სოფლის მეურნეობის სფეროშიც განხორციელდა მნიშვნელოვანი რეფორმები, ზოგიერთ საკითხში მოხერხდა საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება. თუმცა, ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ (PCA) ხელშეკრულებით დაკისრებული კანონმდებლობათა ჰარმონიზაციის ვალდებულებების შესასრულებლად ჯერ კიდევ მთელი რიგი ღონისძიებებია გასატარებელი. კერძოდ, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული კანონმდებლობათა დაახლოების ვალდებულება მოითხოვს ამ სექტორში არსებული სამართლებრივი და ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებასა და პრიორიტეტების განსაზღვრას ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად. სტატისტიკა ადასტურებს, რომ სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის დონე უფრო მაღალია იმ ქვეყნებს შორის, რომელთაც შიდა ბაზარზე თამაშის ერთნაირი წესები აქვთ. ეს არა მხოლოდ სასაქონლო ვაჭრობას, არამედ კაპიტალისა და მომსახურების გადადგილებასაც შეეხება.<sup>1</sup>

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის მიზანია საქართველოსა და ევროკავშირის სოფლის მეურნეობის სფეროში არსებული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის შესწავლის საფუძველზე საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების შესაძლებლობების გამოვლენა.

ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების სისტემის შემადგენელი ნაწილია საქართველოს ტერიტორიის ფიტოსანიტარული დაცვა. იგი მოიცავს ფიტოსანიტარულ საკარანტინო ღონისძიებების განხორციელებას, რითაც თავიდან იქნება აცილებული საქართველოს ტერიტორიაზე საზღვარგარეთის ქვეყნებიდან მცენარეული პროდუქციის, მასალების, სატრანსპორტო საშუალებების გზით საკარანტინო და სხვა საშიში მავნებლების, მცენარეთა დაავადებებისა და სარეველების შემოტანა-აკლიმატიზაცია, ასევე საერთაშორისო ვაჭრობის დროს მათი ქვეყნიდან გატანა, ფიტოსანიტარიის

<sup>1</sup> კ. გოგოლაშვილი, ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის დირექტორი (GEPLAC)

სფეროში არსებული საერთაშორისო ნორმებისა და მოთხოვნების, საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების შესაბამისად.<sup>1</sup> ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობისა და ხარისხის ამაღლებას. საერთაშორისო კანონმდებლობასა და რეგლამენტაციებთან ეროვნული საქმიანობის ჰარმონიზაცია გააუმჯობესებს პესტიციდების სახელმწიფო რეგისტრაციას, პესტიციდების შემოტანის, შენახვის, ტრანსპორტირების, რეალიზაციის, გამოყენების უსაფრთხო რეგლამენტაციების დაცვას, სოფლის მეურნეობის პროდუქტებში პესტიციდების ნარჩენებზე კონტროლს; ამ მოთხოვნების შესრულებით, შესაბამისი ნორმატივი აქტის მიღებითა და ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს საზღვარზე ჩამოყალიბდება თანამედროვე სისტემებითა და შემონმების უახლესი საშუალებებით აღჭურვილი, კომპეტენტური პერსონალით დაკომპლექტებული პუნქტები, რაც ხელს შეუწყობს კონტროლქვემდებარე ტვირთებისა და სატრანსპორტო საშუალებების შეუფერხებელ მოძრაობას საზღვრის გადაკვეთის პროცედურების ჩატარებისას, გაუმჯობესდება ქვეყნის ფიტოსანიტარული დაცვის დონე. ყოველივე აღნიშნულით საქართველო შეძლებს აგროსისტემებში ბუნებრივი ბალანსის შენარჩუნებას, შეიქმნება ხელსაყრელი პირობები ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოებისათვის. ეკოლოგიურად სუფთა აგროსასურსათო პროდუქტებით საერთაშორისო ვაჭრობაში ქვეყნას შეუძლია გარკვეული ნიშის მოპოვება, რაც ასევე, წარმოების მდგრადი განვითარების პირობებსაც შექმნის. ამასთან, აგროსასურსათო სექტორის ევროპული მოდელის მიხედვით მნიშვნელოვან კონცეფციად სწორედ მისი მრავალფუნქციურობა და მდგრადობა არის მიჩნეული.<sup>2</sup>

საქართველოში დღემდე არ არის სრულყოფილი საკანონმდებლო

<sup>1</sup> საქართველოს კანონმდებლობის ევროპული კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამა, სახელმძღვანელო პრინციპები სამოქმედო გეგმისათვის, თბილისი, 2003, გვ. 8.

<sup>2</sup> Givord Dorian. Defending the European Rural and Agricultural Model at the WTO. 2001.

ბლო ბაზა მცხოვრელობაში პროდუქტის რეგისტრაციის, იდენტიფიკაციის, კოდირებისა და მარკირების შესახებ. ასევე, დარეგულირებული არ არის აგროსასურსათო პროდუქტების შესახებ სათანადო ორგანოებზე ინფორმაციის მიწოდების საკითხი. ამდენად, ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია ხელს შეუწყობს ქვეყანაში მოცემული საკითხების დარეგულირებასაც.

ევროკავშირის ბაზრებზე წარმატების მისაღწევად მხოლოდ სავალდებულო მოთხოვნების დაკამაყოფილება არ არის საკმარისი. პროდუქტები, ერთი მხრივ, უნდა იყოს მარკირებული, მეორე მხრივ, მას უნდა ჰქონდეს საფირმო ნიშანი, რათა განსხვავებოდეს კონკურენტული პროდუქტისაგან და მომხმარებლისათვის შესამჩნევი იყოს. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გეოგრაფიული სივრცის აღიარება, ფალსიფიცირებისაგან დაცვა და ზუსტი ინფორმაცია პროდუქტის შემადგენლობაზე. ეს, თავის მხრივ, მოითხოვს კულტივირებული ზონების რეგისტრაციას, გადამამუშავებელი ქარხნების გაკონტროლებასა და პროდუქტის სავეგეტაციო პერიოდში ზედამხედველობას.

ამჟამად ევროკავშირთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საქართველოს მარკირებისა და სტანდარტების აღიარების საკითხებზე. ევროკავშირთან აგროსასურსათო პროდუქტებით ვაჭრობაზე ორმხრივი ხელშეკრულების დადება ხელს შეუწყობს ქართული პროდუქტების ევროკავშირის ბაზარზე გატანას და რეკლამას, რითაც განსაზღვრული იქნება:

- ენდოლოგიური პრაქტიკა და პროდუქტის შემადგენლობასთან დაკავშირებული მოთხოვნები;
- წარმოშობის ქვეყნის და საფირმო ნიშნების, აგრეთვე შესაბამისი პროცედურების ორმხრივი აღიარება;
- სერტიფიცირების მოთხოვნები.

გარდა ვაჭრობასთან დაკავშირებული ფორმალური მოთხოვნებისა, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა, უნდა მოხდეს კონკურენციული ფასით ისეთი პროდუქტის მიწოდება, რომელიც ევროკავშირის მომხმარებლების გემოვნებას შეეფერება. ექსპორტის რეორიენტაცია პროდუქტის მახასიათებლების შეცვლასაც გამოიწვევს.

საქართველოს ეკონომიკური კანონმდებლობის ჰარმონიზება ევროპულ დირექტივებსა და რეგლამენტებთან ხელს შეუწყობს საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორის მდგრად განვითარებას, უპირველეს ყოვლისა, ვეტერინარიის და ფიტოსანიტარიის კუთხით. ამასთან, ჰარმონიზების პროცესი გარკვეული წილად შეავსებს იმ „ცარიელ ადგილებს“, რომელებიც ქართულ კანონმდებლობაში არსებობს. ევროპული სტანდარტების დანერგვა გაამარტივებს ქართულ-ევროპულ ურთიერთობებს ამ სფეროში, შექმნის ხელსაყრელ გარემოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის, გააძლიერებს აგრარულ სექტორში მონაწილეთა კონკურენტუნარიანობას და შეამცირებს დაბალი ხარისხის პროდუქციის შეღწევას ბაზარზე.

ამრიგად, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის მარეგულირებელი ინსტიტუტებისა და კანონმდებლობის ჰარმონიზაცია განვითარებული ქვეყნების რეგულაციებთან ხელს შეუწყობს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებას, კერძოდ, აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის მოცულობის ზრდას. ამ სფეროებში შესაბამისი რეფორმის გატარება უზრუნველყოფს საქართველოს ვაჭრობის განვითარებას, უპირველეს ყოვლისა, ევროპის ქვეყნებთან.

## **გადასახადები და საგადასახადო პრიტიპი საქართველოში**

**შოთა მინჯორაია**  
ედ, სტუ ასოცირებული პროფესორი  
**უუუუნა წიკლაური**  
ედ, სტუ ასოცირებული პროფესორი  
**გიორგი მინჯორაია**  
თსუ მაგისტრი

გადასახადები ქვეყნის ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. არც ერთ სახელმწიფოს გადასახადების გარეშე არსებობა არ შეუძლია, რადგანაც ისინი ქვეყნის ძირითადი სახელმწიფო საფინანსო გეგმის — ბიუჯეტის შემოსავლების მთავარ წყაროს წარმოადგენენ. გადასახადები თავისი ეკონომიკური ბუნებით არის განაწილებისა და გადანაწილების გზით მიღებული ეროვნული შემოსავლისა და სიმდიდრის წილი, რომელიც მიმართულია ხელისუფლების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. აქედან გამომდინარე აქ იკვეთება სახელმწიფოსა და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების უშუალო ინტერესები:

1. სახელმწიფო და მისი აპარატი, რომელიც დაინტერესებულია საკუთარი შესაძლებლობების გაძლიერებით, სუვერენიტეტისა და სტაბილურობის შენარჩუნებით;

2. მენარმეები (თავის მხრივ, რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს) — საერთო ინტერესებით: ბიზნესის განვითარების და საგადასახადო ტვირთის შემცირება;

3. მოსახლეობა — საერთო კეთილდღეობა, მყარი სოციალური გარანტიების მოთხოვნით.

აღნიშნულ ურთიერთობაში სახელმწიფო წარმოადგენს მთავარ, აქტიურ მოქმედ პირს, ხოლო გადასახადის გადამხდელები არიან სახელმწიფოს მიერ დაფგენილი სავალდებულო საგადასახადო კანონების პასიური შემსრულებლები.

## **ეპონომიკური რეზორტი**

საგადასახადო ურთიერთობა ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევა. კერძოდ, საგადასახადო კოდექსის თანახმად გადასახადები ატარებენ **აუცილებელ ხასიათს**, ისინი წარმოადგენენ ეროვნული შემოსავლის იმ ნაწილს, რომელსაც სახელმწიფო გადასახადის გადამხდელებისაგან იძულების წესით ამოიღებს, რამეთუ გადასახადის გადახდა ნებისმიერი პიროვნებისა და სამეურნეო სუბიექტისათვის მეტად მძიმე და არასასიამოვნო პროცედურას წარმოადგენს. **მეორე თავისებურება** მდგომარეობს იმაში, რომ გადასახადებს არ ახასიათებს **დაპრუნებადობა**, რაც ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო გადასახადის გადამხდელისაგან ამოღებულ თანხას უკან ფულადი ექვივალენტით არ აპრუნებს, თუმცა სახელმწიფო საგადასახადო შემოსავლების გარკვეულ ნაწილს ხარჯავს ეკონომიკის განვითარებისათვის, სოციალურ-კულტურულ და სხვა სახელმწიფოებრივი ღონისძიებისათვის. ამით გადასახადების დიდი ნაწილი მის გადამხდელებს უბრუნდება არაპირდაპირი გზით, ხმარდება როგორც მათი, ასევე მთელი საზოგადოების სოციალური მოთხოვნილებების დაკამაყოფილებას ქვეყნის პოლიტიკურ მოწყობას, თავდაცვას, წერიგის დამყარებას და ა.შ.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ გადასახადები ერთგვარად წარმოადგენენ სახელმწიფოს მიერ საზოგადოებისადმი განეული მომსახურების საფასურს.

გარდა აღნიშნულისა, სახელმწიფოები საგადასახადო მექანიზმს აქტიურად იყენებენ საზოგადოებრივი წარმოების დინამიკისა და სტრუქტურის რეგულირებისათვის, სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიურ მიღწევათა პრაქტიკაში დანერგვისა და სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამების რეალიზაციისათვის.

გადასახადების წარმოშობას დიდი წნის ისტორია აქვს. გადასახადები ჯერ კიდევ არსებობდნენ უძველესი დროიდან, როგორც კი გაჩნდა პირველი საზოგადოებრივი მოთხოვნილება. რაც შეეხება საგადასახადო სისტემას, იგი შედარებით მოგვიანებით ჩამოყალიბდა, მაშინ როცა წარმოიშვა სახელმწიფო და ვითარდებოდა სახელმწიფოს პარალელურად.

საგადასახადო სისტემის მოწესრიგება სახელმწიფოს ჩამოყალიბების მიერ დამდგრადებული სავალდებულო საგადასახადო კანონების პასიური შემსრულებლები.

ლიბებისა და ეკონომიკური განვითარების უმთავრესი წინაპირობაა. განვითარების დონის მიუხედავად, მსოფლიოში არ არსებობდა ქვეყანა, სადაც არ კამათობებს საგადასახადო სისტემის, მისი მოწყობის და მართვის, პოლიტიკისა და განაკვეთების სიდიდის შესახებ, მაგრამ ერთი რამ ცხადია, გადასახადები და საგადასახადო პოლიტიკა, პირველ რიგში, ადგილობრივ რეალურ მდგომარეობას უნდა შეესაბამებოდეს. აუცილებელია ქვეყნის საგადასახადო და საერთო ეკონომიკურ პოლიტიკათა შეთანაწყობა და თანხვედრა, რათა ისინი ერთი და იგივე მიზნებს ემსაუბრებოდნენ.

საგადასახადო სისტემა, გარდა ზემოთ აღნიშნული პოლიტიკური მნიშვნელობისა, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე უშუალო ზეგავლენას ახდენს. მნიშვნელოვანი საკითხია თვით გადასახადების თანაფარდობა და მათი ოპტიმალური ვარიანტის დადგენა: როგორი უნდა იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების თანაფარდობა, რომელ გადასახადზე უნდა გაკეთდეს აქცენტი და რატომ?

აღსანიშნავია, რომ საგადასახადო შემოსავლები საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ ბოლო სამი წლის განმავლობაში სისტემატიური ზრდის ტენდენციით ხასიათდება, სახელ-დობრ: აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2010 წელს – 23,5%, 2011 წელს – 25, 2% და 2012 წელს კი – 25,3% შეადგინა, თუმცა იგი ჯერჯერობით დაბალია, რამეთუ საზღვარგარეთის უმრავლეს ქვეყანაში საშუალოდ იგი 30-35 პროცენტამდე მერყეობს.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში საგადასახადო პოლიტიკის ფორმირება და განვითარება მიმდინარეობს მისი სათანადო თეორიული საფუძვლების დაუმუშავებლობის პირობებში, რის გამოც მოქმედი საგადასახადო სისტემა ნაკლებად ეფექტურია და სათანადო შედეგები არ მოაქვს. ყველაზე დიდ სირთულეს ქმნის ის გარემოება, რომ არა შემუშავებული მწარმოებლებს და მომხმარებლებს შორის საგადასახადო ტვირთის გადანაწილების ოპტიმალური მოდელი. ფაქტობრივად მთელი საგადასახადო სიმძიმე აწვება პროდუქციის მნარმოებლებს, რის შედეგადაც არ ეძღვევა გასაქანი ეკონომიკის აღორძინება-განვითარებას.

ჩვენი აზრით, საქართველოს თანამედროვე საგადასახადო პო-

ლიტიკას თეორიული საფუძვლად უნდა დაედოს ამერიკელი მეცნიერის **ა. ლაფერის** საგადასახადო კონცეფცია, რომლის არსი მდგომარეობს შემდეგის: საგადასახადო განაკვეთის გარკვეულ ზღვრამდე (30-35%) ზრდა იწვევს საგადასახადო შემოსავლების ზრდას, ხოლო მის ზევით გადიდება ამუხრუჭებს შემოსავლების გადიდებას და ეკონომიკურ პროგრესს. ამ კონცეფციის მთავარი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ მაღალი საგადასახადო წესი ახშობს სამეწარმეო და საინვესტიციო აქტივობას, რის გამოც ეცემა წარმოების ზრდის ტემპები, მცირდება საგადასახადო ბაზა და კლებულობს საგადასახადო შემოსავლების მოცულობა.

საგადასახადო პოლიტიკა უშუალოდ უკავშირდება და გავლენას ახდენს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: საბიუჯეტო სისტემის მოწყობა, სხვადასხვა დონის ბიუჯეტების ფუნქციები და ურთიერთდამოკიდებულება, სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის გადასახადების განაწილება, ტრანსფერების პოლიტიკა, საბაჟო პოლიტიკა და საბანკო ტარიფები. ყველა ზემოთაღნიშნული საკითხი საქართველოში სრულყოფას მოითხოვს. ამასთან, ისინი ერთ მთლიან სისტემას უნდა ქმნიდნენ და ერთმანეთთან ჰარმონიზებული უნდა იყოს.

საქართველოში მოქმედი საგადასახადო კოდექსის თანახმად გადასახადის სახეებია საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები.

საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებს მიეკუთვნება: საშემოსავლო გადასახადი; მოგების გადასახადი; დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ); აქციზი; იმპორტის გადასახადი.

ადგილობრივი გადასახადს მიეკუთვნება ქონების გადასახადი.

საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები ამოღების ხასიათის მიხედვით იყოფა პირდაპირი და არაპირდაპირი (ირიბი) გადასახადებად.

როგორც კვლევამ გვიჩვენა ბოლო წლებში მაღალი ტემპებით ხასიათდება პირდაპირი გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების ზრდა, სახელდობრ: 2009 წელს პირდაპირი გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1.158 მლნ ლარი; 2010 წელს – 2033,1 მლნ; 2011 წელს – 2642,0 მლნ; ხოლო 2012 წელს კი – 2856,0

მღვნ ლარი, თუმცა მათი ხვედრითი წილი მთელი საგადასახადო შემოსავლებში გაცილებით ნაკლებია და მთელი საგადასახადო შემოსავლების თითქმის 58-60 პროცენტი მიღებულია არაპირდაპირი გადასახადებიდან (დღგ, აქციზი), რაც ჩვენი აზრით არასასურველია, რადგან არაპირდაპირი გადასახადები ის გადასახადებია, რომელიც დგინდება მიწოდებული საქონლის ფასზე დანამატის სახით და რომელსაც იხდის მომხმარებელი საქონლის შეძენისას ამ გადასახადის სიფიდით გაზრდილი ფასით.

არაპირდაპირი გადასახადების ფასში ჩართვით საგადასახადო ტვირთი გადადის მომხმარებელზე. მის სიმძიმეს განსაკუთრებით მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენა გრძნობს. აქედან, მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში უშუალო დამოკიდებულება არსებობს პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების თანაფარდობასა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების (შესაბამისად, მოსახლეობის ცხოვრების) დონეს შორის. რაც უფრო დიდია არაპირდაპირი გადასახადების წილი საერთო საგადასახადო შემოსავლებში, მით უფრო დაბალია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, მოსახლეობის ცხოვრების დონე და პირიქით. ამიტომ სასურველია მომავალში ბიუჯეტის შემოსავლების ძირითადი წყარო იყოს პირდაპირი გადასახადები, განსაკუთრებით კი მოგების გადასახადიდან მიღებული შემოსავლები, რაც მიიღწევა წარმოების ეფექტიანობის გადიდებათა და ახალი საგადასახადო ბაზის შექმნით.

პირდაპირი გადასახადებიდან მეტად მნიშვნელოვანია **საშემოსავლო გადასახადი**. საშემოსავლო გადასახადს ბიუჯეტში ჩარიცხული თანხების მიხედვით უკავია მეორე ადგილი დამატებული ღირებულების (დღგ) შემდეგ და წარმოადგენს მოსახლეობის ძირითად გადასახადს.

საშემოსავლო გადასახადის გადამხდელებს წარმოადგენ რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირები, რომლებსაც საგადასახადო წელს გააჩნიათ დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივი შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების

თანხებს შორის. რეზიდენტის ერთობლივი შემოსავალი შედგება მის მიერ საქართველოში და ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიღებული შემოსავლებისაგან, ხოლო არა რეზიდენტის ერთობლივი შემოსავალი შედგება საქართველოში არსებული წყაროებიდან მიღებული შემოსავლებისაგან.

ერთობლივ შემოსავალს განეკუთვნება ნებისმიერი ფორმით ან საქმიანობით მიღებული შემოსავალი კერძოდ:

- ა) ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები;
- ბ) ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები, რომლებიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან;
- გ) სხვა შემოსავლები, რომლებიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან და ეკონომიკურ საქმიანობასთან.

ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადების სახით (ხელფასის) ქვეყნის ბიუჯეტში შემოსული თანხები ზრდის ტენდენციით ხასიათდება. სახელმძღვანელო: 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხულმა თანხამ 1119,0 მლნ ლარი შეადგინა 2011 წელს — 1439,5 მლნ, ხოლო 2012 წლს კი — 1623,0 მლნ ლარი. ე.ი. აღნიშნულ პერიოდში საშემოსავლო გადასახადიდან მიღებული თანხები 45,1 პროცენტით გაიზარდა.

საშემოსავლო გადასახადმა საზოგადოებაში უნდა უზრუნველყოს განაწილებისა და გადანაწილების ფუნქციის შესრულება. სახელმწიფომ სოციალური პოლიტიკა სწორედ ამ გადასახადის საშუალებით უნდა განახორციელოს, თუმცა ეს საკითხი საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენიდან (1989 წ) დღემდე მეტად პრობლემური საკითხი იყო. საქმე იმაშია, რომ არ არსებობდა დაუბეგრავი მინიმუმის ინსტიტუტი, რის გამოც საშემოსავლო გადასახადს დაკარგული ქონდა თავისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია — მოებდინა მოსახლეობაში შემოსავლების გადანაწილება და გამოთანაბრება.

გათვალისწინებულ იქნა რა არსებული მდგომარეობა 2012 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით შეტანილია ცვლილება საგადასახადო კოდექსში და 81-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ფიზიკური პირი, რომლის მიერ ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი კალენდარული წლის

განმავლობაში არ აღემატება 6000 ლარს, უფლებამოსილია ამ შემოსავლიდან გამოქვითოს დაუბეგრავი მინიმუმი — 1800 ლარი“.

ხოლო დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 20%-იანი განაკვეთით.

როგორც ვხედავთ, საშემოსავლო გადასახადში შეტანილი აღნიშნული ცვლილების შედეგად წინა ნლებთან შედარებით მართალია საგრძნობლად გაუმჯობესდა მდგომარეობა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ დასახვენია, რადგან ჯერ ერთი, ფიზიკური პირი, რომლის მიერ ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი არ აღემატება 6000 ლარს, ე.ი. თვეში 500 ლარს, დაუბეგრავი მინიმუმი 150 ლარია (წელიწადში 1800 ლარი), მაშინ როდესაც საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებზე დაყრდნობით ერთ სულზე საარსებო მინიმუმის თდენობა პოლო წლებში 200-ლარიდან 220 ლარამდე მერყეობს; და მეორე, დასახვენია იმიტომაც, რომ საგადასახადო კოდექსში აღნიშნული ცვლილებების შეტანის შედეგად საშემოსავლო გადასახადი პროპორციულ პრიციპზეა აგებული და ფიზიკური პირის დასაბეგრ შემოსავალზე ერთი – 20%-იანი განაკვეთია დაწესებული, მაშინ როდესაც უმეტეს საზღვარგარეთის ქვეყნებში ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადის გამოთვლა მიმდინარეობს იმ პრინციპით, რომ იგი წარმოადგენს პროგრესირებად გადასახადს, ე.ი. რაც მეტია შემოსავალი მით მეტია გადასახადი. საქართველოში კი იგი დღეისათვის არა პროგრესირებადი, არამედ პროპორციული ხასიათისაა, რამეთუ თვეში 151-დან 500 ლარამდე დასაბეგრი შემოსავალი გააჩნია მოსახლეობის თითქმის 80%-ზე მეტს და იგი იბეგრება მაქსიმალური 20%-იანი განაკვეთით.

ვფიქრობთ, აუცილებელია არსებული მდგომარეობის გადახედვა. ამ გადასახადდმა უნდა შეასრულოს თავისი ძირითადი ფუნქციები. საჭიროა საშემოსავლო გადასახადის არსებული სტრუქტურის და განაკვეთების ისეთნაირად შეცვლა, რომ იგი სრულად ითვალისწინებდეს ქვეყანაში რეალურად არსებულ მდგომარეობას, ანუ საშემოსავლო გადასახადის სიმძიმე უნდა აწვებოდეს მოსახლეობის იმ ფენას, რომელსაც რეალურად მნიშვნელოვანი შემოსავალი გააჩნია.

აღნიშნულთან ერთად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ საქართ-

ველოში საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტი ფიზიკური პირის შემოსავალია, მაშინ როდესაც, საზღვარგართის უმრავლეს ქვეყნებში მხედველობაში მიიღება და იბეგრება ოჯახის ერთობლივი შემოსავალი (მაგ. იტალია, გერმანია, საფრანგეთი და სხვ.). ოჯახის შემოსავლების დაბეგვრა სხვა მომენტებთან ერთად ხელს უწყობს დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას, ამასთან იგი გარკვეული სოციალური სამართლიანობის პრინციპის მატარებელია. საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისას, ოჯახის შემოსავლების ან ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინება უაღრესად წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში, რომელიც მიმართულია ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად სამენარმეო საქმიანობისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მექანიზმს საგადასახადო შეღავათები ნარმოადგენს. ამ სფეროში საგადასახადო სისტემის გამოყენების მთავარ უპირატესობად შეიძლება დაგასახელოთ ის ფაქტი, რომ საგადასახადო შეღავათების პოლიტიკა შეიძლება განხორციელდეს არსებული სამთავრობო აპარატის მეშვეობით და არ არის საჭიროება ახალი და ძვირად ღირებული ადმინისტრაციული სისტემის შექმნისა. აგრეთვე საგადასახადო პარამეტრები ადვილად შესაცვლელია, რაც ამ სისტემას ადვილად მართვადს ქმნის და უზრუნველყოფს სამენარმეო საქმიანობის მეტ მდგრადობას. სწორედ ამ მიზნით ახალ საგადასახადო კოდექსში შეტანილია ცალკე თავი - „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები“.

**სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები ვრცელდება:** а) მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირებზე; ბ) მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირებზე; გ) ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირებზე.

საგადასახადო კოდექსის თანახმად მიკრო ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ენევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლიდანაც მის მერი მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარულ წლის განმავლობაში არ აღემატება 30 ათას ლარს. მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი განთავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისაგან.

რაც შეეხება მცირე ბიზნეს, იგი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 100 ათას ლარს. მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 5%-ით; ხოლო იმ შემთხვევაში, როცა მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირს აქვს ერთობლივი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ერთობლივი შემოსავლის 60%-ის ოდენობის ხარჯების (გარდა დაქირავებულზე დარიცხული ხელფასის ხარჯისა) დამადასტურებელი დოკუმენტები, მაშინ ის იბეგრება დასაბეგრი შემოსავლის 3%-ით.

გარდა ზემოთ აღნიშნული მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირებისა ახალი საგადასახადო კოდექსით მთელი რიგი შეღავათებია დაწესებული ფიქსირებული გადამხდელის სტატუსის მქონე პირზე.

საქართველოში დღეისათვის მოქმედი საგადასახადო კოდექსის თანახმად პირდაპირი გადასახადებიდან საშემოსავლო გადასახადთან ერთად მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უქირავს **მოგების გადასახადს**. მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი მოგება. იგი განისაზღვრება, როგორც სხვაობა, გადასახადის გადამხდელის ერთობლივ შემოსავალსა და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის.

როგორც ანალიზი გვიჩვენებს მოგების გადასახადიდან მიღებული საბიუჯეტო შემოსავლები ბოლო სამი წლის განმავლობაში სისტემატიკური ზრდის ტენდენციით ხასითდება. ასე მაგალითად, 2010 წელს მოგების გადასახადის სახით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 575 მლნ 947,2 ათასი ლარი 2011 წელს 832 მლნ 201,3 ათასი ლარი, ხოლო 2012 წელს კი 844 მლნ ლარი.

ე.ი. ბოლო სამი წლის განმავლობაში მოგების გადასახადის სახით მიღებული შემოსავლები თითქმის 47%-ით გაიზარდა, რაც ძირითადად განპირობებულია მოგების გადასახადით დასაბეგრი ობიექტების (საგადასახადო ბაზის) გადიდებით, საქმე იმაშია, რომ 2010 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით (საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლი) მოგების გადასახადისაგან თავისუფლდება მთელი რიგი საწარმოების საქმიანობიდან მიღებული მოგების

ის ნაწილი, რომლის რეინვესტირება (გამოყენება) ხორციელდება წარმოების გაფართოებისათვის; ეს კი ხელს უწყობს ახალი საგადასახადო ბაზის შექმნას და მოგების გადასახადის სახით მიღებული შემოსავლების ზრდას.

მიუხედავად აღნიშნულისა საპიუჯეტო საგადასახადო შემოსავლებს შორის მოგების გადასახადს მეტად მოკრძალებული ადგილი უქირავს და იგი არ აღემატება 14,3%-ს.

საქართველოს ეკონომიკის დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საინვესტიციო საქმიანობის ფართოდ გაშლას. აღნიშნული მიზნის მიღწევის ერთ-ერთ საშუალებად მოგების გადასახადის გამოყენებაც არის შესაძლებელი, რაც გამოიხატება იმაში, რომ საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული (იგულისხმება ინვესტიციები ძირითად კაპიტალში) დასაბეგრი მოგების ნაწილი გათავისუფლდეს გადასახადისაგან, მას მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით დადებითი ზეგავლენა ექნება და საბოლოო ჯამში ახალი საწარმოების შექმნის საფუძველზე ხელს შეუწყობს დასაბეგრი ბაზის მოცულობის გადიდებას.

ახალი საწარმოების შექმნა საქართველოში ძირითადად შესაძლებელი იქნება უცხოური კაპიტალის მონაწილეობით; იმისათვის, რათა გამოიკვეთოს საგადასახადო შეღავათების მინიჭების მნიშვნელობა, საჭიროა ძირითადად პარტნიორ ქვეყნებთან გაფორმდეს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების თაობაზე შეთანხმებები. ზოგიერთი შეთანხმება შეიძლება ითვალისწინებდეს ხელსაყრელ საგადასახადო მოპყრობას ინვესტიონ ქვეყნებში. აღნიშნული მომენტის გამოყენება უცხოელ ინვესტიონთა მოსაზიდად ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი სტიმული იქნება.

მეორე საკითხი, რაზედაც გვინდა ყურადღება გავამახვილოთ არის ის, რომ დღეისათვის მოქმედი საგადასახადო კოდექსის თანახმად, საწარმოს მოგება იბეგრება 15%-იანი განაკვეთით. აღნიშნული განაკვეთი საერთაშორისო სტანდარეტების მიხედვით დაბალია, რაზეც მეტყველებს შემდეგი მონაცემები: ბულგარეთში იგი შეადგენს 36%-ს; პოლონეთში 38%-ს; იტალიაში — 37%-ს, გერმანიაში 54%-ს და ა.შ. ზოგიერთი ქვეყანაში იგი დიფერენცირებულია

მოგების სიდიდის მიხედვით, სახელმძღვანელო: ესპანეთში არსებობს ორი განაკვეთი – 30 და 35%; ლუქსემბურგში სამი – 15; 25 და 34% და ა.შ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კარგი იქნებოდა მოგების გადასახადის დიფერენციაცია დასაბეგრი მოგების მოცულობის გათვალისწინებით და მოგების საგადასახადო განაკვეთის საერთაშორისო სტანდარეტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

საქართველოში დღეისათვის მოქმედი საგადასახადო კოდექსის თანახმად საერთო-სახელმწიფო ბრივი გადასახადებიდან გარდა ზემოთ განხილული საშემოსავლო და მოგების გადასახადისა მეტად მნიშვნელოვანია **დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ).** იგი როგორც არაპირდაპირი გადასახადი არის ქვეყნის ტერიტორიაზე საქონლის, სამუშაოს, მომსახურების წარმოებისა და მიმოქცევის პროცესში შექმნილი ღირებულების ნაწილის, აგრეთვე, ამ ტერიტორიაზე შემოტანილი ყველა დასაბეგრი საქონლის ღირებულების ნაწილის ბიუჯეტში სავალდებულო შენატანი.

საგადასახადო მიზნებისათვის დღგ-ის გამოყენების შესახებ წინადადებები პირველად 1919 წელს ვილჰელმ ფონ სიმენსმა დააყენა. იგი მოითხოვდა, რომ გერმანიის საგადასახადო სისტემაში შემოეღოთ დღგ, ხოლო 1954 წელს ფრანგმა ეკონომისტმა მ. ლორემ პირველად შეიმუშავა დღგ-ს აკრეფის სქემა და ეს გადასახადი საფრანგეთში 1958 წლიდან შემოიღეს. აქედან იგი გავრცელდა ერობის ეკონომიკური თანამეგობრობის წევრ ქვეყნებში. დღეისათვის საგადასახადო სისტემაში დღგ-ის არსებობა თანამეგობრობაში ამა თუ იმ სახელმწიფოს შესვლის სავალდებულო პირობაა.

ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის წევრი ქვეყნები მისწრაფვიან აღნიშნული გადასახადის აკრეფის პრიცნიპების უნიფიცირებისაკენ და მისი განაკვეთების გათანაბრებისაკენ, რაც აუცილებელია ერთიანი ევროპული ბაზრის ფორმირებისათვის სწორედ დღგ-ის ბაზრის უნიფიცირების მიზნით 1977 წლის 17 მაისს ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის საბჭომ მიღლო სპეციალური დირექტივა. ამის აუცილებლობა გამოწვეული იყო იმითაც, რომ ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის წევრი ქვეყნების ბიუჯეტებში დღგ-ის სახით ჩარიცხული შემოსავლე-

ბიდან განსაზღვრული ოდენობის ანარიცხები ხმარდება ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის საერთო ბიუჯეტის ფორმირებას.

საქართველოში დღგ 1992 წლის 15 მარტიდან შემოიღეს და იგი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. ასე მაგალითად, 2010 წელს მთელი საგადასახადო შემოსავლების 48,0% ანუ 2 მლრდ. 203 მილიონზე მეტი, 2011 წელს — 48,1% ანუ 2 მლრდ 784 მილიონზე მეტი, ხოლო 2012 წელს კი 48,7% ანუ 3 მლრდ 070 მილიონზე მეტი მილებული იყო დამატებული ღირებულების გადასახადების სახით. დღგ-ის ასეთი მაღალი ხვედრითი წილი მთელ საგადასახადო შემოსავლებში არ არის სასურველი, რამეთუ დღგ ის გადასახადია, რომელიც დგინდება მიწოდებული საქონლის შექენისას ამ გადასახადის სიდიდით დადგენილი ფასით; აქედან გამომდინარე საქონლის არცერთ მიმწოდებელს არავითარი ეკონომიკური ტვირთი არ აწვება, გადასახადის სიმძიმე მთლიანად გადადის საბოლოო მომხმარებელზე, მოსახლეობაზე, სწორედ ამოტომ დღგ-ს მომხმარებლის გადასახადს უწოდებენ.

გადასახადის ის თანხა, რომელსაც შეიცავს საქონლის ფასი, არ არის დამოკიდებული მოძრაობის სტადიების რაოდენობაზე, დამოკიდებულია მხოლოდ საქონლის ფასზე.

როგორც წესი, თითქმის ყველა ქვეყანაში, სადაც შემოღებულია დღგ, დადგენილია დღგ-ს სამი ან ორი განაკვეთი. იმ ქვეყნებში, საბაზო განაკვეთია დადგენილი, არის სტანდარტული, დაბალი და მაღალი განაკვეთები, ხოლო იმ ქვეყნებში, სადაც ორი განაკვეთია დადგენილი, მოქმედებს სტანდარტული და დაბალი განკვეთები.

დაბალ განაკვეთებს იყენებენ პირველადი მოხმარების მთელი რიგი საქონლის დაბეგვრისას. მაგალითად, ყოველდღიური მოთხოვნილების სასურსათო საქონლის, ხოლო მაღალ განაკვეთებს კი ფუფუნების საგნების დაბეგვრისას.

ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ქვეყნებში დადგენილია, რომ დღგ-ს სტანდარტული განაკვეთი არ შეიძლება იყოს 15%-ზე ნაკლები, ხოლო დაბალი განაკვეთი — 5%-ზე ნაკლები.

დღგ-ს განაკვეთი საქართველოში დღეისათვის შეადგენს დასაბეგრი ბრუნვის ან საქონლის იმპორტის თანხის 18%-ს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული და ევროპის ქვეყნებში საგა-

დასახადო პოლიტიკის ისტორიისა და იქ არსებული დღევანდელი სისტემის გაცნობა მიგვანიშნებს დღგ-ს შემდგომი სრულყოფის აუცილებლობაზე.

საგადასახადო სისტემის მასტიმულირებელი მიმართულების უზრუნველსაყოფად გამართლებული იქნება დღგ-ის განაკვეთის შემცირება, დიფერენციაცია და სტრუქტურის შეცვლა.

არაპირდაპირი გადასახადების ერთ-ერთი სახეობაა ასევე აქციზი, რომელიც აქციზური საქონლის მიწოდებისას მის ფასთან ერთად გადაიხდება. აღნიშნული გადასახადით იბეგრება საქონლის ცალკეული სახეების ჯგუფები, რომელთაც შემდეგი თავისებურებები ახასიათებს: 1) მათი წარმოება და რეალიზაცია მთავრობის განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ ექცევა; 2) მოთხოვნა ფასში ასეთ საქონელზე არაელასტიურია, ანუ ფასის საგრძნობლად მომატების შემთხვევაში ამ საქონლის მოხმარება მხოლოდ ოდნავ მცირდება; 3) ისინი ფუფუნების საგნებია; 4) ამგვარი საქონელი არსებითი მნიშვნელობის მქონედ არ ითვლება და ხშირ შემთხვევაში ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს.

საქართველოში აქციზიდან მიღებული შემოსავლები ბოლო პერიოდში სისტემატური ზრდის ტენდენციით ხასიათდება. სახელდობრ; 2010 წელს აღნიშნული გადასახადიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 560,8 მლნ ლარი, 2011 წელს — 615,2 მლნ, ხოლო 2012 წელს კი 644,0 მილიონი ლარი. აღსანიშნავია, რომ აქციზურ საქონელს შორის ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა თამბაქო. ამასთან საქართველოში მოხმარებული სიგარეტის მნიშვნელოვანი ნაწილი იმპორტულია, რამაც გამოიწვია თამბაქოს ადგილობრივი წარმოების მკვეთრი შემცირება, ასევე აჭარის და სხვა რეგიონებში, სადაც თამბაქოს მოყვანა მეტად შემოსავლიანი დარგია მაღალმთიან სოფლებში მიწის როგორც წარმოების და ძირითადი საშუალებების გამოყენების ეფექტიანობის დაქვეითება.

აქედან გამომდინარე კარგი იქნებოდა და აუცილებელიც თამბაქოს წარმოების სამამულო ტრადიციების აღდგენა, მისი საწარმოო პოტენციალის სრულად გამოყენების საფუძველზე პირველ ეტაპზე იმპორტის შემცირება და საქართველოს მოსახლეობის სი-

გარეტზე მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილება, შემდგომში კი მაღალხარისხოვანი თამბაქოს (რის შესაძლებლობასაც ჩვენი ქვეყნის კლიმატური პირობები იძლევა) წარმოების ზრდის კვალობაზე მის ექსპორტზე გატანა.

საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებიდან მეტად მნიშვნელოვანია **იმპორტის გადასახადი**. საგადასახადო კოდექსის თანახმად აღნიშნული გადასახადის გადამხდელია პირი, რომელიც საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებს საქონელს, გარდა ექსპორტისა. იმპორტის გადასახადით დაბეგვრის ობიექტია საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმოკვეთისას საქონლის საბაჟო ღირებულება.

იმპორტის გადასახადების გამოყენების პირობები და საგარეო ვაჭრობის მარეგულირებელი სხვა ნორმები ჩამოყალიბებულია მოქმედი საგადასახადო კოდექსის 31-ე თავში; სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოს ინტეგრირებული ტარიფი არის მოხაცემთა სისტემატიზებული ერთობლიობა, რომელიც შედგება:

1. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურისაგან;

2. იმპორტის გადასახადების განაკვეთებისაგან ან შეღავათებისაგან, რომლებიც გამოიყენება საგარეო-ეკონომიკურ ნორმატივებში მოცემული საქონლის მიმართ;

3. საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული და ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილი შეღავათებისაგან;

4. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი აკრძალვებისა და შეზღუდვებისაგან, რომლებიც გამოიყენება საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურაში მოცემული ცალკეული საქონლის მიმართ.

აქედან მოცემული ის ექსივე მეთოდი, რომლის გამოყენებითაც დგინდება იმპორტის დეკლარირებული საქონლის საბაჟო ღირებულება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 176 დასახელების საქონელი იმპორტის გადასახადის 12%-იანი განაკვეთით იბეგრე-

ბა, ხოლო 46 დასახელების საქონელი კი 5%-იანი განაკვეთით.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ საგარეო-ეკონომიკური საქმი-ანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის იმ ჩამონათვალში, რომლებიც იმპორტის გადასახადის 12%-იანი განაკვეთით იძეგრება არის ისეთი პროდუქტები როგორიცაა, კარტოფილი, ბოსტნეული, ციტრუსები, ყურძენი, ჩაი, ხილის წვენები, წყლები მინერალურის და გაზიანის ჩათვლით, ხე-ტყის მასალა და სხვა, რომელთა სანარმოო პოტენციალის სრულად გამოყენების შემთხვევებში შესაძლებელი იქნება არა მარტო ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის აღნიშნული მაღალხარისხოვანი პროდუქტებით სრულად დაკმაყოფილება, არამედ მისი ექსპორტზე გატანა.

ამისათვის აუცილებელი იქნება გატარდეს ღონისძიებები ქვეყნის პაზრის დაცვის მიზნით შეიზღუდოს ან აიკრძალოს ზემოთ დასახელებული საქონლის იმპორტი, იმპორტზე გადასახადების დარეგულირების გზით, კერძოდ, საქართველოში სპეციალური საბაჟო გადასახადები გამოიყენება, როგორც დაცვითი ღონისძიება, თუ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონელი შემოიტანება იმ რაოდენობითა და ისეთი პირობებით, რომლებიც ზიანს აყენებს ამ ან მსგავსი საქონლის ადგილობრივ მნარმოებლებს.<sup>1</sup>

გარდა ზემოთ განხილული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებისა და საქართველოში მოქმედი საგადასახადო კოდექსის თანახმად დაწესებულია ადგილობრივი გადასახადი, ქონების გადასახადის სახით.

ქონების გადასახადის გამოანგარიშებებისა და გადახდის წესს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი. ადგილობრივი გადასახადი ირიცხება ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში. მათი გადახდა სავალდებულოა შესაბამისი სუბიექტების ტერიტორიაზე.

ქონების გადასახადისაგან განთავისუფლებულია: ა) ფიზიკური პირის დასაბეგრი ქონება (გარდა მინისა) თუ ამ პირის ოჯახის მიერ მიმდინარე კალენდარული წლის წინა წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლები არ აღემატება 40000 ლარს; ბ) სახელმწიფო

საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ის ნაწილი, რომელიც გადაცემული აქვს საბიუჯეტო ორგანიზაციას, გარდა ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული მიწისა; გ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომელთა ნაყოფიერი ფენაც სანახევროდ ან მეტადატა დაზიანებული სტიქის შედეგად; და ა.შ. რიგი სხვა ღონისძიებები, რომლებიც ჩამოყალიბებულია მოქმედი საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლში ნამდვილად შეუწყობს ხელს ფიზიკური პირების ქონების, მათ შორის მიწის ეფექტიანად გამოყენების საქმეს.

ამდენად, ყველაფერი ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ გადასახადები სახელმწიფოს ფინანსური რესურსების ერთ-ერთი მთავარი წყაროა და იმაზე, თუ რამდენად უზრუნველყოფს ხელისუფლება ოპტიმალურ საგადასახადო პოლიტიკას და გადასახადების მობილიზაციას, დიდადაც დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. გადასახადების და საგადასახადო პოლიტიკის როლი ქვეყნის განვითარებაში განპირობებულია, მათი საყოველთაო ხასიათით. გადასახადები დაკავშირებულია არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ მისი თითოეული მოქალაქეების, მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ინტერესებთან. ცხადია, რაც უფრო სწრაფია ეკონომიკური ზრდის ტემპი და რაც უფრო დიდია დაგროვილი ეკონომიკური პოტენციალი, მით უფრო ფართო საგადასახადო ბაზა და, შესაბამისად, ქვეყნის საგადასახადო პოტენციალი. წმინდა ფისკალური ფუნქციის გარდა, გადასახადების სისტემა წარმოადგენს წარმოების, მისი სტრუქტურის, დინამიკის, გაადგილების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ეკონომიკურ მექანიზმს. გადასახადებით შეიძლება მოვახდინოთ სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირება ან შეზღუდვა და, აქედან გამომდინარე, განვავითაროთ ესა თუ ის დარგი, შევქმნათ საწარმოო ხარჯების შემცირების წინაპირობა, ავამაღლოთ ეროვნული საწარმოების კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე. გადასახადები წარმოადგენს სახელმწიფო შემოსავლების ძირითად ნაწილს და უზრუნველყოფენ შესაძლებლობას გასავლის ნაწილით ზემოქმედება მოახდინონ ეკონომიკაზე.

<sup>1</sup> საქართველოს კანონი საბაჟო ტარიფებისა და გადასახადის შესახებ. მუხლი 7.

## საგადასახადო პოლიტიკის გავლენა ეკონომიკის რეალურ სექტორში ინვესტირების მოცულობაზე

### გიორგი ყუფარაძე თსუ დოქტორანტი

მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში ინვესტიციებისა და ვაჭრობისაგან მიღებული შემოსავლები საშემოსავლო და მოგების გადასახადებით დაბეგვრის ობიექტია. ამ შემოსავლების დაბეგვრის თავისებურებები დამოკიდებულია თითოეული ქვეყნის როგორც შიდა საგადასახადო კანონმდებლობაზე, ასევე ქვეყნის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო დაბეგვრის ხელშეკრულებებზე.

უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში სახელმწიფოთა უმრავლესობა ატარებს ინვესტიციებთან დაკავშირებული პოლიტიკის ლიბერალიზაციის გზას, შემოღებული იქნა მასტიმულირებელი ღონისძიებები პირდაპირ უცხოური ინვესტიციათა მოსაზიდად და ადგილობრივი ინვესტიციების წახალისების მიზნით. ამასთან, ე.წ. ტრადიციულ ფაქტორებთან შედარებით, წინა პლანზე წამონინა ინსტიტუციური ფაქტორების როლი. ამ ფაქტორთა რიგში მნიშვნელოვანი წონა საგადასახადო საკითხებზე მოდის.

გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკური ზრდა და ცხოვრების დონის ამაღლება დამოკიდებულია მიმდინარე პერიოდში ინვესტიციების მოცულობაზე. თავის მხრივ, დანაზოების რაოდენობას და ინვესტიციების ფორმირებას ფაქტორთა ნაკრები განაპირობებს, მაგრამ საგადასახადო სისტემა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც მთავრობის პირდაპირი კონტროლის ქვეშა. თავად არსებულმა საგადასახადო პოლიტიკამ ბევრ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე შეიძლება მოახდინოს გავლენა: შრომის მიწოდება, საოჯახო მეურნეობების დაზოგვის ნორმა, რისკის მიღების დონე, ინვესტიციების მოცულობა რეალურ აქტივებში და ა.შ.

1 კვლევა დაფინანსებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ, ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტის პროგრამის ფარგლებში, #PG/44/2-230/12.

### ეპონომიკის რეალობა

ოპტიმალური საინვესტიციო პოლიტიკის განსაზღვრისათვის საჭიროა შეფასდეს გადასახადების გავლენა ინვესტიციებზე; გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყნების საგადასახადო კოდექსები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან, ქვემოთ განხილული მოდელი ითვალისწინებს გარკვეულ დაშვებებს.

მოცემულ კვლევაში წარმოდგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის<sup>1</sup> შედარებითი გავლენის ანალიზი ფინანსურ და რეალურ სექტორში ინვესტირებაზე<sup>2</sup> (კერძო სექტორი). ანალიზისათვის გამოყენებულია კინგ-ფულერტონის მოდელის მოდიფიცირებული ვერსია<sup>3</sup>. მოდელში ჩართულია საგადასახადო კოდექსის ის მუხლები, რომლებიც გავლენას ახდენს ფიზიკური კაპიტალის ფორმირებაზე: მოგებისა და საშემოსავლო გადასახადები, კანონმდებლობით განსაზღვრული ამორტიზაციის ნორმები. აღნიშნულ ანალიზს აქვს გარკვეული შეზღუდვები: ის აღნერს მხოლოდ იმ ფაქტიურ სტატულებს, რასაც სთავაზობს მოქმედი საგადასახადო კოდექსი რეალურ სექტორში ინვესტიციი-

1 2013 წლის, 20 იანვრის მდგომარეობით.

2 ეკონომიკის რეალურ სექტორში ინვესტირების მოცულობის ზრდის აუცილებლობა საქართველოს ეკონომიკის შემთხვევაში არერთი მეცნიერის მიერაა დასაბუთებული. იხ. მაგ: ბაკაშვილი ნ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საკითხისათვის საქართველოში, უურნალი „ეკონომიკა“, 1998, №4-6, გვ. 12-19; გაურინდშვილი ე. საინვესტიციო პოლიტიკა, უურნალი „ეკონომიკა“, 1992 №10-11, გვ. 91-96; გელაშვილი ნ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, უურნალი „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, 1999, №10-12 გვ. 14-15, ლოჟანიძე ვ. მამულაშვილი ლ, უცხოური ინვესტიციები საქართველოში, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1999, №2, გვ. 126-142; რინოკაშვილი ნ. ინვესტიციები და ეკონომიკური ზრდა, უურნალი „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, 1999 №4-6, გვ. 16-17; აბადლაძე მ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მათი მოზიდვის პრობლემები საქართველოში, საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი, № 64, 2002, გვ. 60-73; მ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სახელმწიფო მხარდაჭერა, განვითარებადი ქვეყნების გამოცდილება, საუნივერსიტეტოშორისო სამეცნიერო შრომების კრებული: „საერთაშორისო ბიზნესი“, ტომი 3, №1, 2004, გვ. 5-18.

3 The Taxation of Income from Capital, A Comparative Study of United States, United Kingdom, Sweden and West Germany. Edited by Mervyn A. King and Don Fullerton. The University of Chicago Press, London 1984.

სათვის ფინანსურ სექტორთან შედარებით.

მოდელის ძირითადი არსი შემდეგია: დაბეგვრის შედეგად მიღებული შემოსავლები ინვესტირებიად განსხვავდება იმ შემოსავლებისაგან, რაც შესაძლებელია მიღებულ ყოფილიყო დაბეგვრის არარსებობის პირობებში. (ე.ნ. საგადასახადო ჭრა). თავის მხრივ, საგადასახადო წნევის სიდიდე დამოკიდებულია მოგების გადასახადის სტრუქტურაზე, გადასახდების მიმართებზე ინფლაციასთან, კანონმდებლობით განსაზღვრული ამორიტაზულისა და ცვეთის ნორმებთან, განსხვავებული დაბეგვრის რეჟიმებთან, რაც უკავშირდება შემოსავლების სხვადასხვა სახეებს და სხვა ფაქტორებს.

საანალიზო მაჩვენებლებად გამოიყენება ზღვრული და საშუალო ეფექტური საგადასახადო განაკვეთები-METR (Marginal Effective Tax Rates) და AETR(Average Effective Tax Rates). ეს მაჩვენებლები ეყრდნობა კორპორაციულ/მოგების გადასახადებს, მათი მემვეობით განისაზღვრება ეფექტური საგადასახადო განაკვეთების ცვლილების გავლენა ინვესტიციებზე. ამ მოდელში გამოტოვებულ ცვლადებს მიეკუთვნება: საგადასახადო დაგეგმვა, ადმინისტრაციული დისკრეცია, სხვა გადასახადების მნიშვნელობა.

METR - ზღვრული საგადასახადო განაკვეთი, არის შემაჯამებელი მაჩვენებელი საგადასახადო სისტემის მიერ გამონვეული ცვლილებების შესაფასებლად. ზღვრულ ინვესტიციებზე იგი ახასიათებს წონასწორობის პოზიციას, როდესაც ეკონომიკური მოგება (ე.ი. უმცირესად დამაკმაყოფილებელი უკუგება) მინიმალურია.

კანონმდებლობის სხვადასხვა მიღებოდებიდან გამომდინარე, METR-მაჩვენებელი თავის მხრივ დამოკიდებულია ეკონომიკის სექტორზე, აქტივების ტიპზე, საინვესტიციო პროექტის დაფინანსების წყაროებზე და ინვესტიციის განმხორციელებლის იურიდიულ სტატუსზე. METR-მაჩვენებელს თავის მხრივ აქვს შეზღუდვები, როცა ფინანსური ბაზრები განუვითარებელია და არსებობს ინფორმაციის ასიმეტრიის პრობლემა. METR-მაჩვენებელის ნაკლოვანებების შევსების ერთ-ერთი გზაა საშუალო ეფექტური საგადასახადო განაკვეთების გამოყენება AETR, რომელიც გამოითვლება როგორც ფარდობა ყველა საგადასახადო ვალდებულების დაბეგვრამდელ შემოსავლებთან. კინგ-ფულერტონის კვლევის მიხედვით

ამ უკანასკნელ მაჩვენებლსაც აქვს ცალეკული შეზღუდვები: ის არ სახავს ინვესტირების დამატებითი ერთეულისათვის წარმოქმნილ სტიმულებს, არამედ ასახავს მხოლოდ რეალიზებული შემოსავლების დაბეგვრის ტვირთს. ასევე, ამ მაჩვენებლში არ აისახება კორპორაციულ და ფიზიკურ პირთა დაბეგვრას შორის არსებული კავშირი. ჩვენი მოდელის პირობებში ვაკეთებთ დაშვებას, რომ აკუმულირებული შემოსავლები არის ინვესტირების წყარო, ამ კუთხით METR-ისა და AETR-ის მაჩვენებლები, გვანვიდან ანალიზისათვის სასარგებლო ინფორმაციას. ეს ორი მაჩვენებელი გვაძლევს პასუხს ორ განსხვავებულ კითხვაზე: AETR გვაძლევს ინფორმაციას საინვესტიციოდ ხელმისაწვდომ შიდა რესურსებზე (მას შემდეგ, რაც ყველა გადასახადი გადახდილია და როცა ნარჩენი შემოსავალი ინვესტირების ერთადერთი წყაროა), ხოლო METR გვაძლევს ინფორმაციას ახალი ინვესტირების გადაწყვეტილების შესახებ, კერძოდ რა გავლენა აქვს კორპორაციულ და ფიზიკურ პირთა დაბეგვრას საინვესტიციო აქტივობებიდან მიღებულ საბოლოო შემოსავლებზე.

მოგების გადასახადის METR-ი შემდეგნაირად გამოითვლება:

$$(1) \quad METR = \frac{(F^* - \delta) - \rho}{F^* - \delta} = 1 - \frac{\rho}{F^* - \delta} = 1 - \frac{\rho}{C - \delta}$$

სადაც,  $P$  — მოსალოდნელი დაბეგვრის შემდგომი შემოსავალი, ინვესტიციის მინიმალური უკუგებაა.

$F^*$ -წონასწორული რეალური შემოსავალი დაბეგვრამდე, დამატებითი ერთეული ინვესტირების შედეგად, როცა ეკონომიკური მოგება მინიმალურია (შესაბამისი წარმოების ფუნქციით  $F(K)$ )

$\delta$ - ამორტიზაციის განაკვეთი (წმინდა ეკონომიკური) კაპიტალური აქტივების გეომეტრიულად შემცირებადი ბაზის მიხედვით.

$C$  - აღნიშნავს კაპიტალის დანახარჯს, სხვაობა  $F^* - \delta$  არის ინვესტიციების დაბეგვრამდე შემოსავალი, სხვაობა მთლაინ ხარჯებსა და ამორტიზაციას შორის. დადებითი (უარყოფითი) METR ნიშნავს ინვესტიციებზე დადებით (უარყოფით) გავლენას საგადასახადო სისტემის მხრიდან.

ნეოკლასიკური ინვესტირების თეორიის თანახმად მაქსიმალუ-

რო მოგების მატიებელი ფირმა ჩადებს ინვესტიციებს ფიზიკურ კაპიტალში, სრულყოფილად კონკურენტული წარმოებისა და ფაქტორების ბაზრების შემთხვევებში, თუ დაცულ იქნება წონასწორების შემდეგი პირობები:

შიდა ინვესტიციების შემთხვევა(2):

$$F_k^*(1 - U) = (p + \delta)(1 - A)$$

$$F_k^* = \frac{(p + \delta)(1 - A)}{(1 - U)} = C$$

აღნიშვნები იგივეა  $F^*$ ,  $\delta$ , და  $p$ -ს შემთხვევაში. უ აღნიშნავს კორპორაციული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთს,  $A$  – აღნიშნავს ცვეთადი ღირებულების ახლანდელ ფასს და ასევე საგადასახადო შეღვათს ერთეულ ინვესტიციაზე (ცხადია, მისი არსებობის შემთხვევაში) და გამოითვლება შემდეგი ფორმულით:(3)

$$A = \sum_{s=1}^{s=\alpha} \frac{U \alpha (1 - \alpha)^{(s-1)}}{(1 + p)^s} + \varepsilon = \frac{Ua}{p + a} + \varepsilon$$

სადაც,  $\alpha$  არის შემცირებადი ბალანსის განაკვეთი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია კაპიტალ დაერიცხოს ამორტიზაცია საგადასახადო მიზნებისათვის,  $\varepsilon$  არის ინვესტიციის საგადასახადო შეღვათის (გამოქვითვის) განაკვეთი. ჯამის ნიშანი საზღვრავს მომავალი და ახლანდელი ამორტიზაციის მიმდინარე ღირებულებას საგადასახადო კოდექსის მიხედვით<sup>1</sup>.

1 აღნიშნული მოდელის გამოყენების სირთულე საქართველოს საგადასახადო პოლიტიკის შემთხვევაში გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, კერძოდ, პრაქტიკული კვლევა ამორტიზაციის რეალურ ეკონომიკურ განაკვეთებზე არ მოიპოვება. დასავლეთის განვითარებული ქვეყნების შემთხვევაში ამგვარი კვლევის მაგალითია: Hulten, Charles R., and Frank C Wykoff. The Measurement of Economic Depreciation/Charles R. Hulten (ed) Depreciation, Inflation and Taxation of Income from Capital. Washington D.C.: The Urban Institute Press, 1981 აღნიშნულ კვლევაში მეცნიერებმა პასუხი გასცეს ფუნდამეტურ შეკითხვას: შესაძლებელი იყო თუ არა აქტივების ცვეთის რეალური განსაზღვრა დროში, რაც შესაძლოა საფუძვლად დაედოს საგა-

კაპიტალური აქტივების წონასწორობის პირობა ნაწილობრივ ინტუიციურია და მისგან გამომდინარეობს, რომ ფირმისათვის ოპტიმალურია გაზარდოს მისი კაპიტალური აქტივები იქამდე, სანამ ზღვრული უკუგება დამატებით კაპიტალზე არ გაუტოლდება ზღულ ხარჯს დამატებით კაპიტალზე.

კველვის მოცემული მიზნებიდან გამომდინარე განვიხილოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის გავლენა ეკონომიკის ორ დარგში ინვესტირებისას: საფინანსო და არასფინანსო სექტორი (რეალური სექტორი, შედარებით მსხვილი საინვესტიციო პროექტებისათვის).

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავალი ორი ძირითადი გადასახადით იქნება: საშემოსავლო (არაპირდაპირ) და მოგების გადასახადებით<sup>2</sup>. დასაბეგრი ოდენობა განისაზღვრება როგორც სხვაობა ერთობლივ შემოსავლებსა და თავად კოდექსით განსაზღვულ გამოქვითვებს შორის. მოგების გადასახადის 15 %-იანი დაბგევრის ბაზიდან იქვითება რეინვესტირებული მოგება მხოლოდ სამედიცინო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების შემთხვევაში (შესაბამისი საგადასახადო წლის დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში)<sup>2</sup>. მიმდინარე საგადასახადო პოლიტიკა არ მოიცავს ანალოგიური სახის მიდგომას სხვა ტიპის რეალურ სექტორში რეინვესტირებისას. ეკონომიკური სუბიექტის მიერ ძირითად

დასახადო პოლიტიკას ? მათი გამოთვლები ეფუძნებულდა “დაფიქსირებული საბაზრო ფასის მეთოდს”. მკლევარებმა კითხვაზე დადგებითი პასუხი იპოვეს, იმ საბაზრო მონაცემებზე დაყრდნობით, რასაც რეგულარულად აქვეყნებდა აშშ-ს ეკონომიკური ანალიზის ბიურო. მკვლევარებმა გამოთვალეს რეალური ეკონომიკური ცვეთის განაკვეთები მრავალი ტიპის ფიქსირებული აქტივისათვის.( 1-ს მნიშვნელობები). მაგრამ აღნიშნული განაკვეთების პირდაპირი გამოყენება ეკონომიკების სხვადასხვა ბუნებისა და დროითი ფაქტორების გამო მიზანშენონილი აქ იქნებოდა. აღნიშნული გარემოების გამო ჩვენს კველვაში განხილული მოდელის მხოლოდ ცალკული ასპექტები იქნება გამოყენებული. საბაზრო ღირებულების მეთოდის მიდგომის მიხედვით ეკონომიკური ამორტიზაციის ნორმის გამოთვლისას უნდა გამოიყენოთ ინფლაციის საშუალო მაჩვენებელი მნამოებელთა ფასების ინდექსის მიხედვით.

1 საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-13 თავი.

2 საქართველოს საგადასახადო კოდექსის, 99-ე მხული

საშუალებებში განხორციელებული რეინვესტირებული თანხის საგადასახადო შეღვათის მიღების პოლიტიკა, დაბეგვრის ბაზი-დან გამორიცხულია ამორტიზაციის განაკვეთების სახით<sup>1</sup>. ზემოთ მოყვანილი პირველი (1) ფორმულის მიხედვით, METR-ის მაჩვენებლს მივიღებთ რეალურ სექტორში ახალი საწარმო საშუალებებში ინვესტირების შედეგად (საშუალოდ 100 000—ის რეინვესტირების შემთხვევაში, გამონაკლისი სამედიცინო სფეროს გარდა) 0,037-ის ტოლად. METR-ის აღნიშნული მაჩვენებელი რეინვესტირების დადებითი ხელშეწყობა საგადასახადო პოლიტიკის მიერ. თუმცა აღნიშნული მაჩვენებელი საკმაოდ ახლოსაა ნულოვან მაჩვენებელთან, რაც, თავის მხრივ, დადებითი სტიმულის არარსებობის ნიშნულია. მოდელის ფარგლებში გამოტოვებული ფაქტორებიდან თუ დავუმატებთ სამეწარმეო რისკის არსებობას და განუზღვრელობას რეინვესტირების პროცესებზე საგადასახადო პოლიტიკის ხელშეწყობა მინიმალურად დადებით ზღვარზე გადის. მეორე მხრივ, თუ იგივე მიდგომას გამოვიყენებთ საფინანსო სექტორის მიმართ METR-ის მაჩვენებელი გაცილებით მაღალი გამოვა. რაც, თავის მხრივ, საგადასახადო პოლიტიკის მიერ საფინანსო სექტორის განვითარების უფრო მეტ სტიმულირებას ნიშნავს. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლის მიხედვით საერთაშორისო ფინანსური კომპანიის სტატუსის მქონე კომპანიები თავისუფლებლდებიან დაბეგვრისაგან, როგორც გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული მოგების ნაწილში პროცენტის სახით, ასევე დარიცხული შემოსავლების ნაწილში. იგივე მიდგომა გამოიყენება საინვესტიციო ფონდების მიმართ. საფინანსო სექტორში ინვესტირების წახალისება ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკით, ერთი მხრივ, კონკრეტული ამ სექტორის განვითარებას ისახავას მიზნად, ხოლო, მეორე მხრივ, ამგვარი მიდ-

<sup>1</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 111-ე მუხლი: საამორტიზაციო ანარიცხები და გამოქვითვები ძირითად საშუალებათა მიხედვით. ამორტიზაციის ნორმები განაწილებულია ძირითადი საშუალებების 5 ჯგუფის მიხედვით. გაერთიანების მიზნით ალებულია ნორმის განაკვეთების საშუალო: 13.6 %. მოცემულ ანალიზში გამოტოვებულია შემთხვევა როცა ხდება ძირითადი საშუალების საამორტიზაციო ანარიცხების გამოქვითვა ამავე კოდექსის 112-ე მუხლის მიხედვით.

გომა მეტ სტიმულებს ქმნის საფინანსო სექტორში ინვესტირებისას რეალურ სექტორში ინვესტირებასთან შედარებით.

საგადასახდო პოლიტიკის მიერ შექმნილი სტიმულები ჩვეულებრივ არ განიხილება, როგორც ძირითადი ფაქტორი ამა თუ დარგში ინვესტირებისას იმ დაშვებით, რომ საგადასახადო წესი არ აღემატება იმ ზღვარს, როდესაც დაბეგვრისშემდგომი უკუგება უარყოფით ნიშნულებში საქართველოს საგადასახადო პოლიტიკის შემთხვევაში რეალურ სექტორში ინვესტირება და რეინვესტირება ნაკლებ საგადასახადო სტიმულებთანაა დაკავშირებული, ვიდრე ეს საფინანსო სექტორის შემთხვევაშია.



## ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრიბლები

### მროველ-ეკონომიკური ინტერესები და ინტეგრაციული პრიცენზები

**ანზორ აბრალავა  
ემდ, სტუ სრული პროფესორი  
ქეთევან ლარიბაშვილი  
სტუ დოქტორანტი**

საქართველო ორი დიდი კონტინენტის - ევროპისა და აზის შესაყარზე მდებარეობს, რაც საუკუნეების განმავლობაში საუკეთესო პირობებს ქმნიდა საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებისათვის. ამიტომ საერთაშორისო ვაჭრობას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. აღნიშნული სახის ურთიერთობები წარმოადგენდნენ არა მარტო განსხვავებულ კულტურათა და რელიგიათა მშვიდობიანი თანაარსებობის საუკეთესო გამოხატულებას, არამედ ვაჭრობა ხელს უწყობდა საქართველოს ეკონომიკურ აღმავლობას, სახელმწიფოებრიობის გამყარებას, ეხმარებოდა სხვა სახელმწიფოებს საქართველოს კულტურა, ხალხი და ყოფა ღრმად და საფუძვლიანად გაეცნოთ და შეესწავლათ.

საქართველოს სავაჭრო ეკონომიკურ ურთიერთობას დიდი ხნის ისტორია აქვს. დაწყებული ბრინჯაოს ხანიდან კავკასიის საშუალებით ხდებოდა კავშირები აღმოსავლურ სამყაროსთან და ეკროპის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას შორის. ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში საქართველოზე გადიოდა სავაჭრო გზა, რომელიც ინდოეთს ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან აკავშირებდა. რაც შეეხება ისტორიულად ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვან "აბრეშუმის გზას" რომელიც მოიხსენიება, როგორც ტრანსკონტინენტური საქარავნო გზა, იგი ჩინეთს შავი და ხმელთაშუა ზღვების სანაპიროებთან აკავშირებდა. აღსანიშნავია, რომ "აბრეშუმის გზამ" ხელი

### ეპონომიკური თეორიის თანამედროვე პრიბლები

შეუწყო აღმოსავლეთ დასავლეთ რეგიონების დაახლოებას, მათ შორის პოლიტიკური და ეკონომიკური და კულტურული კავშირების გამყარებას.

შავი ზღვის ქვეყნებსა და კავკასიის გააჩნია უნიკალური სტრუქტურული ადგილი და მათგან სწრაფად შეიძლება მოხვედრა ახლო აღმოსავლეთის, კასპიის აუზისა და ჩრდილოეთ ერაყ-ირანის ტერიტორიაზე, ასევე იგი ასრულებს უნიკალურ სატრანზიტო ფუნქციას, რომელიც თურქმენულს, აზერბაიჯანულსა და ყაზახურ გაზან და ნავთობთანაა დაკავშირებული.<sup>1</sup>

XX საუკუნეშიც საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა გამოყენებული იყო, როგორც განსაკუთრებული სატრანზიტო სავაჭრო კვანძი, კავკასიის ცენტრი, დამაკავშირებელი რგოლი ევროპასა და აზიას შორის.

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გეოგრაფიული მდებარეობის გამო საქართველოს ეძლევა შანსი აქტიურად ჩაერთოს მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში. ამიტომაც დღეისათვის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება უმნიშვნელოვანესი პირობაა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის. დღევანდელი მსოფლიო გლობალიზაციის, ეკონომიკური კარგაბენილობის პირობებში ჩვენი სატრანზიტო პოტენციალის სრულად ათვისება, საქართველოს მოუტანს უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ეკონომიკურ სარგებელს.

თანამედროვე განვითარების მაღალი ტემპებიდან და გლობალური პროცესებიდან გამომდინარე, დღეისათვის სამხრეთ კავკასია ახალი გამოწვევების წინაშე დგას, რომელსაც ეკროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების გადაწყვეტა ჰქვია. ცალსახაა, რომ აზერბაიჯანი თავისი ენერგორესურსების მარაგით და საქართველო სატრანზიტო პოტენციალით, ერთ-ერთ გადამწყვეტ თუ არა მნიშვნელოვან როლს, ითამაშებს ახალი გეოეკონომიკური სივრცის განსაზღვრაში.

შეზღუდული ბუნებრივი რესურსებისა და ენერგიის გამოყენებაზე მზარდი მოთხოვნის პირობებში, სასიცოცხლოდ მნიშვნელი ბუნებრივი რესურსებისა და ენერგიის გამოყენების მიზანის და მათგან სწრაფად შეიძლება მოხვედრა ახლო აღმოსავლეთის, კასპიის აუზისა და ჩრდილოეთ ერაყ-ირანის ტერიტორიაზე, ასევე იგი ასრულებს უნიკალურ სატრანზიტო ფუნქციას, რომელიც თურქმენულს, აზერბაიჯანულსა და ყაზახურ გაზან და ნავთობთანაა დაკავშირებული.<sup>1</sup>

<sup>1</sup> საქართველოს რკინიგზა, პრობლემები და პერსპექტივები, 2008 წ.

ლოვანია ქვეყნის და ზოგადად ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამ თვალსაზრისით, საერთაშორისო არენაზე მიმდინარე პროცესებში საქართველოს თავისი გამოკვეთილი როლი აქვს, რასაც ქვეყნის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ენერგეტიკული, სატრანსპორტო და სატრანზიტო მაგისტრალების არსებობა ადასტურებს. ბაქო-სუფსისა, ბაქო-თბილისი-ჯეოპანის ნავთობსადენები და ბაქო თბილისი-ერზერუმის გაზსადენი უკე არსებული სტრატეგიული პროექტებია. საქართველო პრიორიტეტს ანიჭებს სამხრეთის ენერგეტიკული დერეფნის ფარგლებში ახალი პროექტების განხორციელებას. ასევე, აღსანიშნავია საქართველო-თურქეთის ელექტროგადამცემი ხაზების სისტემის ინტეგრირების მეშვეობით საქართველოს ერთიან ევროპულ სისტემაში ჩართვა.

მნიშვნელოვანი პროექტებია: „ნაბუქო“, აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთის ურთიერთდამაკავშირებელი კვანძი (AGRI), ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა და სხვა. საქართველოს ასევე აქვს პარტნიორული ურთიერთობები სომხეთთან, კერძოდ ტვირთებისა და სასურსათო პროდუქტების განხრით. ასევე აღსანიშნავია საქართველო, როგორც მნიშვნელოვანი სატრანზიტო-გამტარი ფუნქციის მატარებელი. მიუხედავად მრავალი პოზიტიური მიმართულებისა, სამხრეთ კავკასიის რეგიონს აქვს პოტენციალი განვითარების უფრო მაღალი ტემპი აიღოს და რაც მნიშვნელოვანია შექმნას ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური წესრიგი.

რეგიონის ქვეყნების მონაწილეობა რეგიონალური თუ მსოფლიო მნიშვნელობის მეგა-პროექტებში, უპირველესად, წარმოადგენს ქვეყნების პოლიტიკური თუ ეკონომიკური უსაფრთხოების უმთავრეს გარანტს.

კავკასიის სატრანზიტო კორიდორი ერთ-ერთი ასეთ წყაროდ განიხილება. საბოლოო ჯამში, ყოველივე ამით გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველოსთვის შეიქმნება პოლიტიკური, ეკონომიკური სტაბილურობის დამატებითი გარანტიები და ხელს შეუწყობს ნაბუქოს პროექტის განხორციელებას. ჯერ კიდევ 1996 წელს ყაზახეთიდან დაიწყო „შევრონის“ ნავთობის რკინიგზით ტრანსპორტირება აზერბაიჯანისა და საქართველოს ბათუმის

## ეპორმია თემრის თანამედროვე პრობლემები

პორტის გავლით ევროპაში. ეს არის პერიოდი, როდესაც დაიწყო მოქმედება ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნამა.

სატრანსპორტო დერეფნამა ორი მსხვილი რეგიონული ნავთობ-სადენის ბაქო-თბილისი-ჯეიპანი და სამხრეთ კავკასიური გაზსა-დენის (შაჰ-დენიზი) გამო შეიძინა განსაკუთრებული მნიშვნელობა. ორივე ობიექტი მნიშვნელოვანია არა მარტო საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის გაზრდის მიზნით, არამედ რეგიონული ინტეგრაციის გაუმჯობესების მხრივაც. ენერგეტიკული დერეფნის განვითარება, ეს არის საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთის გრძელვადიანი სტრატეგიული თანამშრომლობის მთავარი ამოცანა.

სამხრეთ-კავკასიური გაზსადენი (ბაქო-თბილისი-ერზერუმი) წარმოადგენს ბუნებრივი აირის სატრანსპორტო მილსადენს შაჰ-დენიზის გაზის ბაქნის აზერბაიჯანის სექტორიდან საქართველოს გავლით თურქეთში ტრანსპორტირებისთვის.

ნავთობსადენი ბაქო-თბილისი-ჯეიპანი არის მილსადენი კასპიის ზღვის ნავთობის თურქულ პორტ ჯეიპანამდე ტრანსპორტირებისთვის, რომელიც ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზეა განლაგებული.

გეოპოლიტიკური თვალსაზრისით აღნიშნული ნავთობსადენის მშენებლობის მთავარი მიზანი მდგომარეობდა აზერბაიჯანიდან მსოფლიო ბაზრებზე ნავთობის ტრანსპორტირების, რუსეთისაგან დამოუკიდებელი მარშრუტის შექმნაში.

ბაქო-თბილისი-ჯეიპანის ნავთობსადენის ამოქმედება საშუალებას იძლევა უფრო აქტიურად იქნეს ათვისებული კასპიის ზღვის აუზის რესურსები.

ნაბუქოს გაზსადენი წარმოადგენს ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების მარშრუტს თურქმენეთიდან ავსტრიამდე. გაზსადენის საშუალებით შესაძლებელი გახდება ენერგორესურსების ექსპორტი ევროპაში, კასპიის ზღვისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან.<sup>1</sup>

ნაბუქოს პროექტი ითვალისწინებს დასავლეთისთვის წელიწადში 31 მილიარდი კუბური მეტრი აირის გაზსადენის მშენებელობას და აირის საქართველოს, აზერბაიჯანის, თურქეთის, რუმინეთის,

ბულგარეთის გავლით მიწოდებას. ნაბუქოს პროექტის კველვისა და მომზადების სამუშაოები ჯერ კიდევ 2002 წელს დაიწყო.

2011 წლის დასაწყისში ევროკომის თავჯდომარემ განახორციელა ოფიციალური ვიზიტები აზერბაიჯანსა და თურქენეთში. აღნიშნული ვიზიტების შედეგად ხელი მოეწერა დოკუმენტს, რომელიც ხელს შეუწყობს „სამხრეთ-დარეფინის“ რეალიზაციას.

საქართველოსთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული პროექტის განხორციელებით, გაიზრდება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე გამავალი ბუნებრივი აირის მოცულობა, კიდევ უფრო ამაღლდება სატრანზიტო პოტენციალი და ხელს შეუწყობს სახელმწიფოს ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფას. სამხრეთის ბუნებრივი აირის დერეფანში შემავალ ერთ-ერთ პროექტს წარმოადგენს აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთის ურთიერთ-დამაკავშირებელი კვანძი. AGRI-ის პროექტი არის პირველი პროექტი, რომელიც უზრუნველყოფს კასპიის რეგიონის ენერგო რესურსების პირდაპირ მიწოდებას ევროპისთვის შავი ზღვის გავლით. პროექტი ითვალისწინებს საქართველოში, შავ ზღვაზე გაზის გამათხევადებელი ტერმინალისა და რუმინეთში რეგაზიფიკაციის ტერმინალების მშენებლობას.

რეგიონის ქვეყნების მონაწილეობა რეგიონალური თუ მსოფლიო მნიშვნელობის მეგა-პროექტებში, უპირველესად, წარმოადგენს ქვეყნების პოლიტიკური თუ ეკონომიკური უსაფრთხოების უმთავრეს გარანტს. გარდა აღნიშნულისა, პროექტებში მონაწილეობა ფინანსურითვალისაზრისითაც მომგებიანია.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს რკინიგზა პრობლემები და პერსპექტივები 2008 წ;
2. [www.nabucco-pipeline.com](http://www.nabucco-pipeline.com);
3. საქართველოს რკინიგზის ვებ-გვერდი - [www.railway.ge](http://www.railway.ge);
4. საქართველოს ნავთობისა და გაზის კოორპორაციის ვებგვერდი [www.gogc.ge](http://www.gogc.ge).

## საქართველოს სამინისტრო საქმიანობის განვითარების ტარგეტები

### ნოდარ ფუტკარაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

ინვესტიციის ფართო მასშტაბით განვითარება მსოფლიოში, განსაკუთრებით გლობალიზაციის პირობებში, სწრაფი ტექნიკური მიმდინარეობს, რასაც საქართველოში ინვესტიციური საქმიანობის გააქტიურება მოხყვა.

როგორც ცნობილია, ინვესტიცია ეს არის კაპიტალური დაბანდებები, რომელიც მიმართულია ფირმების და კორპორაციების წარმოების ფაქტორებით (რეალური ინვესტიციებით) უზრუნველყოფის, ან ფასიანი ქაღალდების (პორტფოლიური ინვესტიციების) შესაძენად. სანარმოთა დონეზე ინვესტიციების დაგეგმვისას მთავარი ყურადღება ექცევა რეალურ ინვესტიციებს, რაც შეეხება პორტფოლიურ ინვესტიციას, იგი დამატებითი რესურსების მოპილიზაციის საშუალებაა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის განმსაზღვრელი ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია სტაბილური პოლიტიკური და მაკროეკონომიკური გარემო, ეროვნული ეკონომიკის გახსნილობა, განვითარებული ინფრასტრუქტურა და კომუნიკაცია, პირგნიზირებადი და ხელშემწყობი სამართლებრივი და ინსტიტუციური გარემო. ასევე, ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის ფორმირებისათვის მნიშვნელოვან ფაქტორად ქვეყანაში კვალიფიციური შრომითი და ბუნებრივი რესურსების არსებობა ითვლება.

ამგვარად, ეკონომიკური გლობალიზაციის ინტენსიფიკაციის თანამედროვე ეტაპზე საინვესტიციო აქტივობის უზრუნველყოფაში განსაკუთრებული მნიშვნელობა უცხოურ კაპიტალს ენიჭება და მას პოლიტიკური დატვირთვა აქვს და ამდენად, ჩვენი აზრით, უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის შესაბამისი გარემოს ფორმირება მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ აუცილებელია სიფრთხილე, რათა უცხოურმა ინვესტიციებმა ბენეფიციარ ქვეყ-

ანაზე ნეგატიური ზეგავლენა არ მოახდინოს. უცხოური კაპიტალის გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკის იმ სფეროებში, რომელთა აქტივიზაციას შეუძლია არსებითი წვლილი შეიტანოს ტრანსფორმაციული კრიზისის დაძლევაში, არსებული სოციალური დაძაბულობის შემცირებაში და დასაქმების ზრდაში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში დაბანდებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იზრდება, რაც ჩანს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით.

ცხრილი 1

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში  
(მლნ. აშშ დოლარი)**

	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
სულ პირდაპირი უცხოური ინვეს- ტიციები	340	499	450	1190	2014	1564	658	814
პროცენ- ტულად წინა წელთან შედარ- ებით %		146,7	90,1	264,4	169,2	77,6	42,1	123,7
პროცენ- ტულად საბაზისო წელთან შედარ- ებით %	100,0	146,7	132,3	350,0	592,3	460,0	193,5	239,4

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქსტატი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში  
ეკონომიკის სექტორების მიხედვით ცხრილი 2

ეკონომიკის სექტორი	2007		2008		სხვაობა 2007 წელთან შედარებით +,-
	მლნ. დოლარი	%	მლნ. დოლარი	%	
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	16,5	0,8	7,8	0,5	-7,7
მრეველობა	398,2	19,8	207,3	13,4	-190,9
ენერგეტიკა	362,6	18,0	294,8	18,8	-67,0
მშენებლობა	171,9	8,5	56,7	3,6	-115,2
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	416,7	20,7	422,7	27,0	+6,9
უძრავი ქონება	30,5	1,5	277,8	17,8	+247,3
დანარჩენი მომსახურეობა	382,8	19,0	283,1	18,1	-99,7
ბანკი	136,9	6,8	8,5	0,5	-128,4
არარზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ შესყიდული უძრავი ქონება	99,6	4,9	4,9	0,3	-94,7
სულ	2014,7	100,0	1563,6	100,0	-451,1

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქსტატი

ბიზნესის რეგისტრაციის პროცედურების გაადვილებამ და ეკონომიკური და ადმინისტრაციული რეგულირების მექანიზმის შეზღუდვამ მნიშვნელოვნად გაადვილა ბიზნესის რეგისტრირება და წარმოება. 2010 წლის 1 აპრილის მდგომარეობით საქართ-

ველოში რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა 307628-ით განისაზღვრა. 2003-2010 წლებში საქართველოში რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა 188595 ერთეულით (17%) გაიზარდა, რაც პერსპექტივაში წარმოების ზრდის მნიშვნელოვანი გარანტია იქნება.

უახლოეს მომავალში მოსალოდნელი ეკონომიკური ზრდა მიღწეული იქნება იმ სფეროებში, სადაც საქართველოს გააჩნია შედარებითი უპირატესობები.

ეკონომიკის ზრდის ასეთ მნიშვნელოვან რეზერვს წარმოადგენს ტურისტული პოტენციალის გამოყენება. ამის საფუძველს იძლევა უძველესი ისტორია, ხელსაყრელი კლიმატი და ლანდშაფტი. შავი ზღვისპირა და სამთო კურორტების განვითარების შესაძლებლობა. ამ დარგში კარგად გათვლილი პროგრამა მოქმედებს და უახლოეს მომავალში ტურიზმი საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საექსპორტო მომსახურეობად გადაიქცევა, რაც სოფლის მეურნეობის და ეკონომიკის სხვა სექტორების მნიშვნელოვან ზრდას განაპირობებს.

საქართველოს ყველა პირობა გააჩნია იმისათვის, რომ გადაიქცეს საერთაშორისო ტურიზმის ქვეყნად 102 კურორტით, 1500 ისტორიული ძეგლით, რომელთაგან 4 შეტანილია იუნესკოს მსოფლიო საგანძურთა სიაში, არსებული ეროვნული პარკები, სამკურნალო ბალნეოლოგიური წყაროები და ტალახები და ა.შ.

საქართველო მრავალი დასახელების საქონლის სატრანზიტო დერეფანს წარმოადგენს. უახლოეს მომავალში შესაძლებელია სატრანზიტო მომსახურეობა საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტი გახდეს. ამის საფუძველს იძლევა უკვე არსებული ნავთობ და გაზსადენები. ბაქო-ერზრუმის გაზსადენს საშუალებით შესაძლებელია გაზის მიწოდება ევროპისათვის. არსებული პოტენციალის გათვალისწინებით შესაძლებელია ყოველწლიურად 30 მილიარდი კუბური მეტრი გაზის გატარება.

ახლო მომავალში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია რკინიგზასაც, რომელიც მრავალი წელია ემსახურება კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ტვირთების ტრანსპორტირებას. ახალქალაქი-ყარსის ხაზის მშენებლობის დამთავრებით ამოქმედ-

დება პირდაპირი სარკინიგზო მაგისტრალი, რომელიც ევროპასთან დააკავშირებს ჩინეთსა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანას საზღვაო ტრანსპორტით მომსახურების დიდი პოტენციალი გააჩნია. ორი სტრატეგიული პორტის ბათუმისა და ფოთის სახით. მომავალში დეკლარირებული ლაზიკის კონკურენტუნარიანობის გაზრდით, საქართველოს შესაძლებლობა აქვს გახდეს საზღვაო ტრანსპორტით მომსახურეობის ცენტრი.

საქართველოს დიდი პიდროელექტრო პოტენციალი გააჩნია და სავსებით შესაძლებელია ელექტროენერგია მნიშვნელოვანი საექსპორტო საქონელი გახდეს. ამისათვის საჭიროა არსებული პიდროელექტროსადგურების სიმძლავრეების გამოყენების გაუმჯობესება და გაცხადებული 15 ახალი ელექტროსადგურების მშენებლობა, სადაც მკაცრად იქნება დაცული ეკოლოგიური და ტენქიური მოთხოვნები.

აგროსასურსათო სექტორი უფრო სწრაფი ტემპით უნდა განვითარდეს. საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობები საშუალებას იძლევა არა მარტო უზრუნველყოს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება, არამედ რესურსების ყველაზე კონკურენტუნარიან პროდუქტებზე განაწილების გზით მოიპოვოს კუთვნილი ადგილი მსოფლიო ბაზარზე.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა და სტიმულირება, რომელიც უზრუნველყოფს ჯერ ერთი, მომებმარებლის საჭირო საქონლის წარმოებას, მიწოდებას და მომსახურეობას და მეორე, მოსახლეობას შეუქმნის ხელსაყრელ სამუშაო ადგილებს.

ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტი უნდა გახდეს იმპორტშემცვლელი პროდუქციის წარმოების განვითარება. იმპორტირებული პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი იმ საქონელთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა წარმოება ადგილზე შესაძლებელია და რაც მთავარია, უკეთესი ხარისხით. აღნიშნული პროდუქციის წარმოების განვითარებით შესაძლებელია მათზე ადგილობრივი მოთხოვნის, მათ შორის, ტურისტების მოთხოვნილების მთლიანად ან დიდი ნაწილის დაკმაყოფილება

და შესაბამისად ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და რაც მნიშვნელოვანია, მაკროეკონომიკური თვალსაზრისით სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება.

ეკონომიკის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ინფრასტრუქტურის განვითარება, რომელიც სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და ქმნის რეალურ შესაძლებლობას ნებისმიერი დარგის განვითარებისათვის.

საქართველოს ეკონომიკის მსოფლიო საბაზრო სტრუქტურებში ჩართვის მიზნით მნიშვნელოვნია ფოთის, ქუთაისის და სხვა თავისუფალი ეკონომიკური ზონების შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება, რაც უზრუნველყოფს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, ექსპორტის გაფართოებას, სამუშაო ძალის დასაქმებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას.

ინვესტიციის ფართო მასშტაბით განვითარება მსოფლიოში, განსაკუთრებით გლობალიზაციის პირობებში, სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, რაც საქართველოში ინვესტიციური საქმიანობის გაძლიერება მოყვა.

## ნებისყოფის როლი მიზანდასაცემი პერიოდის განხორციელებაში

ინგა სიჭინავა  
დოქტორანტი

ნებისყოფის რაობის, დამახასიათებელი ნიშნებისა და პიროვნების ქცევაზე მისი ზემოქმედების საკითხი დღემდე შეადგენს თანამედროვე ფსიქოლოგის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას. მეცნიერებაში ყველაზე გავრცელებული შეხედულების მიხედვით, მიზანდასახული ქცევის უმთავრეს წყაროს წარმოადგენს მიღწევისა და წარმატების მოთხოვნილება. იგი, ერთსა და იმავე დროს, ადამიანის ქცევის წამყვანი ძალაცაა და მოტივიც. ზოგადად, მოთხოვნილებები განაპირობებენ ქცევის სამ სახეს: **იმპულსურს, კომპრომისულსა და ნებელობითს.** მოთხოვნილება პიროვნების ნებას არ ემორჩილება. ის ყოველგვარი განზრახვის გარეშე ჩნდება და მოცემულ სიტუაციაში, თავის მხრივ, მისი დაკმაყოფილებისათვის საჭირო ქცევის იმპულსებსაც იძლევა. ქცევა, რომელსაც მოთხოვნილების იმპულსი მართავს, არაა ნებისმიერი – ისიც იმპულსურ ხასიათს ატარებს.

ხშირად ადამიანები, განსაკუთრებით ექსტრემალურ სიტუაციაში, **იმპულსურ** ქცევას მიმართავენ ხოლმე, რომელსაც ძლიერი მოთხოვნილება განაპირობებს. მოთხოვნილების იმპულსით განსაზღვრულ ქცევას, იმპულსურ ქცევას უწოდებენ. იმპულსური ქცევის სუბიექტი ისეთ მოქმედებას ახორციელებს, რომელსაც მოთხოვნილების დაქმაყოფილება უნდა მოჰყვეს შედეგად [1].

რაც შეეხება **კომპრომისულ ქცევას**, სოციალური განწყობისა და ქცევის შესატყვისობის საკითხი დღემდე სოციალური ფსიქოლოგის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად რჩება. აქ საუბარია იმაზე, რომ უმრავლეს შემთხვევაში ქცევის წინ ხდება სუბიექტის ძალთა ორგანიზაცია იმ გარემო სიტუაციის შესატყვისად, რომელშიც ქცევა უნდა გაიშალოს. ამგვარი ქცევა შეუსაბამობაში მოდის პიროვნების შინაგან მდგომარეობასთან. იგი განისაზღვრება როგორც არანამდვილი, რადგან მასში პიროვნება არასწორად

წარმოადგენს საკუთარ თავს, თავის განწყობებსა და გრძნობებს. ამგვარ ქცევას ძირითადად ადგილი აქვს ე. წ. იძულებითი თანხმობის სიტუაციაში, როდესაც სუბიექტი ამა თუ იმ სახის ზენოლას განიცდის. კომპრომისული ქცევის დროს ვლინდება თვითრეგულაციის, თვითშეკავების უნარი, ანუ ამ შემთხვევაში პიროვნებამ უნდა აკეთოს ის, რაც, შესაძლოა, ამჟამად ნაკლებად სურდეს, მაგრამ რასაც მეტი საზოგადოებრივი მნიშვნელობა და ღირებულება გააჩნია. იძულებითი თანხმობის სიტუაციაში განხორციელებული, საკუთარი პოზიციისაგან განსხვავებული ქცევა, დ. უზნაძის კლასიფიკირების თანახმად, იმპულსურსა და ნებელობით ქცევას შორის შუალედური ქცევის ფორმას განეკუთვნება და, ამდენად, როგორც ნებელობითი, ისე იმპულსური ქცევის ნიშნებს ითავსებს.

ქცევის მესამე სახედ ვგვლინება **ნებელობითი**, ანუ ნებისყოფით განპირობებული ქცევა. ნებისყოფა არის პიროვნების ფსიქიკის მართვის მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ადამიანს შეუძლია გადალახოს ბიო-მოთხოვნილებები და დაიკმაყოფილოს ფსიქო-სოციალური ანუ მაღალი მოთხოვნილებები. ქცევის, მოქმედების არჩევის დროს ადამიანები ხმირად მაღალ (ზოგჯერ უმაღლეს სოციალურ) და შორეულ მიზნებს ანიჭებენ უპირატესობას. სწორედ ეს გახლავთ ნებისყოფის გამოვლენა. ადამიანები შრომობენ, ქმნიან მატერიალურ და სულიერ ღირებულებებს არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ღირებულებები სადლეისო აქტუალურ მოთხოვნილებებად გვევლინებიან, არამედ მაშინაც, როცა ისინი შემდგომი აუცილებელია (ან კიდევ შესაძლოა გახდნენ საჭირო) ადამიანთა არსებობისათვის.

მეცნიერებაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული შეხედულების მიხედვით, ნებისყოფა არის მისწრაფება, რომელიც საფუძვლად ედება მიზანდასასულ აქტივობას. ცხოველს არა აქვს ნებისყოფა და, შესაბამისად, არც მიზანდასასული ქცევა, რადგანაც მას არ გააჩნია ცნობიერება და საკუთარი ქცევის მართვის უნარი. ცხოველის მთელი აქტივობა, თავიდან ბოლომდე, ცნობიერების გარეშე მიმდინარეობს, რის გამოც იგი ინსტიქტურ ხასიათს ატარებს.

სულ სხვაა ადამიანი. ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ მას აქვს ცნობიერება, რომელიც

შესაძლებლობას იძლევა მისწრაფების საგანი და განხორციელების გზები წინასწარ, მოქმედების დაწყებამდე წარმოიდგინოს და გაითვალისწინოს. ამიტომ ნორმალური ზრდასრული ადამიანის აქტივობა ყოველთვის მიზანდასასულ ხასიათს ატარებს – მიმიმართება გარკვეული მიზნისაკენ, რომელსაც თვითონ მოქმედი სუბიექტი უმეტესწილად აშკარად ხდავს და განიცდის. შესაბამისად, ნებისყოფა არის ადამიანის ის აუცილებელი თვისება, რომელიც პიროვნების მიზანდასასულობას განაპირობებს.

ნებისყოფის და, მაშასადამე, მიზანდასასული ქცევის ერთ-ერთი განმსაზღვრელი თვისებაა **შეუპოვრობა**. ფაქტია, რომ ის ახასიათებთ მხოლოდ და მხოლოდ მტკიცე ნებისყოფის ადამიანებს, რადგან თავად ტერმინის განმარტების მიხედვით: შეუპოვრობა ეს არის მყარი უინი და შეუდრეველობა მოქმედებებში, სირთულეების, დაბრკოლებებისა და იმედგაცრუებების მიუხედავად. ჯონ კალვინ კულიჯის აზრით, „არაფერს შეუძლია შეუპოვრობის შეცვლა. ტალანტი ვერ შეცვლის მას. არაფერია უფრო მეტად ჩვეულებრივი, ვიდრე ხელმოცარულები, რომელთაც ტალანტი გააჩნიათ. გენიალობასაც არ შეუძლია მისი შეცვლა. ვერაფრის მიმღწევი გენიოსები თითქმის ლეგენდებში შევიდნენ. განათლებაც ვერ იქნება შემცვლელი. მსოფლიო სავსეა განათლებული რენეგატებით. მხოლოდ შეუპოვრობა და სიმტკიცეა ყოვლისშემძლე “[3].

**შეუპოვრობა** – ეს არის ადამიანის თვისება არასოდეს დაწედეს წინააღმდეგობებს. ჰენრი ფორდი დამარცხებას უწოდებს კიდევ ერთ შესაძლებლობას, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანს უფრო ჭკვიანურად დაიწყოს ყველაფერი თავიდან ანუ დამარცხება სხვა არაფერია, თუ არა გაკვეთილი მომავალი წარმატებისათვის. სწორედ ამგვარი აზროვნება აყალიბებს ადამიანს შეუპოვრარ პიროვნებად. ამიტომ, თუკი ადამიანს ექნება წინასწარი მზაობა სირთულეებისადმი, რომლებიც გარდუვალია მომავალი წარმატების ძიების გზაზე, მაშინ მას გარანტირებული ექნება წარმატებაც, რადგან სწორედ ეს მზაობა შეიძლება აღმოჩნდეს ყველაზე დიდი პირადი აქტივი გამოავლინოს შეუდრეველობა მათი დაძლევისადმი. ფაქტიურად შეუპოვრობა არის პიროვნების თვითორწმენისა და წარმატების უნარის ჭეშმარიტი საზომი.

არსებობს კიდევ ერთი კარგი თვისება – **გამბედაობა**, რომელიც საშუალებას აძლევს პიროვნებას შეინარჩუნოს სიჯიუტე და შეუპოვრობა გაჭირვებისა და იმედგაცრუების დროს. როული სიტუაცია შეიძლება ნებისმიერ დროს შეიქმნას და, თანაც, სავსებით მოულოდნელად. ადამიანები ყოველდღიურად გადიან „შეუპოვრობისა და გამბედაობის ტესტს“, როდესაც გაუთვალისწინებელ გართულებას, იმედგაცრუებას, შეფერხებას, მარცხს ან საყოფაცხოვრებო კრიზისს ეჯახებიან. სწორედ ასეთ სიტუაციაში აკეთებს პიროვნება საკუთარი თავის დემონსტრირებას სინამდვილეში. ბერძენი ფილოსოფოსი ეპიქტეტე ამბობს: „გარემოებები არ ქმნიან ადამიანს. ისინი მხოლოდ საკუთარი თავის გამოვლენაში ეხმარებიან“ [3].

ცხოვრების ერთ-ერთი გარდუვალობა არის მუდმივი სირთულეები და კრიზისები. თუ პიროვნება მოვლენებით დატვირთულ ცხოვრებას ეწევა, იგი მუდმივად „ეჯახება“ წვრილი პრობლემებისა და სიძნელეების უწყვეტ რიგს. და რაც უფრო დიდია მიზნები, მით უფრო მეტია მათი სიმძიმე. ამიტომ ერთადერთი ფაქტორი, რომლის მართვაც თავად შეუძლია პიროვნებას – არის საკუთარი რეაქცია წამოჭრილ სიძნელეებსა და შეფერხებებზე. მათზე პოზიტიური და კონსტრუქციული სახის რეაგირებით, ყოველ ჯერზე, იგი ხდება უფრო ძლიერი და უფრო მეტი უნარის მქონე გაუმკლავდეს მომავალ პრობლემებსა და კრიზისებს. ასეთი პიროვნება წარმოადგენს ძალას, რომელიც მუდამ პოულობს მათი დაძლევის საშუალებებს. დიმიტრი უზნაძე ამბობს: „როდესაც თამამად მოქმედებთ, უხილავი ძალები გეხმარებათ და გამბედაობის თითოეულ აქტის მიჰყავხართ თქვენი გამბედაობის ზრდისა და მზადყოფნისაკენ, მომავალში გამოავლინოთ კიდევ უფრო მეტი სიმამაცე“<sup>1</sup>.

აქევ აღსანიშნავია პიროვნების თვისება, რომელიც ზომიერების ფარგლებში ურიცოდ არ ითვლება პიროვნებისთვის. ეს არის **სიჯიუტე**. ის საკმაოდ ძლიერი თვისებაა. ჯიუტი ადამიანი ყველა შესაძლებლობას ხმარობს მონინააღმდეგის ნებისყოფის დაძლევისა და თავისი სურვილების გატანისათვის, რასაც იგი ხშირად ახერხებს კიდევ. მაგრამ ასეთ რამეს მას ნებისყოფის სისუსტეში –

<sup>1</sup> დ. უზნაძე. ზოგადი ფსიქოლოგია. თბ., 1940, გვ. 215.

უნებისყოფობაში უთვლიან და არა ნებისყოფის სიძლიერეში.

**თვითდისციპლინა** – ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თვისებაა მიზანდასახული ქცევის განსახორციელებლად და წარმატების მისაღწევად. ეს არის უნარი, ადამიანს შეეძლოს აკეთოს ის, რაც გასაკეთებელია, მაშინ როდესაც ამას საქმე მოითხოვს, იმისგან დამოუკიდებლად, მოსწონს თუ არა მას ამის კეთება. თვითდისციპლინას სჭირდება თვითკონტროლის, საკუთარი თავის ფლობის, საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღების უნარი. თვითდისციპლინის თითოეული აქტი აძლიერებს და ამყარებს პიროვნების სხვა დადებით, სასარგებლო ჩვევებსა და თვისებებს. თვითკონტროლი ზრდის საკუთარი თავის მიმართ პატივისცემის გრძნობას<sup>1</sup>.

ამრიგად, პიროვნების ყველა ზემოთჩამოთვლილი თვისება მჭიდროდ არის დაკავშირებული ნებისყოფასთან. სწორედ ნებისყოფა წარმოადგენს ადამიანის იმ ძირითად პიროვნულ თავისებურებას, რომელიც მას მიზანდასახული ქცევის განსახორციელებლად აღძრავს და წარმართავს. ნებისყოფა არის პიროვნების ის ძირითადი და სპეციფიკური თავისებურება, რომლის გამოც იგი ადამიანურ სიმაღლეზე დგება და ნებისმიერი ქცევის წამყვანი და მაორგანიზებელი ფაქტორი ხდება. ყოველი ქცევა მიჰყავს თვითონ პიროვნებას, როგორც ნებისყოფის მქონე არსებას, რომელიც ფლობს საკუთარ თავს და მას იმას აკეთებინებს, რასაც მისგან, ყველა კერძო შემთხვევაში, საზოგადოება და ცხოვრების პერსპექტივა მოითხოვს.

ნებისყოფა პიროვნებას ხდის იდეურს და პრინციპულს, ხოლო უნებისყოფო, უპრინციპო ადამიანი გაურბის მაღალი მიზნების განხორციელების გზაზე წამოჭრილ სერიოზულ სიძნელეებს, პასიურად მიჰყავება და ემორჩილება აქტუალურ მოთხოვნილებათა იმპულსებს.

ამრიგად, რაც უფრო მტკიცე ნებისყოფის მქონეა ადამიანი და რაც უფრო კარგად იქვემდებარებს იგი მოთხოვნილებათა იმპულსებს გონიერების საზღვრებში, მით უფრო კრიტიკულიცაა და პრინციპულიც, თავდაჭრილიც და მორჩილიც, გამბედავიც და

<sup>1</sup> გაფრინდაშვილი რ. მორალური ქცევის ფსიქოლოგიური საფუძვლები. „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“. 2006. გვ. 76\_77.

შეუპოვარიც და ა. შ., რომელთა გარეშეც მიზანდასახული ქცევის განხორციელება და, მამასადამე, ადამიანთა წარმატებული მოღვაწეობა შეუძლებელია. თითქმის ყველაფერი, რითაც ამაყობს საზოგადოება, ადამიანის ნებისყოფის წყალობითაა შექმნილი, ვინაიდან კაცობრიობის ისტორიაში ნებისყოფის გარეშე არც ერთი დიდი და სერიოზული საქმე არ გაკეთებულა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. უზნაძე დ. განწყობის ფსიქოლოგია, ტომი IV. „ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“. 1986 წ.
2. გაფრინდაშვილი რ. მორალური ქცევის ფსიქოლოგიური საფუძვლები. „ტექნიკური უნივერსიტეტი“. 2006.
3. კალანდაძე გ. აფორიზმების ენციკლოპედია. გამომცემლობა ოაზისი, 2006.

მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში. გლობალიზაციის დროს სულ უფრო აქტიურდება ცოდნა, მათ შორის ეკონომიკური აზროვნება, რაც სრულიად ლოგიკურია, რამდენადაც მომსახურებისა და საქონლის „წარმოება-განაწილება-გაცვლა-მოხმარების“ პროცესშიჩართულიამეცნიერების თითქმის ყველა დარგი (პირდა-პირ თუ ირიბად)<sup>1</sup>. ამიტომ, ბუნებრივია, რომ განვითარება და პროგრესი წარმოუდგენელია თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის გარეშე. ასეთი წინსვლის ინტელექტუალური რესურსი, უზარმაზარი ენერგია კი სწორედ სასწავლო დაწესებულებებში, განსაკუთრებით კი უმაღლეს სასწავლებლებშია თავმოყრილი. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა მეცნიერების ნებისმიერ სფეროში ღრმად უნდა იყოს ინტეგრირებული სწავლების პროცესთან. ცოდნის შენახვა-გენე-

რევაზ შენგელია  
ედ, სტუ ასოცირებული პროფესორი  
უურნალ „ეკონომიკის“ მთ. რედაქტორი

უუუუნა წიკლაური-შენგელია  
ედ, სტუ ასოცირებული პროფესორი

ნათა შენგელია,  
ედ, სტუ უფროსი მასწავლებელი

მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში. გლობალიზაციის დროს სულ უფრო აქტიურდება ცოდნა, მათ შორის ეკონომიკური აზროვნება, რაც სრულიად ლოგიკურია, რამდენადაც მომსახურებისა და საქონლის „წარმოება-განაწილება-გაცვლა-მოხმარების“ პროცესშიჩართულიამეცნიერების თითქმის ყველა დარგი (პირდა-პირ თუ ირიბად)<sup>1</sup>. ამიტომ, ბუნებრივია, რომ განვითარება და პროგრესი წარმოუდგენელია თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის გარეშე. ასეთი წინსვლის ინტელექტუალური რესურსი, უზარმაზარი ენერგია კი სწორედ სასწავლო დაწესებულებებში, განსაკუთრებით კი უმაღლეს სასწავლებლებშია თავმოყრილი. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა მეცნიერების ნებისმიერ სფეროში ღრმად უნდა იყოს ინტეგრირებული სწავლების პროცესთან. ცოდნის შენახვა-გენე-

1 ა. აბრალავა. ეკონომიკური აზროვნების უმთავრესი ორიენტირი: კონცეპტუალური თვალსაზრისი. უურნ. „სოციალური ეკონომიკა“, №6, 2012 წ., გვ.12.

რირება-გადაცემა უნდა წარმოვიდგინოთ როგორც უწყვეტი, მემკვიდრეობითი პროცესი. მაგრამ ამასთან საჭიროა ზედმინევნით გონივრულად განვსაზღვროთ მიზანი-თუ საითკენ ვისწრაფვით.<sup>1</sup>

პრობლემის ასეთ ჭრილში, არატრადიციული მიდგომით ანალიზი გვავალდებულებს მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველება განვიხილოთ არა მხოლოდ პროცესის, არამედ შედეგის თვალსაწილით, კერძოდ, თუ რა გავლენას ახდენს ის ცხოვრების დონის ამაღლებაზე, მოსახლეობის შემოსავლების გადიდებაზე, კვალიფიკაციის ამაღლებაზე და ა.შ. და თუ ეს ასე არ ხდება, მაშინ მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნა ვერ ჩაითვლება დადებით მოვლენად, ვერ გახდება ისევ ახალი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების წყარო და არ იქნება სოციალურად ორიენტირებული.

საერთოდ ცნობილია, რომ მორალური მოძველების დროს (მაგალითად, ტექნიკის გაუფასურებისას) განსხვავებით ფიზიკური გაცვეთისაგან, ადგილი აქვს ფორმასა და შინაარსს შორის წინააღმდეგობას. მოცემული ტექნიკის ფორმის შეუცვლელად მისი შინაარსი იცვლება, რამდენადაც იგივე კონსტრუქციის ტექნიკის კვლავნარმოება უფრო იაფი ხდება (**პირველი ფორმა**), ანდა მასთან კონკურენციას იწყებს - უფრო მნარმოებლური, უკეთესი ტექნიკა (**მეორე ფორმა**), ან თუნდაც ნაკლებ მნარმოებლური, შესაძლოა უფრო ძირიც, მაგრამ სოციალურად ვარგისი, ეფექტიანი ტექნიკა, რომელსაც ჩვენ პირობითად ვუწოდებთ **მესამე ფორმას** (იხ.: ურნ. „ეკონომიკა“, №3, 1982 წ., გვ. 35.).

მსგავსად ტექნიკის, ტექნოლოგიის მორალური მოძველებისა, ჩვენი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების პრობლემის დამუშავება. ამ მიმართულებით წინამდებარე სტატიაში მინდა ყურადღება გავამახვილოთ რიგ არსებით მომენტებზე: ჯერ ერთი, ტექნიკის მორალური მოძველების მსგავსად, შესაძლოა პირობითად გამოიყოს მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების სამი ფორმა:

1 ა. აბრალავა. ეკონომიკური აზროვნების უმთავრესი ორიენტირი: კონცეპტუალური თვალსაზრისი. ურნ. „სოციალური ეკონომიკა“, №6, 2012 წ., გვ.12.

**პირველი ფორმა** დაკავშირებულია კვლევის განმეორებადი ოპერაციების შესრულების მეთოდების გაუმჯობესების შედეგად მეცნიერული შედეგების მიღების გაიაფებასთან. ეს ფორმა დაკავშირებულია ერთიდაიგივე ინფორმაციის მიღების კვლავნარმოების გაიაფებასთან;

**მეორე ფორმა** დაკავშირებულია ახალი მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის, ან ახალი გადაწყვეტილების გამოჩენასთან, რომელთა გამოყენება იწვევს პრინციპულად ახალ შედეგებს, რის გამოც ძველი მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნა, შესაბამისად, ტექნიკაც, რომელშიც დაფიქსირებულია ეს ცოდნა, ეკონომიკური თვალსაზრისით არაეფექტიანი ხდება.

მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების ორ ფორმასთან ერთად, ჩვენი აზრით, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში წარმოიშობა სრულიდ ახალი **მესამე ფორმა** - სოციალურად უარგისობა ზოგიერთი იმ მეცნიერული შედეგებისა, რომელთა გამოყენება საქმიანობის სოციალური მიზნის ფილოსოფიიდან გამომდინარე, წარმოების მიზნის შესაბამისი ახალი ტექნიკის შექმნისა და არსებულის სრულყოფისათვის არაეფექტიანი ხდება ახალ მეცნიერულ-ტექნიკურ ცოდნასთან შედარებით, რომელსაც საზოგადოება ფლობს. მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების ეს ფორმა, როგორც ტექნიკის მორალური მოძველების მესამე სოციალური ფორმა, გვევლინება სპეციფიკურდ მხოლოდ სოციალურად ორიენტირებული, ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკისათვის, ვინაიდან წმინდა კაპიტალიზმის პირობებში არ შეიძლება მოძველდეს (ე.ი.გახდეს ზედმეტი) მორალურად ის მეცნიერულ-ტექნიკური გადაწყვეტილება, რომელთა გამოყენებას მოაქვს უზარმაზარი მოგება შრომის ინტენსივობის დაწესებისა და მისი პირობების გაუარესების გამო (განსაკუთრებით რელიეფურად ეს ვლინდება იმაში, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგები კაპიტალიზმის პირობებში ყოველთვის გამოიყენებოდა ისეთ დარგებში, რომლებიც იძლევიან ძალიან დიდ მოგებას. ესაა, პირველ რიგში, ისეთი დარგები, როგორიცაა სამხედრო მრეწველობა, ნაკოტიკები იატ-აკეცება დამზადება, გასართობი ინდუსტრიის დარგები, რომლებიც

ადამიანის ცველაზე მდაბიო მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ).

მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების და მისი გამოვლენის ფორმების ანალიზს გააჩნია ის სპეციფიკაც, რომ მათი გათვალისწინებამ ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებრივი შრომის იმ დანაკარგების დროულ აღმოფხვრას, რომლებიც წარმოიშობიან მორალურად მოძველებული ტექნიკის ფუნქციონირების, მოძველებული ცოდნის, სწავლების მეთოდების, ხერხების გამოყენების დროს. იმისათვის, რომ საზოგადოების, საწარმოს, კომპანიის დანაკარგი ასეთი ცოდნის პირობებში, ტექნიკისა და ტექნოლოგიის გამოყენების პირობებში კიდევ არ გაიზარდოს, საჭიროა არსებული მეცნიერულ-ტეცნიკური ცოდნის ეფექტიანად ფუნქციონირების პერიოდი შეესაბამებოდეს უახლესი, უფრო სრულყოფილი ცოდნის გამოჩენის ტემპებს. ამ გაგებით არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, მაგალითად, მოსწავლებისათვის, სტუდენტებისათვის ცოდნის გადაცემა მოძველებული ხერხებით, მეთოდებით სწავლის ასე გაგრძელება გამართლებული იყოს. ეს საზოგადოებამ არ უნდა დაუშვას, ვინაიდან ეს გამოიწვევდა სუბიექტური ხასიათის პირდაპირ დანაკარგებს. უფრო მეტიც, ეს იგივეა რაც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგების უარყოფა, მისი დანერგვის უგულვებელყოფა.

სიტყვა მოძველება საერთოდ ხომ დრომოქმულს, ვადაგასულს, ლირებულება დაკარგულს ნიშნავს და ნებატიურ მოვლენად ითვლება, ხოლო ტერმინი „მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველება“ კი დროს ჩამორჩნილ, თანამედრვე სამყაროს და განვითარებულ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის ტექნოლოგიებს ვერაყოლილ მოვლენად წარმოგვიდგენია. ნათელია, რომ მოძველებული ნივთი, მექანიზმი და ა.შ. ვერ იმუშავებს უკეთესად თანამდროვე და განახლებულ ანალოგიებთან შედარებით. ამიტომაც, აუცილებელია, მისი შეცვლა, განახლება, გაუმჯობესება, ხოლო თუ ადამიანის ცოდნაზეა ლაპარაკი, მაშინ საჭიროა მისი გადამზადება, რათა ის მოერგოს თანამედროვე სამყაროს გაზრდილ მოთხოვნებსა და აპეკეს სამყაროს სწრაფვას გაუმჯობესებისკენ. კომპანია, რომელიც ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე საერთაშორისო მოთხოვნებს, ვერ იმუშავებს ეფექტიანად, ვერ იქნება კონკურენტუნარიანი და, ამდენად, ვერ იქნება განვითარებული, ანუ

მომგებიანი. ტექნიკა, ტექნოლოგია, რომელიც მორალურად მოცველდა, ვერ უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნას. ასევე ადამიანებიც, განსაკუთრებით პედაგოგები(მაგალითად, მორალურად მოძველებული მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მქონე მასწავლებელი ვერ შექმნის(აღზრდის) თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის პროდუქციას(მოსწავლეს, სტუდენტს). მათვისაც აუცილებელია მოერგონ დროს და აპეკეს თანამედროვე სამყაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი ცოდნა განიცდის, მორალურ მოძველებას“ - მათი თეორიული და პრაკტიკული მიღწევები აღარ შეესაბამება თანამედროვე საერთაშორისო მოთხოვნებს. ადამიანი შეიძლება ფიზიკურად კარგად გამოიყურებოდეს, მაგრამ მორალურად უკვე ვეღარ აკმაყოფილებდეს მოცემული დროისთვის არსებულ მოთხოვნებს. ამ პიროვნების მიერ, ცხოვრების განმავლობაში შეძნილმა ცოდნამ უკვე ამონტურა თავისი ზღვრული სარგებლიანობა და „მორალური მოძველების“ პროცესს განიცდის, ეს კი, როგორც კონკრეტული ადამიანისთვის, ასევე ქვეყნისთვისაც პრობლემას ქმნის იმ თვალსაზრისით, რომ, ერთი მხრივ, ის ვერ გამოიყენებს ტექნიკური პროგრესით მიღწეულ შედეგებს და, მაშასადამე, ვერ იქნება უზრუნველყოფილი სამუშაო ადგილით და, მეორე მხრივ, ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებს საკუთარი ეკონომიკური, სოციალური, ტექნიკური და ა.შ. მაჩვენებლებით.

მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველება აზარალებს პირველ რიგში საწარმოს, ორგანიზაციის, აუარესებს სახელმწიფო იმიჯს საერთაშორისო დონეზე, სახელმწიფოში წარმოქმნის ისეთ პრობლემებს, როგორიცაა სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და ა.შ. ასევე შესაძლებელია გამოიწვიოს ისეთი პრობლემაც, როგორიცაა ნებოტიზმი, სამართლებრივი, პოლიტიკური არასტაბილურობა და ბევრი სხვა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ.

„ცოდნის მორალური მოძველება“ კომპანიების დონეზე. კომპანია ძალიან დიდი მნიშვნელობის მქონე იურიდიული დაწესებულება როგორც კერძო პირთათვის, ისე ქვეყნისთვის. საწარმოს, ზოგადად წარმოების სწორად მუშაობა მნიშვნელოვნად განაპი-

რობერტ ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას, რადგან მასზეა დამოკიდებული ქვეყნის წარმოებითუნარიანობა, სამამულო პროდუქციის წარმოების ზრდა და შესაბამისად - ექსპორტი, რაც ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის მთავარი მაჩვენებელია. რაც შეეხება „განათლების მორალური მოძველების“ საკითხს საწარმოს ფუნქციონირებასთან მიმართებაში, იგი პირდაპირ დამოკიდებულია ცოდნის გაღრმავების და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის შესაძლებლობის შეზღუდვასთან. მთავარი პრობლემა არაკვალიფიციური კადრებშია. კომპანიის მმართველობით ორგანოში მოხვედრილი მართვის სუბიექტი, რომელიც მორალურად ჩამორჩენილია და მისი განათლების დონე ვერ აკმაყოფილებს კონკურეტული პერიოდის თვეს დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებს, ვერ უზრუნველყოფს სწორ მენეჯმენტს და იგი დააზარალებს უშუალოდ კომპანიას. ასევე მას არ ექნება ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობა, რადგან ინვესტიციების მოზიდვა პირდაპირ დამოკიდებულია საწარმოს ხარისხიან ფუნქციონირებასთან. თუ მმართველი ორგანო ვერ მუშაობს სწორად, არაეფექტურანი იქნება მასზე დაქვემდებარებული ყველა ობიექტი, ეს კი არაეფექტურანს გახდის მთლიანად კომპანიის ფუნქციონირებას და გამოიწვევს მის გაკოტრებას.

სწორედ „მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველება“, განათლების დაბალი დონე ინვესტიციას იმას, რომ საქართველოში ადგილობრივი წარმოება არ გვაქვს იმ დონეზე განვითარებული, რომელსაც საშუალო დონის ევროპული ქვეყანა უნდა აკმაყოფილებდეს. ეროვნული ეკონომიკის პირობებში, ჯერ-ჯერობით ზოგიერთი მიმართულებებით, აღარ არსებობს კვალიფიციური კადრები, რადგან ათეული წლების განმავლობაში ვერ ხერხდებოდა წარმოებათა მაღალი ტექნოლოგიებით გადაიარაღება და სათანადო კადრების მომზადება. გაჩინდა ცოდნის დეფიციტი, რამაც გამოიწვია ზოგადად საწარმოო გამოცდილების, ცოდნის მოძველება. არაკვალიფიციური მუშა ხელის არსებობა ქვეყანაში, ასევე შესაძლოა გამოწვეული იყოს იმ მიზეზით, რომ ისინი დაკმაყოფილდნენ იმ განათლების დონით, რომელიც მათ ოდესალაც მიიღეს და აღარ აქვთ სურვილი საკუთარი ცოდნის გაღრმავებისა. შესაძლოა, მათ ამის პირობები არ აქვთ, მაგრამ ამ პრობლემის მოუგვარებლობას

კიდევ უფრო ზემოთ მივყავართ და ჩვენ ვაწყდებით „ცოდნის მორალური მოძველების“ შედეგად წარმოქმნილ კიდევ არაერთ პრობლემას, რომელიც უკვე სახელმწიფოს დონეზეა აყვანილი.

„ცოდნის მორალური მოძველება“ სახელმწიფო დონეზე-ცნობილია, რომ საქართველო, ისტორიულად იყო ისეთი დიდი სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და საწარმოო ინდუსტრიის დანამატი, როგორიც რუსეთია. საქართველოს წარმოება ასრულებდა საერთო სახელმწიფო შეკვეთების განსაზღვრულ ნაწილს სხვადასხვა სფეროში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, გაუქმდა შეკვეთები, რამაც გამოიწვია აწყობილი წარმოების მთლიანად ჩამოშლა-განადგურება. მისი აღდგენა არათუ შეუძლებელი იყო, არამედ არაეფექტიანიც, მორალურად მოძველებული მანქანა-დანადგართა არსებული პარკის და გამოშვებული პროდუქციის დაბალი ხარისხის კონკურენტულნარობის გამო. ასევე მომსახურე პერსონალის მოძველებული კვალიფიკირების მიზეზითაც მომსახურე ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი დარჩა უმუშევარი და მათი გამოყენება მაღალი ტექნილოგიების მქონე საწარმოებში გახდა შეუძლებელი დაბალი კვალიფიკირების გამო. გაჩინდა პრობლემები. კომპანია, როგორც სახელმწიფოს განვითარების ძირითადი პირობა, მოითხოვს აღდგენა-განახლებას თანამედროვე, მაღალტექნიკულობიური საშუალებების გამოყენებით. ამისთვის საჭიროა ინჟინერ-მექანიკოსთა და მუშამოსამსახურთა გადამზადება ცოდნის მაღალი სტანდარტების შესაბამისად. მათი შემდგომი დასაქმება მოხსნის უმნიშვნელოვანესი პრობლემების ნაწილს და გააუმჯობესებს მათ სოციალურ და ეკონომიკურ პირობებს, როგორც წარმოების, ისე ქვეყნის მასშტაბით.

თუკი სახელმწიფოში არა არის განათლების, ჯანდაცვის, ეკონომიკური, სოციალური და ა.შ დონე ევროპული საშუალო სტანდარტების შესაბამისი, ეს ქვეყნის მმართველობითი ზოგიერთი ორგანოს არასწორი მუშაობის შედეგი უნდა იყოს. ეს იმას ნიშვავს, რომ სახელმწიფოს მართვის ორგანოებში მომუშავე კადრებსაც მიუახლოვდა „ცოდნის მორალური მოძველების“ შედეგები და ისინი იმავე სტანდარტებით ხელმძღვანელობენ, რაც ოდესალაც, წარსულში იყო მიღებული. არადა თუკი სახელმწიფო ვერ აჰყვა განვითარების გზაზე მიმავალ მატარებელს, იგი დარჩება მუდამ მდევრის როლ-

ში და ვერ შეძლებს დაეწიოს განვითარებულ ქვეყნებს თავისი საშუალო სოციალურ-ეკონომიკური და სხვა მაჩვენებლებით. ალბათ ამის გამო ექცევა საქართველოს დღევანდელ მთავრობაში განათლებას, სწავლებას, მის სრულყოფა-განახლებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა. სწორედ აქითკენ მიდის რეფორმები საქართველოში, რათა განათლების მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალოს.

ამრიგად, თუკი ქვეყნის დონეზე მართვისას ადგილი აქვს არაკვალიფიციური კადრების გამოყენებას, ბუნებრივია ეს გამოიწვევს განვითარების შეფერხებას (ცხოვრებაში არსებული კანონზომიერებების შესაბამისად, ნარმოიქმნება სოციალური პრობლემებიც). ეს ლოგიკურიცაა, რადგან ხელისუფლება ვალდებულია განავითაროს ეკონომიკა, ეკონომიკაში კი, თავის მხრივ უნდა დააკმაყოფილოს მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნები. წინააღმდეგ შემთხვევაში ბუნებრივია ნარმოიქმნება სოციალური სირთულეები, არასტაბილურობა.

„ცოდნის მორალური მოძველება“ და „უმუშევრობა“. ცოდნის მორალური მოძველება ეხება ქვეყნის ცხოვრების ნებისმიერ სფეროს. პირველ რიგში განათლების იმ დონეს, რომელიც საერთოდ ქვეყნაში არსებობს. ქვეყნის განათლების დონე განსაღვრავს იქ არსებული სპეციალისტების განათლების ხარისხს. მაღალი ხარისხის მქონე სპეციელისტებს შეუძლიათ შექმნან მაღალი ხარისხის კონკურენტუნარიანი პროდუქცია, გააჯერონ პაზარი ხარისხიანი პროდუქციით, რაც გაზრდის სახელმწიფო შემოსავალს, ბიუჯეტს და მოხსნის ქვეყნის ეკონომიკურ პრობლებს. იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნა არაა უზრუნველყოფილი მაღალკალიფიციური კადრებით, ნარმოიქმნება უმუშევრობის პრობლემა.

სართოდ მუშაკი თუ არ ითვალისწინებს ცოდნის მორალური მოძველების შედეგებს, ძნელია სამუშაო ადგილის პოვნა. ეს იმითაა გამოწვეული, რომ კონკრეტული პიროვნება ვეღარ აკმაყოფილებს თანამედროვე სამყაროს მიერ ცოდნის მიმართ გაზრდილ მოთხოვნებს, რადგან იგი ვერ აჰყვა თანამედროვე სტანდარტებს და არ გაიარა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო კურსები. არცერთ საწარმოს, კომპანიას, ორგანიზაციას არ უნდა ჰყავდეს კადრი, ვინც არის დრომოქმული განათლების პატრონი და ვინც ვერ და-

აკმაყოფილებს იქ არსებულ მოთხოვნებს. როგორც უკვე აღინიშნა, არასწორად შერჩეული მომუშავე პერსონალი საქმეს არაეფექტი-ანად აკეთებს, რაც წარმოებას აფერობს. შესაბამისად ასეთი მოძველებული განათლების მქონე ზოგიერთი მუშაკი უმუშევარი რჩება. ეს საფრთხო ემუქრება ნებისმიერი სასწავლებლის აკადემიურ პერსონალსაც. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ხელმძღვანელობენ მოსწავლისათვის განათლების მიწოდების მოძველებული ხერხებით, იყენებენ მოძველებულ სახელმძღვანელოებს, ცოდნას სასწავლო პროცესის წარსამართავად, მათი მომსახურება სასწავლო დაწესებულებისთვის არაეფექტური ხდება და უმუშევრად დარჩენა ემუქრებათ. ეს ლოგიკურიცაა, რადგან თანამედროვე პირობებში, ყველა და ყველაფერი უნდა აპყვეს თანამედროვე მოთხოვნებს და არ ჩამორჩეს დროს. ვინაიდან მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის სწრაფი განვითარების პირობებში, სამეცნიერო კვლევისა და სწავლების პროცესის ცენტრალური ფიგურა მეცნიერ-პედაგოგი, იგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პრობებს: იყოს მაღალკვალი-ფიციური; იყოს მაღალ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლების მატარებელი; იყოს ღრმად ერუდირებული. მხოლოდ ასეთ მეცნიერ-პედაგოგს შესწევს უნარი დაიპყროს სტუდენტური აუდიტორია, შექმნას თაობათა შორის ურთიერთობისა და თანამშრომლობის დინამიური სისტემა.<sup>1</sup> ყოველივე ეს მოითხოვს თანამედროვე სასწავლო-სამეცნიერო პროცესის აღჭურვას უახლესი ტექნოლოგიებით, ინფორმაციის მიღების, დამუშავების და გადაცემის საუკეთესო საშუალებებით, ვინაიდან სწორედ აქ სამეცნიერო და უმაღლეს დანესხებულებაში იძალება ახალი იდეები, ახალი ცოდნა და ამის გაუთვალისწინებლობა დიდ დანაკარგს გამოიწვევს არა მარტო სასწავლო დაწესებულებაში(მომზადდება არაკვალი-ფიციური კადრი), არამედ მთელს ეროვნულ ეცონომიკაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ცოდნის გადაცემის მოძველებული ხერხების გამოყენებით შეუძლებელი გახდება მოსწავლეებისათვის, სტუდენტებისათვის საჭირო ინფორმაციის გადაცემა.

1 ა. აბრალავა. ეკონომიკური აზროვნების უმთავრესი ორიენტირი: კონცეპტუალური თვალსაზრისი. ქურნ. „სოციალური ეკონომიკა“, №6, გვ.12.

„ცოდნის მორალური მოძველება“და არაკვალიფიციური მომსახურების წარმოება. ვთქვათ, განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც ამა თუ იმ სასწლებლის ადმინისტრაციამ, აკადემიური პერსონალის უმრავლესობა დააკომპლექტა იმ კადრებით, რომელთაც არა აქვთ გათვალისწინებული მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების მოთხოვნები. ამ შემთხვევაში, კონკრეტულმა სასწავლებელმა შეიძლება სახეზე მიიღოს ძალიან რთული შედეგი როგორც საკუთარი იმიჯისთვის, ასევე ქვეყნის განვითარებისთვის. მოძველებული ცოდნის მქონე აკადემიური პერსონალის მიერ მომზადებული კადრები, იმთავითვე იქნებიან თავადაც „მორალური მოძველების“ მსხვერპლი და მათ განათლების მიღებას ფესვებში-ვე ექნებათ განცდილი „მორალური მოძველება“. გამოდის რომ კონკრეტულმა სასწავლებელმა ვერ აწარმოა კვალიფიციური მომსახურება და შედეგად საზოგადოების გარკვეული ნაწილი დაზარალდა. თუკი ეს პრობლემა დროულად არ მოვგარდა და სასწავლებლებში კვლავაც იმუშავებენ დრომოქმული ცოდნის მქონე მასწავლებლები, ეს იქნება კატასტროფა და უდიდესი საფრთხე ქვეყნის განვითარებისთვის, რადგან მას არ ეყოლება თანამედროვე სამყაროსთვის ადაპტირებული და მასზე მორგებული კადრები, ქვეყნის განვითარება კი, ცნობილია, პირველ რიგში, სწორედაც რომ მის მომავალ ახალგაზრდა კადრებზე, თაობაზეა დამოკიდებული.

„ცოდნის მორალური მოძველება“, როგორც ნეპოტიზმის გამომწვევი მიზეზი. ქვეყანაში შეიძლება ასევე წავანყდეთ ნეპოტიზმის ნიშნებსაც. ეს უკანასკნელი გარკვეული გაგებით, „ცოდნის მორალურ მოძველებას“ უკავშირდება. ამა თუ იმ ქვეყნის ხელისუფლება ორიენტირებულია მის მმართველობით ორგანოების მოვიდნენ კვალიფიციური კადრები, რათა მათ ქვეყანა მართონ მაქსიმალურად ეფექტიანად. მაგრამ როდესაც სახელმწიფოს არ ჰყავს შესაბამისი განათლების მქონე მომსახურე პერსონალი, ხელისუფლებას ურჩევნია არაკვალიფიციური უცხო ადამიანის წაცვლად არაკვალიფიციური წაცნობი, წათესავს თავისთავად უკეთ იცნობ და უკეთ იცი მისი შესაძლებლობები. ასე რომ, ნეპოტიზმის წარმოქმნის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა „მეცნიერულ-ტექნიკური ცოდ-

ნის მორალურ მოძვლებას “უკავშირდებოდეს.

ამრიგად, მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველება “უკავშირდება არა მარტო ზემოთ ჩამოთვლილ რამდენიმე პობლემას, არამედ კიდევ უფრო მეტ საკითხსაც. მან შეიძლება დააზარალოს ეკონომიკა, ქვეყნის საერთაშორისო იმიჯი, საზოგადოება და ა.შ. ამ საკითხზე არა მხოლოდ ფიქრი, არამედ მუშაობაცაა საჭირო და ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლება ვალდებულია გაატაროს პრევენციული ზომები მის მოსაგვარებლად, რათა არ მოხდეს ქვეყნის მარგინალიზება. ამ საკითხზე თავად საზოგადოებაც უნდა დაფიქრდეს და უნდა ეძიებდეს მისი მოგვარების ხერხებს.

იბადება კითხვა. რა არის საჭირო იმისთვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული „მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების“ სავარაუდო შედეგები?

საქართველო მდიდარია ნიჭიერი, მაღალი დონის მეცნიერთა პლეიადებით. ისინი არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს წამყვან ინსტიტუტებში წარმატებით მოღვაწეობენ. რად ლირს მარტო ის, რომ ევროპაში შექმნილ საერთაშორისო უნივერსიტეტში წამყვანი განყოფილებები დაკომპლექტებულია ქართველ მეცნიერთა მსოფლიოში აღიარებული ჯგუფებით ბატონი დვალის ხელმძღვანელობით. ეს იმედს გვაძლევს, რომ საქართველო მომავალშიც შეძლებს დააკომპლექტოს, მაგალითად, თავისი სამეცნიერო ცენტრები ლირსეული მეცნიერებით, რომლებიც შეძლებენ მსოფლიოს ტექნოლოგიების მცოდნე კადრების მომზადებას. დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალი თაობის უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლებში და აგრეთვე საბავშვო ბალებშიც კი განათლების, ცოდნის შეძენის საშუალებების მაღალ დონეზე დაყენებას. ამ პრობლემების მოგვარებისათვის საჭიროა რიგი ღონისძიებათა გატარება:

1. მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადება შეუძლებელია მაღალი დონის უმაღლეს სასწავლებლების ფუნდამენტური რეფორმირების გარეშე. პირველ რიგში, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ მოძველებული განათლების მქონე მომსახურე პერსონალი არ დარჩეს სამუშაო ადგილების გარეშე, რადგან ეს აუცილებლად გამოიწვევს საზოგადოების დიდი ნაწილის უკავილებებას და ხელისუფლებისადმი უნდობლობის გაჩენას. ამისთვის

აუცილებელია პერმანენტულად ხდებოდეს მათი გადამზადება. სახელმწიფომ და პირველ რიგში, ალბათ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, უნდა იზრუნოს გადამზადების თანამედროვე ცენტრების შექმნაზე ქვეყანაში. ეს დაწესებულებები ორიენტირებული იქნება მომსახურე პერსონალის მუდმივ გადამზადებასა და მათი ცოდნის განახლებაზე. გადამზადების ცენტრები მუდმივად მოახდენენ მათთვის ახალი ცოდნის მიღების უზრუნველყოფას, რაც საწარმოებს, კომპანიებს, სასწავლო დაწესებულებებს და ა.შ. ალარ მისცემს იმის საფუძველს, რომ კონკრეტული მომსახურე პერსონალი სამუშაო ადგილის გარეშე დატოვონ და მიზეზად მათი დაბალი კვალიფიკაცია დაასახელონ. ასეთი პროექტის წამოწყება, აამაღლებს როგორც თავად მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციას, ასევე იმ სტუდენტთა კვალიფიკაციას, რომლებიც იღებენ განათლებას უკვე გადამზადებული მასწავლებლებისაგან.

2.ასევე უცხოური გამოცდილების, ცოდნის გაზიარებაც. ამისათვის აუცილებელია ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდნენ უცხოელი, კვალიფიციური კადრები, რათა მათ გაუზიარონ საკუთარი ცოდნა ქართველ კოლეგებს. ეს რა თქმა უნდა არ ეხება მხოლოდ სასწავლო დაწესებულებების მასწავლებლებსა და ლექტორებს (ცოდნის ჩამოყალიბების სფეროში მორალური მოძველების საკითხი იმიტომ არის პირველ რიგში გასათვალისწინებელი, რომ სწორედ აქ, საწყის ეტაპზე იწყება მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველება და შემდეგ იგი აშკარა გამოხატულებას პოულობს საწარმოებში ფუნქციონირებად ტექნიკასა და ტექნოლოგიაში). ასეთი ქმედება უნდა განხორციელდეს ყველა სახის საწარმოსა თუ სხვა დაწესებულებაში, რადგან ქვეყნის განვითარებისთვის არა მხოლოდ განათლების სფეროს, არამედ ბევრი სხვა სფეროს განვითარებაცაა აუცილებელი. ყველას კარგად გვესმის, რომ ეკონომიკური, სოციალური, განათლების დონით, საქართველო ვერა და ვერუახლოვდება ევროპულ და არა მარტო ევროპულ განვთარებულ ქვეყნებს. ამისთვის კი საჭირო და აუცილებელიცაა მსგავსი პროექტების ხშირი განხორციელება. ასეთი ღონისძიების გატარებისათვის, რა თქმა უნდა, ბიუჯეტს გარკვეული თანხის გაღება მოუწევს, მაგრამ აუცილებელია ეს თანხა გამოყოს სახელმწიფომ, რადგან იგი

ქვეყნის მომავალ განვითარებას და წინსვლას მოხმარდება.

3. იმისათვის, რომ არ მოხდეს „მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველება“, სახელმწიფო ვალდებულია სამუშაო ადგილებით უზრუნველყოს მის დაქვემდებარებაში მყოფი სოციუმი. ცნობილია, რომ, ადამიანისთვის აუცილებელია ტვინის ინტენსიურად მუშაობა, მისი ფუნქციონირება, სწრაფვა მუდმივი სიახლის ძიებისაკენ. ადამიანს მხოლოდ ერთი მიმართულებით არ უნდა უნედეს ფიქრი(მაგალითად, როდესაც იგი ფიქრობს მხოლოდ პრობლემებზე, თავის გატანაზე, ქვეყანაში გამეფებულ უსამართლობაზე, ბინის ქირასა და ა.შ.). არადა რეკომენდებული არ არის კონკრეტული პიროვნების მხოლოდ ერთი საქმით დატვირთვა. მას უნდა პქონდეს საშუალება შეიძინოს ახალი ცოდნა და მიიღოს ახალი გამოცდილება. ამიტომ საწარმოს ადმინისტრაციამ მუდმივად უნდა მოახდინოს სამუშაო პერსონალისთვის სამუშაო გარემოს შეცვლა. იმ შემთხვევაში, თუ მოხერხდება საზოგადოებისთვის მსგავსი პრობლემების თავიდან აცილება, საზოგადოება შეძლებს საკუთარი აზროვნების მიმართულებების გაფართოებას, მრავალფეროვნებას და დაცული იქნება საფრთხისაგან, რასაც მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველების გაუთვალისწინებლობა იწვევს. თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოში დიდია უმუშვრობის მაჩვენებელი სამუშალო დონის ევროპულ ქვეყნებთან შედარებით, აქედან გამომდინარე შესაძლოა საზოგადოების უმეტეს ნაწილს „მორალური მოძველების“ შედეგები შეეხოს, ხოლო თუკი მოხერხდება ამ პრობლემის დროული მოგვარება, მაშინ მასზე ჯაჭვურად მიბმული არაერთი პრობლემაც გადაიჭირება.

ამრიგად, მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის მორალური მოძველება რომელიმე ერთი ქვეყნის პრობლემა არ არის. იგი არა მარტო საქართველოს, არამედ ბევრ განვითარებად თუ განვითარებულ ქვეყანასაც ანუხებს. ამიტომ საჭიროა ამ პრობლემის მოგვარებაზე ერთობლივი მუშაობა. ბუნებრივია, გლობალიზაციის პროცესი ამ საკითხის მოგვარებასაც გამოიწვევს, რადგან იგი, ამავე დროს უნინარეს ყოვლისა, ახალი გამოცდილების, ცოდნის გაზიარებასაც გულისხმობს, რაც მითუმეტეს განვითარებადი ქვეყნებისათვის სასიცოცხლოდ საჭირო და აუცილებელია.



## ფინანსები, განკაპი, პირქაპი

### ფინანსური რისკები თანამედროვე ეპოლოგიკურ სისტემაზე

**ალექს ქუთათელაძე**  
სტუ სრული პროფესორი  
ირმა კვეტენაძე  
სტუ დოქტორანტი

რისკი – დღემდე ცნობილ კატეგორიებს შორის ყველაზე მეტა-  
და საიდუმლოებით მოცული. პირველი, იმიტომ, რომ კაცობრიობ-  
ამ მისი არსებობის შესახებ დიდი ხანია რაც შეიტყო. მიუხედავად,  
იმისა, რომ რისკს მიიჩნევენ ისტორიულ, ეკონომიკურ და ფილო-  
სოფიურ კატეგორიად, ამავდროულად რისკის საერთო აღიარებ-  
ული თეორია დღემდე არ არსებობს;

შეორე, რისკი რომ არსებობს იცის ყველამ, მაგრამ ცოტა თუ ერ-  
კვევა მის არსში. რისკ-მენეჯმენტის სპეციალისტების უმეტესობა  
დარწმუნებულია, რომ ნებისმიერი რისკის მართვა შესაძლებელია.  
გამოვიყენოთ სხვადასხვა ღონისძიებები, რომელიც შესაძლებლო-  
ბას მოგვცემს გარკვეულად მოვახდინოთ სარისკო ხდომილების  
დადგომის პროგნოზირება და ვიზმაროთ მისი ხარისხის დაწევის  
საშუალებები. არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს იმას, რომ თვი-  
თონ რისკებს ქმნის ხდომილების პროგნოზირების გარე სისტემა,  
რომელიც მისი გავლენის სფეროში არ მდებარეობს და მას არ ექ-  
ვემდებარება. იგი ასევე აძლიერებს ან ასუსტებს სხვადასხვა ფაქ-  
ტორების გავლენას. ამის მიუხედავად რისკების პროგნოზირება და  
მისი დაწევა – სამეცნიერო და პრაქტიკული მოღვაწოების საკმაოდ  
მნიშვნელოვანი სფეროა. თუ მას არ ექნება რისკების მართვის არ-

### ჟინანები, განკაპი, პირქაპი

სებულ ყველა ძირითადი ფუნქციის აბსოლუტურ და სრულფასო-  
ვან მართვაზე პრეტენზია, ის შესაძლებელია პრაქტიკული მიზნით  
მიღებული იქნას, როგორც რისკ-მენეჯმენტი;

მესამე, უმეტესობა სპეციალისტებისა არ უღრმავდება ამ კატე-  
გორიას. ისინი ცდილობენ ან გვერდი აუარონ ამას ან სხვას გადა-  
აბარონ;

მეოთხე, უმაღლესი კლასიფიკაციის მქონე მეცნიერებს შორი-  
საც არსებობს მოსაზრება, რომ ურისკო გადაწყვეტილებები და  
პროექტებიც კი არსებობენ.

შეიძლებოდა სხვა არგუმენტების მოძებნა, მაგრამ ეს ოთხიც  
საკმარისია, რომ შევეცადოთ გავერკვეთ ამ საიდუმლოებით მო-  
ცულ კატეგორიაში მისი პრაქტიკული შესაძლებლობის კვლევის  
და ანალიზის კუთხით.

სამეცნიერო ლიტერატურაში, კონკრეტულ საქმიანობასთან მი-  
მართებაში ავტორები იძლევიან რისკის სხვადასხვა განსაზღვრე-  
ბას. რა თქმა უნდა ჩვენთვის უდიდეს ინტერესს წარმოადგენს  
განსაზღვრება, რომელიც ეხება ბიზნესის სფეროს რისკს. განვიხი-  
ლოთ ზოგიერთი მათგანი.

მაგალითად, პიტერ ბერსტაინი თავის ნაშრომში, რომელიც ეძ-  
ლვნება ბიზნესში რისკის საკითხს, აღნიშნავს, რომ სიტყვა „რისკი“  
ძველი იტალიური სიტყვა „risicare“ - გან წარმოიმება და ნიშნავს „გა-  
უბედეს“ და ასკვნის, რომ „ამ აზრით რისკი – ეს უფრო არჩევანია  
ვიდრე შემთხვევითობა“. ქმედება, რომელიც ჩვენ უნდა შევასრუ-  
ლოთ ჩვენს ხელთ არსებული არჩევანის თავისუფლებაზე დაყ-  
რდნობით – აი რა არის რისკი სინამდვილეში.

ი. ბალაბანოვი თავის წიგნში ფინანსების მართვის შესახებ შემ-  
დეგ განსაზღვრებას გვთავაზობს: „რისკის ქვეშ იგულისხმება და-  
ნაკარგის საშიმროება, რომელიც გამომდინარეობს ბუნებრივი  
მოვლენებისა და საზოგადოების საქმიანობის ამა თუ იმ სპეციფი-  
კიდან. რისკი – ეკონომიკური და ისტორიული კატეგორიაა“<sup>1</sup>.

საპროექტო დაკრედიტებაზე მიძლვნილ ნაშრომში რისკის ქვეშ  
მოაზრებულია ეკონომიკურ პროცესებზე განსაზღვრული ფაქტო-  
რების მოულოდნელი ზემოქმედების ალბათობა, რომელთა გავ-

1 Балабнов И.Т. Риск-менеджмент. М. 1996, С.21.

ლენითაც შესაძლებელია მოხდეს შედეგის გადახრა დაგეგმილი სიდიდიდან. აქვე მოყვანილია ასევე საპროექტო რისკების კონკრეტული განმარტება<sup>1</sup>: „პროექტული რისკები – ეს იმ რისკების ერთობლიობაა, რომლებიც ემუქრება პროექტის ეკონომიკურ ეფექტიანობას და გამოიხატება ფულადი სახსრების ნაკადზე ნეგატიური გავლენით“.

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სპეციალისტების აზრით, რისკები შეიძლება ვმართოთ, ე.ი. გამოვიყენოთ სხვადასხვა მეთოდები, რომლებიც საშუალებას იძლევა გარკვეული ხარისხით მოვახდინოთ რისკიანი ხდომილების მოხდენის პროგნოზირება და მივიღოთ ზომები რისკის დაწევისათვის.

განვიხილოთ ამჟამად ფართოდ გავრცელებული რისკების სისტემების არსებობაზე ფინანსისტების მიღვომა. შესაძლო შედეგზე დამოკიდებულებით რისკები იყოფა ორ დიდ ჯგუფად: წმინდა და სპეცუალური.

წმინდა რისკები ნიშნავენ უარყოფითი ან ნულოვანი შედეგის მიღებას. ასეთ რისკებს მიეკუთვნებიან: ბუნებრივი, ეკოლოგიური, პოლიტიკური და კომერციული რისკების ნაწილი (ქონებრივი, საწარმოო, სავაჭრო).

სპეცუალური რისკები გამოიხატება როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგების მიღების შესაძლებლობით. ასეთ რისკებს განეკუთვნება ფინანსური რისკები, რომლებიც კომერციული რისკების ნაწილს წარმოადგენენ.

ფინანსური რისკები დაკავშირებულნი არიან ფინანსური რესურსების (ე.ი. ფინანსური სახსრების) დაკარგვის ალბათობასთან. ეს რისკები იყოფა ფულის მყიდველობის უნართან დაკავშირებულ რისკებად და კაპიტალის ჩადების (საინვესტიციო) რისკებად. ფულის მყიდველობის უნართან დაკავშირებულ რისკებს მიეკუთვნებიან შემდეგი რისკები: ინფლაციური და დეფლაციური რისკები, სავალუტო რისკები, ლიკვიდობის რისკები<sup>2</sup>.

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საკრედიტო ინსტი-

<sup>1</sup> Шенав В.Н. Ирниазов Г.С. проектное кредитодование М. 1996, С. 44.

<sup>2</sup> მაგრაქველიძე დალი \_ „ფინანსური რისკები და მათი მართვის მეთოდები“. თბილისი, 2012 წელი, გვ.34-35

ტუტების პრაქტიკაში უდიდეს მნიშვნელობას იქნება ინოვაციური შემადგენელი, რომელიც ზრდის ფასიანი ქაღალდების როლს ბანკების საინვესტიციო პორტფელში. ახალი ინსტრუმენტები მათ აძლევნ უფლებას წარმატებით შეამცირონ საკრედიტო რისკები.

საკრედიტო რისკი – ეს მევალის მიერ კრედიტორის კუთვნილი ძირითადი ვალის და პროცენტების არ გადახდის საშიშროებაა. საკრედიტო რისკებს მიეკუთვნება ასევე ისეთი ხდომილების მოხდენის რისკებიც, რომლის დროსაც სასესხო ფასიანი ქაღალდების ემიტენტს არ აქვს საშუალება გადაიხადოს მათზე პროცენტები ან დაფაროს სესხის ძირითადი თანხა.

საკრედიტო რისკები ასევე შეიძლება იყოს პირდაპირი ფინანსური დანაკარგების ნაირსახეობა. პირდაპირი ფინანსური დანაკარგების რისკები მოიცავენ შემდეგ ნაირსახეობებს: საბირუო რისკები, სელექციური რიკები, გაკოტრების რისკები, ასევე საკრედიტო რისკებიც.

ბანკის გასვლა ტრადიციული შუამავლის ფუნქციის ჩარჩოებიდან და საბანკო ბიზნესის დივერსიფიკაციამ, ბანკების მიერ სავაჭრო და საინვესტიციო ოპერაციების ათვისებამ, მათ მიერ ახალი საფინანსო ინსტრუმენტების გამოყენებამ საგრძნობლად გაზარდა მოთხოვნა მართვის პროცესის ორგანიზაციაზე და საბანკო რისკების კონტროლზე. მათ შორის მუშავდებოდა აუცილებელი პროცედურები და რეგლამენტი, რაც საშუალებას იძლევა გათვალისწინებული იქნას საოპერაციო რისკების წარმოშობა, რომელებიც ინოვაციურ საკრედიტო მექანიზმის დანერგვასთანაა დაკავშირებული. ეს აიძულებს რისკ-მენეჯმენტის თეორიტიკოსებსა და პრაქტიკოსებს, მუდმივად იმუშაონ შიდა საბანკო კონტროლისა და მართვის ახალი სრულყოფილი მეთოდების შექმნაზე.

მიუხედავად ამისა, ზემოთ განხილული რისკების სისტემა საშუალებას იძლევა ბიზნესის ზოგიერთი სახისთვის, მაგალითად ვაჭრობისათვის, გადავწყვიტოთ პრაქტიკული ამოცანები, რომელიც დაზღვევასთან არის დაკავშირებული. ამავე დროს ეს სისტემა არ შეიძლება მიღებული იქნას იმ რისკების ადეკვატურ ასახვად, რომლებიც საწარმოო ბიზნესში ან საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის დროს არსებობენ. ეს ბუნებრივიცაა, რამდენადაც

რისკების კლასიფიკირების უნივერსალური სისტემები, რომლებიც ადეკვატურად ასახავენ ნებისმიერი სახის ბიზნესის რისკებს ჯერ არ არსებობს.

ასეთი სისტემის შექმნა შესაძლებელია თუ არა? დღეს ამ კითხვაზე ცალსახად პასუხის გაცემა ძნელია, რამდენადაც ასეთმა სისტემამ ადეკვატურად უნდა ასახოს რისკების ყველა მრავალგან-ზომილებიანი სივრცე. თეორიულად ამგვარი ამოცანა შეიძლება დაისახოს, მაგრამ ბიზნესის თითოეული სახის პრაქტიკული მიზ-ნებისათვის უფრო მნიშვნელოვანია არა ასეთი რთული უნივერსა-ლური სისტემების არსებობა, არამედ იმ რიკსების უფრო მარტივი, მაგრამ ხარისხიანი ასახვა, რომლებიც ობიექტურად არსებობენ სწორედ მოცემულ ბიზნესში.

აქედან გამომდინარე, საინვესტიციო პროექტების რეალიზაცი-ისას ადეკვატურად უნდა გავითვალისწინოთ ის რისკები, რომლე-ბიც ახლავს საქმიანობის ამ სფეროს და რეალურად არსებობენ შესაბამის რისკების ქვესივრცეში. თავის მხრივ, ეს ნიშნავს, რომ არსებული რისკების სისტემის სპეციფიკით განსხვავებული პრო-ექტებისათვის უნდა შეიქმნას საკუთარი კლასიფიკაცია, რომელიც უფრო სრულად ასახავს მოცემული პროექტების რეალიზაციის რისკებს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. მაგრაქველიძე დალი – „ფინანსური რისკები და მათი მარ-თვის მეთოდები“. თბილისი, 2012 წ.
2. Балабнов И.Т. Риск-менеджмент. М. 1996.
3. Шенаев В.Н. Ирниазов Г.С. проектное кредитодование М. 1996.

## NECESSITY OF STRENGTHENING THE FINANCIAL SUSTAINABILITY OF THE BANKING SYSTEM IN GEORGIA

Irina vashakmadze

Candidate of Economic Sciences

The issue of sustainability, in its broad sense, is crucial not only for banks, but also for the other financial institutions in market economy. In the competitive environment it shows the correlation of the enterprises in the process of achieving the economic sustainability.

Among the various factors effecting economic situation in the country, one of the most important components are regulations developed for building financial sustainability of the banking system. In the process of elaborating the regulations, affecting the financial sustainability of the banking system, we have to consider and create the practical mechanisms that will make these regulations actually work. It is important to consider the experience of other countries and also special characteristics of the country's economy.

In order to analyze the financial sustainability, we have to answer some questions:

- Does the banking system correspond to the criteria of the financial sustainability when the economic environment is unstable?
- What are the regulations controlling the financial sustainability?
- What kinds of actions are required from the management in order to improve the financial sustainability?

The financial sustainability itself represents the process of stimulation and self-organization, which is characterized by the continues search of the ways to achieve better financial conditions with consideration of limited financial capabilities. In other words, the financial sustainability means stability, which is achieved by finding the balance between the internal limited financial capacity and the external environment affecting it. Considering the aspects of acquiring the sources of financial funds, the financial sustainability means: total amount of the capital, total of mobile and immobile actives, liquidity ratio, ratio of the owned and borrowed cash assets, potential of the capital growth, annual amount of profits, presence of qualified staff, and professional

management.

The financial sustainability of the banks mainly depends on the adequate risk analyses, the risks that may appear in the process of operation of financial institutions. While working on the risk management in financial banks, the aim should not be the elimination of the risks but reaching the point when the risk factors are kept at the minimum, which is possible by creating a strategy that enables to control the risks in advance. The risk factor could be described as the probability of negative results of certain actions or decisions. For every commercial bank the risk is the probability of a loss or not gaining the income which was planned in advance.

The financial sustainability of commercial banks is basically described as the overall capacity of a bank to provide its liquidity without the loss of its assets. This is done by following the economic standards set by the central bank in order to provide stable work of the financial banks. The course of defining the risks may be disadvantageous due to the following: risks are viewed only from the position of banking theory without “considering the problems” of the bank. Under “considering the problems” we mean its nature and characteristics, because no matter how perfect the standards of the regulations are in minimizing the risks of negative effects for the banks, they still do not completely and adequately respond to sudden changes on the market of banking sector. Therefore, for defining the sustainability of the bank, the classification of risks should be based on the bank characteristics. This is extremely important for Georgia, since on one hand, the formation of the banking system considering their characteristics has not been finalized yet, and on the other hand, the intense concentration of the bank assets could result in a major differentiation of the banks. When studying the sustainability of the banks, this results in defining the market risk and liquidity risk, because they show the problems of financial sustainability of the bank in context of sudden changes in the competitive environment. Thus, the practical management of the bank assets regulations defines the financial sustainability of the bank. In our opinion, no matter how strong the financial data of the bank is, it might fail if it does not react accordingly to changes in the competitive environment. Their situation might be worse than of the banks with less impressive financial situation. Consequently, when studying the financial sustainability of the banks besides considering the liabilities, we should also consider the level of

regulation of major banking standards by the credit institutions .

It is vital to develop the risk management strategy, to distinguish the higher-priority and lower-priority risks, which will be determined by studying the creditworthiness of the borrower, determination of the amount of the loans per customer and insurance of the loan. Credit risks should also be considered as the higher-priority risks along with liquidity, interest rate, market, and solvency risks. Several factors should be considered when studying the credit risks: 1. analyses of the risk considering the aim of the loan; 2. analyses of the financial sources that would repay the loan; 3. analyses of the borrower's cash flow and credit portfolio; 4. portfolio investment management and using it to assist liquidity.

As for the risk assessment analyses, it should be based on the crediting policy implemented by each commercial bank representing the banking system. It should consider along with the banks nature and characteristics, the level of credit operations, prospects, and parameters of the implementation. This will help to generate the necessary reserve funds to cover the bad loans instead of reinvesting part of the profits received from the financial operations. In our opinion, this will help to regulate the disputes between the shareholders and depositors on certain activities of the financial institution and at the same time it will eliminate the risk to the depositors who fear their investments are not protected.

Improvement of the financial sustainability requires an optimal balance between the risk factors and implemented banking operations, determination of the standard of sufficient capital. Depositors are interested in gaining as much profit on their investments as possible, but they are also interested in securing their money. The standard of the sufficient capital makes banks control the safety of the investments, because the bank is risking not only with the borrowed capital, but also with its own assets, which is determined by the standard of sufficient capital. Therefore, different opinions suggesting lowering the standard of the sufficient capital and therefore increasing the lending opportunities is wrong in our opinion. The main reason to that is the fact that depositor's investment cannot be considered successful just for gaining more profit, but also for remaining safe investment in general. This factor shows the correlation between the income and safety of the investment. It has to be considered when making decisions in the process of loaning. In the period of

economic instability only few can be considered as a reliable partner, who cannot on their own get the country out of the crisis, if the banks are not going to be able to finance different sectors of the economy. This is possible only with the financial resources of high liquidity and the balanced level of financial funds in the system, effectively organized and reliable taxation system, stability of the microeconomic factors, low level of inflation, decrease of the budget deficit and development of the judicial system of the country.

The trends in the banking sector development in Georgia shows that they face the complicated process of adapting to the new economic reality. Many banks do not meet the certain standards of authorized capital, financial sustainability of their assets, acceptable level of risk factor to the customers, and therefore in recent years in the environment of competitive prices we witness the decrease in the number of operating banks. In the time of the economic instability in the country, the state should play a great role in stabilizing the economy and help the process of recovery.

Recently, restructuring the banks with bad credit portfolio, closing the banks that fail to meet the requirements of the authorized capital, or other economic standards, helped to stabilize in general the banking system in the country and make it financially sustainable. Despite this fact, regulation standards are insufficient to control the sustainability of the banks. In addition to that, the supervisory and regulatory system is in the process of creation. Considering these aspects, the legal regulatory framework which is in the process of developing should target two aspects: 1. creation of the system of guarantees that would gain trust of customers towards the banks, and 2. providing financial sustainability by strengthening the control over the system of commercial banks.

When studying the financial sustainability of the banks, in our opinion, we have to focus on the following aspects:

- What is the ratio of involvement of the bank's equity capital in the operations carried out by the bank?
- What are the capabilities of the bank in case they need to sell their assets in order to cover their liabilities quickly?

In 1998 the fiscal system and the economy in general were in crisis, which was aggravated and accelerated by the financial crisis in Russia. It affected the system of the commercial banks operating in that period. Increase in demand

to withdraw funds from banks by private and legal entities, inability to repay the loans, increase of the loss because of lowering exchange rate of Georgian Lari caused the worsening of the financial sustainability of the banks. These factors virtually put under question the existence of the banking system. In order to overcome these problems, the National Bank, as the lender of the last resort, chose the largest banks which controlled 80% of the whole market. Several measures were taken, they put restrictions on loaning the money to the banks, and they also allowed them to use their internal reserves till the permissible level of the risk. This approach became the basis for the signing the memorandum between the National Bank and commercial banks. In our opinion, this was a positive step and good timing in order to save the banking system and improve its financial sustainability. Additionally, we have to mention that worsening the situation in the banking system was also caused by subjective factors; certain economic interests of the different political groups, who were trying to diminish the importance of the National Bank's regulatory purpose and financial sustainability in general. The biggest obstacle appears to be stabilizing economic and financial sector in the country, which, in our opinion, should be taken into consideration at the current stage when there are various controversial statements about the major trends in the monetary and credit policy elaborated by the National Bank, and the responsibility of the bank should be defined in the event of the possible negative outcome. To be on the safe side and avoid likely decrease of the sustainability of the banking system in the future, we believe, it to be essential to implement the following: 1. fostering the development of the normative basis to strengthen the financial monitoring; in particular, following the regulations for monitoring and regulating commercial banks on the basis of responsive monitoring of the capital, in line with the international standards; 2. defining the sensitivity of the commercial bank assets to credit risks and specifically defining the major indicator of the financial state of banks – the sufficiency of the capital; 3. such measures will raise the monitoring requirements for ensuring the financial sustainability of each bank, and overall, the system of tightening the control; 4. improving the bank legislation, which stipulates the regulations for reserves in the event of the possible losses, will foster the process of liquidation of the license-withdrawn banks, as well as the process of developing the criteria for the responsibilities of persons assigned to the liquidation, and will also

enhance the mechanism of the comprehensive evaluation of the bank assets and control over the improvement of the financial sustainability of the banking system.

The respective practical experience can be illustrated by the example of the measures taken in the German banks, which act within the limits of law and on the basis of their significantly limited functioning. The banks are supervised by the Federal Financial Supervisory Authority. The Federal Financial Supervisory Authority inspects banks and together with the German Federal Bank elaborates the decrees such as: the Decree on the ratio between the bank equity and the amount of the loans granted. Another interesting experience of Germany in this field is the law binding banks to keep the confidentiality about any relations between the banks and their clients; however, there are some exceptions, like the prohibition to put funds from illegal sources into the legal banking operations.

The most significant factor affecting the improvement of the financial condition of the banking system is the underdeveloped legal basis, and the lack of the mechanism for factual enforcement of the adopted laws. Namely, this concerns the law on taxation, law on bankruptcy, and other legal acts. Other legal factors, which have negative impact on the financial sustainability of the banking system in large scope, comprise the legislation regulating the financial sector and ensure the bank activities throughout the entire Georgia.

In spite of recently taken significant steps in terms of adopting normative acts that regulate the financial sector, the progress in efficiency of the banks' performance and their financial sustainability is hindered by the lack of normative acts stipulating the enforcement of the mortgage regulating law; and the use of the mortgage in the bank deals is hampered by the procedure of registration of the estate ownership, as well as flaws in the laws on Land, Confidentiality in the Banking, etc. Namely, the guarantee granted by the legislation eventually does not secure the right of the guarantee holder, since the guarantee conditions should satisfy first the state, the internal revenue service, and other bodies, and only after that the interests of the guarantee holder; this, being the matter of the conflict in interests, limits the coverage area for such documents.

We believe, the most crucial factor for improving the financial sustainability of the banking system is the state of the financial resources in banks and

the dynamic of their loss. Banks attract funds from various sources, thereof the most important ones are as follows: equity of the banks, savings of the various population groups, and funds from the organizations and foundations.

The substantial contribution to building the financial sustainability of the banking system was the growth of the financial performance of the banking system that followed the decrease of banks in number and the respective increase in size. The bank deposit insuring system, as the mean of securing the interest of small deposit holders in the event of a bank going bankrupt, will be an additional factor for building trust in the banks and improving the condition of the banking system in the context of the situation in Georgia. Therefore, its introduction will have interrelated positive financial impact on the banking sector. It also has to be mentioned that the rate of the capital growth has been uneven in the past years, though this was due to the regulations for the minimal level of the foundation capital, and consequently, shareholding capital has been increased mainly through the increase of the net profit and the net interest income of banks.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Charles J. Woelfel, Encyclopedia of Banking and Finance, Cambridge, England 1994. p.57
2. ი. კოვზანაძე. საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თსუ გამომცემლობა. თბ. 2001 გვ. 207-217
3. თ. სტრაუდი. საბანკო სისტემის სტაბილურობისა და მისი კონკრეტული სტრუქტურის ფორმირების გხები საქართველოში. ჟურნალი „ბანკი“, 2000 N3, გვ. 50-51
4. გ. გამსახურდია, ი. ვაშაყმაძე. საქართველოს საბანკო სისტემის ეფექტიანობის ამაღლების ფაქტორული ანალიზი. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, 2005, N3, გვ. 42-52.



## ადგილის მარკეტინგის სტრატეგიები

### ეკატერინე ბახტაძე

ედ, ბათუმის შოთა რუსთაველის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი

ადგილის მარკეტინგი ადგილის განვითარების ძირითადი ასპექტია. პორტერი მის ნაშრომში „კლასტერები და კონკურენციის ახალი ეკონომიკა“ (1998 წ.) აღნიშნავს, რომ გლობალურ ეკონომიკაში კონკურენციული უპირატესობის მოპოვება ადგილობრივ ასპექტებზე დამოკიდებული, კერძოდ ცოდნაზე, ურთიერთობებზე, მოტივაციაზე.<sup>1</sup> დღესდღეობით ადგილის მარკეტინგი გახდა ადგილის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავების მნიშვნელოვანი ფუნქცია.

ადგილის მარკეტინგის სამიზნე ბაზრებია - საქონლისა და მომსახურების მწარმოებლები, კორპორაციული ფილიალები და რეგიონული ოფისები, ტურისტები, არსებული და პოტენციური რეზიდენტები. ადგილის მარკეტინგის მომხმარებლები ხდებიან უფრო მომთხოვნი, რაც ქალაქებს, რეგიონებს და ქვეყნებს აიძულებთ განახორციელონ სხვადასხვა სახის აქტივობები გარემოს დაბინძურების გამომწვევი პრობლემების მოსაგვარებლად, ახალი ურბანული პოლიტიკის შესამუშავებლად, ცნობადობის გასაზრდელად, სოციალური ინიციატივის დასანერგად.

ადგილის მარკეტინგი არის ბუნებრივი ელემენტი, რომელიც ინტეგრირებულია ადგილის ეკონომიკის განვითარებასთან. ადგილისთვის დამატებითი ფასეულობების შექმნის პროცესი მოიცავს შემდეგ ნაბიჯებს:

- მოქალაქეები, ბიზნეს სუბიექტები და ვიზიტორები უზრუნ-

### რეზილიური ეკონომიკა

ველყოფილნი უნდა იყვნენ საბაზისო მომსახურებით და საჭირო ინფრასტრუქტურით.

• ადგილს ჭირდება ახალი ატრაქციები მიმდინარე ბიზნესებისა და საზოგადოების მხარდასაჭერად, ახალი ინვესტიციების მოსაზიდად.

• ადგილს ჭირდება მეტი კომუნიკაცია ძლიერი იმიჯისა და საკომუნიკაციო პროგრამის შესაქმნელად.


ადგილის წარმატებით განვითარების განმსაზღვრელია შემდეგი მიღები:

• **საზოგადოებრივი მომსახურების განვითარება.** იქმნება მოქალაქეებისათვის და პოტენციური რეზიდენტებისთვის ხელსაყრელი საცხოვრებელი გარემო. ის შესაძლებელია მოიცავდეს კარგ სკოლებს, განვითარებულ ჯანდაცვის სექტორს, ყოველდღიური მომსახურების ობიექტებს, შესაბამისად ყველაფერს, რაც განაპირობებს ცხოვრების მაღალ ხარისხს.

• **ურბანული რეკონსტრუქცია და დაგეგვმა, რომელიც ფოკუსირებულია ადგილის იერ-სახის, დიზაინის ხარისხის გაუმჯობესებაზე. კერძოდ ის მოიცავს არქიტექტურას, გამოყენებულ და ასათვისებელ ტერიტორიებს, ქუჩების დაგეგმარებას, გარემოს ხარისხს. ურბანული დიზაინერები ყურადღებას ასევე ამახვილებენ ეკოლოგიურ საკითხებზე, მოსახლეობის სიმჭიდროვეზე, ტრანსპორტის მოძრაობაზე და პარკინგის საკითხებზე, ჰერის დაბინძურებაზე.**

**ეკონომიკური განვითარება.** ეკონომიკის განვითარების წარმომადგენლები განცალკევებული არიან საზოგადოებრივი დაგეგვმის წარმომადგენლებისგან. ბიზნესის განვითარების ვმოდელია: პირველი მოდელის ფარგლებში ეკონომიკური განვითარების აქტივობები საზოგადოებრივი კონტროლის ქვეშ ხდება - ე.წ. In-house მოდელი, შერეული მოდელის შემთხვევაში პასუხისმგებლობა გადანაწილებულია კერძო და საზოგადოებრივ სექტორს შორის (ეს მოდელი ფართოდაა გავრცელებული ევროპაში და ვფიქრობ, საქართველოში ანალოგიურ მოდელს აქვს ადგილი) და ბოლოს აუთსორსინგის მოდელი, როდესაც ადგილის მარკეტინგის დაგეგვმა და შესაბამისი მომსახურების შემება კონსალტინგური კომპანიისგან ხდება.

• ადგილის განვითარების დინამიკა შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სქემით



საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი ქალაქი შემდეგ კრიტერიუმებს უნდა პასუხობდეს:

- მილიონზე მეტი მოსახლეობა, მრავალფეროვანი კვალიფიციური სამუშაო ძალა, უნივერსიტეტების არსებობა, მაღალი დონის კვლევითი საქმიანობის ჩატარების შესაძლებლობები, სრულყოფილი ინფრასტრუქტურა;
- საერთაშორისო დონის ღონისძიებები, ქალაქში ეკონომიკური, სამეცნიერო, კულტურული ქსელების, საფინანსო ცენტრის არსებობა, საპარავო მიმოსვლა, კარგად განვითარებული ტელეკომუნიკაციები;
- საერთაშორისო დონეზე მომსახურების ხელმისაწვდომობა, საერთაშორისო კორპორაციების ფილიალების მოზიდვა;
- ინფრასტრუქტურა, რომელიც იძლევა საერთაშორისო ღონისძიებების ჩატარების შესაძლებლობას: კონგრესები, გამოფენა-ბაზრობები და ფესტივალები;
- უცხოელი ოფიციალური პირები, ბიზნეს ლიდერები, რომლებსაც აქვთ საკუთარი წარმომადგენლობები.

ადგილის მარკეტინგის შემთხვევაში სტრატეგიული დაგეგვმის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- ადგილის აუდიტი - SWOT
- მისია და მიზანები
- სტრატეგიის ფორმირება
- სამოქმედო გეგმები
- გეგმის განხორციელება და მოდელის ფორმირება

SWOT ანალიზი არის პრობირებული ინსტრუმენტი ადგილის ხილული ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების შესაფასებლად. ადგილის მარკეტინგის პროცესში ერთვებიან, ერთის მხრივ, მომხმარებლები, რომლებსაც აქვთ რიგი საჭიროებები, მოთხოვნილებები და მოთხოვნები, ხდება სამომხმარებლო ბაზრის სეგმენტაცია და კონკრეტული სეგმენტის ხელში ჩასაგდებად სტრატეგიის განსაზღვრა. მეორე მხრივ, ადგილის მარკეტინგის პროცესის მონაწილეები არიან მწარმოებლები, რომლებიც მომხმარებლისთვის ქმნიან შესაბამის მომსახურებას და პროდუქციას.

ადგილის მარკეტინგი შეიძლება მოიცავდეს შერჩეული მომსახურების პაკეტის გაყიდვას ან მთლიანად ადგილის შეთავაზებას, მნიშვნელოვანია ადგილის იმიჯის შექმნაზე მიზანმიმართული მუშაობა. ადგილი არის პროდუქტი, რომლითაც დაინტერესებულია ბევრი სხვადასხვა მომხმარებელი ან მომხმარებელთა ჯგუფები.

საჯარო და კერძო ორგანიზაციები კი წარმოადგენენ „ადგილის - პროდუქტის“ მწარმოებლებს. რეკლამირება და პრომოუშენი მარკეტინგის მთავარი ინსტრუმენტებია. კონკრეტული ინსტრუმენტების გამოყენება კი დამოკიდებულია ორგანიზაციის მიზნებზე და შერჩეულ სტრატეგიებზე. ყოველი სტრატეგია მოიცავს მარკეტინგული აქტივობების განსაკუთრებულ მიერს. პოლიტიკური ჩართულია ადგილის მარკეტინგის პროცესში.

ადგილი შესაძლებელია წარმოვიდგინოთ შემდეგი მიმართულებით:

- ადგილი, როგორც მახასიათებლების ერთობლიობა. ის მოიცავს მასში ყველა ფასეულობას, ესთეტიკურ ურბანულ იერსახეს;
- ადგილი, როგორც გარემო, რომელიც მოიცავს, როგორც ბუნებრივ გარემო პირობებს, ისე არსებულ ინფრასტრუქტურას. ინ-


ფრასტრუქტურა უნდა პასუხობდეს ადგილის შემდგომი განვითარების პრიორიტეტებს.

- ადგილი, როგორც მომსახურების მიმწოდებელი, კერძოდ, ის მოითხოვს უსაფრთხოების, საგანმანათლებლო, ტურისტული პროგრამების განვითარებას.

- გართობის და რეკრეაციის ადგილი - რესტორნები, მუზეუმები, სპორტული მოედნები.

ადგილის მარკეტინგის 4 სტრატეგია არსებობს:<sup>1</sup>

#### სტრატეგიის



„დამარცხებულებს“ აქვთ ადგილის მარკეტინგის სტრატეგიის შექმნისა და განხორციელების დაბალი უნარი. „გამფართოებლებს“ აქვთ როგორც სტრატეგიის ფორმირების, ისე მისი განხორციელების მაღალი უნარი. ისინი ქმნიან გრძელვადიან სტრატეგიას და ამუშავებენ შესაბამის სამოქმედო გეგმებს. „ხელისშემშლელებს“, მიუხედავად იმისა რომ აქვთ კარგი სტრატეგია, მისი განხორციელების უნარი ძალიან დაბალია. „მოთამაშეები“ განიცდიან სტრატეგი-

1 Marketing places by Philip Kotler, Donald Haider and Irving Rein (2002)

ული ხედვის უკმარისობას, თუმცა აქტიურობით აღწევენ მოკლევადიან წარმატებას. ადგილის მარკეტინგის პროცესი უნდა მოიცავდეს დაბალანსებულ სტრატეგიის განხორციელების ძალისხმევას. ადგილის მარკეტინგის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილის სწორად პოზიციონირებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აჭარის რეგიონი და განსაკუთრებით ქალაქი ბათუმი, რომლის წინაშე ბევრი გამოწვევაა - ტურისტების რიცხვის ზრდა, მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების წარმატებით განხორციელება, სივრცითი დაგეგმარების პროექტის მიხედვით რეგიონის შემდგომი განვითარება, უძრავი ქონების ბაზრის სრულყოფა და განვითარება ადგილის მარკეტინგის სტრატეგიების მიხედვით „მოთამაშის“ მდომარეობაშია.

აჭარის რეგიონს და არც ქალაქ ბათუმს არ გააჩნია ადგილის მარკეტინგის მხრივ განვითარების სტრატეგია, თუმცა ამ მიმართულებით ხორციელდება რიგი აქტივობები და ადგილობრივ დონეზე ძირითად მოთამაშეებს წარმოადგენენ ქალაქის მერია, აჭარის მთავრობა, აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საინვესტიციო და საინფორმაციო სამსახური, საერთაშორისო ურთიერთობების, ქალაქმშენებლობის დეპარტამენტი, ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი და მასთან არსებული ტურისტული საგენტო, სავაჭრო-სამრეწველო პალატა, ინვესტორთა საერთაშორისო ასოციაცია.

2006 წლიდან რეგიონის მთავრობა მონაწილეობას ღებულობს უძრავი ქონების საერთაშორისო გამოფენაში - MIPIM-ში, რომელშიც ასევე მონაწილეობს კერძო სექტორთან (სამშენებლო და დიველოპერი კომპანები) ერთად. 2011 წელს შეიქმნა საინვესტიციო-საინფორმაციო სამსახური, რომლის ვებ-საიტია [www.investinbatumi.ge](http://www.investinbatumi.ge). საიტზე მოცემულია ინფორმაცია რეგიონის საინვესტიციო შესაძლებლობების, საპრივატიზაციო ობიექტების, რეგიონში მიმდინარე საინვესტიციო პროექტების შესახებ, ინვესტორებისათვის გზამკვლევი და სექტორული პრეზენტაციები. საინვესტიციო სამსახურის სლოგანია “A Smart Choice For Your Investments”. სამსახური აქტიურად თანამშრომლობს საპრივატიზაციო დეპარტამენტთან, ახდენს პოტენციურ ინვესტორებთან და დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების ორგანიზებას. სამსახურს აქვს საკუთარი ოფისი

მსგავსი შეხვედრებისთვის და პრეზენტაციების ჩასატარებლად. საინვესტიციო-საინფორმაციო სამსახურის სტატისტიკით 2011-2013 წლებში მომსახურება გაეწია 1143 ვიზიტორს. მათი ინტერესის სფეროს წარმოადგენდა საინვესტიციო კლიმატი, ტურიზმის, მრეწველობის და მშენებლობის სექტორი და ბინათმშენებლობები.

საყურადღებოა, რომ აჭარის რეგიონის ბრენდინგი ბათუმის სახელის ქვეშ ხდება. ბათუმი მისი ისტორიით, ცნობადობით, აქტიური რეკლამირებით ამის საშუალებას უკეთ იძლევა. სამინისტროს მიერ მზადდება საპრომოუშენო მასალები Invest in Batumi-ის სახელით, ერთ საპრომოუშენო პეკეტში თავმოყრილია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე, ინგლისურ ენაზე შესრულებულ მასალები "Fact and Figures", "Why Batumi", „Tax Pocket Book“, ბუკლეტები რეგიონის ეკონომიკის წამყვანი მიმართულებების შესახებ - ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, მსუბუქი მრეწველობა, უძრავი ქონება.

აჭარის რეგიონის შესახებ ინფორმაცია ვრცელდება ვებ-პორტალზე [www.locations4business.com](http://www.locations4business.com). 2012 წელს ჩატარდა კაზინოს ინვესტორთა საერთაშორისო კონფერენცია. მოეწყო ბიზნეს ფორუმები უკრაინის, თურქეთის, სომხეთის მხარეებთან ერთად, ასევე განხორციელდა საინვესტიციო ტურები უკრაინაში, აზერბაიჯანში, თურქეთში. რეგიონი მონაწილეობდა უძრავი ქონების გამოფენა-ბაზაზობებზე - სტამბულში, სინგაპურში, ჰონკონგში, მიუნხენში. ცნობილ ევროპულ უურნალში, რომლის პროფილია უძრავი ქონება - Europa-RI დაიბეჭდა სტატია აჭარის საინვესტიციო გარემოსა და პოტენციალის შესახებ. ბათუმში ბოლო ორი წელია ტარდება „სამშენებლო და დიზაინის საერთაშორისო გამოფენა ბაზრობა“.

2012 წელს აჭარის რეგიონმა მიიღო ამერიკის აკადემიის სტუმართმასპინძლობის სამეცნიერო ჯილდო „Five Star Diamond Award“ შემდეგ ნომინაციებში: აჭარის რეგიონი, როგორც ინვესტორისთვის მეგობრული რეგიონი და ბათუმი, როგორც ახალი ტურისტული დანიშნულების ადგილი.

ბათუმში 2009 წლიდან ფუნქციონირებს საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაცია, რომელიც 25 წევრ კომპანიას აერთიანებს. მათი მოღვაწეობის სფეროებია კვების მრეწველობა, საფეიქრო წარმოება, მშენებლობა, საბანკო და სადაზღვეო სფერო, სასტუმროები და სხვა. კომპანიების მიერ განხორციელებული ინ-

ვესტიციები 800 მილიონ აშშ დოლარს აღემატება და მათ მიერ რეგიონში დასაქმებულია 16 000 ადამიანი. ასოციაციის მიზანია ბიზნესის გარემოს გაუმჯობესება, ქვეყნის, რეგიონის წარმოჩენა საერთაშორისო ბაზრებზე. ასოციაცია ეწევა აქტიურ PR საქმიანობას, აწყობს ბიზნეს ფორუმებს და კონფერენციებს, ეწევა ქველმოქმედებას.

ზემოთ აღნიშნული აქტივობების ეფექტურობისთვის მნიშვნელოვანია რეგიონს გააჩნდეს განვითარების მარკეტინგული სტრატეგია, რომელიც მას „მოთამაშის“ მდგომარეობიდან „გამფართოებელის“ მდგომარეობაში გადაიყვანს. ადგილის მარკეტინგის სტრატეგიის შესაქმნელად შესაწავლილი უნდა იქნეს სხვადასხვა წარმატების ინტეგრირებული ფაქტორები (საოფისე ფართების და ბაზრების ხელმისაწვდომობა, სატრანსპორტო კავშირი სხვა ქალაქებთან და ქვეყნებთან, ტელეკომუნიკაციის ხარისხი, ბიზნეს კლიმატი, საოფისე ფართის ღირებულება, კვალიფიციური კადების ხელმისაწვდომობა და სხვა).<sup>1</sup> წარმატების ფაქტორების დასადგენად მარკეტინგულმა კვლევამ უნდა მოიცვას უცხოური ფირმები და ორგანიზაციები, უცხოელი ინვესტორები, მეწარმეები, ადგილობრივი მაცხოვრებლები და პოტენციური რეზიდენტები, ვიზიტორები (ბიზნეს ვიზიტორები და ტურისტები). ადგილის მარკეტინგის სტრატეგიის შექმნა და განხორციელება აქტივობების მთელი სერიაა, რომელშიც უნდა ჩაებას ყველა დაინტერესებული მხარე და გადანაწილდეს ვალდებულებები და ფუნქციები.

<sup>1</sup> Seppo K Rainisto. Success factors of Place marketing. A study of place marketing practices in North Europe and the United States.

## ლეგისტრაციული ეპონომიკური პრესიტიპა განვითარებულ ჰიერარქია

ნინო მაზიაშვილი  
ეკონომიკის დოქტორი  
ხათუნა ხარხელაური  
ეკონომიკის დოქტორი

დღევანდელ მსოფლიოში რეგიონულ და გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში ქვეყნის ინტეგრირებას მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა განსაზღვრავს. სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკა არის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და რეგიონული ინტერესების მიზნით ახალი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანების განსაზრვრისა და განხორციელების მექანიზმი. სახელმწიფოს რეგიონულმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის მთლიანობა და სახელმწიფოს სტაბილურობა, ტერიტორიის შემადგენელი ნაწილების (რეგიონები) სახელმწიფოებრივი, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ეკოლოგიური განვითარების კომპლექსურობა. დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონული პოლიტიკის ფორმირებას და პრაქტიკულ რეალიზაციას. რეგიონული პოლიტიკა წარმოდგენილია როგორც სახელმწიფო პოლიტიკა მსხვილ ტერიტორიულ წარმონაქმნებთან მიმართებაში, რომელიც მოიცავს გეოპოლიტიკურ, ისტორიულ, სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ თავისებურებებს. რეგიონული პოლიტიკა აწესრიგებს ურთიერთობებს ცენტრალურ ხელისუფლებასა და რეგიონებს შორის, განსაზღვრავს უფლებებს და მოვალეობებს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულების, მათ შორის ისეთების, როგორიცაა: პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობის მიღწევა, ეკონომიკური ეფექტიანობის მიღწევა, შრომითი რესურსების ეფექტიანი გამოყენება, დემოგრაფიული პოლიტიკა, ინოვაციური პოლიტიკა, ეკოლოგიური პოლიტიკა და სხვ. რეგიონული პოლიტიკის ფორმირებისა და რეალიზაციის წარმატებული გამოცდილება

## რეგიონები ეპონომიკა

დაგროვდა ევროკავშირის ქვეყნებში, აშშ-ში, ჩინეთში და სხვა. აშშ-ს რეგიონული პოლიტიკა არის კლასიკური მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა მოხდეს რეგიონების დამოუკიდებელი განვითარების სტიმულირება. ასეთი პოლიტიკის შედეგად აშშ-ს რიგი შტატები გადაიქცნენ მაღალი ტექნოლოგიების მსოფლიო ცენტრად. ჩინეთში რეგიონული პოლიტიკა ხასიათდება პროვინციების ეტაპობრივი ჩართვით შრომის საერთაშორისო დანაწილებაში. ქვეყნის ღია ეკონომიკის “ლოკიმოტივები” გახდნენ მრეწველურად შედარებით განვითარებული ზღვისპირა პროვინციები, სადაც შეიქმნა სპეციალურ ეკონომიკური ზონები.

დასავლეთის ქვეყნებში ფართოდ გამოიყენება გადამანანილებელი და მასტიმულირებელი რეგიონული პოლიტიკა. გადამანანილებელი ნიშნავს დეპრესიული რეგიონებისადმი ფინანსურ დახმარებას რეგიონების ხარჯზე. მასტიმულირებელ პოლიტიკას იყენებენ უპირატესად მაღალგანვითარებული სახელმწიფოები. ამჟამად ევროკავშირის ფარგლებში მიმდინარეობს რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების პროცესი, რაც უპირველეს ყოვლისა გამოიხატება იმაში, რომ თითქმის გაორმაგდა რეგიონებისათვის გამოყოფილი ფინანსური სახსრები. რეგიონული პოლიტიკა ევროკავშირის ქვეყნების მიმართ არაერთგვაროვანია, რადგან განსხვავებულია მასში შემავალი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეები. ევროკავშირის ქვეყნებში გატარებული რეგიონული პოლიტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი პრაქტიკულად მიმართულია იმ პირობების შექმნისაკენ, რომელიც რეგიონებს აძლევს საშუალებას სრულად მოახდინონ მათი ადგილობრივი პოტენციალის რეალიზაცია და ამით გაზარდონ მათი წილი ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში, რაც უპირველესი ამოცანაა ევროკავშირის ქვეყნების რეგიონული პოლიტიკისა.

მსოფლიოს პრაქტიკა ადასტურებს, რომ რეგიონების დაფინანსებისათვის მთელ რიგ ქვეყნებში ფართოდ გამოიყენება სესხები, მათ შორის, საბანკო, საბიუჯეტო და სხვა სახის კრედიტები. დაფინანსების აღნიშნული მექანიზმის გამოყენება განპირობებულია იმით, რომ რეგიონები ვერ უზრუნველყოფენ მიმდინარე

სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობის დაფინანსებას საკუთარი შემოსავლებისა და ზემდგომი ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერებით, ხოლო მეორეს მხრივ, იმით, რომ რიგი სოციალური ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური პროექტების დაფინანსების სხვა დროისათვის გადადება მათი სასიცოცხლო მნიშვნელობიდან გამომდინარე არამიზანშეწონილია. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში განსაკუთრებული გავრცელება პპოვა რეგიონულმა გრძელვადიანმა სესხებმა-მუნიციპალურმა ობლიგაციებმა და საგირაო ფურცლებმა. განვითარებული ქვეყნების რეგიონული პოლიტიკის მნიშვნელოვანი რგოლია რეგიონული ფონდები, რომლებსაც მიზნობრივი ხასიათი გააჩნიათ. მათგან ხდება სესხების გაცემა და მიზნობრივი რეგიონული პროგრამების დაფინანსება. რეგიონული დაფინანსების ერთ-ერთი სპეციფიკური დამოუკიდებელი რგოლია საწარმოთა ფინანსები. მათ განეკუთვნებათ მუნიციპალური საგზაო, სატრანსპორტო, წყლის, ელექტროენერგიის და გაზის მომარაგების საწარმოები, ადგილობრივი საწარმოები უზრუნველყოფები მოსახლეობის მომსახურებას, ხელს უწყობენ კერძო სექტორის ფუნქციონირებას და განვითარებას. განვითარებული ქვეყნების ფინანსურ სისტემაში თანდათანობით ძლიერდება სახელმწიფო დაფინანსების საწარმოების როლი და მნიშვნელობა. მიუხედავად ამ ბოლო წლებში განხორციელებული პრივატიზაციისა, სახელმწიფო და მუნიციპალური საკუთრება კვლავაც ინარჩუნებს საკმაოდ მდგრად პოზიციას.

უამრავი ქვეყნის რეგიონული ბიუჯეტებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება დეფიციტურობის საკითხი. საკმაოდ მაღალია დეფიციტის დონე იტალიის, ესპანეთის, ბელგიის, რეგიონულ ბიუჯეტებში. ასევე, საწარმოების დაფინანსების უფლების მეოთხე ქალაქი, საფრანგეთის 50-მდე ქალაქი, სადაც მოსახლეობის რიცხოვნობა 10 ათას კაცზე მეტია: გამომდინარე აქედან, სულ უფრო იზრდება სუბსიდიების, როგორც ადგილობრივი ბიუჯეტების დეფიციტის დაფინანსების წყაროს როლი და მნიშვნელობა. მრავალ ქვეყანაში სუბსიდიების მეშვეობით ხდება რეგიონული ბიუჯეტების ნახევარზე მეტი შემოსავლების ფორმირება.

აშშ-ში ბიუჯეტაშორისი ურთიერთობები ხასიათდება შე-

დარებითი მოქნილობით, სიმტკიცით და მდგრადობით. აშშ-ს სახელმწიფო მოწყობის შესაბამისად, ქვეყნის ფინანსური სისტემა წარმოდგენილია სამი დონით: ფედერალური, შტატების დონე და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების დონე. ძირითადი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ უმეტესი ნაწილი თითოეულ დონეზე ფინანსდება საკუთარი შემოსავლების წყაროებით. ფედერალური ბიუჯეტიდან ხდება ყველა დონეზე ხარჯების უმეტესი ნაწილის დაფინანსება. საბიუჯეტო შემოსავლების ძირითადი წილი მოდის გადასახადებზე. გადასახადების სახეები, მათი განაკვეთები ისეთნაირად გადანაწილდება ტერიტორიული დონეების მიხედვით, რომ მოხდეს ქვეყნის და მოქალაქეების მოთხოვნილების ოპტიმალურად დაკმაყოფილება და თავიდან იქნას აცილებული მეტისმეტი საგადასახადო წესები.

კანადისათვის დამახასიათებელია კლასიკური სოციალურად ორიენტირებული საბიუჯეტო ფედერალიზმი. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს გააჩნიათ საკუთარი გადასახადება. მათ ფინანსური დახმარება გაეწევათ საერთო სახელმწიფოებრივი საგადასახადო შემოსავლებიდან. პროვინციებს და მუნიციპალიტეტებს უფლება აქვთ საბაზო ფედერალურ განაკვეთებს დაამატონ თავიანთი საგადასახადო განაკვეთები. კანადა ფედერალური მოწყობის სახელმწიფოა, რომელშიც შედის 10 პროვინცია და ორი ტერიტორია. კანადის საბიუჯეტო შემოსავლებში მთავარი ადგილი განეკუთვნება ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადს. კორპორაციის შემოსავალზე გადასახადს, აქციზს, იმპორტზე ბაჟს. ამ სახეობებზე შემოსავლები ჩაირიცხება როგორც ფედერალურ ბიუჯეტში, ასევე პროვინციებისა და ტერიტორიების ბიუჯეტებში კანონით დადგენილი პროპორციებით.

გერმანიაში ბიუჯეტაშორისი ურთიერთობა ეფუძნება “საერთო” გადასახადებს, რომელთა შემოსულობები ნაწილდება ტერიტორიული იერარქიის ყველა დონეზე, თანაც ისე რომ, შემცირდეს განსხვავება “მდიდარ” და “ღარიბ” მიწებს შორის. პირდაპირი ფინანსური დახმარება ზემდგომი ბიუჯეტიდან შედარებით მნირია, თუმცა არსებობს მრავალრიცხოვანი და საკმაოდ მსხვილი რეგიონული განვითარების ფედერალური და ერთობლივი პროგრ-

ამები. გერმანიაში შედარებით მსხვილი საგადასახადო წყაროებით ხდება ფედერალური ბიუჯეტისა და მიწების ბიუჯეტების შევსება, რომელთა შორის მთავარია ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადი. გერმანიისათვის დამახასიათებელია სამსაფეხურიანი სისტემა. საშემოსავლო გამოთანაბრება ფედერაციის სუბიექტებს შორის დღგ-ს შემოსავლებიდან ხდება შემდეგნაირად: მიწებიდან დღგ-ს საერთო შემოსავლებიდან 25% ნანილდება ყველა მიწებს შორის, ამასთან, ამ თანხის 25% მიმმართება დაბალი საგადასახადო პოტენციალის მიწებზე, ხოლო დარჩენილი 75% გადანაწილდება მოსახლეობის რიცხვენობის პროპორციულად. მეორე სახე, ბიუჯეტთაშორისი გამოთანაბრების, გულისხმობს არასაბიუჯეტო რესურსების გადანაწილებას მიწების ბიუჯეტებს შორის ფედერალური ხელისუფლების მხრიდან ჩაურევლობით. ფინანსური მხარდაჭერის მესამე სახე გულისხმობს ზოგიერთი ტერიტორიებისათვის პირდაპირი ფედერალური გრანტების გამოყოფას. ამასთან განასხვავებენ ტრანსფერებს დაბალი საბიუჯეტო შემოსავლების დონის ტერიტორიებისათვის და იმ ტერიტორიებისათვის, რომლებსაც მაღალი საბიუჯეტო შემოსავლები აქვთ, მაგრამ ტრანსფერები გამოყოფათ აღმოსავლეთის მიწებისათვის სასარგებლოდ მაღალი გამოთანაბრებითი გადასახდელებისათვის, აგრეთვე ტრანსფერები რეგიონული ბიუჯეტების დავალიანებების დასაფარად, ტრანსფერებს აღმოსავლეთის მიწებისათვის ინვესტიციებისა და ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის.

საფრანგეთის ადგილობრივ ფინანსებში წამყვანი როლი განეკუთვნება ადგილობრივ ბიუჯეტებს. ქვეყნის 39 ათას ტერიტორიულ ერთეულს გააჩნია თავისი ბიუჯეტი. ადგილობრივი შემოსავლების წყაროა საკუთარი (საგადასახადო და არასაგადასახადო) შემოსავლები და მოზიდული (სახელმწიფო სუბსიდიები და სესხები) სახსრები. ადგილობრივი გადასახადებიდან აღსანიშნავია: მიწის გადასახადი, გადასახადი საბინაო ნაგებობებზე, გადასახადი პროფესიაზე, რომელიც აიკრიბება ნებისმიერი პირისაგან, რომელიც ეწევა სამრეწველო საქმიანობას. რეგიონებში ფინანსური რესურსების უკმარისობა განაპირობებს დამატებითი სახსრების მოზიდვის აუცილებლობას. სახელმწიფო ადგილობრივ ხელისუ-

ფლებას გადასცემს სუბსიდიებს, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების თითქმის 20%-ს შეადგენს. არსებობს ორი სახის სუბსიდია: მიმდინარე ხარჯებზე, ძირითადად სოციალურ დახმარებაზე და კაპიტალურ მშენებლობაზე. გარდა სუბსიდიებისა, ადგილობრივი ორგანოები იყენებენ ფულადი ბაზრებიდან მოზიდულ სესხებს. საფრანგეთის საბიუჯეტო სისტემისათვის დამახასიათებელია მრავალრიცხოვანი სპეციალური ფონდების არსებობა, როგორც სახელმწიფო, ასევე რეგიონულ დონეზე. ასეთი ფონდებია: სახაზინო ანგარიშები, საფინანსო-საკრედიტო ორგანოების მრავალფეროვანი ფონდები, სოციალური ბიუჯეტი.



## დარგობრივი ეკონომიკა



### შრომისუნარიანი მოსახლეობა შრომისუნარიან ასაგში

ქეთევან კინმარიშვილი  
ეკონომიკის დოქტორი

დასაწყისისათვის განვიხილოთ შრომისუნარიანი მოსახლეობა და შემდეგ მისი შრომისუნარიანი ნაწილი, რადგანაც შრომითი რესურსების შემადგენლობაში არ ითვლიან I-II ჯგუფების ინვალიდებს.

დემოგრაფიული ფაქტორის ზეგავლენით შრომისუნარიანი ასაკის მოქალაქეთა რიცხვი მთელ მოსახლეობასთან შეფარდებით იცვლება. თუ რამდენი იქნება ეს მოსახლეობა დამოკიდებულია შესაბამისი ასაკის სიკვდილიანობის დონეზე, აგრეთვე შრომისუნარიან ასაკს მიღწეულ ახალგაზრდათა რაოდენობის შეფარდებასთან საპენსიო ასაკამდე მიღწეულ მოქალაქეთა რაოდენობასთან. რაც უფრო დაბალია სიკვდილიანობა და დიდია განსხვავება შრომიუნარიან ასაკამდე მიღწეულთა და ამ ასაკს გადაცილებულთა რაოდენობათა შორის, მით უფრო მეტია ან ნაკლები შრომისუნარიანი ასაკის მოქალაქეთა რიცხვი.

საქართველოს დემოგრაფიული სიტუაციისათვის დამახასიათებელია სიკვლიდიანობის მაღალი მაჩვენებელი და როგორც შედეგი — სხვა მრავალი ქვეყანასთან შედარებით სიცოცხლის დაბალი მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას<sup>1</sup>.

<sup>1</sup> დაახლოებით 2000 წლიდან თვალნათლივ გამოიკვეთა ტენდენცია მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობის საშუალო მაჩვენებლის შემცირებისაკენ. შედეგად უკვე 2005 წლიდან საქართველო ამ მაჩვენებლით საგრძნობლად ჩამორჩა სხვა ქვეყნებს. ცხოვრების ხანგრძლივობის შემცირება-არაკანონზომიერი ფაქტია. იგი განპირობებულია არახელსაყრელ ფაქტორთა რიგით, რომელთაც გარდამავალი ხასიათი აქვთ: კვების დაბალი ხარისხი, ცუდი ეკოლოგია, ცხოვრებისა და მუშაობის არადამაკამაყოფილებელი პირობები, ჯანდაცვის ცუდი მდგომარეობა და ა.შ.

### დარგობრივი ეკონომიკა

შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის შევსება მოზარდთა ხარჯზე და შემცირება საპენსიო ასაკის მიჯნას გადაცილებული ხალხის ხარჯზე როგორც ამ მოსახლეობის რაოდენობის ჩამომყალიბებელი ფაქტორი ისტორიულ ხასიათს ატარებს.

ყველა ცვლილება, რომელიც ხდება შობადობისა და სიკვდილიანობის დონეებზე, თავს იჩენს 16 წლის მერე, მათ რიცხვზე ვინც „ავსებს“ და 60-65 წლის შემდეგ იმათ რაოდენობაზე, ვინც „ამცირებს“.

საქართველოს ისტორიის თავისებურებანი დიდ გავლენას ახდენენ შრომისუნარიანი ასაკის რაოდენობის დინამიკაზე.

მოსახლეობის განახლებაზე მუდმივად მოვლენა-თა პუნქტრივი მიმდინარეობის პარალელურად იყო ომებიც — I მსოფლიო, სამოქალაქო, სამამულო, აფხაზეთის, სამაჩაბლოსი. ინდუსტრიალიზაციას და კოლექტივიზაციას, მასიურ რეპრესიებს მოჰყვა მრავალი მოქალაქეს სიკვდილი მშვიდობიან დროს. ამის შედეგად განახლების პროცესები ძლიერ დაზიანდა. საოცარი დეფორმაცია განიცადა მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივმა სტრუქტურამაც. პერიოდულად მძაფრ ცვლილებებს განიცდი-და პროპორციები მათ შორის, ვინც აღნევდა საპენსიო ასაკს და შრომისუნარიან ასაკს. ამის შედეგად შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა ძალზე არათანაბრად მერყეობდა. უცაბედი აღმავლობა ღრმა ჩავარდნებით იცვლებოდა. ამ რაოდენობის მორიგი ხანგრძლივი ჩავარდნა დაინტენსიური ცალკეულ წლებში მისი დაცემაც აღინიშნა. ეს უჩვეულო გარემოება ორი წინაპირობით იყო გამოწვეული. I — შრომისუნარიან ასაკს მიაღწიეს დაბალი შობადობის წლებში დაბადებულმა. II — შრომისუნარიანი ასაკიდან გამოვიდნენ ისინი, ვისი დაბადებაც მაღალი შობადობის წლებს დაემთხვა.

რაოდენობის ტალღისებური ცვლილება საქართველოს შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის დინამიკის განმასხვავებელია, როგორც თავისებური ექი ისტორიული დრამატიზმით აღსავსე წარსულისა. მსგავსი უთანასწორობა კიდევ მრავალი წლის განმავლობაში იქნება საგრძნობი, თუმცა თანდათან შეწყდება. მოსახლეობის რაოდენობის ხანმოკლე ზრდის შემდეგ ქვეყანაში ისევ

მოსალოდნელია შემცირების ხანგრძლივი პერიოდი. შრომისუნარიან ასაკს მიაღწევენ 1994-იანი წლების მცირერიცხოვანი კონტინგენტები, ხოლო პენსიონერთა რიცხვი, პირიქით 1950-იან წლებში დაბადებული მრავალრიცხოვანი კონტინგენტი შეემატება.

შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის ტალღისებრი დინამიკა, ეკონომიკასა და შრომითი სფეროების წინაშე ამ დინამიკასთან ადაპტაციის ძნელ ამოცანას აყენებს. რბილი გადასავლები ყოველგვარი მძაფრი ნახტომების გარეშე ეკონომიკასა და სოციალური განვითარებისათვის მეტად ხელსაყრელ პირობებს ქმნის შრომით სფეროში წარმოქმნილ პრობლემათა გადასაწყვეტად.

ეს განსაკუთრებით აქტუალურია ეკონომიკის საბაზრო საფუძველზე გადასვლისას. მაგრამ მოკლე დროით ამ „ტალღისებურობაში“ შესაძლოა დადებითი როლი ითამაშოს. 1995 წ. დასასრულს წარმოების მძაფრმა დაცუმამ, არ გამოიწვია მოსალოდნელი უმუშევრობის „აფეთქება“. ამაში მნიშვნელოვანი როლი დემოგრაფიულ ფაქტორს ეჭირა.

XXI საუკუნეში დემოგრაფიული ფაქტორი ამუშავდება უმუშევრობის პრობლემის გამწვავებაზე, რადგან შრომის უნარიანი ასაკის მოსახლეობის რაოდენობა აღმავლობის ფაზაში შედის, რომელიც ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურებში მიმდინარე ენერგიულ ცვლილებებს დაემთხვევა.

რომ გადავიდეთ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობიდან, შრომისუნარიან ასაკში მყოფ შრომისუნარიან მოსახლეობაზე, უნდა განვიხილოთ ამ ასაკის I-II ჯგუფების არამომუშავე ინვალიდთა კატეგორია.

სხვა თანაბარ პირობებში, რაც მეტი იქნება I-II ჯგუფის ინვალიდები, მით მეტი იქნება მათ შორის არამომუშავე. ამ ჯგუფების ინვალიდთა რაოდენობა იქმნება ჯანმრთელობაზე მოქმედ პირობათა კომპლექსის ზეგავლენით. როგორ იკვებებიან ადამიანები, როგორ წყალს სვამენ, როგორ ჰაერით სუნთქავენ, როგორ ისვენებენ, როგორ სამედიცინო მომსახურება აქვთ, რამდენად კომფორტულია და უსაფრთხო სამუშაო პირობები — ასეთია დაახლოებით ამ კომპლექსის არასრული ნუსხა.

ნებისმიერი სახელმწიფო დაინტერესებულია იმაში, რომ ინ-

ვალიდთა რაოდენობა რაც შეიძლება მცირე იყოს, ხოლო მათ შორის მეტი მომუშავე არსებობდეს. ჩვენს ქვეყანაში, ისევე როგორც სხვაგან, სახელმწიფო შეღავათებს უწევს მათ, ვინც ინვალიდებს სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფს. სახელმწიფოს დაინტერესება ინვალიდთა შრომით ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტებს შეიცავს. ეკონომიკური ასპექტი გულისხმობს იმას, რომ იყოს ნაკლები პირი საბიუჯეტო ასიგნების კმაყოფაზე. ხოლო სოციალური გულისხმობს იმას, რომ ადამიანისათვის, მისი ფიზიკური ან ფსიქოლოგიური დარღვევის მიუხედავად, მნიშვნელოვანია შეგნება, რომ სარგებლობა მოაქვს საზოგადოებისათვის. რა თქმა უნდა გასათვალისწინებელია ცხოვრების სტანდარტის გარკვეულ დონეზე შესანარჩუნებლად ანაზღაურების (ფულის შოვნის) სურვილიც.

არამომუშავე ინვალიდების რაოდენობის მომავალი დინამიკა ძირითადად დამოკიდებულია ადამიანთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასა და სანარმოო ტექნოლოგიათა მისადაგებაზე მუშა-მოსამსახურებთან, განსაკუთრებით მომსახურების სფეროში.

## საინვესტიციო პროექტების ეკონომიკური ანალიზი

### ნოდარ ფუტკარაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის  
დოქტორანტი

გადაწყვეტილება კონკურენტული პროექტების დაფინანსებისა და რეალიზაციის შესახებ წარმოადგენს შეზღუდული რესურსების განაწილების პრობლემას კომპრომისის გზით – ერთი პეროექტის დაფინანსება მეორის ხარჯზე.

პროექტის ანალიზი მდგომარეობს რესურსების გამოყენების ალტერნატიული გზების შედარებაში. ეს მეთოდი წათლად გვიჩვენებს გადაწყვეტილების მიღებისათვის ყველა აუცილებელ ინფორმაციას, რაც გადაწყვეტილებას მეტ დამაჯერებლობას და დასაბუთებას ანიჭებს. პროექტის უპირატესობები განისაზღვრება მათი მნიშვნელობით ეროვნული ეკონომიკის განვითარების საქმეში (საერთო სახელმწიფო ბრივი პროექტების დაფინანსებისათვის) ან ინვესტიონის საკუთარი ბიზნესის განვითარებისათვის. ხარჯები განისაზღვრება სრული დანახარჯებით.

ფორმალურად პროექტების ეკონომიკური ანალიზი და ფინანსური ანალიზი ერთმანეთის მსგავისა, რადგან ერთიც და მეორეც მიმართულია ინვესტირებულ კაპიტალიდან მოგების მიღებასთან, მაგრამ მათი ცნობები განსხვავდება ერთმანეთისაგან.

პროექტის ანალიზი საშუალებას იძლევა გადაწყვეტილება მივიღოთ ყველა ცალკეულ შემთხვევაში რესურსების გამოყენების რიგი ალტერნატიული შესაძლებლობების გათვალისწინებით განსაზღვრული და შეფასებული ხარჯებითა და სარგებლით, მათი ეროვნული ეკონომიკის მიზნებზე გავლენის შეფასებით. ამასთან აუცილებელია გავითვალისწინოთ უფრო უშუალო კავშირი მთლიანად დარგთან ან საერთოდ ეკონომიკასთან. მაგალითად, პროექტის პროდუქციაზე მოთხოვნილების გათვალისწინების გარეშე

### დარგობრივი ეკონომიკა

შეუძლებელია სწორად შევაფასოთ წარმოების მასშტაბები და მისი ეფექტიანობა. ხშირად რთულია ფასის განსაზღვრა პროდუქციის შეფასების მსვლელობისას, რომელიც შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს საბაზრო ფასებისაგან.

საინვესტიციო პროექტების შეფასების არსი მდგომარეობს პროექტის შესახებ ინფორმაციის შეგროვებასა და ისეთი სახით გადაცემაში, როდესაც გადაწყვეტილების მიღებებს მიეცემა საშუალება გააკეთოს დასკვნები ინვესტიციების მიზანშეწონილობის შესახებ. მიღებული ინფორმაციის უტყუარობის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად საჭიროა საპროექტო ანალიზის რიგი საყოველთაოდ მიღებული ნორმებისა და წესების დაცვა, კერძოდ:

1. ინვესტირების პროექტის შიდა და გარე გარემოს ანალიზის აუცილებლობა. მოქმედ საწარმოში შიდა გარემოს ანალიზი ითვალისწინებს ორგანიზაციული სამართლებრივი მოწყობის, საწარმოო-ტექნიკური და ინვესტიციის ობიექტის ფინანსურ-ეკონომიკურ მდგომარეობის სრულ ანალიზს. გარე გარემოს ანალიზი მოიცავს რეგიონულ და დარგობრივი თავისებურებების შესწალას, აგრეთვე მთლიანობაში ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის ინდიკატორების (საპროცენტო განაკვეთები, ინფლაციის დონე, საგადასახადო კანონმდებლობა, მოგების რეპატრიაცია და ა.შ.) ღრმა გამოკვლევას.

2. განსაზიდველ პროექტან ერთად, აუცილებელია გაანალიზდეს კაპიტალის განთავსების ალტერნატიული შესაძლებლობები;

3. პროექტი საჭიროა შეფასდეს მისი ყველა მონაწილის თვალსაზრისით და ინტერესების გათვალისწინებით;

4. პროექტის ანალიზი საჭიროა განხორციელდეს მისი სასიცოცხლო ციკლის ყველა ძირითად ეტაპზე – წინასაინვესტიციო, საინვესტიციო და საექსპლუატაციო ეტაპზე;

5. საპროექტო გამოკვლევა კომპლექსური უნდა იყოს და უნდა მოიცავდეს ტექნიკურ, ინსტიტუციონალურ, ეკოლოგიურ, სოციალურ, ფინანსურ და ეკონომიკურ ანალიზებს.

ასევე მნიშვნელოვანია რისკის გათვალისწინება. რისკ-მენეჯმენტი ხორციელდება სამ ეტაპად:

- რისკების ანალიზი;

- რისკების მართვა;
- კონტროლი.

რისკ-მენეჯმენტი ყოველთვის რისკების ანალიზით იწყება. ინვესტიციური უპირველეს ყოვილისა, უნდა დაადგინოს, რა საფრთხეები ემუქრება საწარმოს, სახლს, პირადად მას და ა.შ.

რისკების ანალიზის პროცესი, თავის მხრივ, ასევე სამ ეტაპად იყოფა:

1. რისკების ამოცანა;
2. რისკების შეფასება;
3. რისკების ნარმოქმნის წყაროების ანალიზი (გიტმანი, ჯონკი, ბირმანი, შმიტი 2001).

რისკებისათვის თავის გართმევა და საფრთხეებისაგან დაცვა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ გვეცოდინება მათი წარმოქმნის წყაროები, რაც დაგვანახებს არსებულ პრობლემებს, რის შემდეგაც აუცილებელი გახდება მათი შეფასება და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება საწარმოო პროცესების გათვალისწინებით.

ამიტომ აუცილებელია, დაწვრილებით განვიხილოთ პროექტის მომზადების და ანალიზის სხვადასხვა ასპექტები:

**ეკონომიკური ასპექტები.** მისი დანიშნულებაა განსაზღვროს, ხელს უწყობს თუ არა მოცემული პროექტი ეროვნული ეკონომიკის განვითარების მიზნების განხორციელებას და ასევე არის თუ არა შესაძლებელი იგივე ეკონომიკური სარგებლის მიღწევა უფრო ნაკლები ხარჯებით. ამისათვის აუცილებელია, პირველ რიგში, დავადგინოთ, თუ რამდენად რაციონალურია პროექტის ფარგლებში ქვეყანაში არსებული რესურსების გამოყენება, ეროვნული ეკონომიკის ამოცანების გათვალისწინებით. ასევე აუცილებელია შევისწავლოთ პროექტის შედეგიანობის გაზრდის შესაძლებლობა ისეთი პარამეტრების შეცვლის ხარჯზე, როგორიცაა პროექტის მასშტაბი, გამოყენებული ტექნოლოგია, გეოგრაფიული ადგილმდებარეობა და რეალიზაციის მეთოდები.

**ტექნიკური ასპექტები.** პროექტის ტექნიკური ასპექტების ანალიზი მოიცავს: პროექტის სავარაუდო მასშტაბს; გამოყენებული პროცესების მასალებს და აღჭურვილობის ტიპებს; პროექტის ადგილმდებარეობას; სამუშაოს დაწყებას და გრაფიკს; გეგმების,

## დარგობრივი ეპონომია

ნახაზების და სხვა საპორექტო დოკუმენტაციის არსებობას და შესაბამისობას; საწარმოო ფონდების და სამუშაო ძალის არსებობას; აუცილებელი ინფრასტრუქტურის არსებობას; პროექტის რეალიზების, ექსპლუატაციის და მომსახურების სავარაუდო მეთოდებს; კონტრაქტების დადების და საქონლისა და მომსაუხერობის მიწოდების გაფორმების წესები; პროექტის რეალიზაციის გრაფიკის და სარგებლის ეტაპობრივი მიღების რეალური შესაძლებლობა.

**ინსტიტუციონალური ასპექტები.** პროექტის ანალიზის პერიოდში განიხილება ადმინისტრაციული პერსონალის კომპეტენტურობა და ორგანიზაციული სტრუქტურის შესაბამისობა დასახულ ამოცანასთან. რომელიმე სტრუქტურის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობისას ეძლევათ რეკომენდაციები მდგომარეობის კორექტირებისათვის. იგი შეიძლება შეიცავდეს მუშაობის ორგანიზაციის სრულყოფის წინადადებებს, ამ სამუშაოებში ისეთი პირების ჩართვას, რომლებიც შეძლებენ დახმარება გაუწიონ საწარმოს მართვაში, ცვლილებებს ადმინისტრაციის შემადგენლობაში და რეორგანიზაციაში, პროექტის მართვის დამოუკიდებელი უწყების შექმნა. პროექტი შეიძლება პროფესიული მომზადების და გადამზადების პროგრამას შეიცავდეს.

**სოციალური ასპექტები.** პროექტის ანალიზი შეიძლება ცალკე ითვალისწინებდეს სოციალურ სტრუქტურას, ტრადიციებს და ფასეულობებს, როგორც პროექტის განხორციელებაზე და ექსპლუატაციაზე გავლენის მქონე ფაქტორებს და სიღარიბის დაძლევის პრობლემის მოგვარების მნიშვნელოვან გზას. ანალიზის აღნიშნული ასპექტები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონკრეტული დარგების და მოსახლეობის ჯგუფების ხელშეწყობაზე მიმართული პროექტებისათვის, ასევე იმ პროექტებისათვის, რომელთა წარმატება დამოკიდებულია ეკონომიკური სარგებლის მიმღბთა მონაწილეობაზე.

**ეკოლოგიური ასპექტები.** ეკოლოგიური შეფასების მიზანია პროექტის უზრუნველყოფა ეკოლოგიური თვალსაზრისით და საპროექტო პერიოდის ადრეულ ეტაპზე გარემოზე ზემოქმედების გავლენის განსაზღვრა და ამ გავლენის გათვალისწინება პროექტის შემუშავების მსვლელობისას. ეკოლოგიური შეფასება

განსაზღვრავს პროექტის ეკოლოგიური ოპტიმიზაციის გზებს და არასასურველი ზემოქმედების შეზღუდვას, შერბილებას და კომპენსაციას.

**ფინანსური ასპექტები.** ფინანსური ანალიზის უმნიშვნელოვანესი ასპექტია ფინანსური რესურსების უზრუნველყოფის დადგენა პროექტის დადგენილ ვადაში რეალიზაციისათვის. როდესაც დამფინანსებელია მთავრობა, რომელიც სიძნელეებს განიცდის ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების მხრიდან, შეიძლება შემოთავაზებული იქნას დაფინანსების განსაკუთრებული ან განსხვავებული ვარიანტები.

მომგებიანი საწარმოს შემთხვევაში ყურადღება უნდა მივაქციოთ მისი ფინანსების გამოყენების ეფექტიანობას, რათა დავადგინოთ საწარმოს უნარი შეასრულოს თავისი ვალდებულებები მათ შორის, დავალიანების დაფარვა და უზრუნველყოს საკმარისი მოცულობის ფონდები შიდა რესურსებიდან რენტაბელობის მისაღები ნორმის უზრუნველსაყოფად და ასევე თანხები მომავალი კაპიტალური საჭიროების ანგარიშში.

**ეკონომიკური ანალიზი.** ფინანსური ანალიზის მთავარი კითხვაა შეუძლია თუ არა პროექტს საწარმოს მფლობელის სიმდიდრის გაზრდა? ამაზე პასუხის გაცემა შეიძლება ფულადი შემოდინებების საფუძველზე. ეკონომიკური ანალიზი კი აფასებს პროექტის წვლილს, რომლის შედეგადაც ქვეყანა ზრდის თავის სიმდიდრეს.

ეკონომიკური ანალიზი ჩვეულებრივ უტარდება მსხვილი საინვესტიციო პროექტებს, რომლებიც მუშავდებიან სახლმწიფოს დაკვეთით ან მოწოდებული არიან ეროვნული მნიშვნელობის ამოცანების შესასრულებლად. თუ საწარმო ამუშავებს საინვესტიციო პროექტს საკუთარი ინიციატივით დამოუკიდებლად მიიზიდავს ინვესტორს, საბოლოოდ ზრუნავს პროექტის მონაწილეთა ინტერესებზე. ძირითადად იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომლებმაც ჩადეს ინვესტიცია ამ პროექტში. თუ პროექტში სახელმწიფო არ მონაწილეობს, მაშინ ეკონომიკური ანალიზი არ ტარდება.

## THE MAIN PECULIARITIES OF TAX AND FINANCIAL ACCOUNTING OF FIXED ASSETS

Zhuzhuna Tsiklauri-Shengelia

GTU, Assoc. professor, PHD

Natia Shengelia

GTU, Senior Teacher, PHD

Financial Accounting generally plays a significant role in companies. Fixed Assets are an important part and they can be regarded as one basis for development of an organization. IAS 20 Government Grants , IAS 40 Investment Property and IAS 23 -Borrowing Costs , IFRS 5 Non-current Assets held for Sale and Discontinued Operations should also be discussed in connection of non-current Assets, but the key principles of their financial accounting are discussed in International Accounting Standard (IAS) 16. This covers all issues referring property , plant and equipment, but does not apply to :

a) Biological Assets of agricultural activity

b) Mineral rights and mineral reserves, such as oil, gas and etc.

At first , the following 4 issues are important to discuss and should be explained shortly:

1) Initial Recognition

2) Depreciation

3) Revaluation

4) Derecognition (disposals)

**Property , plant and Equipment** are tangible assets that:

- are held for use in the production process or supply of goods or services, for rental, or for administrative purposes; and

- are expected to be used during more than one period.

**Initial Recognition** means that non-current assets should be initially measured at cost , that capitalizes all costs to bring an asset to its present location and condition for intended use. This Cost include:

⌘ Purchase price(less any trade discounts),

⌘ directly attributable cost of :

- site preparation
- initial delivery and handling costs
- professional costs (Installation and Testing ... for architects, engineers)

⌘ initial estimate of dismantling and removing asset and restoring ,  
⌘ borrowing costs in accordance with IAS 23.

A simple accounting double entry of acquiring a tangible assets will be:

Debit 2100 Non-current asset value

Credit 1210/1110/3100 Cash , Cash at Bank or Accounts Payable

In the Chart of Accounts applied in Georgia Tangible assets are united in the following group with code: 2100 and their depreciation 2200 ; For example :

2100 - Land,

2130 Buildings

2160- Office Equipment

2170 Furniture and Fixtures .....

2230-Accumulated Depreciation of Buildings

2260 Accumulated Depreciation of Office Equipment

2270 Accumulated Depreciation of Furniture and Fixtures and so on;

However in America's Chart of Accounts you could meet tangible assets with code 1500 , depreciation -1591 etc :

SAMPLE CHART OF ACCOUNTS FOR A SERVICE ORIENTED BUSINESS	
NAME	ACCTNUM
Cash Accounts	1000
Cash Accounts:Bank of America - 49NNNNNNNN	1001
Cash Accounts:Bank of America - 49NNNNNNNN	1002
Cash Accounts:Petty Cash	1099
Accounts Receivable	1200
Other Current Assets	1300
Undeposited Funds	1400
Fixed Assets	1500
Fixed Assets:Computer & Electronic	1510
Fixed Assets:Computer & Electronic:Hardware	1520
Fixed Assets:Computer & Electronic:Software	1530
Fixed Assets:Furniture & Fixtures	1540
Fixed Assets:Machinery & Equipment	1550
Fixed Assets:Computer & Electronic:Accum Deprec	1591
Fixed Assets:Accumulated Amortization	1593
Fixed Assets:Accumulated Depreciation	1595

**or for a UK -based business :**

Extract of Chart of Accounts-Tangible Assets :

- 0030 Office equipment
- 0031 Office equipment depreciation
- 0032 Computers
- 0033 Computers depreciation
- 0040 Furniture
- 0041 Furniture depreciation

**Depreciation** applying the accruals concept is systematic allocation of the depreciable amount of an assets over its economics useful life. There exist 4 methods; Let discuss one simple example : Value of a car is 20 000 Gel, residual (scrap ) value- 2 000 Gel, rate - 20 % Useful economic life-4 years:

1) Straight -line method - Annual depreciable amount will be :

% on cost ( 10 000 GEL \*20% ) or

$$\text{Cost-residual value} = (20\ 000 - 2\ 000) = 4\ 500 \text{ Gel}$$

Useful Economic life 4 y.

2 ) The Reducing Balance method : % on carrying value

Year	Cost (GEL)	annual depreciation	Carrying Value
------	------------	---------------------	----------------

1	20 000	20 000 * 20 % = 4 000 Gel	20 000 - 4 000 = 16 000 Gel
---	--------	---------------------------	-----------------------------

2	16 000	16 000 * 20 % = 3 200 Gel	16 000 - 3 200 = 12 800 Gel
---	--------	---------------------------	-----------------------------

.....  
3) The machine hour method: above mentioned same data and working hours 1year - 500 hrs, 2y- 800 hrs, 3y- 1000 hrs, 4y- 1700y.

$$\text{Cost-residual value} = (10\ 000 - 2\ 000) = 2 \text{ Gel per hour}$$

Total working hours 4000 hrs

Year	w.hrs	depreciation
------	-------	--------------

1	500	500 * 2 = 1 000 Gel
---	-----	---------------------

2	800	800 * 2 = 1 600 Gel
---	-----	---------------------

4) The sum -of-the digits method:

$$n = 1+2+3+4= 10 \text{ y.}$$

Year	cost	annual depreciation
1	(20 000 - 2 000)	18 000 *4/10 = <b>7200</b> Gel
2	18 000	18 000* 3/10= 5400 Gel....

A double entry for this will be same for each method differing in depreciable amounts:

Debit 7455 Annual Depreciation and Amortization ( Expense )

Credit 2200 Accumulated Depreciation ;

**Revaluation** is connected to the increase or decrease of the value of the tangible asset. IAS 16 permits 2 treatments:

➤ **The Cost Model** (carry an asset at cost less accumulated depreciation/impairments)

➤ **The Revaluation Model** (carry an asset at its fair(market) value at the revaluation date less subsequent accumulated depreciation/impairment.

For Example in January 2011 Year a building was bought for 500 000 Gel . The revaluation report by experts states that building is worth 750 000 Gel on 31.12.11(ignore depreciation) ; And the value changed to 450 000 Gel on 31.12.12

1) Revaluation Gain on 31.12.2011 :

Debit Building Account	250 000	Credit Revaluation Reserve	250 000
------------------------	---------	----------------------------	---------

2) Revaluation Loss 31.11.12:

Debit Revaluation Reserve	
(to maximum of original gain early recognized)	250 000
Debit Income Statement	
(any residual loss- 300 000-250 000)	50 000
Credit Non-currentAsset(loss on revaluation)	300 000

**Derecognition** takes place when property, plant and equipment is no longer expected to generate future economic benefit or it is disposed of, and gain or loss on disposal is also recognized. Let discuss based on one example: A building was sold for 26 000 Gel, its cost was 20 000, accrued acc. depreciation was 3 300, there was accrued salary for workers for dismantling 200 Gel.

1) Debit 1210- Cash at Bank	26 000
Debit 2240 Accumulated Depreciation	3 300
Credit 8190 Disposal Account of Building	29 300
2) Debit 8190 Disposal Account of building	20 200
Credit 2140 Building account	20 000
Credit 3130 Accrued Salary	200
3) Disposal profit transfer from the disposal account	
Debit 8190 Disposal account	9 100
Credit 8130 Non-operating Profit	9 100

This double entries will be more clear on T-Account.

#### 8190-Disposal Account

Cost of Building	20 000	cash at bank	26 000
Dismantling Exp(salary)	200	Accumulated depreciation	3 300
bal. fig.	9 100		
			29 300

Tax Accounting of Fixed Assets has its special peculiarities in difference with financial accounting of Fixed Assets. There exist the differences between tax profit and accounting profit. Depreciation charges for fixed assets used in economic activities are deductible for tax

purposes in accordance with the rates of the Georgian tax legislation (please see the chart below).

The depreciation method used for corporate income tax purposes is the reducing balance method ;

**Fixed Assets Depreciation Rates** Chart 1<sup>1</sup>

Group	Assets	Rate
1	Passenger cars; automobile equipment for use on roads; office furniture; automotive transport rolling stock; trucks, buses, special automobiles and trailers; machinery and equipment for all sectors of industry and the foundry industry; forging and pressing equipment; construction equipment; agricultural vehicles and equipment	20
2	Special instruments, inventory and equipment; computers, peripheral devices and data processing equipment; electronic devices	20
3	Railway, naval and river transport vehicles; power vehicles and equipment; thermal technical equipment, turbine equipment, electric engines and diesel generators, electricity transmission and communication facilities; pipelines	8
4	Buildings and premises	5
5	Assets subject to depreciation not included in other groups	15

Furthermore depreciations are not assessed on land, works of art, museum items, historical objects (except buildings), fixed assets with a value below GEL 1,000, biological assets, etc.

Fixed assets with a value below GEL 1,000 can be fully deducted from total income in the year of their exploitation, when it was incurred. For example purchasing separately computer cables, small stationary shelf , frames etc.

Fixed assets are allocated to groups, which are depreciated as whole units. Each building represents a separate group.

<sup>1</sup> Tax Code-[www.mof.ge](http://www.mof.ge)

The value of a particular group at the end of a tax year equals its value at the end of the previous tax year, increased by cost of added fixed assets and other capital expenditures, reduced by tax depreciation charges of the previous tax year. To explain it shortly will be like calculating the average :

$$= \frac{\text{NBV of Fixed Assets at beg. of year} + \text{NBV of Fixed Assets at year end}}{2}$$

Notably, full annual depreciation can be charged to all assets of the group irrespective of the purchase date. Taxpayers may apply accelerated depreciation rates for groups 2 and 3, but these rates cannot be more than twice the amount of the rates set for the respective groups. Each fixed asset supplied under lease is recorded as a separate group by the lessor . Fixed assets supplied under lease are amortized according to the discounted value of lease payments, where the latter are determined according to the lease terms and the book value of the respective group.

Moreover, Taxpayers may use an alternative method to compute the deduction of expenditure on fixed assets. A company may fully deduct the cost of such assets in the year of their exploitation, including their capital repair expenses. Those fixed assets are not further included in the asset groups for depreciation. If such assets are sold later, the sales price (market price in case of gratuitous supply) is included in total income. If a company elects to use the alternative method, it must be used for all purchased (produced) fixed assets for at least 5 years. Moreover , it should be mentioned that if we deduct all purchased tangible assets immediately according to this policy , we must still use them in calculating *the Property Tax*. We are considering all values of those deducted tangible assets multiplying by 1 % .

As for Leasehold improvements incurred on rented assets that do not reduce the rental payments are capitalized as a separate tax depreciation group. Such improvements are deductible from total income over the rent period by applying the 15% diminishing balance method. Upon expiry or early termination of a rental agreement when the rented asset is returned to the lessor, the book value of the group is equal to zero, while the

remaining balance is not deductible from total income.

In summary , there were discussed the features of Tax and Financial Accounting of Tangible assets. Majority of businesses cannot exist without fixed assets which are used in the production process, for normal functioning or for other purposes. They should be accounted in detail.

Furthermore, for Tax purposes non-current tangible assets and their depreciation take part in calculating and then determining the profit and Profit Tax, Property tax etc. Thus both accounting treatments are important and should be paid a great attention to them.

## ორგანიზაციის საბჭეავი აქტივების ანალიზი

ქეთევან კინმარიშვილი  
ეკონომიკის დოქტორი

საბრუნავ აქტივებს დიდი ხვედრითი წილი უჭირავთ ორგანიზაციის მთლიან ქონებრივ პოტენციალში.მათ რაციონალურ განაწილებასა და ეფექტურ გამოყენებაზე დიდად არის დამოკიდებული ორგანიზაციის წარმატებული საქმიანობის შედეგი. ამიტომ, საბრუნავი აქტივების ანალიზის მთავარ ამოცანებს შეიძლება მივაკუთვნოთ:

- საბრუნავი აქტივების შემადგენლობის და სტრუქტურის ანალიზი;
- საბრუნავი აქტივების დაჯგუფება ძირითადი ნიშნების მიხედვით;
- საბრუნავი აქტივების ცალკეული ჯგუფების ანალიზი, რომელიც ახდენებ მნიშვნელოვან გავლენას ორგანიზაციის გადახდაუნარიანობასა და ფინანსურ მდგრადობაზე ;
- საბრუნავი აქტივების გამოყენების ეფექტურიანობის ძირითადი მაჩვენებლების ანალიზი.

საბრუნავი თანხების ანალიზისთვის ძირითადი საინფორმაციო წყაროა საბუღალტრო ბალანსი, ანგარიშგება მოგებისა და წაგების შესახებ, პირველადი საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემები, რომელიც ახდენებ ბალანსის ცალკეული მუხლების გაშიფრას და დეტალიზაციას.

უპირველეს ყოვლისა, ანალიზის დროს ხდება საბრუნავი აქტივების რაოდენობისა და სტრუქტურის ცვლილებების ზოგადი შეფასება მათი მნიშვნელოვანი ჯგუფების მიხედვით. სტაბილურ, კარგად აწყობილ პროდუქციის წარმოებას და რეალიზაციას, ახასიათებს, ასევე, საბრუნავი აქტივების სტაბილური სტრუქტურა. მისი არსებითი ცვლილებები არაა სასურველი, ხოლო თუ ცვლილებებს აქვს ადგილი, ეს ნიშნავს, რომ ხდება ჩადებული სახსრების

გადანაწილება სხვადასხვა სახის საბრუნავ აქტივებს შორის. ასეთი მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ინფლაციური პროცესები. ამიტომ ანალიზის დროს (პრაქტიკაში) აუცილებელია ამ ფაქტორის გათვალისწინება.

საბრუნავი აქტივების სიდიდის ცვლილება, აუცილებელია განვიხილოთ მათი გამოყენების ეფექტიანობასთან მჭიდრო კავშირში.

საბრუნავი აქტივების გამოყენების ეფექტიანობა, უწინარეს ყოვლისა, ხასიათდება მათი ბრუნვადობით. საბრუნავი სახსრების (საშუალებების) ბრუნვადობა – ესაა, სახსრებით წარმოების და ბრუნვის ცალკეული სტადიების გავლის ხანგრძლივობა. ყველა საბრუნავი სახსრების საერთო ბრუნვადობა მიიღება საბრუნავი სახსრების ცალკეული ელემენტების ბრუნვადობების (კერძო ბრუნვადობა) შეჯამებით. როგორც საერთო ბრუნვადობა, ისე კერძო ბრუნვადობა ხასიათდება შემდეგი მაჩვენებლებით:

1) სახსრების ბრუნვადობის კოეფიციენტით (სიდიდე) – ახასიათებს პროდუქციის რეალიზაციით მიღებული ამონაგების მოცულობის სიდიდეს, საბრუნავი სახსრების 1 ლარზე გაანგარიშებით.

2) ერთი ბრუნის ხანგრძლივობა (დღეებში) – წარმოადგენს საბრუნავი სახსრების საშუალო ნაშთის თანხის შეფარდებას ანალიზის ჩატარების პერიოდში ერთი დღის ამონაგების (ნავაჭრის) თანხასთან.

3) საბრუნავი სახსრების საშუალო ნაშთი – განისაზღვრება, როგორც დროის რიგის საშუალო ქრონოლოგიური სიდიდე, გამოითვლება დროის სხვადასხვა მომენტები მაჩვენებლის მნიშვნელობების ერთობლიობით.

4) სახსრების ბრუნვაში გაშვების კოეფიციენტი – ახასიათებს საბრუნავი სახსრების ჯამს (მთლიან თანხას), რომლის ავანსირებაც განხორციელდა პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული 1 ლარის ნავაჭრზე (ამონაგებზე). რაც უფრო მაღალია კოეფიციენტის მნიშვნელობა, მით ეფექტიანად გამოიყენება საბრუნავი აქტივები.

სახსრების ბრუნვადობის კოეფიციენტის და მათი ბრუნვაში გაშვების (ჩატვირთვის) კოეფიციენტის ზრდა, მიუთითებს მათ ეფექტიან გამოყენებაზე. საბრუნავი სახსრების ბრუნვადობის

აჩქარება ამცირებს მათზე მოთხოვნას, საშუალებას აძლევს ორგანიზაციას გამოანთავისუფლოს საბრუნავი სახსრების ნაწილი, ან სახალხო მეურნეობის საჭიროებისთვის (აბსოლუტური გამონატავისუფლება), ან დამატებითი პროდუქციის გამოსაშვებად (შეფარდებითი გამონატავისუფლება).

ორგანიზაციის საბრუნავი სახსრების ბრუნვადობასა და სიდიდიზე მოქმედი ძირითადი ფაქტორებია:

- ორგანიზაციის საქმიანობის მასშტაბები (მცირე, საშუალო, მსხვილი ბიზნესი);

- ბიზნესის ან საქმიანობის ხასიათი, ე.ი. ორგანიზაციის დარგობრივი კუთვნილება (ვაჭრობა, მრეწველობა, მშენებლობა და ა.შ.);

- სანარმოო ციკლის ხანგრძლივობა (ტექნოლოგიური ოპერაციების რაოდენობა და ხანგრძლივობა პროდუქციის წარმოების, მომსახურების განხორციელების და სამუშაოების შესრულების დროს);

- მოხმარებული სახის რესურსების რაოდენობა და მრავალფეროვნება;

- პროდუქციის მომხმარებლების გეოგრაფია და მომწოდებლებისა და მომიჯნავეთა (მეზობლების) გეოგრაფია;

- საქონლის, სამუშაოების, მომსახურების ანგარიშსწორების სისტემები;

- კლიენტების გადახდაუნარიანობა;

- საბანკო მომსახურების ხარისხი;

- პროდუქციის წარმოების და რეალიზაციის ზრდის ტემპები;

- ორგანიზაციის სააღრიცხვო პოლიტიკა;

- მენეჯერების კვალიფიკაცია;

- ინფლაცია.

შემდეგ უნდა მოხდეს ბრუნავი აქტივების სტრუქტურის ცვლილების მიზეზის და შედეგის ანალიზი (ცალკეული ჯგუფების და ელემენტების მიხედვით. შემდეგში ხდება საბრუნავი აქტივების ჯგუფების ანალიზი, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს საბრუნავი აქტივების საერთო სიდიდის ცვლილებასა და მათი გამოყენების ეფექტიანობაზე.

## ეპონომიკური ანალიზის მათემატიკური (მატრიცული) ეთოლები და მისი პრაქტიკული ღირებულება

### დარეჯან ჩხუბაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური ანალიზი ორგანიზაციულ სრულყოფს, მის მეთოდიკასა და მეთოდოლოგიაში სათანადო ცვლილებების შეტანასა და ახლებურ მიდგომას მოითხოვს. სხვა მეთოდებთან ერთად მათემატიკური, კერძოდ მატრიცული მეთოდის ფართოდ გამოყენება უზრუნველყოფს მთავარ მიმართულებას ეკონომიკური ანალიზის სრულყოფაში, ამაღლებს წარმოების და მისი ქვეგანყოფილებების სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობას. ასეთი მატრიცული მეთოდი ანალიზში, აგებულია წრფივ და ვექტორულ-მატრიცულ ალგებრაზე. იგი იძლევა საშუალებას ზუსტად გავთვალოთ და გადავჭრათ პრაქტიკულად სხვა-დასხვა მრავალგანზომილებიანი ამოცანა საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. აღნიშნული მატრიცული მეთოდის მეთოდიკა ვაჩვენოთ შემდეგ მაგალითზე.

ვთქვათ, წარმოების საამქრო უშვებს 2 სახის პროდუქციას: პირველი საამქრო-1 სახის, მეორე საამქრო-მე-2 სახის პროდუქციას. ნაწილი გამოშვებული პროდუქციის მიდის შიდა მოხმარებაზე, დანარჩენი კი წარმოადგენს საბოლოო პროდუქტს. ამოცანა მდგომარეობს შემდეგში: გამოვავლინოთ პროდუქციის განაწილება საამქროებს შორის, გასული შიდა მოთხოვნილებით ( $X_1$ ) და საერთო (მთლიანი) მოცულობა გამოშვებული პროდუქციის ( $X_2$ ), თუ მოცემულია პარამეტრები პირდაპირი დანახარჯების (A) და საბოლოო პროდუქტის ( $Y_1$ ).

მატრიცის ელემენტები პირდაპირი დანახარჯისა წარმოადგენს თავისთავად კოეფიციენტებს: პირდაპირი დანახარჯები პროდუქციის I სახის Y სახის პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე. ჩვენს მაგალითში ეს კოეფიციენტები იქნება ასეთი:

$$A = \begin{vmatrix} \frac{1}{5} & \frac{1}{10} \\ \frac{1}{4} & \frac{1}{5} \end{vmatrix}$$

ელემენტები ვექტორ-სვეტი Y განსაზღვრავს სიდიდეს საბოლოო პროდუქციისა, გასული გარე რეალიზაციაზე.

$$Y = \begin{vmatrix} \frac{Y_1}{Y_2} \end{vmatrix} = \begin{vmatrix} \frac{130}{190} \end{vmatrix}$$

1 და მე-2 სახის პროდუქციის საერთო (მთლიანი) პროდუქციის განსაზღვრავად ვიყენებთ შემდეგ ფორმულებს:

$$(E-A) = \begin{vmatrix} \frac{4}{5} & -\frac{1}{10} \\ -\frac{1}{4} & -\frac{4}{5} \end{vmatrix}$$

სადაც E -ერთეული მატრიცაა,  $(E-A)^{-1}$  - სრული დანახარჯების მატრიცა.

განმსაზღვრელი ამ მატრიცისა არის

$$\begin{matrix} 16 & 1 & 123 \\ 55 & 10 & 25 & 40 & ,200 \end{matrix}$$

მოიპოვოს უკუპროპორციულობით მატრიცა  $B=(E-A)^{-1}$  ალგებრული დამატებების მეთოდით.

მატრიცა ალგებრული დამატებითი D ფორმირდება შემდეგნაირად.

$$D = \begin{matrix} 2X1 \\ \begin{vmatrix} \frac{4}{5} & \frac{1}{10} \\ \frac{1}{4} & \frac{1}{5} \end{vmatrix} \end{matrix}$$

ტრანსფორმირებული მატრიცის D და სრული დანახარჯების მატრიცის  $\frac{1}{\Delta}$  გამრავლებით მივიღებთ სრული დანახარჯის B მატრიცას:

$$B = \frac{200}{123} \begin{vmatrix} 4 & 1 & | & 160 & 20 \\ 5 & 10 & | & 123 & 123 \\ 1 & 4 & | & 50 & 160 \\ \hline 4 & 5 & | & 123 & 123 \end{vmatrix};$$

$$X = \begin{vmatrix} 160 & 20 \\ 123 & 123 \end{vmatrix} \begin{vmatrix} 130 \\ 190 \end{vmatrix} = \begin{vmatrix} 160 & 130 \\ 123 & 123 \end{vmatrix} + \begin{vmatrix} 20 & 190 \\ 50 & 190 \end{vmatrix} = \begin{vmatrix} 24600 \\ 123 \end{vmatrix} = \begin{vmatrix} 200 \\ 300 \end{vmatrix}$$

ამრიგად, მთლიანი გამოშვება პირველი საამქროსი შეადგენს 200-ს, მეორე საამქროსი -300.

განაწილება პროდუქციის საამქროებს შორის შიგა მოხმარები-სათვის გამოისახება ფორმულით:

$$X_{II} = A_g X X_I$$

$$X_{II} = \frac{1}{5} X 200 = 40 \quad X_{12} = \frac{1}{10} X 300 = 30,$$

$$X_{21} = \frac{1}{4} X 200 = 50, \quad X_{22} = \frac{1}{5} X 300 = 60$$

ჯამში გეგმიური მოდელი (მატრიცა) პროდუქციის (მთლიანი და მზა პროდუქციის) გამოშვების აღწერით, დაქვემდებარებული შიგა მოთხოვნილებას, ექნება ასეთი სახე:

#### დარგობრივი ეპონობია

პროდუქციის საამქრო	შიგა მოთხოვნილება		საბოლოო პროდუქცია	მთლიანი გამოშვება
	I	II		
I	40	30	130	200
II	50	60	190	300

როგორც ჩანს, ანალიზის მათემატიკური მეთოდები სავარაუდ შრომატევადია თუნდაც ის ტექნიკით ხდებოდეს, მაგრამ მისი როლი სავარაუდ დიდია პრაქტიკაში. იგი იძლევა საშუალებას ობიექტურად შევაფასოთ სიტუაცია ეკონომიკაში და მივიღოთ ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილება მეურნეობრიობის ნებისმიერ დონეზე. მისი საშუალებით მუშავდება საწარმოს განვითარების სტრატეგია და ტაქტიკა, დასაბუთდება გეგმები და მმართველობითი გადაწყვეტილებები, ხორციელდება მათ შესრულებაზე კონტროლი, გამოვლინდება წარმოების ეფექტურობის ამაღლების რეზერვები, შეფასდება საწარმოოს საბოლოო შედეგები.

## **ახალი რეალობის უსატყველი პროცესები გადამდინარების მომზადებისათვე**

### **რევაზ ნაკაშიძე**

პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,  
საქართველოს განათლების  
მეცნიერებათა აკადემიის წევრი

XXI საუკუნის დასაწყისი სწრაფი განვითარებისა და პროფე-  
სიონალიზმის ეპოქად იქნა აღიარებული. გამრჯვე, ერუდირებული  
ადამიანები ქვეყნის სიმდიდრის, ძლიერებისა და სტაბილუ-  
რობის გარანტიად.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის წარმატებული დან-  
ერგვისა და ცხოვრების წინსვლის ამოცანები პროფესიული გა-  
ნათლების სისტემას უაღრესად საპასუხისმგებლო მოვალეობას  
აკისრებს. კადრების პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების  
განვითარებასთან ერთად წინ იწევს მოთხოვნები შრომის კულტურ-  
ის, ადამიანური ურთიერთობის, თანაცხოვრების, ფსიქოლოგიური  
და ეთიკური მხარეების მიმართ. ადრე თუ ადამიანთა ცხოვრებისა  
და საქმიანობის რომელიმე სფერო ადვილად სამართავი იყო და  
განსაკუთრებულ მომზადებას არ საჭიროებდა, ახლა, გონივრული  
მიღების ობიექტი ხდება-მაღლა იწევს ადამიანური კაპიტალის  
მნიშვნელობა, პროფესიონალიზმი, ცოდნის ფასი. მეცნიერთა გა-  
მოანგარიშებით, დღევანდელ ეპოქაში, ქვეყნის შემოსავლების 30-  
40% განათლების წილად მოდის, ხოლო ცნობილი ამერიკელი ეკო-  
ნომისტის ე. დენისონის მტკიცებით: ხარისხიანად მომზადებული  
პროფესიული კადრები ორჯერ ამაღლებს საკუთარი საქმიანობის  
ეფექტურობას.

„თუ სახელმწიფო კარგავს წამყვან პოზიციებს განათლების  
პოლიტიკის განსაზღვრაში, მისი კოორდინაციის, ფინანსირებისა  
და სტანდარტების შემუშავებაში, ვერ იჩენს აქტივობას პროფე-  
სიულ-ტექნიკური განათლების სისტემის შექმნისა და მისი შემდ-

### **დარგობრივი ემუნიშება**

გომი ფუნქციონირების მიმართ, მას წინსვლასა და განვითარებაზე  
ფიქრი მიუწვდომელ ოცნებად ექცევა". [1]

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ საგანმანათლებლო რე-  
ფორმას ქვეყანაში მიმდინარე სხვა რეფორმებისაგან დამოუკიდე-  
ბლად ვერ განვიხილავთ. ადამიანებს უნდა შევუქმნათ პირობები  
განვითარების, ნიჭის, უნარის წარმოჩენის, იღვანონ საკუთარი  
თავისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ. რა უბანზედაც არ უნდა უწევ-  
დეთ საქმიანობა, ერთნაირი მონძომებით დაიხსარჯონ, მოიპოვონ  
პატივი და აღიარება. ჯერ კიდევ XII საუკუნეში დიდი რუსთაველი  
გვმოძღვრავდა: „ბრძენი სიტყვითა დარჩების, ოსტატი - თავის ხე-  
ლითა“.

ჩევნი ქვეყნის სამწუხარო რეალობა დღეს ის არის, რომ მოჭარ-  
ბებული შრომითი რესურსების პირობებში, კვალიფიციური სპე-  
ციალისტების მწვავე დეფიციტს განვიცდით. იზრდება დასაქმების  
მსურველთა რიგები და მასთან ერთად იზრდება კვალიფიციური  
შრომის ფასი. ერთობ საყურადღებო შთაბეჭდილებას ტოვებს  
საზოგადოებრივი აზრის ჭეშმარიტება: „კარგ ოსტატს ყოველთ-  
ვის უხმობს სამუშაო, მას საქმე არ დაელევა, ხოლო ცუდი ოსტატი  
- სამუშაოს მუდმივ ძიებაშია!“ - თვითდასაქმების შანსიც ამ მხრივ  
უფრო მეტი და საიმედოა.

კადრების პროფესიული მომზადება ეკონომიკური ჩამორ-  
ჩენილობის აღმოფხვრის მძლავრ ბერკეტადა აღიარებული. ამის  
მკაფიო მაგალითები გვიჩვენა ქვეყნებმა, რომლებმაც მოკლე  
დროში შეძლეს ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევა და წინ  
გაიჭრენ. იქ, სადაც სახელმწიფო რეფორმები პროფესიული განა-  
თლების პრიორიტეტულობაზე იქნა აგებული და უპირველესად,  
მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით უზრუნველყოფა დაისახ-  
ეს მიზნად, ბრწყინვალე შედეგებს მიაღწიეს.

სახელმწიფო მოღვაწები ქვეყნის მომავალზე ფიქრს, საკუთარი  
მოქალაქეების განვითარებაზე ზრუნვით ინყებენ. გასული საუკუ-  
ნის 90-იან წლებში აშშ-ში მსოფლიო სასაქონლო ბაზარზე, ქვეყნის  
წარუმატებლობის მიზეზთა ძიებისათვის, პრეზიდენტის დავალე-  
ბით, პარლამენტი ფართო მასშტაბის კვლევით სამუშაოს ჩაუდგა  
სათავეში. პერსპექტიული პროექტების შემუშავება ქვეყნის საგან-

მანათლებლო სისტემაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრაზე იყო ორიენტირებული, რამაც მალევე გამოიღო შედეგი და ერთხელ კიდევ დაგვარნიშუნა საყურადღებო აზრის ჭეშმარიტებაში: - „განათლებული საზოგადოება - განვითარებული ეკონომიკა”! [2] მადლიერმა საზოგადოებამ ჯორჯ ბუშს (უფროსს) განათლების პრეზიდენტის საპატიო წოდება მიანიჭა.

ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური წინსვლა, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების პირობებში, მწყობრი პროფესიული განათლების გარეშე წარმოუდგენელია და პირიქით - ადამიანების საფუძვლითან პროფესიული მომზადება და მის მუდმივ სრულყოფაზე ზრუნვა ეკონომიკური აღმავლობის გარეშე ძნელად მისალნევი ხდება.

ქვეყნის რეფორმატორული განვითარების ფონზე, პროფესიული განათლების სისტემა, ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში დამკვიდრების საფუძველზე, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან, პროფესიულ, უმაღლეს, უმაღლესის შემდგომი და დამატებითი პროფესიული განათლების სასწავლო დაწესებულებებთან შემოქმედებით ურთიერთობებში შესვლით, საკუთარი ადგილისა და როლის განსაზღვრისათვის, ფრიად საპასუხიმგებლო და უკომპრომისო ბრძოლაში აღმოჩნდა ჩაბმული.

პროფესიული განათლების ფუნდამენტური პრინციპი საკუთარ მოქალაქეთა მოწოდებისა და უნარჩვევების შესაბამისად პროფესიული ცოდნით აღჭურვაა, რომელიც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინტერესებს სრულად უპასუხებს. სასწავლებლები ზუსტად უნდა რეაგირებდნენ პიროვნებათა სურვილებსა და ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების მრავალფეროვან საჭიროებებზე. ხარისხოვანი განათლების რეალიზებისათვის მუდმივ მზადყოფნაში, მოხერხებული სასწავლო გეგმებით, სწავლების სტრატეგიის, რესურსების სრული გამოყენებისათვის მათ უნდა გააჩნდეთ მოულოდნელად წამოჭრილ პრობლემებსა და საჭიროებებზე ოპერატიული რეაგირების უნარი.

სამნუხაროდ, არგუმენტი განათლების ინვესტიციის სასარგებლოდ, ბევრ ჩვენს მენარმეს ყოველთვის როდი ეჩვენება დამარნ-მუნებლად და ხელსაყრელად, რამდენადაც მისი ნაყოფი გარკვეუ-

ლი დროის შემდეგ იჩენს თავს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენში ახლა თითქმის არავინ ახდენს განათლების დარგობრივ კვლევას. ძალიან მწირი ცნობები გაგვაჩინია ქვეყნის საგანმანათლებლო განვითარების ასიგნირებაში.

ახლაც აქტუალურად ჟღერს დიდი რუსი პედაგოგის უშინსკის სიტყვები: „სახელობო სკოლების გამრავლება ერთადერთი მიზნითაც ღირს, რათა საავადმყოფოები და პატიმართა ადგილსამყოფლები არ დამძიმდეს იმ პირებით, რომლებიც წესიერი სახელობო აღზრდით შეიძლება აცდნენ საავადმყოფოებსა და საპყრობილებს. საზოგადოებამ უნდა იზრუნოს არა იმდენად დასჯის არამედ დანაშაულის აღმოფხვირათვის, ყველაფერს აკეთებდეს მოზარდის ზნეოპრივი აღზრდისა და ხელობის ზედმინევნით დაუფლებისათვის. [3]

სასკოლო რეფორმა ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის ყველა ტიპის სასწავლო დანესებულების მრავალდარგობრივ, მრავალსაფეხურიან და მრავალფუნქციონალურ სისტემად ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის. მათ ბაზაზე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ სწავლების სხვადასხვა განყოფილება და რგოლი, სწავლების სხვადასხვა ვადით, ფორმით, მიმართულებით. შევქმნათ კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოკლევადიანი კურსები, მუშახელის მოთხოვნის პროგნოზირებისა და პროფესიული ორიენტაციის სამსახურები. ოპერატიული რეაგირება მოვახდინოთ გამოთავისუფლებული მუშახელის საჭირო მიმართულებით ორიენტირებისა და გადამზადებისათვის; მჭიდრო კავშირები დავამყაროთ შრომის ბირჟებთან, დასაქმების სამსახურებთან, სხვა სასწავლებლებთან. სულ სხვაა, თუ რა ობიექტური და სუბიექტური მიზეზები აპრკოლებს ამ იდეების სრულყოფილად განხორციელებას. ვალდებული ვართ ისინი მიზეზ-შედეგობრივ კავშირში განვიხილოთ და წარმატებების რეალური ბერკეტები მოვიაზროთ.

უწყვეტი განათლების პრინციპი ადამიანებს აძლევს საშუალებას მუდმივად იყვნენ ფორმაში. სწრაფად მოახდინონ ორიენტირება ცვალებად გარემოში, შედარებით იოლად გადაწყვიტონ პრობლემები. ყოველივე ეს გვავალებს, რომ დროულად მოვახდინოთ ადამიანებისადმი დახმარება საკუთარი გეგმებისა და ცხოვრების

უკეთ აწყობისათვის. სისტემატურად უზრუნველვყოთ საჭირო ცოდნითა და კვალიფიკირების ზრდით.

თუ ჩავუღრმავდებით, პოტენციალი ამ სფეროში საკმაოდ დიდი და საიმედო ჩანს. იგი შესაძლებელია, და ვალდებულიც ვართ, ვაქციონთ საინტერესო და რენტაბელურ დარგად, არა მხოლოდ მომავალი პროფესიონალებისა და ნებისმიერი მოქალაქისათვის, არამედ თვით დამქირავებლების, სანარმო-დაწესებულებებისათვის. ამ გზით შეიძლება დავუზრუნოთ სასწავლებლებს პრესტიუზი, კონტინგენტი, ფინანსური უზრუნველყოფა და ბევრი სხვა სიკეთე.

უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ დღეს სოციალურ პარტნიორობას. იგი მხარეებისათვის უთუოდ მომგებიანი და სასარგებლოა. განუწყვეტელ პროცესს უნდა წარმოადგენდეს სოციალური დიალოგი სასწავლებლებსა და მუშახლის დამქირავებლებს, დასაქმების სამსახურებს, პროფესიულ კავშირებს შორის-პროფესიული კადრების მომზადების, გადამზადების, კვალიფიკირების ამაღლებისა და დასაქმების საკითხებზე. ჩვენი საერთო მიზანია განათლებული, კულტურული ადამიანის ფორმირება - დავეხმაროთ საკუთარი ადგილის მიკვლევაში, დავაყენოთ საიმედო გზაზე.

სოციალურ პარტნიორობას სახელმწიფო სტატუსი უნდა მიენიჭოს და მის მიმართ განხორციელდეს წამახალისებელი ღონისძიებები. დამსაქმებლებთან თანაბარუფლებიანი პარტნიორობის გარანტიას შესაბამისი საკანონმდებლო აქტები უნდა განმტკიცებდნენ. წესრიგსა და საქმიან ურთიერთობათა დარეგულირებას გაადვილებს და მნიშვნელოვან უპირატესობას მიანიჭებს სამართლებრივ ქრილში მათი განხილვა, სამუშაო შეხვედრები. მოლაპარაკებები გარკვეულ დროს მოითხოვს, მაგრამ შედეგი პოზიტური და საიმედო იქნება.

ადამიანების წარმატებული დასაქმება ცოდნის ხარისხსა და ქვეყნაში არსებულ ეკონომიკურ ვითარებაზეა დამოკიდებული. მოთხოვნა ვიწრო პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში ცოდნის მინიმუმს უნდა აკმაყოფილებდეს, ფართო პროფესიული განათლება (მონათესავე სპეციალობებში) ზრდის დასაქმების შანსს, აჩენს ახალ მოთხოვნებს პროფესიული სასწავლო დაწე-

სებულებების წინაშე ადამიანური რესურსების უკეთ გამოყენებისა და მობილურობისთვის. ზრდასრული მოსახლეობისა და სხვა კატეგორიის ადამიანების მომზადების, გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვისათვის, რომელიც საბაზო ეკონომიკის პირობებში, მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და მოქალაქეობრივი გააქტიურების ნაყოფიერ შესაძლებლობას უქმნის თითოეულს.

დამსაქმებელთა პრეტენზიები, კადრების მომზადების დონეზე, სულ უფრო იზრდება და ხშირად ისეთ უნივერსალურ მოთხოვნებთან გვაქვს საქმე, რომელთა წარმატებული განვითარება შესაბამისი საკვანძო კომპეტენციების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. პროფესიულ კვალიფიკაციასთან ერთად, უნდა ახასიათებდეთ მიზნისაკენ სწრაფვის, სწრაფი ადაპტირების, კომუნიკაციების, თვითგანვითარების უნარი, კომპიუტერისა და უცხო ენების ცოდნა, მათი გამოყენება საკუთარ საქმიანობასთან მიმართებაში. პროფესიული კარიერის გაკეთებას მხოლოდ ასეთი წესით მომზადებული კადრები თუ შეძლებენ და აამაღლებენ კონკურენტიანობას შრომის ბაზარზე. პროფესიული კომპეტენციის ჩამოყალიბება და განვითარება თანმიმდევრობითი, მიზანმიმართული მუშაობის შედეგად მიიღწევა. იგი საბაზისო მომზადებასა და სწავლების სარისხზე ბევრადაა დამოკიდებული. ამას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებიდან ეყრდნობა საფუძველი. მნიშვნელობა აქვს, თუ როგორი ცოდნითა და შრომითი ჩვევებით მოდიან სასწავლებლებში.

ხარისხზე მოთხოვნები და სიახლეები გვაიძულებს ვეძებოთ ნაკლოვანებების გამომწვევი მიზეზები, მათი აღმოფხვრის გზები. ხშირად თავს იჩენს თანამედროვე წარმოებითი ურთიერთობების, ტექნიკური და ტექნოლოგიური გადაიარაღების შედეგად სასწავლო პროგრამების შეუთავსებლობა; ინფორმაციული და მეთოდური მითითებების უკმარისობა, ცალკეული წორმატიული აქტის სხვადასხვა გაგება; სწავლების საფეხურისა და პროფესიის დაუფლების მსურველთა ინტერესების წინააღმდეგობაში მოსვლა; თეორიული და პრაქტიკული სწავლების თანმიმდევრობებისა და საათობრივი დატვირთვის შეუსაბამობა; სპეციალისტების არასრულყოფილი კომპეტენცია; სუსტი კონტაქტები დამსაქმებლებთ-

ან, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან, საზოგადოების ფართო ფენებთან.

სწავლების პირველ საფეხურზე ხანმოკლე 2, 3 ან 6 თვითი პროგრამების რეალიზებით, სრულყოფილი დიპლომირებული პროფესიონალის მომზადება შეუძლებელია. არ უნდა გავიმეოროთ ვიწრო სპეციალობით კადრების მომზადების ნაკლოვანი მხარეები, რომლებიც მხოლოდ სხვისი მეთვალყურეობით დავალების შესრულებაზე არიან ორიენტირებული.

შრომის ორგანიზაციის ტეილორისეულ მოდელს, დღევანდელ პირობებში, საფუძველი ეცლება, იგი აყალიბებს მხოლოდ ხელქვეთ ტიპს, რომელიც ვალდებულია დაემორჩილოს ინსტრუქციებს, იმუშაოს სხვის მიერ მოცემული წესებითა და შაბლონით, ხოლო ბოლო ათწლეულში მომზადარი სოციალურ-ეკონომიკური ძვრები ნათლად გვიჩვენებს ტეილორიზმისადმი კრიტიკული მიდგომებისა და შესაბამისად, დაქირავებული შრომისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების აუცილებლობას. „პროფესიულ განათლებას - ამ შემთხვევაში, სრულიად ახალი, გაუკვალავი გეზით მოუწეს სვლა, რადგან მისი კლასიური გაგებით, მოქმედებისათვის მზადმყოფი, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე, სოციალურად მომზიფებული მოქალაქის აღზრდა უნდა იქცეს ნებისმიერი სახის განათლებისა და საზოგადოების ფუძემდებლურ იდეად, უფრო მეტიც, იგი უნდა იქცეს, როგორც საზოგადოებრივი, ისევე სანარმოო საქმიანობის განუყოფელ ელემენტად“. [4] პროფესიულმა განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტის შემოქმედებითი უნარის განვითარებას, რომელსაც ექნება საკუთარი სამუშაოს დაგეგმვისა და მართვის უნარი. თანამედროვე დამსაქმებელი აქცენტს აკეთებს დამოუკიდებლად მოქმედ და ინიციატივიან მუშაკებზე. ერთი მხრივ, უარს ამბობს პროფესიონალზე, რომელიც სხვის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული და ნაკლებ პასუხისმგებლობას გრძნობს საბოლოო შედეგებზე, მეორე მხრივ, ეძებს პროფესიონალს, რომელსაც დამოუკიდებელი მოქმედების, ექსტრემალურ სიტუაციაში სწრაფი რეაგირების უნარ-ჩვევები და მეტი პასუხისმგებლობა გააჩნია. ასეთებს მეტი შანსი აქვთ კონკუ-

რენციული სულისკვეთებით გამსჭვალულ სოციალურ გარემოში დამკვიდრებისათვის.

გასული საუკუნის 90-იან წლებში წარმოებით პროცესებში ცვლილებების გავლენით მომწიფებულმა რეფორმებმა, თავისი ასახვა ჰქონდა პროფესიული სწავლების, კადრების კომპეტენციის, დასაქმების (შრომის ბაზრის) თეორიასა და მეცნიერებაში. კიდევ უფრო ამაღლდა და გაფართოვდა მოთხოვნები პროფესიული კვალიფიკაციის მიმართ. სპეციალისტს უნდა დაეგეგმა, შეესრულებინა და ეკონტროლებინა თავისი საქმიანობა, გაეზარდა მოთხოვნები. აუცილებელი შეიქმნა მომიჯნავე სფეროებთან და მთელ საწარმოო პროცესებთან კავშირში მისი განხილვა. კომპეტენცია იქცა, არა მხოლოდ კომპლექსური პროცესების ჩარჩოებში მოქმედების, არამედ სისტემური ურთიერთკავშირების გაფართოებისა და საბოლოო შედეგებზე პასუხისმგებლობის აუცილებლობა.

პროფესიული სასწავლებლები, მეწარმეებთან მჭიდრო კავშირში, შეიძლება ვაქციოთ ახალი პროდუქციის, ახალი მომსახურების სახეების შექმნის, განხილვისა და შემდგომი სრულყოფის ერთად. ამგვარმა მიდგომამ შეიძლება სრულყოს, როგორც პროფესიული განათლება, ასევე აამაღლოს სასწავლო დაწესებულების სტატუსი, პრესტიჯი და მნიშვნელობა ქვეყნისა და რეგიონების ეკონომიკაში, იქცეს მოსახლეობის თვითდასაქმების გადამწყვეტ ფაქტორად და ბიზნესის განვითარების მასტიმულირებელ ძალად.

პროფესიული განათლებისათვის, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების არსებული დონე იმდენად არსებითი და მნიშვნელოვანია, რომ იგი თავისი საქმიანობით, მიზნებითა და ამოცანებით, მოქნილი პოლიტიკით მოვლენების ეპიცენტრში უნდა ტრიალებდეს, სამედიცინო პარტნიორი უნდა იყოს ყველგან და ყოველთვის. მას უდიდესი პოტენციალი გააჩნია მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობისა და პირობების შექმნისათვის. მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური ეფექტის მომცემია მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, ფერმერული მეურნეობებისათვის, საოჯახო და ინდივიდუალური მეწარმეობისათვის; სოციალურად მძლავრი საშუალო ფენის ჩამოყალიბება ეკონომიკურად მოწინავე ქვეყ-

ნების სიმდიდრის, სიძლიერის და სტაბილურობის გარანტადაა მიჩნეული.

თანამედროვე შრომის ბაზარი აქცენტს აკეთებს მუშათა შემოქმედებით პოტენციალზე, მათ მზადყოფნაზე-სიახლეების რეალიზების, ცოდნის მუდმივი შეცვებისათვის, პროფესიული განვითარებისათვის, თვითრეალიზებისა და მობილურობისათვის, რომელიც მოითხოვს ახალი ტიპის-საწარმოო შრომისა და სწავლების ორგანიზაციის კომპლექსურად წარმართვას; პროფესიული განვითარება კი გულისხმობს უწყვეტი განათლების საშუალებით საკუთარი მოღვაწეობის სფეროში ცოდნის გაღრმავებასა და უნარ-ჩვევების დაუფლებას. უწყვეტი სწავლების პროცესი ხელს უწყობს და ამაღლებს პიროვნებათა პასუხისმგებლობას საკუთარი საგანმანათლებლო ბიოგრაფიისათვის. უნდა შევაძლებინოთ პროფესიული ინტერესებისა და მიდრეკილებების გააზრება, დეტალების დაზუსტება-შეჯერება და ქვეყნის ინტერესების შესაბამისად საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.

პროფესიული - საკვალიფიკაციო მახასიათებლების ცვლილებები, ახალი პროფესიების დანერგვისა და ზოგჯერ წინმსწრები ფორმებით კადრების მომზადების ინტერესები, მოითხოვენ საგანმანათლებლო პროგრამების წინასწარ დამუშავებას, განსაკუთრებით, თანამედროვე კომერციული პროფესიების გააზრებას საგანმანათლებლო კუთხით, სასწავლო და საცდელი მეურნეობების, სკოლა-საწარმოების, სკოლა-მეურნეობების (ფერმერული) ჩამოყალიბებისა და მართვის პროცესების სრულყოფას.

დასაქმების პრობლემა, წარმოებისა და მენარმეობის განვითარების საფუძვლების დაუფლება, პროფესიული განათლების რეფორმის ცენტრალურ საკითხად სამართლიანად მოიაზრება. ახალი სამუშაო ადგილების შექმნა უფრო მეტად დამახასიათებელია მიკრო, მცირე და სამუშალო ბიზნესისათვის და მათ მიმართ ოპერატორული რეაგირება სასურველი ცოდნისა და კვალიფიკაციის მიცემისათვის დროულად უნდა განხორციელდეს.

პროფესიული განათლების მენარმეობასთან ინტეგრაცია ემსახურება სისტემურ ამოცანას: შესთავაზოს თავის მომზარებელს არა მხოლოდ კვალიფიკაციის შექმნასა და ამაღლების შესაძლებლობა,

## დარგობრივი ეპონობა

მომავალში დაქირავებული შრომის პირობებში სამუშაოდ, არამედ მისცეს საკუთარი ბიზნესის შექმნისა და მართვის შესაძლებლობაც.

ნარმოების ახალი სამეცნიერო-ინდუსტრიული განვითარების დონე, თვისობრივ ცვლილებებს იწვევს მუშათა პროფესიული საქმიანობის შინაარსსა და სტრუქტურებში. ინტეგრაციის პროცესებს მივყართ შრომის ხასიათისა და შინაარსის ცვლილებებისაკენ, პროფესიათა და სპეციალობათა ურთიერთშერწყმის, ახალი უნივერსალური, ინტეგრირებული პროფესიების წარმოშობისაკენ. საბოლოოდ ასეთი პროცესები მომავალი სპეციალისტებისაგან მოითხოვს ინტეგრირებულ ცოდნას, რომელიც თავისთავში ასინთეზირებს სხვადასხვა პროფესიის საუკეთესო თვისებებს-სახეზე ვლებულობთ სრულიად ახალი ტიპის მენარმეს, მაღალი საგანმანათლებლო და კულტურის დონით.

თანამედროვე ეპოქაში პროფესიონალიზმის მაღალი დონის შენარჩუნების აუცილებელ პირობად საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და ცოდნის ზრდის სწრაფ ტემპთან ფეხის აწყობას მიიჩნევენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ მოსალოდნელია ცოდნის გაორმაგება, ყოველ 5-6 წელიწადში, (ზოგ სფეროში კიდევ უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს), ცხადი ხდება, რომ უწყვეტი განათლების ეფექტური სისტემის, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრების, თუ სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მოქნილი საქმიანობა უდიდეს მნიშვნელობას იძენს.

პროფესიული სასწავლებლებისათვის ჯერ კიდევ საფუძვლი-ანად არ არის დამუშავებული თანამედროვე ეკონომიკური პირობების შესატყვისი პროფესიების ახალი ნუსხა. იკლო, ან სრულ დავინიჭებას მიეცა ხალხური რენვის, ქართული ეროვნული პროფესიების აღდგენა-შენარჩუნების საქმე, კალატოზის, დურგლის, ქვისა და ხის მხატვრული დამუშავების, შემდუღებლის, ხარატის, მღარავის, მრავალი სამრეწველო და სოფლის მეურნეობის სპეციალისტის მომზადება.

პროფესიული სასწავლებლების როლს, ტერიტორიული ინფრასტრუქტურების განვითარებაში, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ და ბუნებრივია, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური

განვითარების თანამედროვე მდგომარეობიდან გამომდინარე, პროფესიული განათლების რეგიონულ მოდელზე საუბარი აქტუარ ხასიათს ღებულობდეს. ისიც საგულისხმოა, რომ ჩვენი გამოცდილების პირობებში ასეთი მოდელის აგების პრინციპი, შეუძლებელია იდეალურ და სრულყოფილ სახეს ატარებდეს, მაგრამ მისი სტრუქტურული სისტემატიზაციისა და რეგიონულ საგანმანათლებლო პროექტების გააქტიურება და რეგულირება, სწრაფი გარდაქმნის პირობებში, სასწავლო პროგრამების შინაარსობრივი და მეთოდური სრულყოფა, ადგილობრივი, დარგობრივი სპეციფიკისადმი მისადაგება დღევანდელობის მოთხოვნაა.

სწრაფი მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების პირობებში მაღალკვალიფიციური შრომის გარეშე ქვეყნას არა აქვს პერსპექტივები. საგანმანათლებლო სფეროსადმი ჭეშმარიტი მოთხოვნა სწორედ ეს არის - პიროვნება მოამზადოს ცხოვრებისათვის, პატივს სცემდეს და აფასებდეს შრომითს საქმიანობას, მისცეს ცოდნის, დასაქმების შესაძლებლობა. სამწუხაროდ, მასიური, შრომითი პროფესიების დიდი ნაწილი კვლავ რჩება არაპრესტიული, დაუფასებელი, განსაკუთრებით ახალსკოლადამთავრებულებისგან, რომელიც შრომითი ჩვევების უქონლობასა და მისდამი ლტოლვის დაბალ დონეზე მიგვანიშნებს. ეს ჩვენი სკოლის დიდი ნაკლია და ცალკე მსჯელობის საგანია.

ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე კვლავ დაბალი რჩება. დიდია მატერიალური და სულიერი ზარალი, ქვეყნის შიდა ბაზარი წაზღვარგარეთული საეჭვო წარმოების უხარისხმისა და იაფმა პროდუქციამ. კლანურ მონოპოლიებთან ჭიდილსა და კამათში ბევრი დრო იკარგება. გადაშენების პირას მივიდა ქართული მეურნეობის ბევრი სტრატეგიული დარგი: მევენახეობა, მეაბრეშუმეობა, მეხილეობა, მეჩაიეობა, მეცხოველეობა. ხალხური რეწვის სახეები.

პროფესიული განათლების მიმართ დაინტენსიული აზრის შემობრუნება. უაღრესად საყურადღებო მოვლენებთან გვაქვს საქმე. ასე თუ ისე, გამოცოცხლება იგრძნობა. სწორი დასკვნების გაკეთება გვმართებს. არც მემკვიდრეობა უნდა დავივიწყოთ, კარგი რამ თუ გვქონდა-ავალორძინოთ, ვამრავლოთ,

ერთობლივად ვიზრუნოთ ქვეყნის პრესტიულისათვის. პროფესიონალიზმი გადაარჩენს ქვეყანას.

იმედს ახალი ხელისუფლების დაპირებები აძლიერებს. უკვე სახეზე გვაქვს ცალკეული პროცესუალური გარდაქმნა და წარმატებული პროექტი, მაგრამ გარდაქმნა, ერთეულ პირთა, ან ცალკეულ უწყებათა საქმე არ არის, იგი სხვადასხვა უწყებასა და დარგს შორის (და ასეთი უამრავია) ერთიანი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას მოითხოვს.

საქმიანობის ყველა სფერო მნიშვნელოვანია, მაგრამ ადამიანების პროფესიული მომზადების საკითხების ქვეყნის სამეცნიერო-ეკონომიკურ ცხოვრებასთან კავშირში განხილვა განსაკუთრებულად მიგვაჩინია. ეს მნიშვნელოვანი დარგი მაღალ სამთავრობო დონეზე იმსახურებს ყურადღებას, საფუძვლიან შესწავლას, გაანალიზებას, მზრუნველობას, ისეთი ინსტიტუტების ფორმირებას, რომლებიც მუდმივ რეჟიმში იმუშავებენ ორგანიზაციულ, ფინანსურ, მეთოდურ, სასწავლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება-გამრავლებისათვის, საჯაროობის, გამჭვირვალობის პრინციპებზე დაყრდნობით ყურადღება გვმართებს რეგიონების მიმართ, განსაკუთრებით მათი სპეციფიკური დარგობრივი განვითარებისა და საგანმანათლებლო მოთხოვნებისადმი. პრობლემა-ტური საკითხების ადგილებზე შესწავლა და გადაწყვეტა მეტ პერსპექტივას გვპირდება.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. იუნესკოს || საერთაშორისო კონგრესის მასალები, პროფესიულ-ტექნიკური განათლებისა და მომზადების შესახებ. სეული. 1998 წ.
2. Harvard business review. XII. New York. 1992.
3. კ. დ. უშინსკი - რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, თბილისი. 1974 წ.
4. ბერნჰარდ ბუკი. „მენარმეობისაკენ პროფესიულ განათლებასა და მომზადებაში“. ქართულ ენაზე, თბილისი. 2002 წ. გვ. 7-8.

## საოპერაციო და ფინანშერი მჯარის (ლიზინგი) ბუღალტურული აღრიცხვა

### ჟუჟუნა წიკლაური-შენგელია ედ, სტუ ასოცირებული პროფესორი

მცირე და საშუალო ბიზნესს დღეს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში. მცირე ბიზნესს ხშირად საქმიარისი ან ჭარბი ფინანსური თუ სხვა რესურსი არ გააჩნია თავისი საქმიანობის გასაფართოებლად, შენობისა თუ სხვა ძირითადი საშუალებების შესაძენად. იგი იღებს სესხს ან იჯარით ქირაოსს ფართს ან სულაც იჯარა-საბოლოო გამოსყიდვით იძენს ამა თუ იმ ძვირადღირებულ ტექნიკას, განსაკუთრებით სამედიცინო ან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და სხვა. აქედან გამომდინარე იჯარა, ლიზინგი მეტად მნიშვნელოვანია ბიზნესის ხელშეწყობისათვის შეზღუდული რესურსების პირობებში.

საინტერესოა რამ განაპირობა ისტორიულად იჯარის თემის წინ წამოწევა? ერთის მხრივ, ადრე, აქტივებს, რომლებსაც კომპანიები იყენებდნენ, მაგრამ იურიდიულად საკუთრებაში არ ფლობდნენ, ისინი თავიანთ ფინანსურ ანგარიშებაში არ აჩვენებდნენ ამ აქტივებს და ასევე, მეორე მხრივ, მასთან დაკავშირებულ საიჯარო ვალდებულებებს. ეს იყო ცნობილი როგორც “Off Balance sheet” („ბალანსგარეშე“), დამახინჯებული ბალანსი და სხვა ფინანსური ანალიზური კოეფიციენტები. ამიტომაც აქტივის განმარტება ბასს-მა ჩამოაყალიბა შემდევნაირად: აქტივი არის საწარმოს განკარგულებაში არსებული მატერიალური და არამატერიალური რესურსები და არამარტო საწარმოს იურიდიულ საკუთრებაში არსებული აქტივები.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი №17 „იჯარის ბუღალტრული აღრიცხვა“-ის მიხედვით იჯარა არის მხარეთა ურთიერთშეთანხმება, რომლის თანახმად მეიჯარე-ქონების იჯარით გამცემი (Lessor), საიჯარო გადასახდელების - შემოსავლის მიღების მიზნით, მოიჯარეს (Lessee) გადასცემს აქტივის გამო-

### დარგობრივი ემოციები

ყენების უფლებას, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში. იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) და ფინანსურ იჯარად (ლიზინგი).

საოპერაციო იჯარის დროს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი არ გადადის დამქირავებელზე.

ფინანსურია იჯარა, თუ აქტივებთან დაკავშირებული ყველა რისკი და ეკონომიკური სარგებელი მოიჯარეს გადაეცემა. საკუთრების უფლება კი შეიძლება გადაეცეს ან არ გადაეცეს. მოიჯარე იხდის ასევე დაზღვევის, შეკეთების, რემონტის ხარჯებს.

რისკთან დაკავშირებულია აქტივის გამოყენებლობის ან/და მორალური ცვეთის გამო ზარალის მიღების შესაძლებლობა, ასევე ეკონომიკური პირობების გამო მოგების მერყეობა.

ეკონომიკური სარგებელი გულისხმობს აქტივის გამოყენებას მომგებიან საქმიანობაში, სალიკვიდაციო ღირებულების რეალიზაციიდან შემოსავლების მიღების შესაძლებლობას და სხვ.

ბასს 17-ის მე-8 პუნქტის თანახმად იჯარა ითვლება ფინანსურად, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი მოთხოვნები:

- იჯარის ხელშეკრულების თანახმად მოიჯარეს გადაეცემა აქტივის საკუთრების უფლება იჯარის ვადის დამთავრების შემდეგ;

- იჯარის ვადა მოიცავს აქტივის ეკონომიკური მომასხურების ვადის ძირითად ნაწილს ( $> 60-75\%$ ), მაშინაც კი, როდესაც საკუთრების უფლება არ გადაეცემა მოიჯარეს;

- საიჯარო ხელშეკრულება ითვალისწინებს აქტივის რეალურ ღირებულებაზე დაბალ ფასად შეძენას;

- იჯარით გადაცემულ აქტივს აქვს სპეციფიკური შინაარსი და მხოლოდ მოიჯარეს შეუძლია მათი გამოყენება არსებითი მოდიფიკაციის გარეშე.

ჩვეულებრივი იჯარის დროს მეიჯარიდან მოიჯარეს არ გადაეცემა აქტივთან დაკავშირებული რისკი და სარგებელი, ამიტომ აქტივი რჩება და აღირიცხება მეიჯარესთან საიჯარო გადასახდელება აღიარდება ხარჯად მოგებისა და ზარალის ანგარიშებაში. მაგალითად, კომპანიამ გააქირავა შენობა თვიურად 3 000 ლარად, რომლის ნლიური ცვეთის თანხაა 1200 ლარი. ამ

ოპერაციასთან დაკავშირებით მოიჯარესთან მოხდება შემდეგი გატარებები:

მოიჯარესთან აღრიცხვა:

1) საიჯარო გადასახდელების ხარჯად აღიარება:

დებეტი- 7420 საიჯარო ქირა 3000

კრედიტი 3190 სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 3000;

2) თვის ბოლოს საიჯარო თანხის გადარიცხვა :

დებეტი 3190 სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 3000

კრედიტი 1210 ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში 3000;  
მეიჯარესთან აღრიცხვა:

1) საიჯარო გადასახდელი შემოსავლად აღიარება:

დებეტი 1491 მოთხოვნები იჯარაზე 3000

კრედიტი 8190 სხვა არასაოპერაციო შემოსავლები 3000

2) ცვეთის დარიცხვა: (1200/ 12 თვე)

დებეტი 7455 ცვეთა და ამორტიზაცია 100

კრედიტი 2230 შენობის ცვეთა 100

3) თვის ბოლოს იჯარის თანხის მიღება:

დებეტი 1210 ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში 3000

კრედიტი 1491 მოთხოვნები იჯარაზე 3000

ფინანსური იჯარის დროს აქტივებიდან ვალდებულებები უნდა აისახოს მოიჯარესთან ბალანსში. მათი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით, ან თუ მასზე მცირეა მაშინ მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით. სწორედ სხვაობა მთლიან მინიმალურ საიჯარო გადასახდელებსა და მის დისკონტირებულ ღირებულებას შორის წარმოადგენს ფინანსურ (საპროცენტო) ხარჯს. ბასს 5-ის მე-3 პუნქტის თანახმად დისკონტირება ხდება იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთით, ან ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთით. იგი არის საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მოუწევდა მოიჯარეს ანალოგიური იჯარისთვის. თუ მისი დადგენა შეუძლებელია, მაშინ ის არის სა-% განაკვეთი, რომლესაც იჯარის ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის გადაიხდიდა მოიჯარე აქტივის შესაძენად აღებული სესხის გამოყენებისათვის იმა-

## დარგობრივი ეპონომია

ვე პერიოდის განმავლობაში. ამრიგად, მოიჯარის მიერ გადასახდელი საიჯარო გადასახდელი შედგება: საიჯარო ვალდებულებისა და ფინანსური ხარჯისგან. აღსანიშნავია ასევე, რომ მოიჯარესთან აქტივებს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადასა და მისი სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესი პერიოდის განმავლობაში.

განვიხილოთ მაგალითი. მანქანა-დანადგარი, რომლის რეალური ღირებულება 75 816 ლარი, 5 წლით გაიცა იჯარით. ამასთან ყოველი წლის ბოლოს გადასახდელია 20 000 ლარი. დავუშვათ, ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი 10 %-ია. ჯერ გავიანგარიშოთ მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულება:  $20 000 \text{ ლ} * 3.79 = 75 800 \text{ ლ}$ ; დისკონტირების კუმულატიური (10 %, 55.) განაკვეთი- 3.79 აღებულია ქვემოთ მოცემული დისკონტირების ცხრილიდან 5 წლის განმავლობაში და შეკრებილია ანუ კუმულატიურია (იხ: ცხრილი 1).

ცხრილი 1

ერთი ლარის ერთჯერადი გადასახდელის მიმდინარე ღირებულება

PERIOD	PRESENT VALUE OF \$1														
	0.25%	0.50%	0.75%	1.00%	1.50%	2.00%	2.50%	3.00%	4.00%	5.00%	6.00%	7.00%	8.00%	9.00%	10.00%
1	0.99751	0.99502	0.99256	0.99010	0.98522	0.98039	0.97561	0.97087	0.96154	0.95238	0.94340	0.93458	0.92593	0.91743	0.90909
2	0.99502	0.99007	0.98517	0.98030	0.97068	0.96117	0.95181	0.94269	0.94246	0.93703	0.93900	0.93734	0.94168	0.92845	
3	0.99254	0.98515	0.97783	0.97059	0.95532	0.94232	0.92860	0.91514	0.88900	0.86334	0.83962	0.81630	0.79383	0.77216	0.75131
4	0.99006	0.98025	0.97055	0.96098	0.94218	0.92385	0.90595	0.88849	0.85480	0.82270	0.79209	0.76299	0.73503	0.70843	0.68301
5	0.98759	0.97537	0.96333	0.95147	0.92326	0.90573	0.88385	0.86261	0.82193	0.78533	0.74726	0.71299	0.68058	0.64993	0.62092
6	0.98513	0.97052	0.95616	0.94265	0.91454	0.88797	0.86230	0.83748	0.79931	0.74622	0.70496	0.66834	0.63017	0.59827	0.56447
7	0.98267	0.96569	0.94904	0.93272	0.90103	0.87056	0.84127	0.81308	0.75992	0.71068	0.66500	0.62275	0.58349	0.54703	0.51316
8	0.98022	0.96009	0.94198	0.92348	0.88771	0.85249	0.82075	0.78941	0.73069	0.67684	0.62741	0.58201	0.54027	0.50187	0.46651
9	0.97778	0.95610	0.93498	0.91434	0.87459	0.83678	0.80073	0.768842	0.70259	0.64461	0.59190	0.54393	0.50025	0.46043	0.42410
10	0.97534	0.95135	0.92800	0.90528	0.88167	0.82035	0.78120	0.74409	0.70758	0.61391	0.55833	0.50838	0.46319	0.42241	0.38554
11	0.97291	0.94661	0.92109	0.89632	0.84893	0.80426	0.76214	0.72242	0.64958	0.58468	0.52679	0.47509	0.42888	0.38753	0.35049
12	0.97048	0.94191	0.91424	0.88745	0.83639	0.78849	0.74356	0.70138	0.62460	0.55684	0.49697	0.44401	0.39711	0.35553	0.31863

როგორც ზემოთ ავლნიშნეთ დისკონტირებული ღირებულება რეალურზე ნაკლებია ამიტომ სწორედ ამ თანხით აისახება საიჯარო ვალდებულება.

ფინანსური იჯარა გატარდება მოიჯარესთან შემდეგნაირად:

1) ავსახოთ მანქანის იჯარით აღება და საიჯარო ვალდებულების წარმოქმნა:

დებეტი 2150 მანქანა-დანადგარები 75 800

კრედიტი 4130 ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე 75 800

2) ფინანსური იჯარის გრძლევადიანი ვალდებულებებიდან გამოყოფით მიმინარე ნაწილი: ყოველი წლის ბოლოს გადასახდები 20 000 ლარი, აქედან საპროცენტო ხარჯია 75 800 \* 10.009% = 7586.82 ლარი, მაშინ მიმდინარე ვალდებულება იქნება 20 000 - 7586.82 = 12413.18 ლ;

დებეტი 4130 ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე 12 413.18

კრედიტი ფინანსური იჯარის მიმდინარე ნაწილი 12 413.18

3) დავარიცხოთ გადასახდელი პროცენტი, რომელიც ხარჯად აღიარდება:

დებეტი 8210 საპროცენტო ხარჯი 7586.82

კრედიტი 3410 გადასახდელი პროცენტები 7586.82

4) საიჯარო თანხის გადახდა აისახება გატარებით

დებეტი 3231 ფინანსური იჯარის მიმიღანარე ნაწილი 12413.18

დებეტი 3410 გადასახდელი პროცენტი 7586.82

კრედიტი 1210 ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში 20 000

5) ცვეთის დარიცხვა ნრთვივი მეთოდით იჯარით აღებულ ქონებაზე: (75 800/5=15160 წლიური)

დებეტი 7170 ცვეთა და ამორტიზაცია 15 160

კრედიტი 2250 მანქანა-დანადგარების ცვეთა 15 160

და ასე გაგრძელდება 5 წლის განმავლობაში ყოველწლიურად (იხ. ცხრილი 2).

ფინანსური იჯარა გატარდება მეიჯარესთან შემდეგნაირად:

1) მოწყობილობის გადაცემა და მოთხოვნის აღიარება რეალური ღირებულებით:

დებეტი 2320 ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები 75816

კრედიტი 2150 მანქანა-დანადგარები 75186

2) გრძელვადიანი მოთხოვნიდან მიმდინარე ნაწილის გამოყოფა: (20 000 ლარი - 75816 \* 0.10 = 12418.40)

დებეტი 1470 გრძლევადიანი მოთხოვნის მიმდინარე ნაწილი 12418.4

წელი	მისაღები საიჯარო ქირა (სულ)	ყოველწლიური მისაღები თანხა		დარჩენილ საიჯარო მოთხოვნის ნაშთი მომავლი პერიოდისათვის (სვ.5- სვ. 4)	
		მათ შორის			
		სა-% შე-მოსავალი (დარჩენილი მოთხოვნის 10%)	საანგარიშგებო პერიოდში მისაღები საიჯარო მოთხოვნა (სვ.2-სვ.3)		
1	2	3	4	5	
				75 800	
1	20 000	7586.82	12413.18	63386.82	
2	20 000	6344.39	13655.61	49731.21	
3	20 000	4977.6	15022.4	34708.81	
4	20 000	3474	16526	18181.8	
5	20 000	1819	18181	0	
	100 000	24201.81	75798.19		

კრედიტი 2320 ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები 12418.4

3) საიჯარო პროცენტის დარიცხვა (75816 \* 0.10 (10%) = 7581.6):

დებეტი 1820 მისაღები პროცენტები 7581.6

კრედიტი 8110 საპროცენტო შემოსავლები 7581.6

4) საიჯარო გადასახდელების მიღება:

დებეტი 1210 ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში 20 000

კრედიტი 1470 გრძლევადიანი მოთხოვნის მიმდინარე ნაწილი 12418.4

კრედიტი 1820 მისაღები პროცენტები 7581.6

და ასე 5 წლის განმავლობაში, იხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი - 3

## ცხრილი 3

საფინანსო შემოსავლების განაწილება მთლიან საიჯარო ვადაზე

წელი	მისაღები საიჯარო ქირა (სულ)	ყოველწლიური მისაღები თანხა		დარჩენილი საიჯარო მოთხოვნის ნაშთი მომავლი პერიოდისათვის (სვ.5- სვ. 4)	
		მათ შორის			
		სა-% შემოსავალი (დარჩენილი მოთხოვნის 10%)	საანგარიშგებო პერიოდში მისაღები საიჯარო მოთხოვნა (სვ.2-სვ.3)		
1	2	3	4	5	
				75816	
1	20 000	7581.6	12418.4	63397.6	
2	20 000	6339.76	13660.24	49737.36	
3	20 000	4973.74	15026.26	34711.1	
4	20 000	3471.11	16528.89	18182	
5	20 000	1818	18182	0	
	100 000	24184.21	75815.79		

ამრიგად, საქართველოში ბიზნესს საერთოდ დაკერძოდ, მცირე და სამუალო ბიზნესს, მიუხედავად იმისა, რომ საქმარისი ფინანსური რესურსი არ გააჩნია თავისი რეინვესტირებისათვის, საქმიანობის გასაფართოებლად, უდიდესი როლის შესრულება შეუძლია ეკონომიკის განვითრების საქმეში, რაშიც ჩვეულებრივი ან ფინანსური იჯარის, იჯარა - გამოსყიდვის წვლილი უდიდესია.

## საჭდვალ საპრეზიდ ბაზრის განვითარების და ფორმირება

ნინო ფუტკარაძე  
სტუ დოქტორანტი

კრუიზები არა მხოლოდ მოგზაურობის სახეობაა, არამედ მთელი ინდუსტრიაა, რომელიც აერთიანებს საკრუიზო ბიზნესით, გემთმშენებლობით, საკრუიზო გემებისთვის და მათი მგზავრებისთვის საქონლის და მომსახურების მიწოდებით, საკრუიზო ნაწარმის წინ წაწევით და რეალიზაციით დაკავებულ კომპანიებს. სამრეწველო რევოლუციამ, რომელმაც მასობრივი ტურისტული ბაზრის ჩამოყალიბების წინაპირობა შექმნა, უფრო ხელმისაწვდომი გახდა ფართო მასებისთვის საზღვაო მოგზაურობები. თუმცა დღესდღეობით უმეტესობა აღიქვამს მათ როგორც დასვენების ელიტარულ სახეობას. ტურისტული ბაზრის გლობალიზაცია, გემთმშენებლობაში და საკრუიზო სერვისის პრაქტიკაში მეცნიერების და ტექნიკის მიღწევების დანერგვა საშუალებას აძლევს საზღვაო მოგზაურობებს უფრო წარმატებული კონკურენცია გაუწიონ ჩვეულებრივ სახმელეთო ტურებს. აშშ-სა და ევროპაში საზღვაო კრუიზების პოპულრობის პიკი გასული საუკუნის 70-80-იან წლებზე მოდის. ამჟამად მოდა დასვენების ამ სახეობაზე რუსეთშიც და თანამეგობრობის სხვა ქვეყნებშიც შემოვიდა.

XIX საუკუნემდე დასვენების და გართობის მიზნით მოგზაურობა ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ მოსახლეობის შეძლებული ფენისთვის. ეს ასევე ვრცელდება საზღვაო ვოიაჟებზე. და მხოლოდ XVIII ს. მეორე ნახევარში ინგლისში დაწყებულმა სამრეწველო გადატრიალებამ უფრო ხელმისაწვდომი გახდა ასეთი მოგზაურობები.

ბრიტანული იმპერიის როლი ინდუსტრიულ რევოლუციაში ბევრად განსაზღვრული იყო მისი როგორც საზღვაო და კოლონიალური სახელმწიფოს ლიდერის პოზიციებით. ერთი მხრივ, ახალი მიწების სამეურნეო ათვისება ხელს უწყობდა ვაჭრობის განვითარებას, კაპიტალის პირველადი დაგროვების პროცესს და სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს. უფრო ვრცელდებოდა დაქი-

რავებული შრომის გამოყენება, ყალიბდებოდა კაპიტალისტური ურთიერთობების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები. ყოველივე ამან განაპირობა შრომის მწარმოებლურობის ზრდა, მოსახლეობის შემოსავლების, მათი თავისუფალი დროის მატება და, საბოლოო ჯამში, მოთხოვნა მოგზაურობებზე, მათ შორის დასვენების მიზნით.

პირველი ბორბლიანი გემი, რომელიც მდინარე გუდზონზე დადიოდა, აიგო ამერიკელი გამომგონებლის და მენარმის – რობერტ ფულტონის მიერ 1807 წელს. ორი წლის შემდეგ, ორთქლმავალი გემი “Phoenix”, რომელიც ეკუთვნოდა ჯონ სტივენს, შეასრულა საზღვაო გადასვლა ნიუ-იორკიდან ფილადელფიაში. ხოლო 1819 წელს შედგა სატვირთო ბორბლიანი გემი “Savanna”-ს პირველი სატრანსპორტო გადასვლა ნიუ-იორკიდან ლივერპულში.

1840 წლის 5 თებერვალს წყალზე ჩაშვებული ბორბლიანი გემი “Britannia”, რომელიც მიიჩნევა საკრუიზო ფლოტის პირველშობილად. ის აიგო ჯორჯ ბერენსის, დევიდ მაკივერის და სემიუელ კუნარდის მიერ 1839 წელს დაარსებული კომპანია “British and North American Royal Mail Steamships”-ის დაკვეთით. მოგვიანებით, 1878 წელს, კომპანიას სახელწოდება შეეცვალა და დაერქვა “Cunard Steamship Company Limited”, ხოლო შემდეგ “Cunard Line”. მისი ისტორია იწყება ჩრდილოეთ ამერიკასთან საფოსტო უზრუნველყოფის შესახებ ბრიტანულ მთავრობასთან დადებული კონტრაქტით. კომპანიის პირველი ლაინერებია - “Britannia”, “Caledonia” და “Columbia”, თითოეული 1154 ტ წყალწყვით, მათ შეეძლო თითქმის 8.5 კვანძი სიჩქარით გადაელახა ატლანტიკური ოკეანე ორი კვირის ვადაში. “Britannia” ასრულებდა ტრანსატლანტიკურ რეისებს 1849 წლამდე, მანამ სანამ არ წაანიჭდა უფრო გვიან აგებული ლაინერების კონკურენციას. ს. კუნარდის მიერ დაფუძნებულმა კომპანიამ ნაოსნობაში გაუშვა 180 სამგზავრო გემი. ოცდაექვსი წლის მანძილზე კუნარდის სანაოსნოს გემებმა ორი ათასჯერ გადაკვეთა ატლანტიკური ოკეანე, არცერთჯერ არ გადაუდია რეისი, არასდროს არ დაურღვევია განრიგი, არ დაუკარგავს არცერთი წერილი, არც ადამიანი და არც გემი მთელი თავისი ნაოსნობის მანძილზე. მაგრამ ამ წარმატების საწინდარი იყო არა მხოლოდ

ეფექტური მენეჯმენტი, არამედ სამგზავრო ფლოტის შემდგომი ტექნიკური დახვენა. “ნევის ბორბლები”, რომლებიც ჯერ კიდევ რომაელების დროიდან იყენებოდა, ორთქლიანი გემების ექსპლუატაციის დროს მრავალ პრობლემას ქმნიდა. მძიმე ბორბლები, რომლებიც დიამეტრში 14 მ აღწევდა, ვერ უზრუნველყოფდა გადაადგილების საკმარის სიჩქარეს და გემის ექსპლუატაციის ეკონომიურობას იალქიან გემებთან კონკურენციის გასახვად. ბორბლის სანაცვლოდ შემოდის წევის ხრახნი, რომლის, როგორც მამოძრავებელი ძალის გამოყენების იდეა, ჯერ კიდევ 1752 წელს გამოითქვა შვეიცარიელი ფიზიკოსისა და მათემატიკოსის — დანიილ ბერნულის მიერ. ამავე დროს ჯონ ერიკსონმა ააგო წევის ხრახნიანი გემი “Stockton”, გემის მანქანის სიმძლავრით 70 ცხენის ძალა, რომლითაც განახორციელა ატლანტიკის გადასვლა. შემდეგ გამოჩნდა პროგრესულბიჯიანი ხრახნები, გრიფიტსის, გირშის, მანუენის ხრახნები. ბოლოს, 1852 წელს მოდსლები შემოიღო ბრუნავფრთიანი წევის ხრახნი, რომელმაც საბოლოოდ გადაწყვიტა დავა ბორბლიანი და ხრახნიანი გემების მომხრეებს შორის ამ უკანასკნელთა სასარგებლობა.

შემდეგ ახალი მექანიზმის მონტაჟი გადაწყდა 1845 წელს წყალზე გამვებულ გემ “Great Britain”-ზე. ხრახნმა შემდეგ ბევრი ცვლილება განიცადა — ჯერ იყო ექსფრთიანი, შემდეგ (1846 წ.) ის შეცვალეს ოთხფრთიანით. ძრავის სიმძლავრე აიყვანეს 1000 ცხენის ძალამდე. ლაინერი გამოიყენებოდა მგზავრების ინგლისიდან ავსტრალიაში გადასაყვანად. ორთქლიანი ძრავის გამოყენება გემის ხის კორპუსისთვის დამანგრეველ ვიბრაციას ქმნიდა, ამიტომაც ხის კორპუსი შეიცვალა რკინით. პირველი გემი რკინის კორპუსით “Aaron Manby” – აიგო 1822 წელს. მოგვიანებით რკინა გემის კორპუსების მშენებლობისთვის შეიცვალა ფოლადით, ჯერ პუდლინგურით, ხოლო XIX საუკუნის 70-იან წლებში — მარტენულით. ამან გამოიწვია ლითონის კორპუსის მასის 20% ეკონომია, რკინის კორპუსთან შედარებით, და გაზარდა გემების ტვირთამნეობა და მგზავრების ტევადობა.

გემთმშენებლობაში დაწყებული გიგანტომანიის მწვერვალი გახდა მშენებლობა ინგლისში 1858 წელს სამგზავრო ლაინერის

"Great Eastern", მთლიანად ლითონის კორპუსით. მას შეეძლო ბორტზე აეყვანა 4.0 ათასი მგზავრი, მათ შორის 800 — I კლასის კაიუტებში, 2.0 ათასი — II კლასის კაიუტებში და 1.2. ათასი — III კლასის კაიუტებში. მგზავრთა ასეთი ტევადობა 100 ათას ტონაზე მეტი წყალწყვის თანამედროვე ლაინერებისთვისაც დიდ მაჩვენებლად ითვლება, ხოლო იმ დროისთვის ის კოლოსალური იყო.

შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო საოკეანო სამგზავრო გემის პირველი რეისი, რომელიც შესრულდა მგზავრების გასეირნების მიზნით, და არა მათ ერთი წერტილიდან მეორე წერტიში გადასაყვანად.

1870 წელს საზღვაო კრუიზების ბაზარზე გამოვიდა კომპანია "White Star Line". მისი ხრახნიანი გემები "Britannic", "Atlantic", "Baltic", "Germanic" და "Republic" ანვითარებდნენ იმ დროისათვის მაღალ სიჩქარეს — 21 კვანძს.

XIX საუკუნის ბოლოსთვის კრუიზების კონცეფციამ ახალი გამოხატულება მიიღო. საკრუიზო კომპანიები აღარ მისდევდნენ მგზავრების ტევადობის მაჩვენებელს. კონკურენციის საფუძველი გახდა კომფორტულობა. მაგალითად 1891 წელს წყალზე ჩაშვებული ლაინერი. "La Touraine"-ს გააჩნდა ზონები სხვადასხვა კლასის მგზავრებისთვის. პირველი კლასის სივრცეები გამოირჩეოდა ინტერიერის დახვენილობით. მგზავრები სარგებლობდნენ რესტორნებით, სადაც მსოფლიოს გურმანებისთვის მიმზიდველ ფრანგული სამზარეულოს კერძებს და დელიკატესებს სთავაზობდნენ. თუმცა მესამე კლასის მგზავრებსაც, სხვა ლაინერებისგან განსახვავებით, არ უჭირდათ ლამის გასათავი ადგილის პოვნა, მათვის შექმნილი იყო მეორე და მესამე კლასის შეთავსებული კაიუტები — პატარა ზომის, მაგრამ მოსახერხებელი და მოთხოვნადი.

1907 წელს აიგო არანაკლებ ცნობილი სამგზავრო გემი "Mauretania". ლაინერ "Mauretania"-ზე პირველად მოეწყო რესტორანი ღია გემბანზე. დიდი ყურადღება დაეთმო უსაფრთხოების საკითხებს, კერძოდ, გემზე დამონტაჟებული იყო წყალშეუღწევი კარები.

XX საუკუნის დასაწყისის გემთმშენებლობის მწვერვალი გახდა ლაინერები "Olimpic" და "Titanic". მათი წყალწყვა 45 ათას ტ. აღემატებოდა, ხოლო სიჩქარე 21 კვანძს აღწევდა. ლაინერზე მოწყო-

ბილი იყო ძვირფასი კიბეები, ფლოტზე ყველაზე დიდი 500 მეტ კლიენტზე გათვლილი რესტორნები, მოსაწევი ოთახები, გასასეირნებელი გემბანები, მაგიდის თამაშებისთვის განკუთვნილი დარბაზები, სატრენაჟორო დარბაზი, თურქული აბანოები, მუსიკალური სალონი.

კაიუტების კლასების მიხედვით მგზავრებს შესვლის უფლება ჰქონდათ ლაინერის სხვადასხვა ზონებსა და გართობის გარკვეული ინფრასტრუქტურებში. ას ბერგთან შეჯახების შედეგად "Titanic"-ი ჩაიძირა და თან იმსხვერპლა 1.5 ათასი ადამიანის სიცოცხლე. ამ ტრაგიკულმა შემთხვევამ სერიოზული ზიანი მიაყენა კომპანია "White Star Line"-ის რეპუტაციას და მთლინობაში საკრუიზო ბიზნესსაც. ამასთან, ლაინერ "Titanic"-ის დალუპვამ კიდევ ერთხელ დააფიქრა საკრუიზო კომპანიები მგზავრების უსაფრთხოების საკითხებზე. ბევრი ლაინერი ხელახლა აღიჭურვა: დამონტაჟდა მაუწყებლობის ახალი სისტემა, გაიზარდა სამაშველო ნავების რაოდენობა, შემოღებულ იქნა საგანგებო სიტუაციებში ეკიპაჟის მოქმედების პროგრამები.

1914 წელს დაწყებულმა პირველმა მსოფლიო ომმა ახალი საფრთხე შეუქმნა საზღვაო ნაოსნობას. კრუიზებზე მოთხოვნა დაეცა. მრავალი ლაინერი "გაინვიეს" სამხედრო სამსახურში. ისინი გამოიყენებოდნენ სამხედრო სატრანსპორტო გემების და პოსპიტალების სახით. მარტო კომპანია "Cunard Line"-მა ომის წლებში დაკარგა 22 ლაინერი.

პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, საკრუიზო ინდუსტრიის განვითარებაში ორი ტენდენცია დაისახა.

ერთი მხრივ, გამარჯვებულმა ქვეყნებმა ჩამოართვეს გერმანიას ძვირფასი ლაინერები, მათ შორის დაუსრულებელიც. მეორე მხრივ, ბაზარზე გამოსული ახალი მოთამაშები მზად იყვნენ რისკზე ნასულიყვნენ და ახალი გემების მშენებლობაში ინვესტიციები ჩაედოთ.

საკრუიზო ინდუსტრიის განვითარების მეორე მიმართულების მაგალითია ლაინერი "Ile de France", რომელიც ეკუთვნოდა სანაოსნო კომპანია "French Lines". ტექნიკის ახალი მიღწევების გათვალისწინებით საფრანგეთში აგებული ლაინერი გაიშვა 1927 წელს. ლაინერი "Ile de France" მგზავრებს მათი გემოვნებისამებრ

სთავაზობდნენ სხვადასხვა სახის კაიუტებს, ხოლო მესამე კლასის ადგილების რაოდენობა უფრო მცირე იყო, ვიდრე პირველ და მეორე კლასში ერთად აღებული (646 1140 წინააღმდეგ). ლაინერ “Ile de France”-სზე საფოსტო თვითმფრინავიც კი იყო, რომელსაც შეეძლო ჰაერში აფრენა ნაპირიდან 20 მილში, რაც უზრუნველყოფა და კონტინენტებს შორის ფოსტის ყველაზე სწრაფ მიწოდებას. მაგრამ სანაოსნო კომპანიების და გემთმშენებლების მთავარი მიზანი გახდა პირველი კლასის მგზავრებისთვის მაქსიმალური კომფორტის განევა. ეს ადამიანები უმეტეს შემთხვევაში თავის მთავარ მიზნად არ ისახავდნენ ერთი წერტილიდნ მეორეში გადასვლას და განიხილავდნენ კრუიზს, როგორც გასართობ მგზავრობას, როდესაც საკრუიზო ლაინერების ძირითადი მგზავრები იყვნენ ცნობილი მსახიობები, მხატვრები, ბიზნესმენები და არისტოკრატები. ბორტზე სადღესასწაულო განწყობა სუფევდა. ბარში ალკოჰოლის გაყიდვა იქცებოდა აშშ-ს სანაპიროდან 12 მილის დაშორებით.

მეორე მსოფლიო ომმა, ისევე როგორც პირველმა, სერიოზული ზიანი მიაყენა საკრუიზო ინდუსტრიას. მრავალი ლაინერი ისევ გამოიყენებოდა საომარი მიზნებისთვის და ხდებოდა გერმანული სუბმარინების და თვითმფრინავების სამიზნე. ასე მოუვიდა კომპანია “Cunard Line”-ის ლაინერ “Queen Elizabeth”-ს. ის გარდაიქმნა სამხედრო სატრანსპორტო გემად, რომელსაც ბორტზე აყავდა 5 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი, რამაც “Queen Elizabeth”-ი გერმანიის სამხედრო-საზღვაო და საპარო ფლოტის მმთავარი სამიზნე გახადა.

მიუხედავად ომისშემდგომი მძიმე ვითარებისა, ტრანსატლანტიკურ მგზავრთა ნაკადი დიდი იყო — 1 მლნ. მგზავრი წელიწადში. მაგრამ 1950 წელს სიტუაცია სწრაფად შეიცვალა. ეს უკავშირდებოდა ავიამშენებლობის განვითარებას. იმ მომენტმდე, სანამ გაჩინდა ატლანტიკის ჰაერით გადაკვეთის შესაძლებლობა, საზღვაო გზა რჩებოდა კონტინენტებს შორის მიმოსვლის ერთადერთ ხერხად. ავიაგადაფრენები უფრო ნაკლები ჯდებოდა და ნაკლებ დროს იკავებდა, ვიდრე საზღვაო ვოიაჟები.

მიუხედავად იმისა, რომ ლაინერები აღჭურვილი იყო კონდიცირების სიტემებით, აუზებით, დამატებითი გასასეირნებელი გემ-

ბანებით, საზღვაო მგზავრების მოცულობა მცირდებოდა. 1961 წელს ატლანტიკის გადასაკვეთად ლაინერებით ისარგებლა 750 ათასმა ადამიანმა, ხოლო თვითმფრინავებით — უკე 2 მილიონმა.

საზღვაო სამგზავრო გადაზიდვები თითქმის განიდევნა საჰაერო ტრანსპორტის მიერ და ძირითადათ დარჩა რეკრეაციული კრუიზების სახით. XX საუკუნის ნახევარში არავინ იფიქრებდა იმაზე, რომ საზღვაო სამგზავრო ფლოტი ძირითადად ნარმოდგენილი იქნებოდა საკრუიზო გემებით და ასეთი მოგზაურობების წამყვანი მოტივი იქნებოდა დასვეება და გართობა.

საზღვაო სამგზავრო გადაზიდვების სტრუქტურაში კრუიზების წილის ზრდის ობიექტური წინაპირობა გახდა: უპირველესად, შრომის მწარმოებლურობის ზრდა და მასთან დაკავშირებული მოსახლეობის შემოსავლების და თავისუფალი დროის ზრდა, მეორე რიგში, თვით საზღვაო სამგზავრო ტრანსპორტის, გემთმშენებლობის და სანავსაღურო მეურნეობის განვითარება, ამ სფეროში მეცნიერების და ტექნიკის მიღწებევის დანერგვა. შესაბამისად, საკრუიზო გემების მშენებლობაში სპეციალიზაცია და სერვისის კარდინალური ზრდა. და მესამე - ტურიზმის სფეროში შრომის მორიგი დანაწილების შედეგად ტურბიზნესის გაჩენა, რომელიც წარმოდგენილი იყო მოგზაურობების ორგანიზებასა და გაყიდვაზე სპეციალიზებული საწარმოებით, რომლებსაც შეეძლო არა მხოლოდ დაკვეთით ემუშავა, არამედ შემოეთავაზებინა მზა ტურპროდუქტი, ანუ “საპაკეტო ტური”(package tour).

საზღვაო ტურისტული მოგზაურობები საკმაოდ ძვირი სიამოვნება იყო, მაგრამ მათზე მოთხოვნა შეძლებული მომხმარებლებისგან მოდიოდა. ამ მოთხოვნების შესაბამისად, სანაოსნო კომპანიებს თავისი სერვისი მომსახურების უფრო მაღალ კლასამდე აჰყავდა. უფრო დახვეწილი სერვისისკენ მისწრაფება, თავის მხრივ, იწვევდა მოგზაურობის ღირებულების გაძვირებას. საერთო ჯამში, საკრუიზო პროდუქტის ზრდის პირობებში ვერ ხერხდებოდა მასობრივი ბაზრის უპირატესობის სრული რეალიზაცია, რომელიც გათვლილი იყო საშუალო კლასის გადახდისუნარიან მომხმარებელზე. არჩევანი პრესტიჟულ და მასობრივ პროდუქტებს შორის უნდა გაეკეთებინა საკრუიზო ბაზრის მონაწილე ახალ თაობას.

საკრუიზო კომპანიების ხელმძღვანელობა საფიქრალში ჩავარდა, თუ როგორ დაეპრუნებინა მგზავრები.

1972 წლის იანვარში ლაინერი “Empress of Canada” შეიძინა საკრუიზო კომპანიამ “Carnival Cruise Lines”, რომელიც არც თუ ისე დიდი ხნის წინ აშშ-ში ჩამოაყალიბა ტედ არისონმა. ლაინერს დაერქვა “Mardi Gras”. ეს იყო კომპანია “Carnival Cruise Lines”-ს პირველი ლაინერი.

კომპანია იყენებდა ლაინერს მხოლოდ კარიბის ზღვაში შესრულებული კრუიზებისთვის, ანუ იმ რაიონში, რომელიც ერთის მხრივ ხასიათდებოდა ტროპიკული საზღვაო დასვნების ყველა უპირატესობით, და, მეორეს მხრივ, მაქსიმალურად მიახლოებული იყო აშშ ტერიტორიასთან, როგორც გადახდისუნარიანი მომხმარებლის მთავარ ცენტრთან. ეს იყო პრინციპული მომენტი, ვინაიდან 1960 წლამდე საკრუიზო მარშრუტები ძირითადად აკავშირებდა ევროპას ამერიკასთან და ავსტრალიასთან, ანუ ლაინერები მიჰყვებოდნენ სამგზავრო გადაზიდვების ხაზის მარშრუტებს. გარდა ამისა, ახალ პირობებში უფრო აქტიურად დაიწყო მექსიკის, ალიასკის, კანადის ნაპირებთან, ასევე ხმელთაშუა ზღვის და ჩრდილოეთ ევროპის გარშემო მარშრუტების ათვისება. 10 მლნ. დოლარამდე დაიხარჯა “Mardi Gras”-ის გადაკეთებაზე, რომელიც მოიცავდა სამგზავრო ადგილების ზრდას 1240-მდე, ინტერიერების დიზაინის შეცვლას, უფრო მკეთრი ფერების და შუქური ეფექტების დამატებას შიდა განყობაში, ბორტზე რამდენიმე დისკოტეკის და კაზინოს მოწყობას. 1975 წელს ლაინერი უკვე ასრულებდა კრუიზებს 100%-იანი დატვირთვით. კრუიზების გაყიდვები ხორციელდებოდა ერთდროულად აშშ-სა და კანადაში. ფასები ამ კომპანიის კრუიზებზე რეგიონში ყველაზე დაბალი იყო, რამაც დიდი პოპულარობა მოუტანა მათ.

ამით კომპანია “Carnival Cruise Lines”-მა საკრუიზო დასვენების ახალი კონცეფციის საფუძველი ჩაუყარა, რომელიც შემდეგ პრინციპებს ეფუძნებოდა:

- კრუიზი — არის გასართობი მოგზაურობა, რომლის მონაწილეები არ ისახავენ უპირველეს მიზნად ერთი წერტილიდან მეორეში მოხვედრას;

- კრუიზები სრულდება კომფორტაბელურ გემებზე, რომლებსაც ბორტზე აპყავს მგზავრების მაქსიმალური რაოდენობა და სთავაზობს მგზავრებს გართობის მდიდარ ინფრასტრუქტურას;

- ყველა ტურისტს აქვს ერთნაირი შესვლის უფლება ლაინერის ყველა ზონაში, ისინი არ იყოფებიან კლასებად, თავისუფლად სარგებლობენ გემის ბორტზე არსებული მთელი ინფრასტრუქტურით;

- საკრუიზო ლაინერი გზაში აკეთებს მაქსიმალური რაოდენობის გაჩერებებს, რომლის დროსაც ტურისტებს შეუძლიათ ნაპირზე ჩასვლა და დროის გატარება;

- კრუიზების ღირებულება შეესაბამება ანალოგიური მომსახურების კლასის სახმელეთო დასვენებას ან უფრო დაბალია.

ახალმა კონცეფციამ შეცვალა კრუიზებზე წარმოდგენა. ახლა მოსახლეობის ფართო ფერებისთვის ხელმისაწვდომი გახდა ის, რაც ადრე შესაძლებელი იყო მხოლოდ შეძლებული ადამიანებისთვის. ფასის ხელმისაწვდომობამ კრუიზებისადმი ახალი კატეგორიის მომხმარებლის ყურადღება მიიპყრო. საერთო ჯამში, გეოგრაფიის, სერვისის კონცეფციის და საფასო პოლიტიკის შეცვლით, ამ კომპანიამ გაიყენა საზღვაო კრუიზები მასობრივი მოთხოვნის ბაზარზე და შეუნარჩუნა მას პოზიციები ელიტარული მოხმარების სეგმენტშიც.

თანამედროვე საკრუიზო ინდუსტრიამ ჩამოყალიბება დაიწყო 1960 წლებში, როდესაც მაიამიდან სრულდებოდა ყოველწლიური რეისები კარიბის ზღვის მიმართულებით, ხანგრძლივი მოთხოვნის ბაზარზე და შეუნარჩუნა მას პოზიციები ელიტარული მოხმარების სეგმენტშიც.

1974 წელს მაიამი გახდა აშშ-ს მსხვილი სამგზავრო ნავსადგური და გაუსწრო ნიუ-იორკს. საკრუიზო ინდუსტრია პარალელურად აღიასკაზე და მექსიკის დასავლეთ სანაპიროზე ვითარდებოდა. ანალოგიური პროცესები მიმდინარეობდა ევროპაშიც.

ამერიკულ ბაზარზე ნამდვილი “საკრუიზო ბუმი” 1977 წელს დაიწყო. საბოლოო ჯამში, მისი მიზეზი გახდა საკრუიზო პროდუქტის ადეკვატური წინადადება შეფარდებაში ფასი-ხარისხი. მაგრამ ამ წარმატებას ბევრი შემადგენელი ჰქონდა. იცვლებოდა არა მხოლოდ მარშრუტების გეოგრაფია. შენდებოდა მგზავრების უფრო

დიდი ტევადობის და დიდი წყალწყვის გემები. ეს ბოლო მაჩვენებელი, რომელიც 1970 წელს, როგორც წესი 4 ათას ტ. შეადგენდა, 1980 წლისთვის 70 ათას, ხოლო 1990 წლებში — 100 ათას ტონამდე გაიზარდა. მგზავრების ტევადობის ზრდამ და პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვამ ხელი შეუწყო ერთ სამგზავრო ადგილზე გათვლილი ხედრითი დანახარჯების შემცირებას, რამაც საშუალება მისცა საზღვაო კრუიზებს წარმატებული კონკურენცია გაეწია სახმელეთო ტურებისთვის, ხოლო საკრუიზო ბიზნესს ფინანსურ სიმყარეს ანიჭებდა.

საკრუიზო ინდუსტრიის ახალ აღმავლობაში საკმაოდ დიდი როლი ითამაშა უფრო აქტიურმა საკრუიზო კომპანიების მარკეტინგულმა პოლიტიკამ, მათ შორის რეკლამის გამოყენებამ. 1985 წელს კომპანია “Carnival Cruise Lines”-მა წყალზე ჩაუშვა ლაინერი “Holiday”, წყალწყვით 46 052 ტ, 1986 და 1987 წლებში - ლაინერები “Jubilee” და “Celebration”, თითოეული 47 262 ტ წყალწყვით. 1991 წელს აშენდა 76000-ტონიანი ლაინერი “Carnival Ecstasy”, 1993 წელს - “Carnival Sensation”, 1995 წელს — “Carnival Imagination”, 1996 წელს - “Carnival Inspiration” და “Carnival Destiny” (პირველი ლაინერი წყალწყვით 100 000 ტ მეტი), 1998 წელს — “Carnival Elation” და “Carnival Paradise”, 1999 წელს - “Carnival Triumph”. 2000 წლიდან 2005 წლამდე კომპანია “Carnival Cruise Lines” წელიწადში თითო ლაინერს უშვებდა: “Carnival Victory”, “Carnival Spirit”, “Carnival Pride”, “Carnival Conquest”, “Carnival Valor”, “Carnival Liberty”. 2007 წელს ხმელთაშუა ზღვაში ის შეცვალა ახალმა ლაინერმა “Carnival Freedom”, რომელსაც 2008 წელს შეუერთდა ლაინერი “Carnival Splendor”, წყალწყვით 113 ათას ტ. მეტი. 2009 წელს აშენდა ლაინერი “Carnival Dream”, წყალწყვით 128 ათასი ტ., ხოლო 2011 წელს კომპანიამ წყალზე ჩაუშვა ანალოგიური პროექტის ლაინერი “Carnival Magic”.


სინამდვილეში ამ ბოლო ათწლეულის მანძილზე საკრუიზო პროდუქტში მომხდარი ცვლილებები ბევრად უფრო ღრმა არის. ეს-ენია: დამატებითი ფასიანი რესტორნები; ვაკუუმური ტუალეტები; აუქციონების ჩატარება და ბორტზე საიუველირო მაღაზიების არსებობა; ძირითად საკრუიზო კომპანიებში ონლაინ რეზივში რეგის-

ტრაციის შესაძლებლობა; აივნიანი, ფრანგული აივნიანი კაიუტები; საკრუიზო გემები, რომლებზეც არ დაიშვება ბავშვები; საბავშვო და მოზარდთა კლუბები; უნაღდო ანგარიშსწორების სისტემა გემის ბორტზე; კაიუტების ელექტრონული გასაღები; დამატებითი სპა-მომსახურება; პერსონალური სეიფები კაიუტებში; ექსკლიუზიური დახურული ზონები; მრვალოთახიანი კაიუტები; ბორტზე თანამგზავრული კავშირის არსებობა; ბორტზე ინტერაქტიული ტელევიზიის არსებობა; კვების ნერტილების და ვარიანტების ფართო არჩევანი; მაღალტექნიკური გასართობი შოუ; ბორტზე ინტერნეტის არსებობა; დიდი კაზინოები, თემატური ლონჟები და ბარები; “შევდური მაგიდის” პრინციპით მომუშავე დიდი რესტორნები; გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების პირთათვის; გაფართოებული სპორტული ინფრასტრუქტურა, მაგალითად კედლები ცოცვისთვის, საციგურაო მოედნები, გოლფ-სიმულატორები, სარბოლო ავტომობილების სიმულატორები და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ თვით საკრუიზო პროდუქტის ასორტიმენტი უფრო მრავალფეროვანი გახდა, საკრუიზო ბაზარი — უფრო სეგმენტირებული, ხოლო საკრუიზო გემთმშენებლობა — უფრო სპეციალიზებული.

მსოფლიო საზღვაო საკრუიზო ფლოტის მგზავრთა ტევადობა ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე თითქმის რვაჯერ გაიზარდა და 2010 წელს 317,9 ათას მგზავრს მიაღწია. CLIA — სა და ევროპის საკრუიზო საბჭოს (European Cruise Council – ECC) პროგნოზით, 2014 წლისთვის ის უნდა გაიზარდოს 349,0 ათას ადგილამდე.

როდესაც ჩევნ ვსაუბრობთ მგზავრების ნაკადზე, უნდა ავლიშნოთ, რომ CLIA — ს წევრ კომპანიებში ბოლო ოცი წლის განმავლობაში ეს მაჩვენებელი გაიზარდა 3,2 ჯერ და 2009 წელს მიაღწია 13,4 მლნ. ადამიანს. ამასთან საკრუიზო მგზავრთა ნაკადის შემცირება დაფიქსირდა მხოლოდ 1995 წელს -2% დონეზე. მაქსიმალურ მატებას 15% ამ მაჩვენებელმა მიაღწია 2002 წელს, შემდეგ კრიზისულ 2009 წელს დაიწია 3%. მისი საშუალონლიურმა ნამატმა 1991-2009 წწ. პერიოდში შეადგინა 7%. იხ. გრაფიკი №1.




გრაფიკი №1. წყარო CLIA და ECC

შესაბამისად იზრდება საკრუიზო ინდუსტრიის შემოსავლებიც. კრიზისულ 2009 წელს საკრუიზო ბაზრის ბრუნვამ, “Cruise Market Watch”-ის ექსპერტების შეფასებით, 24,9 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, 2008 წ. არსებული 27,6 მილიარდ დოლარის სანინაღმდეგოდ, ანუ 7,7% შემცირდა. 2010 წლის შედეგებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გაყიდვები კრიზისამდე არსებულ მაჩვენებელს მიუახლოვდება, ან, შესაძლოა, გაუსწრებს მას. ამასთან, ჩრდილოეთ ამერიკის ბაზარზე მოდის კრუიზების მთელი გაყიდვების 60%, ხოლო დანარჩენ ბაზრებზე — 40%.

დამახასიათებელია ასევე ისიც, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში საკრუიზო კომპანიებმა ფასების დაკლების პოლიტიკით შეძლეს შეენარჩუნებინათ მგზავრების ნაკადი. Bureau of Labor Statistics (BLC) მონაცემებით, რომელიც აშშ შრომის დეპარტამენტის ქვედანაყოფია, 2009 წ. ამერიკულ ბაზარზე კრუიზე საშუალო ფასი “წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით დაინია 9,3%. ფასების დაკლებამ ხელი შეუწყო არა მარტო ლაინერების დატვირთვას, არამედ ნავსადგურის და სხვა, კრუიზებთან დაკავშირებულ მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდას”.

ეს ფასი ნამდვილად შეესაბამება ევროპულ კურორტზე 5 ვარსკვლავიან სასტუმროში გაჩერების ღირებულებას იმ განსხვავებით, რომ ლაინერი კიდევაც მოძრაობს და ერთი კვირის მანძილზე რამდენიმე ქალაქის და ქვეყნის დათვალიერების საშუალებას იძლევა. ანუ საზღვაო კრუიზებს, საფასო კონკურენციის თვალსაზ-



გრაფიკი №2. წყარო Resort Development Organisation

რისით, ტურისტულ ბაზარზე საკმაოდ ძლიერი პოზიციები უკავია.

1987 წელს საკრუიზო კომპანია “Norwegian Caribbean Cruise Lines” – ს დაერქვა “Norwegian Cruise Lines”, ხოლო 1996 წელს გარდაიქმნა კორპორაციაში “Norwegian Caribbean Cruise Line, Ltd, NCL”. კომპანია “Norwegian Cruise Lines”-ს განსხვავებით, NCL ნაკლებ ახალ გემებს აშენებდა, მაგრამ აქტიურად ახდენდა ძველი ლაინერების მოდიფიცირებას.

2000 წელს NCL შემოიმუშავა კონცეფცია “Freestyle Cruising” (კრუიზები თავისუფალ სტილში).

მოცემული კონცეფცია გულისხმობდა საკრუიზო დასვენებაში შემდეგი ელემენტების დანერგვას:

- Freestyle Dining (თავისუფალ სტილში კვება) — ჭამის შესაძლებლობა ნებისმიერ დროს, ნებისმიერ რესტორანში, ნებისმიერ მაგიდასთან;

- Freestyle Accommodation (თავისუფალ სტილში განთავსება) — განთავსების არჩევის შესაძლებლობა შიდა პატარა კაიუტით დაწყებული და დიდი ვილით დამთავრებული;

- Freestyle Attire (თავისუფალ სტილში ჩაცმა) — ძველი დრეს-კოდის არარსებობა, ასევე სხვა ელემენტების, რომელიც ნაკლებად ფორმლურ და უფრო კომფორტულს ხდის მოგზაურობას,

2001-2002 წწ. NCL ფლოტს დაემატა ოთხი ლაინერი, ხოლო

ყველა ძველი ლაინერი გადაკეთდა ახალი კონცეფციის “Freestyle Cruising” დასანერგავად. 2004 წელს შეიქმნა ბრენდი “NCL America” ჰავაისა და კარიბის ზღვის კუნძულებზე სამოგზაუროდ, პარალელურად შეიქმნა ქვედანაყოფი ევროპულ ქვეყნებთან მუშაობისთვის და დაინერგა ონლაინ-დაჯავშნის სისტემა.

საკურუიზო კორპორაციების სწრაფ განვითარებას მოჰყვა ახალი დონის დიდი ლაინერების მშენებლობა. დღეისათვის მსოფლიო საკურუიზო ხაზების ლიდერი ფლოტი უმეტეს ნაწილად ახალი თაობის სუპერ ლაინერებისგან შედგება. საკურუიზო ტურიზმის განვითარების ძირითად ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს კონცეფცია “გემი — მცურავი კურორტი”, რომელშიც ჩადებულია ერთი გემის ბორტზე დასვენების და ტურიზმის სხვადასხვა სახეობების შერწყმის პრინციპი. ფაქტობრივად ეს არის ოკეანეში განთავსებული საკურორტო ქალაქი თავისი მომსახურებების ფართო სპექტრით.

თანამედროვე ლაინერებზე შესარულებული კრუიზები შესაშური მოთხოვნით სარგებლობს მთელ მსოფლიოში, ამიტომ საკურუიზო კომპანიები მომავალი განვითარებისკენ და ახალ ბაზრებზე გასვლისკენ მიისწრაფვიან.

### გამოყენებული ლიტერატურა და ელექტრონული რესურსები:

1. С.П. Шпилько, Н.В. Андронова, Р.В. Чударев, Морские круизы;
2. С.П. Шпилько, Теория и практика классификации видов туризма;
3. Я. Kochmarek, A. Stasiek, Туристический продукт.
4. Berlitz. Complete guide to cruising and cruise ships, 2010, Douglas Ward;
5. Cruise Line International Association. URL: <http://www/cruising.org>;
6. URL: <http://www/carmivalcorp.com>;
7. URL: <http://www/cruisemarketwatch.com>.

### საცალელი კომპანიების საქმიანობა და საფრანგეთი ბაზრის გამოკვლევა

**მზისადარ პუალავა**  
ედ, ანსუ-ს  
ასისტენტ პროფესორი.

სანაოსნო კომპანიის მარკეტინგული მიკროგარემო წარმოდგენილია საფრანგეთო ბაზრით. მსოფლიოს საფრანგეთო ბაზარი შედგება ცალკეული ლოკალური ბაზრებისაგან, რომლებიც შეიძლება დავყოთ გეოგრაფიული რაიონების, ტვირთების სახეების და გემების სატონაჟო ჯგუფების მიხედვით.

ლოკალური საფრანგეთო ბაზარი არის სხვადასვა გეოგრაფიულ რეგიონებს შორის განსაზღვრული სახეობის ტვირთების გადაზიდვის სატრანსპორტო მომსახურების სფერო, რომელსაც ახორციელებენ გარკვეული მახასიათებლების მქონე გემები. დიდი გემები არ უნივერსალური კონკურენციას პატარა გემებს, რომლებსაც შეუძლიათ შესვლა მცირებულიან პორტებში. ტანკერები არ არიან კონკურენტები გემ-რეფრეჟერატორებისათვის და ა. შ. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ლოკალური საფრანგეთო ბაზრების რიცხვი საკამოდ დიდია. შესაბამისად სხვადასხვა ლოკალური ბაზრების მიხედვით ფასების ცვლილება და რყევები განსხვავებულია.

როგორც საბაზრო კატეგორია კონიუნქტურა ნიშნავს ბაზრის კონკრეტულ მდგომარეობას. მისი შემადგენელი ელემენტებისა და ფაქტორების ურთიერთკავშირის გათვალისწინებით საფრანგეთო ბაზრის კონიუნქტურა შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ეკონომიკური მოვლენების ერთობლიობა, რომელიც ხასიათდება მოთხოვნა — მიწოდების და გადაზიდვის ფასების განსაზღვრული თანაფარდობით, და ბოლოს, საფრანგეთო ბაზრის კონიუნქტურა შეიძლება განვიხილოთ როგორც საბაზრო ურთიერთობათა ერთობლიობა, სადაც ხორციელდება საზღვაო ტრანსპორტით მომსახურების რეალიზაციის პროცესი.

საფრანგეთო ბაზრის კონიუნქტურის ანალიზის მიზანია ეკონომი-

კური მაჩვენებლების მოძრაობის ტენდენციების გამოვლენა და ბაზარზე მიმდინარე ცვლილებების გამომწვევი მიზეზების დადგენა. საბაზრო კონიუნქტურის კვლევის ძირითადი ამოცანაა ბაზრის განვითარების სეზონურობისა და ციკლურობის ძირითადი ტენდენციების შესწავლა. კონიუნქტურული ანალიზის ამოცანების რეალიზაციისათვის აუცილებელია შესაბამისი მაჩვენებელთა სისტემის გამოყენება. განვიხილოთ ის მაჩვენებლები, რომლებიც გამოიყენება საფრანგო ბაზრის დასახასითებლად. საფრანგო ბაზრის კონიუნქტურის ტრადიციული მაჩვენებლებია: კონკრეტულ გარიგებათა საფრანგო და საიჯარო განაკვეთი; სხვადასხვა პერიოდში და ცალკეული ტვირთნაკადების მიხედვით საფრანგო განაკვეთის საშუალო მნიშვნელობა. საფრანგო განაკვეთების დონის ცვლილების შესაფასებლად გამოიყენება სხვადასხვა საფრანგო ინდექსი:

1. ინდიკატური ინდექსი, რომელიც გამოითვლება ცალკეული ტვირთებისათვის ერთი მიმართულებით.

2. ჯგუფური ინდექსი, რომელიც გამოითვლება სხვადასხვა ტვირთებისათვის ერთი მიმართულებით ან ერთი ტვირთისათვის სხვადასხვა მიმართულებით.

3. საერთო საფრანგო ინდექსი გამოითვლება სხვადასხვა ტვირთებისათვის სხვადასხვა მიმართულებით.

4. საფრანგო ინდექსი — ეკონომიკური მაჩვენებლები, რომელიც ასახავს საფრანგო განაკვეთების ცვლილებას სატრამპო ტონაზე.

საფრანგო განაკვეთების საფრანგო ბაზარზე ასეთი ინდექსებია: ნორვეგიული ურნალის „ნორვეჯინგ შიფინგ ნიუს“ (**NSN**), გერმანიის ტრანსპორტის სამინისტროს ინდექსი, დიდი ბრიტანეთის სანაოსნო პალატის ტაიმ-ჩარტერული ინდექსი და სხვ. ბოლო ათწლეულში ფართო გავრცელება პორვა ტაიმ-ჩარტერის ფრანგირებამ რეისზე. ასეთი ფრანგირებით დაინტერესებული არიან გემის მფლობელები, მაშინ როდესაც მათთვის უცნობია ნავსადგურებში ჩატვირთვისა და გადმოტვირთვის არსებული მდგომარეობა. ასევე საფრანგო ფირმები, თუ მათ შეუძლიათ დამოუკიდებლად და კვალიფიციურად მართონ გემების რეისები

ოპერატორების მეშვეობით. ამიტომ საფრანგო ბაზარზე ფასების დონის მაჩვენებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას ტრიპ-ჩარტერის საარენდო განაკვეთი.

საფრანგო გარიგებათა დონის შესაფასებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას ტაიმ-ჩარტერული ექვივალენტი, რომელიც წარმოადგენს შემოსავლებსა და სარეისო ხარჯებს (საწვავი, სანავსადგურო მოსაკრებლები, სხვადასხვა საკომისიოები) შორის სხვაობის განაცოფს რეისის ხანგრძლივობაზე. ტაიმ-ჩარტერული ექვივალენტის, როგორც საფრანგო ბაზრის განაკვეთების დონის მაჩვენებლის გამოყენება ეფუძნება იმ იდეას, რომ განსაზღვრული ხომალდისათვის ის წარმოადგენს მუდმივ სიდიდეს, რომელიც დამოკიდებული არ არის ტვირთის მოცულობაზე და გადაზიდვის მიმართულებაზე. ტაიმ-ჩარტერული ექვივალენტი თავისი არსით და სიდიდით ახლოს დგას ტაიმ-ჩარტერის საარენდო განაკვეთთან რეისზე.

მოხოვნა-მიწოდების თანაფარდობის სხვადასხვა დონის პირბებში ამა თუ იმ მაჩვენებლის საიმედობა განსხვავებულია. მფრანგთავის ბაზარზე (საკმაოდ დაბალი განაკვეთი), ვითარებაში როდესაც მიწოდება მნიშვნელოვნად აღემატება მოთხოვნას, საფრანგო ბაზრის მდგომარეობის მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს საშუალო საფრანგო განაკვეთი ერთი ტონა ტვირთისათვის განსაზღვრული მიმართულებით სარეისო ფრანგირებისას, ხოლო ტრიპ-ჩარტერის ფრანგირების პირბებში მნიშვნელოვანი მაჩვენებელია მფრანგთავის საშუალო დანახარჯები არენდაზე და საწვავის რაოდენობა თვეში ერთი ტონა დედოვეიტზე.

ხომალდის მფლობელების ბაზრისათვის (მაღალი განაკვეთები) ბაზრის მდგომარეობის შესაფასებლად სასურველია გამოყენებულ იქნას ტაიმ-ჩარტერული ექვივალენტი და ერთ ტონა დედოვეიტზე საშუალო საარენდო განაკვეთი. ტვირთების საზღვაო გადაზიდვისას მომსახურების ფასების ცვლილების ძირითადი მიზეზია მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობის დინამიკა, ამიტომ აუცილებელია ამ ფაქტორის ცალკე შესწავლა. ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ საფრანგო ბაზრის მოთხოვნაზე, არის შემდეგი: საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობა, ერთი ტონა

ტვირთის გადაზიდვის საშუალო მანძილი და სატრანსპორტო ხარჯები. მიწოდებაზე მოქმედი ფაქტორებია: მსოფლიო ფლოტის შეჯამებული დედვეიტი, ახალი გემების ერთობლივი დედვეიტი, გემების მწყობრიდან გამოსვლა და სხვ. ამრიგად საფრანგო ბაზრის კონიუნქტურის ძირითადი მაჩვენებლებია:

1. კონკრეტულ გარიგებათა საფრანგო და საარენდო განაკვეთი;

2. ცალკეული მიმართულებების მიხედვით ფრახტისა და არენდის საშუალო მნიშვნელობა;

3. ტაიმ-ჩარტერული ექვივალენტი;

4. საფრანგო ინდექსები;

5. მოთხოვნა/მიწოდების მოცულობა.

ბაზრის ანალიზის შედეგები წარმოადგენს ამოსავალ ინფორმაციას კონიუნქტურული პროგნოზების შესადგენად. პროგნოზირების მიზანი მდგომარეობის იმაში, რომ გამოვლინდეს კონიუნქტურის შეფასების საუკეთესო ვარიანტი. პროგნოზირება ხორციელდება საერთო სქემის მიხედვით:

1. პროგნოზირების ჰორიზონტის არჩევა;

2. პროგნოზირების მეთოდის არჩევა;

3. პროგნოზირების მოდელის ფარგლებში გაანგარიშებათა ჩატარება;

4. პროგნოზირების ინტერპრეტაცია.

მოკლევადიანი პროგნოზი საჭიროა კომპანიის ტაქტიკის ასარჩევად ბაზარზე. გრძელვადიანი პროგნოზი კი საფუძვლად უდევს სტრატეგიული გეგმების შემუშავებას. გეგმების ხარისხი დამოკიდებულია იმ პროგნოზებზე, რომლებიც საფუძვლად უდევს მათ. პროგნოზების ხარისხს კი განსაზღვრავს ინფორმაცია, რომელსაც ის ემყარება, ინფორმაციის საიმედობის ხარისხი და ემპირიული უზრუნველყოფა.

კონიუნქტურული პროგნოზები უნდა ემყარებოდეს როგორც რაოდენობრივი, ისე ექსპერტული შეფასების შედეგებს. პროგნოზირების ძირითადი მეთოდები მოცემულია ცხრილში.

საფრანგო ბაზრის კონიუნქტურის პროგნოზირების მეთოდები

მეთოდი	პროგნოზირების ვადა	პროგნოზირებადი მაჩვენებლები	დამოუკიდებელი ცვლადები
დროითი მნიშვნელობა	მოკლევადიანი და საშუალო ხანგრძლივობის მეთოდი	საფრანგო განაკვეთი, საფრანგო ინდექსი, მოთხოვნა და მიწოდება	დროითი პარამეტრები
რეგრესული მოდელი	მოკლევადიანი და საშუალო ხანგრძლივობის მოთხოვნა	საფრანგო განაკვეთი	მოთხოვნა/მიწოდება
	მიწოდება	საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობა, სატრანსპორტო ხარჯები, ტვირთის გადაზიდვის საშუალო მანძილი	მსოფლიო ფლოტის ერთობლივი დედვეიტი, ახალი გემების ერთობლივი დედვეიტი, ფლოტის მწარმებლურობა.
დელფის შეთოვდი	საშუალო/გრძელვადიანი მიწოდება	საფრანგო განაკვეთი, მოთხოვნა/მიწოდება	
შექმნილი სცენარის მეთოდი	საშუალო/გრძელვადიანი მიწოდება	საფრანგო განაკვეთი, მოთხოვნა/მიწოდება	

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საფრანგო ბაზრის მდგომარეობის ანალიზი და პროგნოზირება საშუალებას აძლევს სანაოსნო კომპანიებს:

- შეიმუშავონ დასაბუთებული სტრატეგიული და ტაქტიკური გეგმები;
- შენიშნონ ფასების ზრდის ტენდენცია და შეიტანონ შესაბამისი კორექტირება ადრე შედგენილ გეგმებში;
- გაითვალისწინონ ბაზრის მდგომარეობა ოპერატიული საქმიანობისას;
- ლოკალური ბაზრებისათვის განსაზღვრონ სფრახტო და საარნედო განაკვეთები;
- დაადგინონ განსაზღვრული ტვირთის ტონაჟზე მზარდი მოთხოვნისა და მიწოდების გეოგრაფიული რაიონები.

#### ლიტერატურა:

1. Макушев П. А., Москвиченко И. М., Транспортный менеджмент, Одесса- Ильичевск -Афины – Генуя, “Астропринт”, 2005.
2. Н. Н. КАЗАКОВ, ТЕХНИЧЕСКАЯ ЭКСПЛУАТАЦИЯ ОБЪЕКТОВ ВОДНОГО ТРАНСПОРТА, Учебно- методическое пособие, Гомель 2009.
3. “Маркетинг на морском транспорте”, “Батумская Государственная Морская Академия”, 1998г.
4. Жинский А.М. Основы логистики: Учебное пособие. – М.: ИВЦ “Маркетинг”, 1996.
5. Кибик О, Н, Экономика морского транспорта, конспект лекции, Одеса, ОНМУ, 2009.
6. [www.teleroute.com](http://www.teleroute.com).
7. [www.lostpluton.com/mctrans/](http://www.lostpluton.com/mctrans/)
7. [transportline.com](http://transportline.com).
8. [elforworlet.com](http://elforworlet.com).

#### ზონას ური ანგარიშგების არსი. სახეები. პრაკტიკული მათი მნიშვნელობისა და მნიშვნელობა

##### ნათია შენგელია

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი  
ეკონომიკაში, სტუ უფროსი მასწავლებელი

ფინანსური ანგარიშგება ესაა საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული სურათი. მისი მიზანია განხორციელებული საქმიანობის ჩვენება და მომხმარებლისათვის ამ ინფორმაციის მიწოდება.

ფინანსური ანგარიშგება არის დოკუმენტი, სადაც თავს იყრის საწარმოს რესურსების (აქტივები) და ამ რესურსების ფორმირების წყაროების (ვალდებულებების და საკუთარი კაპიტალის) დაჯგუფებული და გაზრდადებული ინფორმაცია, რომელიც აუცილებელად გამოხატულია ფულად საზომ ერთეულში.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნის მიხედვით, ყველა საწარმო გარდა ინდივიდუალური მეწარმეებისა, 2001 წლის 1 იავრიდან ვალდებული არიან აწარმოონ ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ზოგადად შეიძლება გამოიყოს შემდეგი ფინანსური ანგარიშგების (ფ/ა) ტიპები:

➤ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არის ჯვალის ფ/ა, რომელიც წარდგენილია, როგორც ერთი მთლიანი ეკონომიკური ერთეულის ანგარიშგება; აღსანიშნავია კონსოლიდირებულში უმცირესობის წილის ცალკე წარდგენა;

➤ ინდივიდუალური ფ/ა არის ანგარიშგება, რომელშიც ინვესტიცია ასახულია კაპიტალში პირდაპირი ინვესტიციის საფუძველზე, ვიდრე ინვესტირებულის გამოქვეყნებული შედეგებისა და წმინდა აქტივების საფუძველზე;

➤ ინფლაციის პირობებში უმეტეს ქვეყნებში ფ/ა მზადდება პირვანდელი ღირებულების საფუზველზე, ფასების საერთო დონის

ცვლილებებისა და კუთვნილი აქტივების ინდივიდუალური ფასების ზრდის გაუთვალისწინებლად;

➤ ამასთან ერთად, ზოგიერთმა საწარმომ ფ/ა შეიძლება მოამზადოს მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, სადაც გაითვალისწინება კუთვნილი აქტივების კონკრეტული ფასების ცვლილებების შედეგები;

➤ შუალედური ფინანსური ანგარიშგება ისეთი ფ/ა, რომელიც მოიცავს უფრო მოკლე პერიოდის სრულ ან არასრულ მოცულობის ფ/ას, ვიდრე საწარმოს სრული ფინანსური წელია; მაგ : ნახევარწლიური ან/და კვარტალური;

ფინანსური ანგარიშგება განკუთვნილია შიდა და გარე მომხმარებლისათვის. მომხმარებლები შეიძლება დაიყოს: პირდაპირი ფინანსური ინტერესების მქონე, არაპირდაპირი ინტერესების მქონე და ფინანსურად დაუინტერესებელ მომხმარებლებად.

პირდაპირი ფინანსური ინტერესების მქონე მომხმარებლებს მიეკუთვნებიან: არსებული და პოტენციური ინვესტორები, საკრედიტო ორგანიზაციები, მომწოდებლები და დებიტორები.

არაპირდაპირი ფინანსური ინტერესების მქონე მომხმარებლებს მიეკუთვნება: საგადასახადო სამსახურები, მომსახურე ბანკები, შემკვეთები, სადაზღვევო კომპანიები, სამთავრობო ორგანოები.

ფინანსურად დაუინტერესებელ მომხმარებლებს მიეკუთვნება: სტატისტიკის ორგანოები, აუდიტორული ფირმები, არბიტრაჟი, საზოგადოება.

ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაცია წარმოადგენს ფინანსური შედეგების გაანალიზებას-მომგებიანობის, ლიკვიდობისა და საბრუნავი კაპიტალის კოეფიციენტების, გრძელვადიანი ფინანსური სტაბილურობის და სხვა ინვესტორებისათვის თუ დაინტერესებული მხარეებისათვის საინტერესო კოეფიციენტების საშუალებით. იგი იძლევა შესაძლებლობას მოვახდინოთ საწარმოს საქმიანობის შედეგების განხილვა, დაგეგმვა და პროგნოზირება საერთო მასშტაბით, იგი ასევე გვიჩვენებს კავშირს ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილებს შორის, რაც თავის მხრივ საშუალებას იძლევა გავანალიზოთ ბიზნესის შესაძლებლობები და რეალობები აწმყოსა და მომავალში. შესაბამისად, ინტერპრეტაცია არის ის, რაც ფინან-

სურ ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაციას კიდევ უფრო მნიშვნელოვნად აქცევს დაინტერესებული მხარისათვის.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

1. ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ (ბალანსი)
2. ანგარიშგება მოგება /ზარალის შესახებ(სრული შემოსავლის ანგარიშგება)
3. ანგარიშგებას საწარმოს საკუთარ კაპიტალში მომზადარი ცვლილებების შესახებ
4. ანგარიშგებას ფულადი სახსრების მომრაობის შესახებ
5. ახსნა-განმარტებები

ფინანსური ანგარიშგების შედგენისას აუცილებელია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს) ძირითადი დაშვებების გათვალისწინება. ეს დაშვებებია: დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმოს მეთოდი.

დარიცხვის მეთოდის თანახმად სამეურნეო ოპერაციების შედეგებისა და სხვა მოვლენის აღიარება ხდება მათი მოხდენისთანავე და არა ფულადი ანგარიშწორების დროს, მაგ: თუ საწარმოში გაიყიდა საქონელი შემდგომი გადახდის პირობით, მაშინ საწარმოს მიერ საქონელზე ფლობის უფლების და განკარგვის რისკის მყიდველზე გადაცემისთანავე უნდა მოხდეს საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის და საქონლის მიწოდებიდან წარმოშობილი მოთხოვნების აღიარება. ამავე დროს საწარმომ უნდა მოახდინოს აღნიშნული შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯების აღიარება. მაგალითად ასეთი ხარჯები შეიძლება იყოს რეკლამის, ტრანსპორტირების და ა. შ. ხარჯები. ანუ დარიცხვის მეთოდი ისეა განსაზღვრული, რომ მოიცავს შესაბამისობის პრინციპსაც, რაც იმას ნიშნავს, რომ ხარჯების დაპირისპირება უნდა მოხდეს იმ ამონაგებთან, რომლის მიღებისთვისაც მოხდა აღნიშნული ხარჯების გაწევა.

ფუნქციონირებადი საწარმო - ამ დაშვების თანახმად, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას იგულისხმება, რომ საწარმო გეგმავს თავისი საქმიანობის გაგრძელებას მომავალში და ასევე არ აპირებს საქმიანობის მასშტაბების შემცირებას.

ფინანსური ანგარიშგების ელემენტებია: აქტივი, ვალდებულება, საკუთარი კაპიტალი, შემოსავლები, ხარჯები, ხოლო ზემოთ ჩამოთ-

ვლილი გავიხილოთ ფინანსური ანგარიშგების შემდეგ კომპონენტებში:

1. ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ (ბალანსი)
2. ანგარიშგება ფინანსური შედეგების შესახებ (მოგება/ზარალის ანგარიშგება)
3. ანგარიშგება საკუთარ კაპიტალში მომხდარი ცვლილებების შესახებ.
4. ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ.
5. ახსნა - განმარტებები.

**1. ბუღალტრულ ბალანსი** განმარტავენ, როგორც საწარმოს ეპონომიკური რესურსებისა და მთლიანი კაპიტალის მდგომარეობის განზოგადებას ერთი კონკრეტული თარიღისათვის ფულად საზომერთეულში.

საწარმოს ეკონომიკურ რესურსებში იგულისხმება საწარმოს ქონება, მატერიალური და არამატერიალური საშუალებების, ფულადი საშუალებების, სამეურნეო საქმიანობის პროცესში წარმოშობილი და ანგარიშსწორებაში არსებული საშუალებების სახით. ანუ ეს არის საშუალებები, რომლითაც საწარმო ახორციელებს წარმოებას ან მომსახურების მიწოდებას. ხოლო საწარმოს მთელი კაპიტალი მოიცავს საკუთარ კაპიტალს და ვალდებულებებს.

**ბალანსი ეყრდნობა საბალანსო ტოლობას, სადაც:**

აქტივები = კაპიტალი + ვალდებულებები

ბალანსი ორი ნაწილისაგან შედგება, რომელთაგან ერთ-ერთი ასახავს აქტივებს, ანუ ეკონომიკურ რესურსებს და მეორე საკუთარი კაპიტალისა და ვალდებულებების ჯამს. ორმხრივობის პრინციპის შესაბამისად ბალანსის ორივე ნაწილში ტოლფასი სიდიდეები თავს დება.

**2. მოგებისა და ზარალის ანგარიშგება** საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საწარმოს მიერ მიღებული შემოსავლებისა და ამ შემოსავლების მისაღებად გაწეული ხარჯების დაჯგუფებული ასახვაა, ანუ მოგებისა და ზარალის ანგარიშგება საანგარიშო პერიოდში საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგების ამსახველი ანგარიშია. იგი შეიძლება იყოს 2 სახის:

## დარგობრივი ეპონობია

არჩივები	გაღმისავლები	და საკაპიტალი
მიმდინარე აქტივები	მიმდინარე გალდებულებები	
ნაღდი ფული	§ 23 000	მოქლე ვადიანი სესხი § 18 000
მოთხოვნები	50 000	კრედიტორული დავალინება 38 000
მარავი	17 000	სხა დარიცხული გალდებული 17 000
სულ მიმდინარე ვალდების სესხი	§ 73 000	
სულ მიმდინარე აქტივი	§ 90 000	გრძელვადიანი სესხი 50 000
სულ მარტივი დავალი	50 000	
მირითადი საშუალებები	45 000	სულ ვალდებულებები 123 000
აკრძალირებული (კვთა)	(5 000)	მოგება 5 000
საწესებები აპიტალი	2 000	
სულ ვალდ. და საკაპიტარი კაპიტალი	§ 130 000	§ 130 000

## ბუღალტრულ ბალანსი

ჩარჯების შანსარის მაჩვევები	ჩარჯების ფუნქციური დანიშნულების მოგება-ზარალის ანგარიშგება
შპს "X", 01.01.07-31.12.07	შპს "X", 01.01.07-31.12.07
შემოსავალი რეალიზაციიდან \$ 6 000	შემოსავალი რეალიზაციიდან 6000
არასაოპერაციო შემოსავალი \$ 1 000	არასაოპერაციო შემოსავალ 400
ცვლილებები შზა პროდუქციის მრავალი და დაუმზადებებში (200)	ცვლილებები შზა პროდუქციის მრავალი და დაუმზადებებში (200)
მოხმარ. ნედლ. და მსალები (100)	მოხმარ. ნედლ. და მსალები (100)
პერსონალის შენახვის ხარჯები (100)	პერსონალის შენახვის ხარჯები (100)
ცვლის ხარჯები (200)	ცვლის ხარჯები (200)
სხვა საოპერაციო ხარჯები (100)	სხვა საოპერაციო ხარჯები (100)
<b>საოპერაციო მოგება 6 300</b>	<b>საოპერაციო მოგება 6 300</b>
შპ. სა-% ხარჯი \$ (100)	შპ. სა-% ხარჯი \$ (100)
მოგება დაბეგვამდე 6 200	მოგება დაბეგვამდე 6 200
მოგების გადასახადი 1240	მოგების გადასახადი 840
<b>დამინდა მოგება 4960</b>	<b>დამინდა მოგება 4260</b>

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება მზადდება დარიცხვის კონცეფციის შესაბამისად. ეს კონცეფცია ნიშნავს იმას, რომ შემოსავალი და ხარჯები აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში წარ-

მოშობისთანავე, მიუხედავად იმისა იყო თუ არა ფული მიღებული ან გადახდილი.

ჩვეულებრივი საწარმოები მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას ადგენენ დროის ერთწლიანი პერიოდისათვის (ამასთან ცალკეული გამონაკლისების გარდა მისი მომზადება და წარდგენა შესაძლებელია განხორციელდეს ყოველთვიურად ან კვარტალურად), როგორც წესი, საანგარიშო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ პერიოდს (კალენდარულ წელს).

შემოსავლები და ხარჯები, როგორც მოგებისა და ზარალის ანგარიშგების ძირითადი შემადგენელი ელემენტები, ახასიათებენ ბიზნესის კაპიტალის ცვლილებას საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.

შემოსავალი ეს არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშო პერიოდში, აქტივების ზრდისა ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის გადიდებით და რომელიც არ არის დაკავშირებული მესაკუთრეთა მხრიდან დამატებითი შენატანების ხარჯზე საკუთარი კაპიტალის მატებასთან.

ხარჯი არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის ხარჯზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებაში და რომელიც არ არის დაკავშირებული მესაკუთრეთათვის კაპიტალის განაწილებასთან.

3. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით ( ბასს ) განსაზღვრულია, რომ საწარმომ აუცილებლად უნდა წარმოადგინოს საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება . ანგარიშგებში საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შესახებ აისახება ბალანსის წარდგენის ორ თარიღს შორის მომზადარი ის ცვლილებები, რომელებიც მოხდა კაპიტალის სიდიდესა და შედგენილობაში სხვადასვა ოპერაციების შედეგად. ეს ისეთი ცვლილებებია, რომელიც უშუალოდ აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და გვიჩვენებს შემოსავლებსა და ხარჯების დაპირისპირებით წმინდა აქტივების ზრდას და შემცირებას. ასევე ისეთი ცვლილებები, რომელიც არ აისახება მოგებასა და ზარალის ანგარიშგებაში, აღიარდება

#### დარგობრივი ეპონობია

საკუთარი კაპიტალის ცვლილებად და აისახება პირდაპირ მის ანგარიშგებაში. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება გადაფასების შედეგი, გასაყიდი ფინანსური აქტივების გადაფასებით მიღებული მოგება ან ზარალი და მათთან დაკავშირებული მიმდინარე და გადავადებული გადასახადებები. ყოველივე ეს იძლევა ბალანსის შედგენის ორ თარიღს შორის საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ცვლილებების შეფასების საშუალებას.

საკუთარ კაპიტალში მომზადარი ცვლილებების ანგარიშგების შედეგი ფორმატი არსებობს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ( ბასს ) მიხედვით.

#### ანგარიშგება საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ

აქტივურული კაპიტალის სტრუქტური მაჩვენებლები	პრივატუ აქტივები ( 10 წ- ნობის )	ჩვეულე ბრიტენი აქციები ( 1 წ- ნობის )	საკმისი კაპიტალი	სწა რეზერვი ბა	გაუნაწი ლებები ოგრძელება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი წლის დასაწილისთვის	60,000	50,000	40,000	5,000	25,000	180,000
ჩვეულებრივი აქციების ემისა		5,000	10,000			15,000
პრივატურიზებულის კონვენტირება ჩვეულებრივზე	(30,000)	3,000	27,000			—
დივიდენდის გაცემა			3,000		(3,000)	—
გადატანა				20,000	(20,000)	—
წმინდა მოგება					80,000	80,000
ნაშთი წლის ბოლოს(31.12.0X)	30,000	61,000	77,000	25,000	82,000	275,000

4 . ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთი ელემენტია. სწორედ ფულადი ნაკადების ანგარიშგება აძლევს ინფორმაციას ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საწარმოში ფულისა და ფულის ექვივალენტების

ცვლილების ძირითადი ანუ საოპერაციო საქმიანობის, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის მიხედვით ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ საანგარიშებები პერიოდში. იგი ეხმარება მომხმარებელს საწარმოს აქტივებში მომხდარი ცვლილებების, ფინანსური სტრუქტურისა და ფულის რაოდენობის ცვლილებების შეფასებაში, საწარმოს ლიკვიდობის მდგომარეობის შეფასებაში, ძირითადი ტიპის ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ ინფორმაციის მიღებაში, სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებაში და ა.შ. თუმცა ფინანსური ანგარიშებების ამ კომპონენტს ხარვეზებიც გააჩნია, კერძოდ მასში არ აისახება არაფულადი ოპერაციები. მაგ: ბონუსური აქციების გამოშვება და ა.შ. არაფულადი ოპერაციებით მომხმარებლები დაინტერესებულნი არიან, რადგან ისინი მომავალი ფულადი ნაკადების მოძრაობაზე ახდენენ გავლენას. ასევე ფულადი ნაკადების შესახებ ანგარიშებება ძირითადად ასახავს წარსულის ინფორმაციას და სხვა.

ფულადი ანგარიშებება შეიძლება მომზადდეს პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდით:

თავად ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ზასს ) 7 განმარტავს ფულადი ნაკადების ანგარიშებებაში მოცემულ ძირითად ტერმინებს. კერძოდ:

ფულად სახსრებში იგულისხმება ფულადი სახსრები სალაროში და მოთხოვნამდე დეპოზიტები. ფულის ეკვივალენტი ეს არის მოვლევადიანი მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციები, რომელთა განსაზღვრულ ფულად სახსრებად კონცენტრაცია ადვილად შესაძლებელია და მათი ღირებულების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკი ძალიან მცირეა. ამრიგად ინვესტიციები წარმოადგენს ფულის ეკვივალენტს თუ არის ადვილად კონცენტრირებადი და თუ ღირებულების ცვლილების რისკი დაბალია ან საერთოდ არ არსებობს.

რაც შეეხება საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობას. **საოპერაციო საქმიანობა** არის საწარმოსთვის ძირითადი შემოსავლების მომტანი, ანუ წარმოიქმნება იმ საქმიანობიდან, რომელსაც საწარმოსთვის ძირითადი შემოსავლები მოაქვს. **საინვესტიციო საქმიანობასთან** დაკავშირებული ფულადი ნაკადები არის შემდეგი: ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების და სხვა გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ფული, ასევე მა-

თი რეალიზაციიდან შემოსული თანხები, კაპიტალიზებული დანახარჯები სამეცნიერო - კვლევით სამუშაოებზე და საკუთარი წარმოების მირითად საშუალებებზე, ფასიანი ქაღალდების შესაძენად გადახდილი, ავანსად და სესხის სახით სხვა პირებზე გაცემიდან მიღებული ფული და მიღებული პროცენტები. **საფინანსო საქმიანობასთან** დაკავშირებულ ფულად ნაკადებს, ესენია: აქციების შესაძენად და გამოსაყენებლად გადახდილი ფულადი სახსრები, ობლიგაციების, თამასუქების, სესხების გამოშვების შედეგად მიღებული ფულადი სახსრები. ასევე სესხების დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები, ფინანსური იჯარის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების შესამცირებლად გადახდილი ფულადი სახსრები და ა.შ. აქედა გამომდინარე, საფინანსო საქმიანობა არის ისეთი საქმიანობა, რომლის შედეგად რაოდენობრივად და სტრუქტურულად იცვლება საწარმოს საკუთარი კაპიტალი და ნასესხები საშუალებები.

5. ფინანსური ანგარიშების ახსნა - განმარტებები წარმოადგენს ბალანსის, მოგება/ზარალის, ფულადი ნაკადების ანგარიშების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშების დეტალურ აღწერას. ახსნა - განმარტებებში თავს იყრის ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნით, ან ისეთი ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია საწარმოს შესახებ ინფორმაციის სამართლიანი წარდგენისათვის.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ფინანსური ანგარიშების ინტერპრეტაცია წარმოადგენს ფინანსური შედეგების განალიზებას-მომგებიანობის, ლიკვიდობისა და საბრუნვავი კაპიტალის კოეფიციენტების, გრძელვადიანი ფინანსური სტაბილურობის და სხვა ინვესტორებისათვის თუ დაინტერესებული მხარეებისათვის საინტერესო კოეფიციენტების საშუალებით. როცა საუბარია ფინანსური ანგარიშების ინტერპრეტაციაზე, თავდაპირველად უნდა დადგინდეს ვინ არის ფინანსური ანგარიშების მომხმარებელი და რა სახის ინფორმაცია სჭირდება მას. ფინანსური ანგარიშების ინტერპრეტაციისას უამრავი კოეფიციენტის გამოთვლა შეიძლება, ამიტომ აქ გათვალისწინებული უნდა იყოს ვინ არის დაინტერესებული მხარე. მაგ, საწარმოს მენეჯერებს აინტერესებთ საწარმოს საქმიანობის ყველა ასპექტი,

ამიტომ შესაძლებელია მათ მოითხოვონ თითეული კატეგორიის ყველა ძირითადი კოეფიციენტის გაანალიზება. აქციონერებს აინტერესებთ ძირითადად საინვესტიციო საქმიანობის ამსახველი კოეფიციენტები, თუმცა მათთვის ასევე საინტერესოა სტაბილურობისა და მომგებიანობის ზოგიერთი მაჩვენებელიც. მაგ: ლევერიჯისა და დაბანდებული კაპიტალის უკუგების კოეფიციენტი. კოეფიციენტების დაჯგუფების ერთ-ერთი ხერხია მათი დაჯგუფება შინაარსის მიხედვით, შემდეგნაირად:

1. მომგებიანობის კოეფიციენტები, რომლებიც მოიცავს შემდეგს:
  - საერთო მოგების მარჟა.
  - წმინდა მოგების მარჟა.
  - დაბანდებული კაპიტალის უკუგების კოეფიციენტი.
  - წმინდა აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი.
2. ლიკვიდობისა და საბრუნავი კაპიტალის კოეფიციენტები:
  - მარაგის ბრუნვის კოეფიციენტი.
  - დებიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი.
  - კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი.
  - მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი.
  - სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი.
3. გრძელვადიანი ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტები.
  - ლევერიჯი.
  - პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი.
4. ინვესტორებისათვის საინტერესო კოეფიციენტები.
  - შემოსავალი ერთ აქციაზე.
  - აქციის საბაზრო ფასისა და შემოსავლის ფარდობის კოეფიციენტი.
  - დივიდენდური შემოსავლიანობის კოეფიციენტი.
  - დივიდენდის დაფარვის კოეფიციენტი.

ამრიგად, ფინანსური ანგარიშგებას დიდი მნიშვნელობა გააჩნია. ესაა საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული სურათი. მისი მიზანია განხორციელებული საქმიანობის ეფექტის ჩვენება და მომხმარებლისათვის ამ ინფორმაციის მიწოდება. ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაცია წარმოადგენს ფინანსური

შედეგების გაანალიზებას-მომგებიანობის, ლიკვიდობისა და საბრუნავი კაპიტალის კოეფიციენტების, გრძელვადიანი ფინანსური სტაბილურობის და სხვა ინვესტორებისათვის თუ დაინტერესებული მხარეებისათვის საინტერესო კოეფიციენტების საშუალებით. იგი იძლევა შესაძლებლობას მოვახდინოთ საწარმოს საქმიანობის შედეგების განხილვა, დაგეგმვა და პროგნოზირება საერთო მქაშტაბით. იგი ასევე გვიჩვენებს კავშირს ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილებს შორის, რაც, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა გავაანალიზოთ ამ თუ იმ ბიზნესის შესაძლებლობები აწყობა და მომავალში, ასევე შევადაროთ კონკრეტული კომპანიის მონაცემები ბაზარზე არსებულ საშუალო მაჩვენებლებთან, აქედან გამომდინარე შევაფასოთ კონკურენტები და დავგეგმოთ სათანადო ფინანსური სტრატეგია კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად.



## ბიზნესი, მარკეტინგი, მარკეტინგი

**ეპონემიკური აცალის თეორიულ  
მარკეტინგის ასახელები პროცესი  
პრეპრენენტუნარიანობის შეფასებისას**

### დარეჯან ჩხუბაძე

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში,  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი

კონკრეტულ მსოფლიო ან დარგობრივ ბაზარზე დარგის მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, მისი კონკურენტუნარიანობის დონის განსაზღვრა წარმოადგენს მარკეტინგული საქმიანობის წარმატების უმნიშვნელოვანეს ამოცანას და შესაბამისად მუდმივად იყო ეკონომიკური ანალიზის კვლევის საგანი. მაგრამ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამომხმარებლო ბაზარზე აღნიშნული საკითხის მომხმარებლის თვალსაზრისით განხილვა, მას უფრო მეტ აქტუალურობას შესძენს. შესაბამისად მომხმარებლის ეფექტურობა ტოლია:

$$\mathcal{E} = \frac{p}{c} \quad (1)$$

სადაც ( $\mathcal{E}$ ) – მოხმარების ეფექტურობაა, ( $P$ ) – ნაწარმის ჯამობრივი სასარგებლო ეფექტი და ( $C$ ) – ე.წ. „მოხმარების ფასი” –ა.

კონკურენტუნარიანობა მოიცავს, გარდა ბაზრის გამოვლენილი მოთხოვნილებისა, სხვა ანალოგიური საქონლის თვისებებთან მიმართებაში ნაწარმის ხარისხობრივი და ეკონომიკური თვისებების, პარამეტრების (ტექნიკურ-ეკონომიკური, ტექნიკური, ნორმატიული და საპატენტო-სამართლებრივი) მთლიანობის კომპლექსურ

### პიგენი, მარკეტინგი, მარკეტინგი

შეფასებას და მისი დონე გამოითვლება ფორმულით:

$$K_{\text{პროდ}} = \frac{K_{\text{შეფ}}}{\text{საბ}} \quad (2)$$

სადაც  $K_{\text{შეფ}}$  და  $K_{\text{საბ}}$  – შესაბამისად შესაფასებელი და საბაზისო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის დონის რიცხვითი მნიშვნელობებია. პრაქტიკაში საქონლის კონკურენტუნარიანობის შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი რაოდენობრივი მაჩვენებლები: ერთეული, ჯგუფური, ინტეგრალური. აღნიშნული მაჩვენებლების გამოყენებისათვის არსებობს დონის შეფასების დიფერენციალური, კომპლექსური და შერეული მეთოდები.

(2) ფორმულაში თითოეული დონე ხასიათდება განზოგადებული მაჩვენებლების მნიშვნელობით.

$$K = \prod_{i=1}^n m_i \cdot p_i \quad (3)$$

სადაც  $p_i$  – პროდუქციის კონკურენტუნარიანობის  $i$ -ური მაჩვენებლია,  $m_i$  – იური მაჩვენებლის წონადობის კოეფიციენტი.

კონკურენტუნარიანობის დონის დასადგენად გამოიანგარიშება როგორც ერთეული, ისე განმაზოგადებელი საპარამეტრო მაჩვენებელი:

$$I_{\text{ტ.პ}} = \sum_{i=1}^n a_i \cdot a_i \quad (4)$$

სადაც  $I_{\text{ტ.პ.}}$  – არის შეფარდებითი ჯგუფური ტექნიკური მაჩვენებელი,  $a_i$  – არის  $i$ -ური პარამეტრის ერთეული საპარამეტრო მაჩვენებელი,  $a_i$  – იური არის პარამეტრის წონადობის კიოფიციენტი,  $n$  – განხილული პარამეტრის მაჩვენებელთა რაოდენობაა.

საქონლის კონკურენტუნარიანობა ბაზარზე განისაზღვრება სხვადასხვა ფაქტორების ერთობლიობით. მწარმოებელი პირველ რიგში: 1. სარგებლობს ტექნიკური პარამეტრული ინდექსებით რანჟირებული სამომხმარებლო ეფექტის თვალსაზრისით, რომელიც მოდის დანახარჯის ერთეულზე.

$$K = \frac{I_{\text{ტ.პ}}}{I_{\text{კონ}}} \quad (5)$$

აჭარის რეგიონში გაფრთხელებული ციტრუსონგების ნაყოფში ბიოქსტრუმი ნივთიერდების შემადგენლობის  
სტრუქტურა ცხრ. 1

ბიოქსტრუმი ნივთიერდების შემცველობა								
	ჯიშის დასახე- ლება	მშრალი ნივთიერ- დები	შაქარი %	მუჟა %	კუტენი %	პროცე- ცენტრი %	კოლ- მინი %	კარბო- მები %
1	ლიმინი	მეთენი	15,4	3,5	3,4	0,21	3,1	34,8
		ქართული საძღვრე	18,5	1,7	6,0	0,19	5,2	78,5
2	მანდარინი	უნისიუ	19,5	6,17	0,98	0,24	4,4	34,0
3	ფრონთალი	ვანიზტრონ ნაკველი	18,6	7,37	0,94	0,29	4,6	56,6
								0,05

აჭარის რეგიონში ციტრუსონგებითა ნაყოფში ბიოქსტრუმი ნივთიერდების შემცველობა და შეფასება 100

შალიანი შეალით ცხრ. 2

	შემცველობა				შეფასება ბალეტში			
	მონო- საქარ- დები %	დიო- საქარ- დები %	კუტენი %	კატუმინი %	მონო სა- ქარდები	დიო სა- ქარდები	კუტ- ტენი	კატუ- მინი
ფრონთალი	4,6	3,5	0,6	60	18,4	35	16,2	24
ლიმინი	2,0	1,6	0,5	40	8,0	16	13,5	16,0
მანდარინი	3,6	4,5	0,4	38	14,4	45	10,8	15,2

## პირველი, მეორე დოზი, მარკაზები

2. ან ხშირად ანალიზისათვის გამოიყენება ნიმუში, რომელიც მყიდველთა შორის სარგებლობს მოთხოვნით. ნაწარმის (პროდუქ-ციის) ხარისხის შეფარდებითი მაჩვენებლები გაიანგარიშება შემდე-გი ფორმულებით:

$$I_I = \frac{p_{\text{საა}}}{p_{\text{საბ}}}, \quad (6)$$

სადაც  $P_{\text{საა}}$ ,  $P_{\text{საბ}}$  – ხარისხის საკონტროლო და საბაზისო მნიშვნე-ლობებია ნიმუშების და

$$I_{\text{კონ}} = \frac{U_{\text{საა}}}{U_{\text{საბ}}}, \quad (7)$$

სადაც  $U_{\text{საა}}$  და  $U_{\text{საბ}}$  – ფასია საკონტროლო და საბაზისო ნიმუ-შებისა.

შეფასებისას გამოიყენება ექსპერტული შეფასების მეთოდები (კვალიფიციური ექსპერტები ან კვალიფიციური სპეციალისტების ექსპერ-ტები). მთავარი პარამეტრების სიაში შეფასებისათვის ჩამოთვლილ მრავალ კონკურენტულ ნაწარმზე ქულების დასმით ფორმირდება განსაზღვრული ჯამი ინტეგრალური მაჩვენებელი. იგი გამოხატავს შესადარებელი ნაწარმის პარამეტრების გადახრას იდეალური (წარმო-სახვითი) ნაწარმისაგან, რომელიც ითვლება საქონელთა განსაზღვრუ-ლი სახეებისათვის ეტალონად ან საბაზო ნიმუშად. თუ  $K>1$  საქონელი აჭარბებს კონკურენტუნარიანბით;  $K<1$  საქონელი ჩამორჩება ნიმუშს;  $K=1$  საქონელი და ნიმუში იმყოფება ერთ დონეზე. ასევე გაანალიზებ-ისას გამოიყენება სტანდარტიზაციის, როგორც ზონალური (რომელიც ზოგჯერ უფრო მკაცრია), ასევე საერთაშორისო ორგანიზაციის ნორმე-ბი, რომელთა „უთანაბრობის“ შემთხვევაში (კვალიფიციური ინდექსის) სა-ქონელი არაკონკურენტუნარიანია.

ხარისხობრივი პარამეტრების შეფასების მიზნით ვისარგებლეთ ციტრუსოვანთა ნაყოფებში ფორმაწარმომენტელი ნიშნების %–ი მნიშ-ვნელობებით (იხ. ცხრ. 1), ასევე ექსპერტული შეფასებით 100 ბალი-ანი შვალით გათვლილი შეფასებებით (იხ. ცხრ. 2) და მივანიჭეთ ქუ-ლები. (იხ. ცხრ. 3)

შესადარებლად ორიენტირი ავიღეთ უცხოეთიდან შემოტანილ

შენიშვნა: ცხრილები შედგენილია ბაზი–ის შესაბამისი წლის სამეცნიერო ანგარი-შების მონაცემების მიხედვით.

ციტრუსოვნებზე (ფორთოხალი), მაგრამ ვინაიდან საანალიზო და საკონტროლო ნიმუშები არ იყვნენ ანალოგიური—ექსპლოატაციის პირობებით და ეკონომიკური მაჩვენებლებით, საილუსტრაციოდ პროდუქცია ავიღეთ პირობით (პროდ. „1” და „2”).

(7) ფორმულის თანახმად გავიანგარიშეთ ტექნიკური პარამეტრების ინდექსები:

$$\begin{aligned} I_{\text{კონ}} &= 0,80 : 1,0 = 0,80 \text{ (პროდ. „1“)} \\ I_{\text{კონ}} &= 1,40 : 1,0 = 1,4 \text{ (პროდ. „2“).} \end{aligned}$$

### ქულების მინიჭება ცხრ.3

	ბაღები				საერთო ბაღების ჭულა
	გარეგნული სახე	გბო	სუნი	ფერი	
ნიმუში	5	5	5	4,9	19,9
პროდუქცია 1	3,9	4,1	4,7	4,6	17,3
პროდუქცია 2	3,9	4,1	3,9	4,4	16,3

შენიშვნა: ცხრილი შედგენილია ექსპერტული შეფასებით.

შესაბამისად გამოვთვალეთ კონკურენტუნარიანობის კოეფიციენტები (იხ.ცხრ. 4)

$$K_1 = 1,02 : 0,80 = 1,3$$

$$K_2 = 0,885 : 1,40 = 0,63$$

ეს ციფრები დოგმა არ არის, იგი პირობითია, შეცვლას ექვემდებარება. საორიენტაციოდ, მეთოდიკის თვალსაჩინოებისათვის, ჩვენ მეციტრუსეობა ავიღეთ, რომელიც ახლა „რეანიმაციულ“ მდგომარეობაშია, შიგა ბაზრებზე უცხოეთის ინტერვენციით იგი განდევნილია, დაკარგულია ტრადიციული ბაზრებიც (რუსეთი) და მისი აღდგნა-რეაბილიტაციის პროგრამასა და საქსპორტო პრიორიტეტის განსაზღვრაში მთავარი აქცენტი მის ხარისხზე გავამახვილეთ. ხარისხის, კონკურენტუნარიანობის პარამეტრულ ინდექსების განსაზღვრაში კი ეკონომიკური ანალიზის როლი განუსაზღვრელია. ჩვენი მიზანიც, საბაზრო ეკონომიკის პირობებში უამრავ კრიტერიუმებს შორის, სამომხმარებლო ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის მომხმარებლის თვალსაზრით განხილვა—შეფასება და მეთოდიკის პრაქტიკული რეალიზება წარმოადგენდა, რაც ვფიქრობთ ინტერესმოკლებული არ იქნება.

სარისხის მაჩვენებ- ლები	ნიმუში	პროდუქ- ცია	პროდუქ- ცია „1“	პროდუქ- ცია „2“ (4:2)	I=i X a	
					„1“ (5X7)	„2“ (6X7)
1	2	3	4	5	6	7
გემობალი	5	5	4	1	0,8	0,5
ფერიბალი	5	5	5	1	1	0,1
სუნიბალი	5	5	4	5	0,8	0,1
შრალი ნივთ % და აშ	40	40	50	1,25	1	0,15
თანხა ლ/კბ	1,0	0,80	1,40	—	—	0,19
					Σ 1	Σ 1,02
					Σ 1	Σ 0,85

## **მოგებისა და ზარალის ანგარიშგების ელექტრონული მიღწვევლისა აღრიცხვაში**

### **ლალი სადაღაშვილი**

ედ, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი

**ამავე უნივერსიტეტის სტუდენტები:**  
**ნანა შავშიშვილი,**  
**ნათა მინდიაშვილი**

კარგად მოწყობილი ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა სა-  
სარგებლოა წესმიერი ბიზნესისათვის, ბუღალტერიის გარეშე  
შეუძლებელია ბიზნესის კვალიფიციური მართვა. სამეურნეო ოპ-  
ერაციების მოწესრიგებული რეგისტრაცია და ანგარიშების შედ-  
გენა წესმიერი მენარმისთვის უმნიშვნელოვანესია. ფინანსური  
ანგარიშება სანარმოს რესურსების შეფასებისა და ანალიზის,  
შემოსავლების, ხარჯების და რისკის პროგნოზირების წყაროა.  
მოგების განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა აქვს წესმიერი საქმი-  
ანობისთვის. მოგების მაჩვენებლები დგინდება შემოსავლების და  
ხარჯების დაპირისპირებით მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

მოგებისა და ზარალის ანგარიშგების ელემენტებს შემოსავლები  
და ხარჯები წარმოადგენს, რომელთა საფუძველზე განისაზღვრება  
მოგება. ისინი ასახავენ სამეურნეო საქმიანობაში მომხდარ ოპერა-  
ციებსა და მოვლენებს. საანგარიშგებო პერიოდის შემოსავლებისა  
და ხარჯების ერთმანეთთან დაპირისპირება სანარმოს საქმიანობის  
ფინანსური შედეგის განსაზღვრის საშვალებას იძლევა, რომელიც  
მოგების ან ზარალის სახით წარმოგვიდგება. ცნება „შემოსავლები“  
გულისხმობს როგორც ამონაგებს, ასევე შემოსავლებს.

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც მიიღება სანარმოს  
ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობიდან. იგი სხვადასხვა სახელ-  
წოდებითაა ცნობილი: რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები,  
მომსახურეობის განევიდან მიღებული შემოსავლები, საპროცენტო  
შემოსავლები, დივიდენდები, როიალტები და საიჯარო ქირა. ამონ-

### **პირველი, მეორე და მეორე მომართებელი**

აგები მოიცავს მხოლოდ საწარმოს მიერ თავის ანგარიშზე მიღე-  
ბულ ან მისაღებ ეკონომიკური საქმიანობის საერთო თანხას. რაც  
შეეხება მესამე მხარეს სახელით მიღებულ თანხებს, როგორიცაა  
ბრუნვის გადასახადი, საქონლისა და მომსახურების გადასახადები  
და დამატებითი ღირებულების გადასახადი, არ არის ეკონომიკური  
სარგებელი, რომელიც შემოდის საწარმოში და არ ზრდის საწარ-  
მოს საკუთარ კაპიტალს. ამიტომ ისინი გამოიქვითება ამონაგების  
თანხიდან.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 18  
„ამოპნაგები“ გამოიყენება ისეთი სამეურნეო ოპერაციებისა და  
მოვლენების შედეგად წარმოშობილი ამონაგების აღრიცხვისათ-  
ვის, როგორიცაა: ა) საქონლის გაყიდვა ბ) მომსახურების გაწვავა გ)  
სხვა პირის მიერ სანარმოს კუთნილი აქტივების გამოყენება, რასაც  
მოჰყვება საწარმოში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა დივი-  
დენდების, პროცენტებისა და როიალტების სახით.

საქონელი მოიცავს: საწარმოს მიერ წარმოებულ პროდუქციას,  
რომელიც განკუთვნილია გასაყიდად, აგრეთვე იმ პროდუქციას,  
რომელიც შეძენილ იქნა ხელმეორედ გაყიდვის მიზნით. რეალ-  
იზაციიდან მიღებული შემოსავლები წარმოიქმნება საქონლის  
გაყიდვის შედეგად. საქონელი არის ნივთი თუ საგანი რომელსაც  
ანარმოებს სამეურნეო სუბიექტი და რომელიც განკუთვნილია გა-  
საყიდად ან ნივთი, რომელიც შეძენილია სამეურნეო სუბიექტის  
მიერ მისი ხელმეორედ გაყიდვის მიზნით.

მომსახურების გაწვა, როგორც წესი, გულისხმობს საწარმოს  
მიერ მომსახურების შესრულებას, ხელშეკრულებით გათვალ-  
ისწინებული პირობებისა და ვადების საფუძველია. მომსახურების  
გაწვა შეიძლება დასრულდეს ერთ საანგარიშგებო პერიოდში  
ან გაგრძელდეს შემდგომ საანგარიშგებო პერიოდშიც. მომ-  
სახურების განევიდან მიღებული შემოსავლები წარმოიქმნება  
საწარმოს მიერ შესრულებული მომსახურებიდან. ზოგიერთი მომ-  
სახურება შეიძლება განხორციელდეს ერთ საანგარიშგებო პერი-  
ოდში, ხოლო სხვა კი, მაგალითად, სამეურნეო სამუშაოები, შეძლე-  
ბა გაგრძელდეს შემდგომ საანგარიშგები პერიოდშიც.

სხვა პირთა მიერ საწარმოს კუთნილი აქტივების გამოყენების

შედეგად წარმოიშობა შემდეგი სახის ამონაგები: საპროცენტო შემოსავალი, დივიდენდები, როიალტები და საიჯარო ქირა. რომლებიც წარმოადგენენ სხვა პირთა მიერ საწარმოს კუთვნილ აქტივების გამოყენებიდან მიღებულ ამონაგებს, კერძოდ: საპროცენტო შემოსავალი მიღება საწარმოს კუთვნილი ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების გამოყენებით. დივიდენდი მიღება კაპიტალის მესაკუთრეებზე მოგების განაწილებით, საკეთარ კაპიტალში ინვესტირებული წილის პროპორციულად.

დივიდენდი დამოკიდებულია როგორც მესაკუთრის წილზე, ასევე კაპიტალის სტრუქტურაზე. როიალტები მიღება საწარმოს კუთვნილი გრძელვადიანი აქტივების გამოყენების უფლების გაცემისთვის.

საიჯარო ქირა მეიჯარის პოზიციიდან განიხილება, როგორც განხორციელებული ინვესტიციების ძირითადი თანხის დაფარვა და გარკვეული ფინანსური შემოსავლის მიღება განეული მომსახურებისათვის. ფინანსური შემოსავლები ნაწილდება სისტემურად, იჯარის მთელ პერიოდში.

მოცემული სტანდარტი არ ვრცელდება ამონაგებზე შემდეგი საქმიანობიდან: ა) საიჯარო გარიგებები ბ) იმ ინვესტიციებიდან მიღებული დივიდენდები, რომლებიც აღირიცხება კვარტალ-მეთოდით; გ) სასოფლო-სამეურნეო პროპდუქტების თავდაპირევლი აღიარება (ბსს 41 მოგებისა და ზარალის ანგარიშებაში); დ) სასარგებლონ წიაღისეულის მოპოვება ე) ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულების ცვლილებით ან მათი გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები; ვ) ცვლილებები სხვა მიმდინარე აქტივების ღირებულებაში; ზ) სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ბიოლოგიური აქტივები რეალური, ღირებულებისთვის ცვლილება და თავდაპირევლი აღიარება; თ) სადაზღვევო ხელშეკრულებიდან მიღებული ამონაგები.

შემოსულობა მოიცავს დანარჩენ შემოსავლებს, რომლებიც გულისხმობენ ეკონომიკური სარგებლის შემოდინებას და ამ თვალსაზრისით ამონაგებისგან არ განსხვავდება. შემოსულობა შეძლება მიღებულ იქნას ძირითადი აქტივების გაყიდვის შედეგად. შემოსავლების ცნება გულისხმობს არარეალიზებულ შემოსულო-

ბას, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას ლიკვიდური ფასიანი ქაღალდების გადასაფასებლად ან გრძელვადიანი აქტივების საბალანსო ლირებულების ზრდის გზით. თუ საანგარიშებო პერიოდში ადგილი ჰქონდა შემოსულობების აღიარებას მოგებისა და ზარალის ანგარიშებაში, საწარმო ვალდებულია ისინი ასახოს ცალკე მუხლად, რათა უზრუნველყოფილ იქნას ფინანსური ანგარიშების მომხმარებლთა მიერ ეფექტური ეკონომიკური გასდანყვეტილების მიღება. შემოსულობები ფინანსური ანგარიშებაში მათ მისაღებად განეული დანახარჯების გამოკლებით ანუ ნეტო თანხით აისახება.

ხარჯების ცნებაში იგულისხმება საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი გასავლები. ის მოიცავს ზარალს და ასევე ხარჯებს, რომნებიც წარმოიშება საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, ასეთი ხარჯია: რეალიზებული საქონლის თვითღირებულება, ხელფასი და ცვეთა. საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესთან დაკავშირებული ხარჯები პრაქტიკაში სხვადასხვა სახის აქტივობის ( ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები, სასაქონლო- მატერიალური ფასეულობები, ძირითადი საშუალებები) შემცირებით ან საწარმოდან გასვლით გამოიხატება.

ზარალი გულისხმობს სხვა მუხლებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ხარჯების შესახებ არსებულ განმარტებას და შეიძლება წარმოიშვას ან არ წარმოიქმნას საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. ზარალი ასახავს საწარმოდან ეკონომიკური სარგებლის გასვალს და ამდენად თავისი ბუნებით არ განსხვავდება სხვა ხარჯებისაგან. ხარჯებს საწარმო ეწევა, რათა: 1) უზრუნველყოს მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. 2) უზრუნველყოს შემოსავლების მიღება საანგარიშებო პერიოდში .დანახარჯები, რომლებიც უზრუნველყოფენ მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოდინების, შეიძლება ჩამოყალიბდეს აქტივის სხვადასხვა მუხლებით.

საწარმომ მოგებაში ან ზარალში აღიარებული ხარჯების კლასიფიკაცია უნდა მოახდინოს მათი ეკონომიკური შინაარსის ან საწარმოში მათი უფრო ფუნქციების მიხედვით. არჩევანი უნდა გაკეთდეს იმ მეთოდზე, რომელიც დაიყოს ქვეჯგუფებად, რათა ნათლად გამოიკვეთოს საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგების ისეთი კომპონენტები, რომლებიც შესაძლოა ერთმანეთისაგან

განსხვავდებოდეს სტაბილურობის, შემოსავლებისა და ზარალის პოტენციალისა და პროგნოზირების შესაძლებლობების თვალსაზრისით. არსებობს ამ ინფორმაციის მიწოდების ორი გზა.

პირველი ტიპის სტრუქტურა მოიხსენიება, როგორც ხარჯების „ეკონომიკური შინაარსის” მიხედვით დაჯგუფების მეთოდი და არხედება მათი გადანაწილება ფუნქციების მიხედვით. ამ მეთოდის გამოყენება მოსახერხებელია იმდენად, რამდენადაც საჭირო არ არის მიმდინარე ხარჯების განაწილება ფუნქციონალური საკვალიფიციური ჯგუფების მიხედვით. მოცემული კლასიფიკაცია ეყრდნობა ხარჯების დაჯგუფებას მათი ეკონომიკური შინაარსის მიხედვით:

ამონაგები

სხვა შემოსავლები

ცალკეული მზა პროდუქციის და დაუმთავრებელი წარმოების მარაგში

გამოყენებული მასალები

პერსონალის შენახვის ხარჯები

ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები

სხვა ხარჯები

სულ ხარჯები

მოგება დაბეგვრამდე

მეორე ტიპის სტრუქტურა ეხება „ხარჯების ფუნქციებს”, ანუ „მიმოქცევის (საბრუნავი) ხარჯების მეთოდს. ამ მეთოდის თანახმად, ხარჯების კლასიფიკაცია ხდება მათი ფუნქციების მიხედვით, როგორც რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ნაწილი ან, მაგალითად, როგორც კომერციული ან ადმინისტრაციული საქმიანობის ნაწილი. ამგვარი წარდგენით, საწარმო, როგორც მინიმუმი, რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებას გამოყოფს სხვა ხარჯებისაგან. ამ მეთოდით მომხმარებელს უფრო შესაფერისი ინფორმაცია მიეწოდება, ვიდრე ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციის მეთოდით, მაგრამ ფუნქციების მიხედვით ხარჯების განაწილება შეიძლება სუბიექტურად ხდებოდეს და დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოითხოვდეს. ხარჯების კლასიფიკაციის მაგალითი ფუნქციების მიხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით:

ამონაგები

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

სხვა შემოსავლები

კომერციული დანახარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები

სხვა ხარჯები

მოგება დაბეგვრამდე

საწარმომ, რომელიც იყენებს ხარჯების კლასიფიკაციას ფუნქციების მიხედვით, უნდა გააშუქოს დამატებითი ინფორმაცია ხარჯების ეკონომიკური შინაარსის შესახებ, მათ შორის აქტივების ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი და დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ხარჯი.

ხარჯების აღრიცხვის მეთოდებს შორის არჩევანი დამოკიდებულია ისტორიულ და სამრენველო ფაქტორებისა და საწარმოს თავისებურებებზე. ორივე მეთოდი უზრუნველყოფილს იმ ხარჯების დახასიათებას, რომელთა პირდაპირი ან არაპირდაპირი ცვალებადობაც მოსალოდნელია საწარმოს წარმოების ან რეალიზაციის დონის ცვლილების შესაბამისად, ვინაიდნა წარდგენის თითოეულ მეთოდს თავისებური ღირსება ახასიათებს სხვადასხვა ტიპის საწარმოთა პოზიციიდან. წინამდებარე სტანდარტი მოითხოვს, რომ დანახარჯების კლასიფიკაციის მეთოდის შერჩევა მოხდეს ინფორმაციის საქმიანობისა და შესაბამისობისათვის, საწარმოს, რომელიც ხარჯების კლასიფიკაციას ფუნქციების მიხედვით ახდენს, მოეთხოვება დამატებითი გატარებები.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები.
2. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. თბ. 2011წ.
3. ფინანსური ანგარიშება - ნ.კვატაშიძე, ა.ხორავა, ზ. გოგრიჭიანი, თბ. 2010.
4. ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება - რ. ძაძაშვილი, რ. უორუმლიანი, თბ. 2008წ.

## საცავის პრეზენტაცია დოკუმენტის რეიტინგული შეფასება

მზისადარ ბჟალავა  
ედ, აწსუ-ს ასისტენტ პროფესორი

ლალი ხარბედია  
ედ, აწსუ-ს ასოცირებული პროფესორი

სანაოსნო კომპანიის წარმატებული საქმიანობისათვის საჭიროა კონკურენტთა დეტალური შესწავლა და მათი შესაძლებლობების შედარება საკუთარ შესაძლებლობებთან. ამისათვის გამოყენება ფირმის კონკურენტუნარიანობა არის ფირმის უნარი განახორცილეოს კონკურენციული ბრძოლა. თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში ტერმინი “კონკურენტუნარიანობის” ნაცვლად ხშირად გამოიყენება ტერმინი “რეიტინგი”.

რეიტინგი არის ერთგვარი ინდიკატორი, რომელიც ასაბუთებს საწარმოს პოლიტიკის ეფექტუანობას, ან ნიშანს აძლევს მისი კორექტობების აუცილებლობაზე. რთული საბაზრო ვითარების პირობებში კომპანიის ორიენტაციის განსაზღვრისას აუცილებელია სწორად შეფასდეს არა მხოლოდ საკუთარი პოტენციალი, არამედ პარტნიორებისა და კონკურენტების პოტენციალიც. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში არსებობს დამოუკიდებელი სარეიტინგო სააგენტოები, რომლებიც შეკვეთების საფუძველზე ასრულებენ განსაზღვრულ მომსახურებას სახელმწიფოსათვის, ბანკებისათვის, სხვადასხვა სამეწარმეო ფირმისათვის და ა.შ.

კომპანიის კონკურენტუნარიანობა (რეიტინგი) არის შეფარდებითი ცნება, რომელიც შეიძლება დადგინდეს მხოლოდ რიგ ობიექტთა შედარების საფუძველზე. ამიტომ, საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ ფასდება არა ფირმის კონკურენტუნარიანობა, არამედ კონკურენტუნარიანობის ხარისხი, რომელიც დამოკიდებულია შედარების ობიექტზე: იცვლება შედარების ობიექტი, იცვლება კონკურენტუნარიანობის ხარისხიც. კომპანიის რეიტინგის ქვეშ

## პირველი, მეორე დოკუმენტი, მარკაზინგი

იგულისხმება მოცემული კომპანიის მდგომარეობა ბაზარზე. ფირმის წარმატების ძირითადი მაჩვენებელი კონკურენციულ ბრძოლაში არის მის მიერ დაკავებული ბაზრის წილი, ამიტომ რეიტინგი, უპირველეს ყოვლისა, ამ მაჩვენებელზეა დამოკიდებული. სანაოსნო კომპანიის რეიტინგი ასევე დამოკიდებულია მის მფლობელობაში არსებული გემების კონკურენტუნარიანობაზე, რაც განისაზღვრება გემების ტექნიკური, ეკონომიკური და ორგანიზაციული მახასიათებლებით. რამდენადაც სანაოსნო კომპანიები ვალდებული არიან ჰქონდეთ რამდენიმე საერთაშორისო სერთიფიკატი (რომელიც ადასტურებს გემების მახასითებელების შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან), ისინი შეიძლება განვიხილოთ როგორც გემების კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი ერთეულით ფაქტორი.

ფირმის რეიტინგის მნიშვნელოვანი ფაქტორია შეთავაზებული მომსახურების ხარისხი. სანაოსნო კომპანიის მომსახურების ხარისხზე ძირითადად მოქმედებს გადაზიდვების დროული შესრულება და ტვირთების უსაფრთხო გადაზიდვა. ამ ფაქტორის რაოდენობრივი შეფასება შესაძლებელია ავარიების რიცხოვნებისა და ტვირთმფლობების პრეტენზიების დადგენით.

თანამედროვე პირობებში სანაოსნო კომპანიების დაინტერესების მიზნით მომხმარებლებს ხშირად სთავაზობენ დამატებით მომსახურებას, როგორიცაა საბაზო ოპერაციები, ექსპედიტორული მომსახურება და ა.შ. ამიტომ კომპანიის რეიტინგი ასევე დამოკიდებულია განეული დამატებითი მომსახურების ნომენკლატურაზეც, ეს არის არაფასობრივი კონკურენციის მნიშვნელოვანი ფაქტორი.

კომპანიის რეიტინგზე მოქმედი ერთეული მნიშვნელოვანი ფაქტორია სანაოსნო კომპანიის საფრახტო ბაზარზე მუშაობის ხანგრძლივობა. ტვირთის მფლობელები საიმედოდ მიიჩნევენ იმ სანაოსნო კომპანიას, რომელსაც აქვს მუშაობის მეტი გამოცდილება, რაც ზრდის ფირმის რეიტინგს. ბოლო დროს თითქმის ყველა სფეროში დიდი ყურადღება ეთმობა ფირმების საქმიანობის შეფასებას ხარისხის სტანდარტების (ISO 9000) სისტემის საფუძველზე. ხარისხის შემუშავებული სისტემების სერთიფიცირებას

ახორციელებენ სხვადასხვა გაერთიანებები: გერმანული ლოიდი, ნაოსნობის ამერიკული ბიურო, ნაოსნობის ლოიდ ბიურო და სხვ. მრავალი ფირმა თავისი რეიტინგის ასანევად სარგებლობს რამდენიმე ფირმის მომსახურებით და ღებულობს შესაბამის სერთიფიკატებს. შეიძლება ითქვას, რომ ამ სერთიფიკატების რაოდენობა რამდენადმე განსაზღვრავს სანაოსნო კომპანიის რეიტინგს.

სანაოსნო კომპანიის კონკურენტუნარიანობაზე, როგორც ზემოთ აღვნიშვნეთ, გავლენას ახდენს გემების კონკურენტუნარიანობის ხარისხი, რომელიც განისაზღვრება ტექნიკური და ეკონომიკური მახასიათებლებით. ტექნიკურ მახასიათებლებს მიეკუთვნება:

- დედვეიტი;
- ტვირთამწეობა;
- ტვირთტევადობა;
- საექსპლუატაციო ვადა;
- დატვირთვა-გადმოტვირთვის წესი;
- კონსტრუქციული საიმედობა;
- მთავარი ენერგეტიკული მოწყობილობის სიმძლავრე;
- ნავიგაციის მაჩვენებლები;
- ეკიპაჟის რიცხოვნება.

ეკონომიკურ მახასიათებლებს მიეკუთვნება:

- მომსახურების საშუალო ფასი;
- დანახარჯები ტვირთების დაზღვევაზე;
- გემის საექსპლუატაციო დანახარჯები;
- საწვავის დანხარჯები და სხვ.

ამრიგად, ყველა ფირმა კონკურენტს შეიძლება შევუსაბამოთ შემდეგი მახასიათებლები:

- ბაზრის წილი, რომელსაც ფლობს ფირმა;
- ბაზარზე ფირმის მუშაობის ხანგრძლივობა;
- ფლოტის საშუალო კონკურენტუნარიანობა;
- ტვირთის მფლობელთა პრეტენზიებისა და გემების ავარიების რაოდენობა;
- დამატებითი მომსახურება;
- შე 900 სისტემის სერთიფიკატის არსებობა და სხვა სერთიფიკატების რაოდენობა.

სასურველია ამ მახასიათებლებს დაემატოს ფინანსური მაჩვენებლები:

- გადახდისუნარიანობა;
- რენტაბელობა;
- ფონდურუგება

კონკურენტული გარემო, ფართო გაგებით, ყალიბდება შიდადარგობრივი კონკურენტული ბრძოლის შედეგად და სანაოსნო კომპანიისათვის კონკურენტებს წარმოადგენს ის კომპანიები, რომლებიც მოქმედებენ ერთი ლოკალური ბაზრის ფარგლებში. ლოკალური ბაზრის კონკურენციის ანალიზისას დგინდება:

- ძირითადი კონკურენტები (მათი ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლო სტრატეგიები);
- კონკურენციის ინტენსივობის ხარისხი;
- პირობები, რომლის დროსაც კონკურენცია შეიძლება გაძლიერდეს.

კონკურენციის ინტენსივობაზე გავლენას ახდენს რამდენიმე ფაქტორი, მაგრამ მათ შორის ძირითადია კონკურენტ ფირმათა რაოდენობა და მათი წილების თანაფარდობა ბაზარზე. კონკურენციის ინტენსივობა დაბალია, როდესაც ბაზარზე წარმოდგენილია ფირმების დიდი რაოდენობა და მათი ზომა და შესაძლებლობები არ არის საკმაოდ განსხვავებული. კონკურენციის პირობებზე ასევე გავლენას ახდენს მოთხოვნის მოცულობის ცვლილება, რამდენადაც მოთხოვნის სწრაფი ზრდა ამცირებს კონკურენციას, ხოლო მოთხოვნის შემცირება ზრდის კონკურენციას ფირმებს შორის.

კონკურენციის ინტენსივობაზე მოქმედი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია დარგში შესვლის და დარგიდან გამოსვლის ბარიერები. სრულყოფილი კონკურენციის პირობებში ეს არის დარგში შესასვლელად საჭირო ხარჯები და სანაოსნო კომპანიისათვის ეს საკმაოდ მაღალია. ზოგადად კონკურენციის ინტენსივობის ხარისხი პირველ რიგში დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

- ბაზრის ტიპზე (სრულყოფილი და არასრულყოფილი კონკურენციის ბაზარი);
- მოთხოვნისა და მიწოდების მხარეთა განმსაზღვრელ ფირმების რაოდენობაზე (მონოპოლია, ოლიგოპოლია და მათი

მოდიფიკაცია);

- საქმიანი აქტივობის ციკლის სტადიაზე;

კონკურენციის ინტენსივობა იზრდება შემდეგი ფაქტორების გავლენით:

- კონკურენტი ფირმების რაოდენობის ზრდისას;
- კონკურენტი ფირმების ფინანსური და საწარმოო შესაძლებლობების განვითარებისას;
- მოთხოვნის სტაბილიზაციისა და ზრდის პირობებში;
- კონკურენტი ფირმების მიერ ბაზრის საზღვრის გაფართოების მარკეტინგული სტრატეგიის განხორციელებისას.

ერთი კონკურენტული ბაზრის პირობებში შეიძლება გამოიყოს ე.წ. კონკურენტთა სტრატეგიული ჯგუფები, რომელიც აერთიანებს ბაზარზე ერთნაირი პოზიციის მქონე კომპანია-კონკურენტებს. რაც უფრო მეტია მათი რაოდენობა ამ ჯგუფში, მით უფრო მეტია კონკურენცია. არარეგულარული (ტრამპული) და სახაზო გადამზიდავები შეიძლება წარმოადგენდნენ კონკურენტებს ერთი და იგივე ტვირთნაკადების მიხედვით, განსაკუთრებით საფრახტო განაკვეთების შემცირების პერიოდში, როდესაც სახაზო გადამზიდავები ახორციელებენ ტრამპული ბაზრის გემების დაფრახტვას სახაზო მუშაობისათვის თავიანთი ტონაჟობის გაფართოების მიზნით. ნაოსნობის სხვადასხვა ფორმას შორის კონკურენციის ხარისხი დამოკიდებულია იმ ტვირთების წილზე, რომლებიც წარმოადგენენ კონკურენციის ობიექტს. ტიპურ ტვირთნაკადებს კონკურენციისათვის წარმოადგენს გენერალური ტვირთები (მაქარი, ყავა, ხე-ტყე, ქიმიური ნაწარმი და სხვ), რომელიც მოსახერხებლია როგორც ტრამპული, ისე სახაზო გემებისათვის. ასევე კონკურენცია არსებობს ტანკერებსა და მშრალი ტვირთის გადამზიდავ გემებს შორის ზოგიერთი მასიური ტვირთის გადაზიდვისას. კონკურენტულ გარემოზე გარკვეულწილად შეიძლება გავლენა იქონიონ ტვირთების მფლობელებმა, განსაკუთრებით მოთხოვნის შემცირების პირობებში. რა თქმა უნდა, მათ მიერ კონკურენტული გადამზიდავი ფირმის არჩევა მიუთითებს ამ ფირმის კონკურენტულიანობაზე.

ამრიგად, სანაოსნო კომპანიის კონკურენტუნარიანობის რე-

იტინგული შეფასებისას აუცილებელია შემდეგი ფაქტორების გამოკვლევა:

- კონკურენტულ ლოკალურ ბაზარზე მოქმედი ფირმების რაოდენობა;
- დარგში შესვლის და დარგიდან გამოსვლის ბარიერები;
- მოთხოვნისა და მიწოდების განმსაზღვრელ ფირმათა რაოდენობა;
- ძირითადი კონკურენტები (სტრატეგიული ჯგუფები);
- მოთხოვნის მოცულობის ცვლილების ტენდენციები;
- ტვირთისმფლობელთა მოთხოვნები;
- კონკურენტები სხვა ლოკალური ბაზრებიდან.

## ლიტერატურა

1. ჯავახიშვილი რ., ოქრუაშვილის ნ., ხარაზიშვილი ნ., მარკეტინგის საფუძვლები, თბილისი, 2005.
2. Ахметов А.А. “Транспортная логистика”, М. “Транспорт” 1998г
3. Герчикова И.Н. Процесс принятия и реализации управленческих решений. Библиотека финансового менеджмента. М.:2001
4. “Маркетинг на морском транспорте”, “Батумская Государственная Морская Академия”, 1998г.
5. Маркетинг в морских портах. Traceca- 1998г.
6. Экономическая стратегия фирмы /Под ред. А.П. Градо-ва. СПб.: Спец. лит-ра . 2001.
7. www. referats.ru “Суть маркетинговых исследований”, США. Асоциация Маркетологов. 2013г.
8. www.marketing.spb.ru “Енциклопедия Маркетинга” “История маркетинга, 4- еры развития “ 2013г.

## ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა საქართველოს რეალობაში

### ირმა ჩხაიძე

ედ, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფ-  
ციის მნიშვნელოვან საკითხებზე, განხორციელების მოტივებზე და  
ხელისშემსრულებლების ფაქტორებზე წლების მანძილზე მიმდინარეობს  
დისკუსია. საქართველოს რეალობაში აღნიშნულის გაანალიზებას  
შესაძლებელია საფუძვლად დაუდოთ „სტრატეგიული კვლევების  
და განვითარების ცენტრის“, სოციოლოგიური სააგენტოს „ეისი-  
თის“ მიერ (ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა-გამოწვევე-  
ბი და პერსპექტივები“ პროექტის განსახორციელებლად) ერ-  
თობლივად ჩატარებული კომპანიის მენეჯერთა გამოკითხვის  
შედეგები.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციის კონტე-  
ქსტში წარმოდგენილი ტერმინი - „სამმაგი თამაში“, განსაზღვრავს  
კომპანიის ბალანსირებულ სისტემაში სამი ურთიერთდაკავშირე-  
ბული ასპექტის მაჩვენებლებს-ბიზნესის შემოსავლიანობის უზ-  
რუნველყოფას, გარემო პირობებზე ზრუნვას და სოციალური  
პროექტების განხორციელებას. აღნიშნული სისტემა მომცველია  
მდგრადი განვითარების ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალ-  
ური კომპანენტებისა.

„სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის“ და  
სოციოლოგიური სააგენტოს „ეისითის“ მიერ ერთობლივად ჩატ-  
არებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში სო-  
ციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი პრობლემების  
გადაჭრაზე ზრუნავს სახელმწიფო -63%-ით, ბიზნესი-37%-ით,  
საზოგადოება-21%-ით, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციების  
პასუხისმგებლობის ხარისხი, აღნიშნულ პროცესებზე ზეგავლენის  
მოხდენის თვალსაზრისით -39%-ს შეადგენს.

### პირველი, მენეჯერი, მარკაზები

მენეჯერთა გამოკითხვის შედეგებით დგინდება ცალკეულ  
პრობლემებზე პასუხისმგებლობის დონე. სოციალური პრობლე-  
მების დაძლევაში მონაწილეობა მენეჯერთა 86%-ის მნიშვნელოვა-  
ნია, 9%-ის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანია. ქვეყნის ეკონომიკური  
განვითარების ხელშეწყობაში კომპანიის როლს მნიშვნელოვად  
აფასებს გამოკითხულ მენეჯერთა 90%-ი, მეტ-ნაკლებად მნიშ-  
ვნელოვანია 8%-ის, ხოლო მათი ნილი, ვისთვისაც ამ მიმართულე-  
ბით ბიზნესის პასუხისმგებლობა უმნიშვნელოა, 3%-ია.

გარემოს დაცვაზე ზრუნვა კვლევაში მონაწილე კომპანიის  
მენეჯერთა 92%-ისათვის მნიშვნელოვანია, 7%-ისათვის მეტ-  
ნაკლებად მნიშვნელოვანია, 2%-ისათვის უმნიშვნელო, ხოლო  
27% გარემოსდაცვითი მიმართულებით პასურობის მიზეზე-  
ბად ასახელებენ: ფინანსების ნაკლებობას, დროის დეფიციტს,  
სახელმწიფოს მხრიდან პასურობას. ბოლო წლების მანძილზე  
გამოკითხულ კომპანიათა 64%-ი არ ახორციელებს ინიციატივებს  
გარემოსდაცვითი მიმართულებით, რადგან საკუთარ როლს გარე-  
მოს დაცვაში ბუნდოვნად ხედავენ და მათვის გარემოსდაცვითი  
საკითხები ნაკლებად აქტიური და პრიორიტეტულია.

ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური მდგრადიბის მიღწევაში  
თავისი წვლილი შეაქვს კორპორაციული სოციალური პასუხისმგე-  
ბლობის მნიშვნელოვან ნაწილს-შიდაკორპორაციულ პასუხისმგე-  
ბლობას, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის სოციალური პა-  
სუხისმგებლობის განხორციელებას კომპანიის თანამშრომლების  
ნინაშე.

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ კომპანიის განვითარების დონე არის  
განმსაზღვრელი შიდაკორპორაციულ პასუხისმგებლობასთან და-  
კავშირებული აქტივობებისა (თანამშრომელთა კვალიფიკაციის  
ამაღლება, თანამშრომელთა წახალისება სხვადასხვა ფორმით და  
სხვა), რომელთაგან თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება  
ითვალისწინებს თანამშრომელთათვის პირადი (ცოდნის დაგროვე-  
ბა) კეთილდღეობის შექმნას, ხოლო თანამშრომელთა წახალისებას  
საფუძვლად უდევს თანამშრომლებში არა ცოდნის დაგროვება,  
არამედ თანამშრომელთა უნარ-ჩვევების გამოვლენა-რეალიზება.  
ყოველივე ეს კი განაპირობებს კომპანიის შიდა ეფექტის (მოგება)

გაზრდას. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ გამოკითხულ კომპანიათა-78%, მათ შორის მსხვილი კომპანიების-88%-ი, საშუალო კომპანიების-70.6%-ი გამოყოფს თანხებს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად. აღნიშნული სახის აქტივობას კომპანიები განახორციელებენ ტრეინინგებით. კერძოდ, გამოკითხულ კომპანიათა 46%-ი ხშირად ტრენინგებს ატარებს საკუთარი რესურსებით, 39.7%-ი მოწვეული ტრენერებით, 34.9%-ი აგზავნის თანამშრომლებს საზღვარგარეთ, ხოლო 31.7%-საქართველოში მოქმედ ორგანიზაციებში.

კვლევის შედეგებით დგინდება, რომ თანამშრომელთა წახალისებას განახორციელებს გამოკითხულ კომპანიათა 88.9%-ი, მათ შორის მსხვილი კომპანიების-96.4%-ი და საშუალო კომპანიების-82.9%-ი. კერძოდ, საშუალო და მსხვილ კომპანიათა-82.5% წახალისების მიზნით იყენებს ფულად პრემიას; საშუალო კომპანიების-49.2%-ი ხშირად მიმართავენ ხელფასის მომატებას; მსხვილი კომპანიების-41.3% დასაჩუქრებას; 42.9%-თანამშრომლებისათვის ორგანიზებას უკეთებს გასართობ, კულტურულ და სპორტულ პროგრამებს; 4.8% -თანამშრომლებს უზრუნველყოფს საპენსიონისტებით; 6.3%-ანხორციელებს თანამშრომელთა სიცოცხლის დაზღვევას, ხოლო 9.5% აზღვევს თანამშრომელთა ოჯახის წევრებსაც.

კომპანიის სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული აქტივობებიდან მნიშვნელოვანია სოციალური პროექტების განხორციელება. გამოკითხულ 63 კომპანიიდან სოციალურ (საზოგადოებრივი) პროექტებს ახორციელებს-51 კომპანია, 12-კომპანია არ მონაწილეობს მსგავსი პროექტების განხორციელებაში. კერძოდ, გამოკითხულ კომპანიათა 68.3%-ი სოციალურ პროექტებს განახორციელებს ყველაზე ხშირად ფინანსებით და პროდუქციით, 47.6%-ი სერვისით დახმარებას (ამ თვალსაზრისით არა გვაქვს მნიშვნელოვანი სხვაობა მსხვილ და საშუალო ბიზნესს შორის). რაც შეეხება მატერიალური რესურსით დახმარებას (შენობა-ნაგებობები), მას მხოლოდ განახორციელებენ მსხვილი კომპანიები.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სოციალური პროექტების ამოქმედებას სხვადასხვა სფეროებში. გამოკითხულ კომპანიათა

70.6%-ი ეწევა სოციალურად დაუცველ ფენებზე დახმარებას, 52.9%, 41.2% და 37.3% პროექტებს განახორციელებს შესაბამისად კულტურის, სპორტის და განათლების სფეროში, ხოლო სტიქიური უბედურებების შედეგების ლიკვიდაციის განახორციელებს 29.4%, სოციალურად დაუცველი ფენების დახმარების თვალსაზრისით ერთნაირად აქტიურები არიან როგორც მსხვილი, ისე საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები, სპორტს ეხმარება-15 მსხვილი და 6 საშუალო კომპანია, კულტურას-17 მსხვილი და 10 საშუალო კომპანია, განათლებას-10 მსხვილი და 9 საშუალო კომპანია. სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციაში-10 მსხვილი და 5 საშუალო კომპანია მონაწილეობს.

სოციალური პროექტებიდან უმნიშვნელოვანესია საქველმოქმედო საქმიანობა, რომელიც კომპანიის მიერ უანგარო, არა შედეგზე როიენტირებული საქმიანობაა. ყოველივე ეს კი ავლენს, ერთი მხრივ, კომპანიისადმი მომხმარებლის ლოიალობის ზრდას, და, მეორე მხრივ, კომპანიის დადებით მახასიათებლებს, რომლებსაც მიეკუთვნება: სოციალურად აქტიურ კომპანიებზე მომხმარებელთა უპირატესობების მინიჭება, რაც ზრდის მომხმარებლის თვალში ბრენდის და კომპანიის სახელს, ავლენს მეტ ნდობას კომპანიის მიმართ. ყოველივე ეს კი განაპირობებს კომპანიის მიერ წარმოებულ საქონელზე თანაბარ პირობებში უპირატესობების მინიჭებას, მომხმარებლების ზრდას, კომპანიის იმიჯის მოპოვებას და შენარჩუნებას.

კომპანიისადმი მომხმარებლის ლოიალობის ზრდას განაპირობებს კომპანიის მიერ პრიორიტეტების ნუსხაში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დასაბუთება და მათი განხორციელება, რაც ხელს უწყობს კომპანიას იმიჯის მოპოვებაში და შენარჩუნებაში. გამოკითხულ მენეჯერთა 4%-ის აზრით სოციალური პასუხისმგებლობა არანაირ გავლენას არ ახდენს კომპანიის იმიჯზე, ხოლო 65%-ი ეთანხმება იმ გარემოებას, რომ სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელება მნიშვნელოვანია კომპანიის დადებითი იმიჯის ჩამოყალიბებისათვის.

კომპანიის მიერ პრიორიტეტების ნუსხაში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დასაბუთება და პრაქტიკული განხ-

ორციელება სასურველობის ხასიათისაა. საქართველოში წლების შესაბამისად მიზანშენონილია მათი რაოდენობის ზრდა მსოფლიოს წამყვანი კომპანიების მსგავსად. აღნიშნულის საუკეთესო მაგალითად შესაძლებელია დასახელდეს „Economist Intelligence Unit“ და „McKinsey“ კომპანიების მიერ ჩატარებული კვლევები. „Economist Intelligence Unit“ კომპანიის მიერ (2005 და 2008 წლებში) გამოკითხულ 1192 ტოპ მენეჯერიდან 2005 წელს 30%-მა და 2008 წელს 60%-მა, ხოლო „McKinsey“ კომპანიის მიერ 2007 წელს გამოკითხულ ხელმძღვანელთა 95%-მა თავიანთი კომპანიების პრიორიტეტების ნუსხაში დაასახელეს კორპორაციული პასუხისმგებლობა.

კვლევის ანალიზი ცხადყოფს, რომ კომპანიის მენეჯერები მართალია აცნობიერებენ კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის დადებით (მის მნიშვნელობას კომპანიის დადებითი იმიჯის ფორმირების და მომხმარებელთა ლიონალობის თვალსაზრისით) ზეგავლენას კომპანიის საქმიანობაზე, თუმცა აღნიშნულის მიუხედავად პრობლემატურ საკითხად ასახელებენ სოციალურ პასუხისმგებლობაზე ორიენტირებული კომპანიებზე მოქმედ ხელის შემშლელ ფაქტორებს, რომლებიც ასახულია გამოკითხულ მენეჯერთა შეფასებებში. მენეჯერთა 38%-ს მიაჩნია, რომ ქვეყანაში შესამჩნევია მსგავსი პრაქტიკის, გამოცდილების ნაკლებობა, 26%-ი თვლის, რომ არ არსებობს ხელშემწყობი კანონმდებლობა; 17%-ი თვლის, რომ არაჯანსალი ბიზნეს გარემოა, ხოლო 13%-ს მიაჩნია, რომ ამ საქმიანობის განხორციელებისათვის არასაკმარისია ფინანსები, 9%-ის აზრით ეს არ არის ბიზნესის უშვალო ფუნქცია, 6%-ი თვლის, რომ საზოგადოება პასიურია, 2%-ს მიაჩნია, რომ არ არსებობს მთავრობის მხრიდან მითითებები.

ამრიგად, ჩატარებული კვლევის თანახმად დგინდება, რომ ეფექტიანი კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა არის ნაბიჯი კომპანიის აღიარებისაკენ არა მარტო საკუთარ ქვეყანაში, არამედ საერთაშორისო ბაზარზეც, როგორც მოქალაქეთა პარტნიორის იმიჯის დამკვიდრებისაკენ. სამყაროში, სადაც ბრენდი და რეპუტაცია კომპანიის ყველაზე ღირებული ქონებაა, სოციალური პასუხისმგებლობა კომპანიას ნდობას და ერთგულებას მოაპოვებინებს,

რაც მისი წარმატებული და მდგრადი მომავლის გარანტია. ის აძლიერებს პარტნიორთათვის ბიზნესის მიმზიდველობას, იწვევს კომპანიის მიერ წარმოებულ საქონელზე და მომსახურებაზე მოთხოვნილების ზრდას, ხელს უწყობს მათ შენარჩუნებას, შრომითი რესურსების მოზიდვას და პერსონალის მეტ ლიონალობას, აგრეთვე ხელისუფლებასთან ურთიერთობის გაუმჯობესებას, რაც ერთობლიობაში, უფრო ხელშემწყობი ბიზნეს გარემოს შექმნაში აისახება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. თბილისის მსხვილი ბიზნესი და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (დამოკიდებულება და არსებული გამოცდილება). საქართველოს სტატისტიკური კვლევებისა და განვითარების ცენტრი, თბ., 2009
2. თ.შენგელია, ბიზნესის ადმინისრიობის საფუძვლები, თბ., 2008
3. ინოვაციები ბიზნესში (პრობლემები, პერსპექტივები, გამოწვევები), ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკიული კონფერენციის მასალები, თბ., 2010
4. ეკონომიკა და ბიზნესის მიმართულებისათვის არასაკმარისია ფინანსები, 9%-ის აზრით ეს არ არის ბიზნესის უშვალო ფუნქცია, 2010
5. <http://www.google.com/search?sourceid=chrome&ie=UTF-8&q>

## გლობალიზაცია და ბიზნესის მთიანა

### ვასილ ხიზანიშვილი

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში,  
ი.გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერ-  
სიტეტის ასისტენტ-პროფესორი

გლობალიზაცია ახალი დროების ყველაზე უფრო მოდური სი-  
ტყვაა, ხოლო გლობალიზებული სამყარო ძალზედ ხშირად თანამე-  
დროვე საზოგადოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხთან  
არის გაიგივებული. ბოლო ათწლეულის მსოფლიო ფინანსურ-  
ეკონომიკურ კრიზისებამდე, გლობალიზაციის პოზიტიურ მხარედ  
მიჩნეული იყო მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ტრანსნაციო-  
ნალური და ტრანსკონტინენტალური კავშირ-ურთიერთობების  
მზარდი დინამიკა და მისით მიღებული სარგებელი, რომელთა შო-  
რის აღნიშნავდნენ — ეკონომიკურ ზრდას, გლობალურ კეთილ-  
დღეობას, დემოკრატიას და მსოფლიო მშევდობას!. მაგრამ,  
გლობალიზაციის, როგორც პოზიტიური განვითარების შესახებ,  
მსოფლიოში არ არსებობს ერთსულოვანი შეხედულება. 1970-იანი  
წლების ანტი-ბირთვული მოძრაობის მსგავსად, ჩვენ მოწმენი გავხ-  
დით ახალი, მსოფლიოში გავრცელებული ანტი-გლობალისტური  
კამპანიისა, რომელმაც მძღვრი საზოგადოებრივი პროტესტის  
ფორმა შეიძინა „გლობალური მსოფლიო წესრიგის“, „გლობალ-  
ური კაპიტალიზმის“, „მულტინაციონალური დიქტატის“ და ა.შ. წი-  
ნიალმდეგ, და რომლის სამიზნეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია,  
მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ასევე, დიდი  
რვიანისა თუ ევროკავშირის ლიდერთა სამიტები წარმოადგენენ.  
მღელვარებები სიეტლში, დავოსში, პრაღასა და გენუაში აჩვენებს,  
რომ გლობალიზაცია საზოგადოებრივი დღის წესრიგის საკმაოდ  
საკამათო თემაა.

ბიზნესის ეთიკის კონტექსტში გლობალიზაციის ირგვლივ კა-  
მათი თამაშობს გადამწყვეტ როლს. ბოლოს და ბოლოს, კორპო-  
რაციები, უნინარესად კი მულტი ნაციონალური კორპორაციები

1 Paulson, H., 'The gospel of globalisation', Financial Times, 2001, 13 Nov: 25.

### პირველი, მენეჯერები, მარკეტინგი

(მნ) გლობალიზაციის დროს საზოგადოების კრიტიკის ცენტრში  
იმყოფებიან. მათ ადანაშაულებენ უმცირესად განვითარებული ე.ნ.  
მეოთხე სამყაროს ქვეყნებში მუშახელის ექსპლუატაციაში, გარე-  
მოს განადგურებასა და ეკონომიკური სიმძლავრეების ბოროტად  
გამოყენების გზით ე.ნ. <<race to the bottom>>\*-ის არსებობაში.

და მაინც რა არის გლობალიზაცია? გლობალიზაცია არის საკა-  
მათო ტერმინი და განსასჯელი თემა არა მარტო საჯარო დებატებ-  
ში, არამედ ასევე — სამეცნიერო დისკუსიებში\*\*. ენდრიუ კრეინი  
და დირკ მატენი გვთავაზობენ გლობალიზაციის განვითარების ორ  
ფორმას — ტექნოლოგიურს და პოლიტიკურს.<sup>1</sup>

თანამედროვე საკომუნიკაციო და სატრანსპორტო ტექნოლო-  
გიების სწრაფი განვითარება და გავრცელება, მიუხედავად ტერი-  
ტორიული დაშორებებისა ერთი მხრივ, და ე.ნ. „რეინის ფარდის“  
გაქრობის შემდეგ დაძლეული ტერიტორიული სასაზღვრო სირ-  
თულები მეორე მხრივ, იძლევა ადამიანებს შორის ერთმანეთ-  
თან დაკავშირებისა და ინტერაქციის შესაძლებლობებს მთელ  
მსოფლიოში. გლობალიზაციის განვითარების ორივე ფორმა ქმნის  
მასიურ პროლიფერაციას ანუ სწრაფ ზრდას ზეტერიტორიულ კავ-  
შირში. მიუხედავად ფორმათა ამგვარი ბუნებისა, აუცილებელი არ  
არის, რომ მსგავს კავშირებს ყოველთვის ჰქონდეს გლობალური  
გავრცელება მსოფლიოს მასშტაბით. ამ კავშირებთან მიმართ-  
ბაში ახალი მიდგომა მდგომარეობს მასში, რომ ის მეტად აღარ  
საჭიროებს გეოგრაფიულ ხდომილებებს და რომ ისინი მეტად აღარ

\* ტერმინი << race to the bottom>> არის სოციალურ-ეკონომიკური კონ-  
ცეფტი, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში ასახავს პროცესს, რომლის  
თანახმად მნ-ი ინვესტიციებს აპანდებენ იმ უმცირესად განვითარებულ  
ქვეყნებში (უგე), რომლებიც მათ სთავაზობენ უკეთეს ხელსაყრელ პირო-  
ბებს დაბალი საგადასახადო ნიხრის, ეკოლოგიური რეგულირების დაბალი  
დონისა და მუშაკთა შეზღუდული უფლებების მხრივ.

\*\* გლობალიზაციის და მისი მნიშვნელობის შესახებ არსებობს მრავალი  
ლიტერატურა. ამ მხრივ აღსანიშნავია ბეკის, გიდენსის, ჰელდისა და მაკ-  
გრეის შრომები.

1 Crane, A., Matten, D., Business Ethics, A EUROPEAN PERSPECTIVE  
(Managing Corporate Citizenship and Sustainability in the Age of Globalization), Oxford, 2004, P. 16.

იზღუდებიან ტერიტორიული დაშორებებითა და საზღვრებით. პროფ შოლტე<sup>1</sup> ამგვარ გლობალიზაციას ახასიათებს როგორც დეტერიტორიზაციას. მაშასადამე, გლობალიზაცია არის ტერიტორიული ბაზისის პროგრესირებადი მოშლა სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობათა და პროცესების წარსამართავად. გლობალური კომუნიკაციები, გლობალური პროდუქტები, გლობალური ფინანსური სისტემები და კაპიტალის ბაზრები წარმოადგენს დეტერიტორიზაციის მეტად მყაფიო მაგალითებს. აქედან გამომდინარე, სახეზეა გლობალიზაციის როგორც დეტერიტორიზაციის შეუქცევადი პროცესი მსოფლიო ეკონომიკაში.

გლობალიზაცია ეკონომიკური საქმიანობის დეტერიტორიზაციის თვალსაზრისით განსაკუთრებით რელევანტურია ბიზნესის ეთიკისათვის, რაც სამ ძირითად სფეროში ვლინდება. ესენია: კულტურა, სამართალი და ანგარიშვალდებულება.<sup>2</sup>

კულტურული საკითხი. გეოგრაფიული მანძილების, როგორც ბიზნესსაქმიანობების ერთ-ერთი უმთავრესი ხელისშემშლელი ფაქტორის, ბიზნესზე გავლენის სულ უფრო შემცირების კვალდაკვალ, კორპორაციები მზარდად იყავებენ უცხოურ ბაზრებს, რა დროსაც ისინი ხშირად აწყდებიან ახალ-ახალ და სხვადასხვაგვარ ურთიერთსაწინააღმდეგო ეთიკურ მოთხოვნებს. ევროპული ფირმების მაგალითზე თუ ვიტყვით, ის მორალური ფასეულობები, რომელიც შიდა ბაზრებზე მიღებული, შესაძლოა ეჭვეშდადეს, მათი უცხოურ ბაზრებზე შესვლასთან ერთად. მაგალითად, ევროპული შეხედულებები და დამოკიდებულებები რასიულ და გენდერულ საკითხებზე აბსოლიტურად განსხვავდება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ტრადიციული ხედვისაგან. ასევე, ეკონომიკური დაქვეითების დროს ჩინეთში თანამშრომლების სამსახურიდან დათხოვნა ალიქმება არაეთიკურ ქმედებად, მაშინ როდესაც ევროპასა და აშშ-ში მას ბუნებრივ პროცესად მიიჩნევენ. ისე როგორც დასავლეთისათვის მიუღებელია და მკაცრად არაეთიკურია ბაქშეთა შრომის გამოყენება, ხოლო მრავალ აზიურ

1 Scholte, I.A., *Globalization: A Critical Introduction*. Basingstoke: Polgrave., 2000, P. 46

2 იხ. წყარო 2., გვ.17

ქვეყანაში — დასაშვები. მიზეზი თუ რატომ არსებობს მსგავსი პრობლემების პოტენციალი არის ის, რომ გლობალიზაციის პირობებში დეტერიტორიზაციის გამო ეკონომიკური ურთიერთობების აჩქარების მიუხედავად, უმეტეს შემთხვევაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ადგილობრივ, ლოკალურ კულტურებს შორის მჭიდრო კავშირების არსებობას, მორალური ფასეულობებისა და გარკვეული გეოგრაფიული რეგიონების ჩათვლით.

სამართლებრივი საკითხი. ბიზნესის ეთიკის კუთხით სამართლის სფერო მჭიდრო კავშირშია ეთიკასთან. მრავალი ეკონომიკური ტრანსაქცია რაც უფრო კარგავს კავშირს გარკვეულ რეგიონალურ ტერიტორიასთან, მით უფრო აღწევს თავს ის შესაბამისი ეროვნული მთავრობების კონტროლს. ბუნებრივია, ხელისუფლებათა ძალაუფლება დასაზღვრულია გარკვეული ტერიტორიებით, მაგ.: დიდი ბრიტანეთის კანონები სავალდებულოა მხოლოდ დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე, და ა.შ. როგორც კი კომპანია ტოვებს საკუთარ ტერიტორიას და შედის სხვა, განსაკუთრებით მესამე ან მეოთხე სამყაროს ქვეყნებში, სამართლებრივი ჩარჩოები ხდება ძლიერ განსხვავებული. შესაბამისად, მენეჯერებს მეტად აღარ ძალუბით უბრალოდ დაეყრდნონ სამართლებრივ ჩარჩოებს, როდესაც ბიზნესის პრაქტიკაში გადასაწყვეტი ხდება „სწორისა“ და „არასწორის“ საკითხები. გამომდინარე იქიდან, რომ ბიზნესის ეთიკას უპირატესად ეხება ის საკითხები, რომელიც არ განეკუთვნება სამართლის სფეროს, ან სადაც არ არსებობს განსაზღვრული კონსესუსი თუ რა არის „სწორი“, და რა „არასწორი“, გარკვეული აზრით შეიძლება ითქვას, რომ ბიზნესის ეთიკა იწყება იქ, სადაც მთავრდება კანონი. ამგვარ მოცემულობაში დეტერიტორიზაციაზე ზრდის მოთხოვნას ბიზნესის ეთიკაზე, რადგან დეტერიტორიზებული ეკონომიკური საქმიანობები გამოდის ეროვნულ მთავრობათა კონტროლის საზღვრებიდან. მაგალითად, გლობალური ფინანსური ბაზრები იმყოფებიან ნებისმიერი ეროვნული ხელისუფლების კონტროლის მიღმა.

ანგარიშვალდებულების საკითხი. მივაპყრობთ რა დაკვირვებულ მზერას მსოფლიო მოვლენებს, ადვილად შევამჩნევთ ეკონომიკური სუბიექტების გლობალურ სცენაზე იმ დომინანტი

მულტი ნაციონალური კორპორაციების არსებობას, რომლებიც განსაზღვრავენ არა მხოლოდ ცალკეული რეგიონების, არამედ მსოფლიო ეკონომიკურ პოლიტიკასაც. ცალკეული მნე ეკონომიკურად გაცილებით მძლავრია, ვიდრე არა მხოლოდ განვითარება-დი, არამედ მრავალი განვითარებული ქვეყნის მთავრობა. მიუხედავად ამისა, ნებისმიერი ქვეყნის მთავრობა ანგარიშვალდებულია საკუთარი ხალხის წინაშე, მაშინ როდესაც მნე-ის მენეჯერები ფორმალურად ანგარიშვალდებული არიან მხოლოდ ადამიანთა შედარებით პატარა ჯგუფების წინაშე, რომლებიც ფლობენ კომპანიათა აქციებს. საზოგადოებრივ ჯგუფებს სხვადასხვა ქვეყანაში, რომლებიც პირდაპირ არიან მნე-ის საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე დამოკიდებული, არ გააჩნიათ კომპანიებზე გავლენა, და რეგიონალური თუ ეროვნული მთავრობებისაგან განსხვავებით, არც მნე-ი არიან ანგარიშვალდებული ზემოთ აღნიშნული წრეების მიმართ. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ დეტერიტორიზაციის პირობებში მთავრობებს კორპორაციებზე სულ უფრო ნაკლებად ძალუდო კონტროლის განხორციელება, და თავის მხრივ მით უფრო ნაკლებად გახსნილი არიან კორპორაციები დემოკრატიული კონტროლისათვის დაზარალებული ადამიანების მხრიდან. ამგვარად, პირდაპირი მოწოდება მნე-ის ანგარიშვალდებულების შესახებ, სულ უფრო ხმამაღლა გაისმის უკანასკნელი წლების განმავლობაში, რასაც ზემოთ ნახსენები ანტიოგლობალისტთა პროტესტებიც ადასტურებს.

**დანარაჯების მმართველობითი ანალიზის პირითადი  
პრცედურები თანამედროვე ეტაპზე  
სამრეწველო საზარელოა მაგალითზე)**

**ბესიკ ბაუჩაძე,**  
ედ, შ.რუსთაველის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი

აღრიცხვის და ანალიზის ისტორიული როლი მართვის სისტემაში გაუმართლებლად იყო შემცირებული. ხშირად მართვის ფუნქციების საკლასიფიკაციო დაჯგუფებებში გამოიყოფინენ ისეთი ფუნქციები, როგორც დაგეგმვა, ორგანიზაცია, რეგულირება, კოორდინაცია, სტიმულირება, კონტროლი, ხოლო აღრიცხვა და ანალიზი შედიოდნენ საკონტროლო ფუნქციის შემადგენლობაში. თუმცა, სააღრიცხვო-ანალიტიკური ინფორმაციის მნიშვნელოვნობის დადგენის შემდეგ მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში (იქიდან გამომდინარე რომ იკვეთებოდა ეკონომიკური ანალიზის შემცველობის და ფუნქციონირების უფრო ფართო დიაპაზონი კონტროლის ფუნქციასთან შედარებით.), მართვის შემადგენლობაში, როგორც დამოუკიდებელი ფუნქცია, ჩართულიყო აღრიცხვა და ეკონომიკური ანალიზი.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში დანახარჯების აღრიცხვისა და ანალიზის როლი სამეურნეო საქმიანობის მართვაში ობიექტურად იზრდება, ვინაიდან სააღრიცხვო-ანალიტიკური ინფორმაცია უზრუნველყოფს მართვის სისტემას აუცილებელი მონაცემებით და საშუალებას იძლევა მიღებულ იქნას ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილებები დანახარჯების სფეროში. მმართველობითი ანალიზი მიმართულია საარმოს შინაგანი რესურსების და შესაძლებლობების გამოვლენაზე, ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობის შეფასებაზე, სტრატეგიული პრობლემების გამოვლენაზე. ჩვენი აზრით მმართველობითი ანალიზის ჩატარების აუცილებლობა განისაზღვრება რამდენიმე ფაქტორით:

- პირველ რიგში, ის აუცილებელია საწარმოს განვითარების სტრატეგიის შემუშავებისას და მთლიანად ეფექტიანი მენეჯმენტის რეალიზაციისათვის, ვინაიდან წარმოადგენს მმართველობითი ციკლის მნიშვნელოვან ეტაპს;

- მეორე რიგში, ის აუცილებელია საწარმოს მიმზიდველობის შეფასებისთვის, გარე ინვესტორის თვალსაზრისით, საწარმოს პოზიციის განსაზღვრა ნაციონალურ და სხვა რეიტინგებში;

- მესამე რიგში, მმართველობითი ანალიზი იძლევა საწარმოს რეზერვებისა და შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებას, საწარმოს შიდა შესაძლებლობების ადაპტაციის მიმართულების განსაზღვრას გარე გარემოს პირობების ცვლილებებთან. საწარმოს შიდა ანალიზის ჩატარების შედეგად შეიძლება რიგი მომენტების გამოვლენა:

- ◆ საწარმო არსებულზე ზედმეტად თუ ნაკლებად აფასებს თავს;
- ◆ არსებულზე ზედმეტად თუ ნაკლებად აფასებს თავის კონკურენტებს;
- ◆ ბაზრის რომელ მოთხოვნებს ანიჭებს იგი ზედმეტად დიდ, ან პირიქით, ზედმეტად მცირე მნიშვნელობას.

მმართველობით ანალიზში რთულ მეთოდოლოგიურ პროცედურას წარმოადგენს საანალიზო მაჩვენებლების წრის განსაზღვრა. საწარმოში გამოყოფენ ეკონომიკური ანალიზის ორ მიმართულებას და შესაბამისად მაჩვენებლების ორ ჯგუფს:

- მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ საწარმოს ეკონომიკურ პოტენციალს;
- მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ ფირმის სამეურნეო საქმიანობას.

საწარმოს საქმიანობის მმართველობით ანალიზს საფუძვლად უნდა დაედოს შემდეგი პრინციპები:


- სისტემური მიდგომა, რომლის შესაბამისად საწარმო განიხილება როგორც რთული სისტემა, რომელიც მოქმედებს ლია სისტემების გარემოში და თავის მხრივ, შედგება, რიგი ქვესისტემებისგან;
- ყველა შემადგენელი ქვესისტემის, საწარმოს ელემენტების კომპლექსური ანალიზის პრინციპი;

- დინამიური პრინციპი და შედარებითი ანალიზის პრინციპი;
- საწარმოს სპეციფიკის აღრიცხვის პრინციპი (დარგობრივი და რეგიონალური).

სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკურ ანალიზში დიდი მნიშვნელობა ეთმობა დანახარჯების ანალიზს, რომელიც წარმოადგენს კონტროლის ფუნქციის შემადგენელ ელემენტს, ის გვემარება წარმოების ყველა რესურსის გამოყენების ეფექტიანობის შეფასებაში, დანახარჯების სფეროში ინფორმაციის შეგროვებაში, გეგმების მომზადებისა და რაციონალური მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებაში.

მმართველობითი ანალიზი, ისევე როგორც მმართველობითი აღრიცხვა, მოწოდებულია უზრუნველყოს ორგანიზაციის, საწარმოს მმართველობითი აპარატი, ინფორმაციით, რომელიც აუცილებელია ორგანიზაციის საქმიანობაზე მართვისა და კონტროლისთვის და რომელიც ეხმარება მართველობით აპარატს მისი ფუნქციის შესრულებაში

მართვის ობიექტები წარმოდგენილი არიან ნახ. 1-ზე. წარმოების რესურსები გადაინ მომარაგებისა და წარმოების სტადიებს, იქცევიან რა ძირითად საშედეგო მაჩვენებლებად — პროდუქციად, ამონაგებად და დანახარჯებად. ნახ. 1.



ნახ. 1-ზე ნაჩვენებია, რომ მმართველობითი აღრიცხვა და ანალიზი დაკავშირებულია პირველადი ინფორმაციის შესწავლასთან რესურსების შესახებ და პირველი რიგის საშედეგო მაჩვენებლებთან: პროდუქციასა და დანახარჯებთან. თუმცა მხოლოდ მათი მართვითაა შესაძლებელი მეორე რიგის შედეგებზე — ფინანსური შედეგების ფორმირებაზე გავლენა. მმართველობითი აღრიცხვის და ანალიზის ობიექტები კი გაცილებით ფართონი არიან, ვიდრე დანახარჯების მხოლოდ აღრიცხვა და ანალიზი. ეს გვაძლეს მმართველობითი ანალიზის მიზნების სისტემის ფორმულირების საშუალებას:

1) შეფასდეს საწარმოს ადგილი მოცემული საქონლის ბაზარზე;

1.1) განისაზღვროთ საწარმოს ორგანიზაციულ-ტექნიკური შესაძლებლობები;

1.2) გამოვლინდეს პროდუქციის კონკურენტუნარიანობა, ბაზრის ტევადობა;

2) გაანალიზდეს წარმოების და გაყიდვების მოცულობის ზრდის სარესურსო შესაძლებლობები შრომის საშუალებების, შრომის საგნების, შრომითი რესურსების უკეთ გამოყენების ხარჯზე;

3) შეფასდეს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის შესაძლო შედეგების და წარმოებისა და რეალიზაციის პროცესების დაჩქარების გზები.

4) მიღებულ იქნას გადაწყვეტილებები პროდუქციის ასორტიმენტისა და ხარისხის შესახებ, პროდუქციის ახალი ნიმუშების წარმოების ჩაშვების შესახებ;

5) შემუშავდეს წარმოების დანახარჯების მართვის სტრატეგია გადახრების, დანახარჯების ცენტრების, პასუხისმგებლობის მიხედვით;

6) განისაზღვროს ფასწარმოქმნის პოლიტიკა;

7) გაანალიზდეს გაყიდვების მოცულობის, დანახარჯების და მოგების ურთიერთკავშირი წარმოების წაუგებლობის მართვის მიზნით.

მართვის პროცესში ეკონომიკური ანალიზი გამოდის, როგორც უკუკავშირის ელემენტი მართველსა და მართვის სისტემას შორის, რომელიც წარმოადგენს დაინტერესებული ხელმძღვანელების ინ-

ფორმირების პროცესს საქმიანობის ფაქტიური შედეგების შესაბამისობას მოსალოდნელად ან სასურველად.

უკუკავშირის ინფორმაცია, როგორც წესი, გადის შიდა მმართველობითი ანგარიშების სისტემით, რომელიც წარმოადგენს ორანიზაციის შიდა კონტროლის უფრო ზოგადი სისტემის განუყოფელ ნაწილს. რაც უფრო მეტ ხარისხში არის ორინტირებული მართველი შედეგის მიღწევაზე, ხოლო ამაში მდგომარეობს მმართველობითი აღრიცხვის ძირითადი მიზანი, მით უფრო დიდ ხარისხში საჭიროებს იგი უკუკავშირს შიდა ანგარიშებით, რომელიც ახდენს მის ინფორმირებას პასუხისმგებლობის ცენტრის ეფექტიანი საქმიანობის შესახებ.

შიდა მმართველობითი ანგარიშება დგება პირველ რიგში მართველისთვის, რომელიც პასუხს აგებს მიზნების მიღწევაზე, და უკვე მეორე რიგში — მისი უფროსისთვის. შიდა მმართველობითი ანგარიშება წარმოადგენს მმართველობითი აღრიცხვის ანგარიშთა გეგმასთან ერთად სისტემანარმომქნელ ელემენტს, იმ ძირითად ხერხემალს, რომელზეც დგას მთელი მართველობითი სტრუქტურა.


ჩვენი შეხედულებით, შიდა ანგარიშების ყველაზე გავრცელებული ნაკლოვანებები შემდეგია:

- ინფორმაციის განზოგადება ძირითადად ხდება გაყიდვების მოცულობის კონტროლისთვის ან ხარჯების განსაზღვრისთვის და არ არის დაკავშირებული ცალკეული მართველების მოთხოვნებთან, რომელთა საქმიანობას მოაქვს შემოსავალი ან მოითხოვს ხარჯებს;

- ინფორმაცია, რომელიც განზოგადებულია ანგარიშებაში, მისამართდება არა იმ პირებისთვის, ხშირად მართველისთვისაც კი არა, რომელიც იმყოფება სამეურნეო საქმიანობის მოწინავე ხაზზე, არამედ მის უფროსთან ან ხელმძღვანელთან;

- ანგარიშებაში წარმოდგენილია კონკრეტული ინფორმაცია ზოგად საკითხებზე, რაც ართულებს გადაწყვეტლების მიღებას კონკრეტულ მიმართულებებზე;

- ანარიშებაში ჭარბობს ზედმეტი არასაჭირო ინფორმაცია. შედეგად მმართველს ეკისრება ინფორმაციის დახარისხების სამუშაო იმის საძებნელად, რომელიც მას წამდვილად ესაჭიროება მართვისთვის.



## 6ას.2. უკუკავშირის იერარქია

უკუკავშირის იერარქია მმართველობით აღრიცხვაში იგება ის-ეთი სახით, რომ ოპერატორული მმართველობითი გადაწყვეტილებები მიიღება ყველაზე დაბალ დონეებზე წარმოდგენილი მონაცემების მატერიულის მიხედვით (ნახ. 2).

მართვის მაღალი დონეებისკენ ინფორმაციის მოცულობა მც-ირდება, ხოლო მისაღებ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობა (მნიშვნელობა) იზრდება. როგორც ნაჩვენებია ნახაზზე,

მმართველობითი აღრიცხვის პროცესში გამოიყენება მრავალი სხვადასხვაგვარი საშუალება, მიღებომა და ხერხი, რომლებიც იძლევიან გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ფუნქციების, ეტაპების პროცედურების და ოპერაციების მოწესრიგების, მიზანმიმართულებისა და შესრულობის გთვალისწინებას.

ერთობლიობაში ისინი გამოდიან, როგორ მართვის მეთოდები, რომლებშიც იგულისხმებიან მართველობითი საქმიანობის განხორციელების ხერხები, რომლებიც გამოიყენებიან მისი მიზნების

დასახვისა და მიღწევისთვის.


მმართველობით ანალიზში გამოყენებული მეთოდების სისტემის საფუძველს შეადგენს ზოგად სამეცნიერო მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს პრობლემის გადაწყვეტის სისტემურ, კომპლექსურ მიდგომას და ასევე ისეთი მეთოდების გამოყენებას, როგორიცაა მოდელირება, ექსპერიმენტირება, კონკრეტულ-ისტორიული მიდგომა, ეკონომიკურ-მათემატიკური და სოციოლოგიური გაზომვა. კონკრეტული მეთოდების კლასიფიკაცია ხორციელდება სამი ძირითადი მიმართულებით, რომლებიც იძლევიან შემდეგი მეთოდების გამოყოფის საშუალებას: ფუნქციონალური ქვესისტემების მართვა; მართვის ფუნქციათა შესრულება; მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება.

იმასთან დაკავშირებით, რომ მმართველობითი საქმიანობის მრავალი სახე პერიოდულად მეორდება (განსაკუთრებით დაგეგმვისა და კონტროლის სფეროში) და მათი გადაწყვეტის ხერხები ცნობილია, ახალი მეთოდების შემუშავება მოიცავს აუცილებელი მეთოდური ინსტრუმენტის მხოლოდ ნანილს. ეს ქმნის დროისა და სახსრების ეკონომიკისთვის რეალურ პირობებს, რომელთა დახარჯება საჭიროა მმართველობითი პროცესის გადასაწყიტად.

მმართველობითი ანალიზი აუცილებელია გადაწყვეტილების მომზადებისა და მიღების ყველა სტადიაზე, განსაკუთრებით მიზნის ფორმირების, გადაწყვეტილების შემუშავების, მისი უკეთესი ვარიანტის შერჩევის და გადაწყვეტილების რეალიზაციის შედეგების განხილვის ეტაპებზე. მმართველობითი ანალიზის მეთოდიკა წარმოადგინოს ნახ. 3-ზე.

დანახარჯების ანალიზის ობიექტი შეიძლება იყოს წარმოებული პროდუქციის მთლიანი მოცულობა, რეალიზებული პროდუქციის მოცულობა, პროდუქციის ცალკეული სახეები, წარმოებების ცალკეული სახეები, ცენტრები, ცალკეული ტექნოლოგიური პროცესები და ოპერაციები.

ერთ-ერთ ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს დანახარ-ჯების სიდიდეზე, წარმოადგენს პროდუქციის მოცულობისა და სტრუქტურის ცვლილება, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ პირობითად-მუდმივი ხარჯების (ამორტიზაციის გარდა), შედარე-



### ნახ.3. მმართველობითი ანალიზის მეთოდიკა სამრეწველო საწარმოში

ბითი შემცირება, საამორტიზაციო ანარიცხების შეფარდებით შემცირება, პროდუქციის ნომენკლატურისა და ასორტიმენტის ცვლილება, მისი ხარისხის ამაღლება.

საამორტიზაციო ანარიცხების შეფარდებით ცვლილების გამოთვლა შესაძლებელია იქიდან გამომდინარე, რომ საამორტიზაციო ანარიცხების ნაწილი არ შედის პროდუქციის თვითლირებულებაში, არამედ ანაზღაურდება სხვა წყაროების ხარჯზე, ამორტიზაციის საერთო თანხა შეიძლება შემცირდეს.

წარმოებული პროდუქციის ნომენკლატურისა და ასორტიმენტის ცვლილება წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს წარმოებაზე დანახარჯების დონეზე. პროდუქციის სტრუქტურის ცვლილების ზეგავლენა შეიძლება გაანალიზდეს ცვალებადი დანახარჯების მიხედვით, ტიპური კალულაციის მუხლების მიხედვით. პროდუქციის შემადგენლობაში დანახარჯების სიდიდეზე სტრუქტურული ძვრების გავლენის გაანგარიშება უნდა დაუკავშირდეს შრომის მწარმოებლურობის ზრდის მაჩვენებლებს.

წარმოების დანახარჯების სიდიდეზე გავლენას ახდენენ დარგობრივი ფაქტორები. მათ შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი: ახალი სამქროების, საწარმოო ერთეულებისა და წარმოებების შეყვანა და ათვისება, მოქმედ საწარმოებში წარმოების მომზადება და ათვისება, სხვა ფაქტორები. ეფექტური მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების მიზნით მმართველობითი ანალიზის მნიშვნელოვან შემადგენელს წარმოადგენს დანახარჯების სტრუქტურული ანალიზი ელემენტების მიხედვით. ის, როგორც წესი, ტარდება სისტემატიკურად წლის განმავლობაში დანახარჯების შემცირების შიდა საწარმოო რეზერვების გამოვლენის მიზნით.

ამრიგად, სამრეწველო საწარმოების წინაშე დგას საკმაოდ სერიოზული ამოცანები და მათი წარმატებული რეალიზაციისთვის აუცილებელია რაციონალურად ორგანიზებული მმართველობითი ანალიზი, რომელსაც აქვს დიდი მნიშვნელობა პროდუქციის თვითლირებულების ოპტიმიზაციის ღონისძიებების დასაბუთებისათვის. ეს უზრუნველყოფილი იქნება ნედლეულის დამზადებისა და გადამუშავების პროცესებზე სათანადო აღრიცხვის და კონტროლის მეშვეობით და მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების გასაკონტროლებლად წარმართული მართვის ფუნქციების საშუალებით.

## გამოყენებული ლიტერატურა

- 1.პ. ბაუჩაძე., „მმართველობითი აღრიცხვა“ თბ.2012წ.
2. ენტონ ა. ატკენსონი, რობერტ ს. კაპლანი, ელა მეა მათსუმერა, ს. მარკ იანგი. მმართველობითი აღრიცხვა. თბილისი. 2009 წ.
3. 3. Друри. Колин, «Введение в управленческий учет и производственный учет», М; 2001 г.
- 2.Карпова Т. П. «Основы управленческого учета», М.; “ИНФРА-М”,2003г.- 3.Кондратова И. Г. “Основы управленческого учета”, “Финансы и статистика”, М.;2005 г.-
4. Нидлз, Х.Андерсон, Д.Колдуэлл «Принципы бухгалтерского учета», М.; «Финансы и статистика», 2005 г.-
5. Николаева С.А. «Учетная политика предприятия», М.; «ИНФРА-М»;
6. О содержании управленческого учета // М. З. Пизенгольц, «Бухгалтерский учет», № 19, октябрь 2004 г.

## „SUPPLY CHAIN MANAGEMENT“ - მართვის თანამდებობები პრიცესები

ალექსანდრე შენგელია  
სტუ მაგისტრანტი  
ზურაბ შენგელია  
ემდ, სტუ სრული პროფესორი

ტერმინი Supply Chain Management (SCM) — „მიწოდების ჯაჭვის /ჯაჭვთა მართვა“ შემოთავაზებული იქნა ამერიკელი სპეციალისტების (კერძოდ, კომპანია Arthur Andersen-ის) მიერ გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში და შემდგომში დიდი პოპულარობა მოიპოვა. 1989 წლიდან, სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები ცდილობენ ამ ცნების სტრუქტურირებას.

მიწოდებათა ჯაჭვის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული, საზღვარგარეთის მრავალი წამყვანი სპეციალისტის აზრთა განზოგადებაზე დაფუძნებული განსაზღვრება შემდეგნაირად ჟღერს: მიწოდებათა ჯაჭვი — სამი ან მეტი ეკონომიკური ერთეული (იურიდიული ან ფიზიკური პირები), რომელიც უშუალოდ იღებს მონაწილეობას პროდუქციის, მომსახურების, ფინანსების და/ან ინფორმაციის გარეშე და შიდა ნაკადების წყაროდან მომხმარებლისკენ მიმართვაში.

ამ განსაზღვრებიდან გამომდინარე, შესაძლებელია გავაკეთოთ დასკვნა, რომ არსებობს სირთულის სამი დონის მქონე მიწოდებათა ჯაჭვები: მიწოდებათა პირდაპირი ჯაჭვი, მიწოდებათა გაფართოებული ჯაჭვი და მიწოდებათა მაქსიმალური ჯაჭვი. მიწოდებათა პირდაპირი ჯაჭვი შედგება კომპანიისგან, მიმწოდებლისგან და მომხმარებლისგან, რომელიც მონაწილეობს პროდუქციის, მომსახურების, ფინანსების და/ან ინფორმაციის გარეშე და/ან შიდა ნაკადებში.

80-იანი წლების ბოლოდან და დღევანდელ დღემდე, ლოგისტიკისა და მეწეჯმენტის სპეციალისტებს შორის ერთიანი აზრი ცნების „მიწოდებათა ჯაჭვების მართვა“ განსაზღვრებასა და შინა-

არსთან დაკავშირებით არ არსებობს. მრავალი იყენებს ამ ტერმინს „ლოგისტიკის“ ან „ინტერგრირებული ლოგისტიკის“ სინონიმად. მაგრამ ამჟამად ამ კონცეფციის განმარტებისას აქცენტმა უფრო მეტად გადაინაცვლა გაფართოებული ცნებისკენ SCM, როგორც ბიზნესის ახალი კონცეფციისკენ. ამ პოზიციამ აქტიური მხარდაჭერა მიიღო ამერიკის მრავალი უნივერსტიტეტის, კრენფილდის ბიზნესის სკოლის (დიდი ბრიტანეთი, ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ინსტიტუტი მ.კისტროფერის ხელმძღვანელობით), უნივერსტიტეტების, გერმანიის ლოგისტიკურ მენეჯერთა მომზადების ცენტრთა და რიგ სხვა ლოგისტიკური სკოლებისა და გაერთიანებების მხრიდან.

SCM –ის სფეროში აღიარებული ამერიკელი მეცნიერები დ.ლამბერტი და ჯ.სტოკი ამ ცნებას ამგვარად განსაზღვრავენ: მიწოდებათა ჯაჭვების მართვა – საკვანძო ბიზნეს პროცესების ინტეგრირება, რომლებიც იწყება საბოლოო მომხმარებლისგან და მოიცავს საქონლის, მომსახურების და ინფორმაციის ყველა მომწოდებელს და მატებს ფასეულობას მომხმარებელთათვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის. ამ განსაზღვრების განმარტებისას ისინი მიუთითებენ, რომ მიწოდებათა ჯაჭვების მართვა – ეს არის რვა საკვანძო ბიზნეს–პროცესის ინტეგრაცია, კერძოდ:

- მომხმარებლებთან ურთიერთობის მართვა;
- მომხმარებელთა მომსახურება;
- მოთხოვნის მართვა;
- შეკვეთების შესრულების მართვა;
- საწარმოო პროცესების მხარდაჭერა;
- მომარაგების მართვა;
- პროდუქციის შემუშავებისა და მისი კომერციულ გამოყენებამდე მიყვანის მართვა;
- დაბრუნებითი მატერიალური ნაკადების მართვა.

ბოლო დრომდე SCM-ის კონცეფცია ფაქტიურად განიხილებოდა, როგორც „ინტეგრირებული ლოგისტიკის“ სინონიმი, რომელიც ხორციელდებოდა ცენტრალური კომპანიის ფარგლებს გარეთ და მოიცავდა მომხმარებლებსა და მომწოდებლებს. ლოგისტიკა ყოველთვის იყო ორიენტირებული მიწოდებათა ჯაჭვებ-

ზე, რომლებიც იწყება პროდუქტის დამზადების ადგილიდან და მთავრდება მისი მოხმარების ადგილზე. როგორც დ.ლამბერტი და ჯ.სტოკი მიუთითებენ, აზრთა ძირითადი სხვადასხვაობა გამომდინარეობს იქიდან, რომ ლოგისტიკა ხშირად ორგვარად არის გაგებული: როგორც კომპანიის საქმიანობის ვიწრო ფუნქციონალური მიმართულება და როგორც უფრო მსხვილი, პროდუქციის და ინფორმაციის მიწოდების ყველა ჯაჭვებზე მართვასთან დაკავშირებული ბიზნეს–კონცეფცია. SCM ლოგისტიკის განმარტება წააგავს ზოგიერთ მსჯელობას ცნების „მარკეტინგი“ დაკავშირებით, როდესაც ხდება მისი გაგება, როგორც კონცეფციისა და ამასთან, როგორც საქმიანობის ფუნქციური სფეროსი. აღნიშნულთან დაკავშირებით, შეიძლება მოვიყვანოთ მსხვილი ამერიკული კომპანიის განმკარგულებელი დირექტორის სიტყვები: „მარკეტინგი ძალზე მნიშვნელოვანი რამ არის იმისათვის, რომ იგი მთლიანად გადავცეთ მარკეტინგის განყოფილებას“. კომპანიის თითოეული თანამშრომელი უნდა გამოდიოდეს მომხმარებლის ინტერესებიდან. ვინაიდან მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილება – ყველას და თითოეულის საქმეა, მარკეტინგული კონცეფცია არა მხოლოდ მარკეტინგის განყოფილებაში გამოიყენება.

ELA (European Logistics Association) –ს განსაზღვრებით, „SCM – ეს არის ინტეგრალური მიდგომა ბიზნესისადმი, რომელიც ახდენს მართვის ფუნდამენტური პრინციპების გახსნას ლოგისტიკურ ჯაჭვი, ისეთების, როგორიცაა ფუნქციურ სტრატეგიათა, საორგანიზაციო სტრუქტურის, გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდების, რესურსების მართვის, მხარდაჭერი ფუნქციების, სისტემების და პროცედურების ფორმირება“.

SCM-ის კონცეფცია იძლევა ლოგისტიკის ფუნქციურ არეთა ინტეგრირებული მართვისა და კომპანიის ლოგისტიკაში ბიზნეს–პლატფორმის შესაბამისად (B2B ან B2C). SCM მოდულს ადგილი აქვს მართვის ყველაზე მოწინავე ინტეგრირებული კორპორატიული სისტემების შემადგენლობაში, კერძოდ კი, სისტემებს ERPII/CSRP. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ SCM-მოდული მქონე ERP სისტემები იძლევან შეკვეთის ეტაპების 6-ჯერ უფრო სწრა-

ფად გავლას და კლიენტთა ლოგისტიკური სერვისით კმაყოფილების 2-ჯერ გაზრდას.

ამ თემისთვის მიძღვნილ კვლევათა და პუბლიკაციათა დიდი რიცხვი, სპეციალიზებული პრიოდული გამოცემები (მაგალითად, Supply Chain Management დიდი ბრიტანეთი) ადასტურებენ SCM კონცეფციის ფართო გავრცელებას (Supply-Chain Council, აშშ). ამავე მიმართულებას ეძღვნება საერთაშორისო კონფერენციები (მაგალითად, ლოგისტიკური მენეჯმენტის საბჭოს ყოველწლიური კონფერენცია სახელწოდებით: Collaborative Relationships in a Changing Economy — „თანამშრომლური ურთიერთობა ეკონომიკის ცვლილებების პირობებში“) და.ა.შ.

ჩვენი აზრით, SCM მიდგომაში უმნიშვნელოვანესია, მაგრამ არა უმთავრესი კოორდინაციის პრობლემა. მიწოდების ჯაჭვთა მართვის მეორე პრობლემას წარმოადგენს კომპანიის რესურსების და მისი ლოგისტიკური პარტნიორების ოპტიმიზაცია ლოგისტიკური სტრატეგიის ძირითადი ფუნქციების შესრულების პროცესში. სწორედ ამიტომ, SCM კონცეფცია და პროგრამული პროდუქტები ფართოდ გამოიყენება ERP/CSRP სისტემებში.

მიწოდების ჯაჭვთა ეფექტური მართვის ამოცანა ყოველთვის იდგა მეწარმეთა წინაშე — დამოუკიდებლად მათი პროფილისა, ეროვნული ან ტერიტორიული კუთვნილებისა და მოქმედი ეკონომიკური მოდელისა. ჯაჭვთა მართვის თანამედროვე პრაქტიკა მჭიდროდ უკავშირდება დაგეგმვას და რესურსების ოპტიმიზაციას კომპანიის შიგნით, ამიტომ SCM — ეს არის კონცეფცია, რომელიც მხარს უჭერს კომპანიათა კორპორაციულ სტრატეგიას და საინფორმაციო-ტექნოლოგიურ ასპექტში წარმოადგენს ERP-სისტემათა შემადგენელს; ამასთან, მიწოდებათა ინტეგრირებული ლოგისტიკური მენეჯმენტი — ეს არის არა თვითმიზანი, არამედ კომპანიის ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი.

ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები ERP კორპორაციულ სისტემებში SCM კონცეფციის გამოყენებით, ეფუძნება მიწოდების ჯაჭვთა მართვის იდეოლოგიის გამოყენებას რეალურ დროში — მართვას უსადენო WAP-დანართების GPRS პროტოკოლის პა-

კეტური რადიოკავშირის ზოგადი მომსახურების გამოყენებით და ა.შ.

SCM კონცეფციის შესაძლო დანართების სპექტრი, კომპანიის მიერ ელექტრონულ ბიზნესში შესვლისას ფართოვდება. ამ შემთხვევაში, ლოგისტიკა იძენს თითქმის გადამწყვეტ მნიშვნელობას პერსპექტიული ურთიერთობების აგებაში მყიდველთან.

ელექტრონულმა ვაჭრობამ პირდაპირ დააკავშირა მყიდველი გამყიდველთან: შუამავლები ხშირად საჭირო აღარ არიან, დამკვეთი კი ხვდება, თუ რა რთულია და ძვირფასია კომპანიის ლოგისტიკური სტრატეგია და არჩევანს ახალ ფაქტორთა გათვალისწინებით აკეთებს. ამავე დროს, კომპანიებმა უნდა ისწავლონ საქონლის პირდაპირ მიწოდებათა განხორციელება კლიენტთა გაცილებით უფრო ფართო აუდიტორიისთვის, რადგან ბევრ შემთხვევაში ინტერნეტში გასვლა ნიშნავს საბითუმო გაყიდვებიდან საცალო ვაჭრობაზე და მასაბრივი მომსახურებიდან — ინდივიდუალურ სერვისზე გადასვლას. ამასთან, გამყიდველებმა არა მარტო უნდა შეძლონ მიწოდების ორგანიზება, არამედ მაქსიმალურად მოხერხებული და მარტივი გახადონ თითოეული ურთიერთებულება კლიენტთან. ელექტრონულ ბიზნესს გააჩნია პერსონალური მომსახურების უნივალური ტექნოლოგიური შესაძლებლობები. მცირე პარტიებით უმარავი რაოდენობის მიწოდებათა მართვის უნარი, პლუს ურთიერთობათა ინდივიდუალიზაცია დამკვეთებთან — აი ეს გახლავთ ელექტრონული კომერციისა და ლოგისტიკის წარმატების თანამდეროვე კრიტერიუმები. ჩნდება ახალი ბიზნეს-სტრატეგია. ახლა კლიენტთან ურთიერთებულების ეფექტური ხერხები, რომლებიც მას საშუალებას აძლევენ თავად გახდეს ლოგისტიკური ჯაჭვის რგოლი და აცნობენ მას შიდა ბიზნეს-პროცესებს, მუშავდება ერთიანი ლოგისტიკური სტრატეგიის საშუალებით, რომელიც იძლევა კლიენტთან ურთიერთობათა მართვის საშუალებას (Customer Relationships Management, CRM) და SCM.

და მაინც, CRM+SCM ერთიანი კონცეფციის საფუძველზე არსებული ელექტრონული ბიზნესის პოტენციალის რეალიზებაც კი სრულად ვერ ხერხდება. საინფორმაციო სივრცემ ჩამოაყალიბა სრულიად სხვა დონეზე — კომპანიების სუპერ ინტეგრაციის

დონეზე ურთიერთობის იდეალური გარემო. კონტრაგენტთათვის საკუთარ სისტემასთან გამჭვირვალე წვდომის მინიჭებისას (SCM+CRM), კომპანია ახდენს მათ „ინტეგრირებას“. პარტნიორები მისდევენ გახსნილობის იმავე იდეას და ასევე ახორციელებენ თავიანთ კონტრაგენტთა ინტეგრირებას ერთიან სისტემაში.

SCM-ის თეორიის და პრაქტიკის წარმოშობა მსოფლიოში დაკავშირებულია საინფორმაციო ტექნოლოგიების პროგრესთან, რომელმაც მრავალეროვან კორპორაციებსაც კი მისცა საშუალება ეწარმოებინათ ოპერაციები და გაერალიზებინათ on-line რეჟიმში საქმიანობა. ბუნებრივია, აღნიშნულმა მოთხოვა გლობალური ბიზნესის მართვის მეთოდოლოგიის გააზრება და ფორმალიზაცია, აგრეთვე შესაბამისი ინსტრუმენტების შემუშავება. ლოგისტიკური ჯაჭვების მხარდაჭერა პრაქტიკულად სავალდებულო მოთხოვნა გახდა სავაჭრო და ჰოლდინგური სტრუქტურების ავტომატიზაციისთვის განკუთხნილი პროგრამული პროდუქტების მიმართ. ასეთი პროდუქტები უნდა ახდენდნენ იმ კონფიგურაციების მხარდაჭერას, რომლებიც იძლევიან ავტომატიზაციის განთავსების საშუალებას ფიზიკურად დაშორებულ რამდენიმე ტერიტორიაზე, ფინანსური (საბუღალტრო) აღრიცხვის დაყოფით (რამდენიმე იურიდიული პირის მხარდაჭერა), აგრეთვე უნდა ახდენდნენ „განაწილებული“, მაგრამ ერთიანი იურიდიული პირის მხარდაჭერას, მონაცემთა ბაზის განაწილებული სტრუქტურის მიმართ, ყველა აქედან გამომდინარე მოთხოვნის ჩათვლით. ბევრ შემთხვევაში ასევე აუცილებელია „მგრძნობიარე“ კლიენტის ვარიანტი, დაშორებულ საწყობებში სამუშაო ადგილების უზრუნველსაყოფად, წარმომადგენლობით დაწესებულებებში შეკვეთის დისტანციური ფორმირების ან მონიტორინგისთვის.

მიწოდებათა ჯაჭვის ანალიზს განსაკუთრებული მნიშვნელობა შემდეგ შემთხვევებში ენიჭება:

-სპეციფიკური მოთხოვნები მიწოდებათა მიმართ თითოეული ქვეყნისთვის (რეგიონისთვის) – სპეციალური მაკომპლექტებელები ან მასალები. მაგალითად, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამზადებენ ნახატებიან საბავშვო ტრიკოტაქს, ის ყველგან მიეწოდება – ჩრდილოეთ პოლუსიდან სამხრეთ პოლუსამდე. ბუნებრივია,

სხვადასხვა ქვეყნებისათვის ნახატი განსხვავებული უნდა იყოს, რისთვისაც აუცილებელია შესაბამისი ქვეყნების სპეციალისტების მოზიდვა. გარდა ამისა, „საშობაო“ სასაჩუქრე ნაკრებში შეტანილი უნდა იქნას საჩუქრები, რომლებიც ასეთებად აღიქმება თითოეულ შესაბამის ქვეყანაში, საჭიროა მათი შეკვეთა, მიწოდება, შეფუთვა.

-ამჟამად პოპულარული CFM კონცეფცია (Customer Focused Manufacturing) — „მყიდველზე ორიენტირებული“ წარმოება. მოყვანილი მაგალითი ასევე შეიძლება მიეკუთვნოს აღნიშნულ კატეგორიას. მაგრამ CFM-ის „ფოკუსი“ მდგომარეობს არა მარტო საქონლის ადაპტაციაში კონკრეტული მყიდველის მოთხოვნილებებისადმი, არამედ „უკუკავშირის“ მუდმივ შენარჩუნებაში მყიდველთან და ლოგისტიკური ჯაჭვის ადაპტაციაში მის მოთხოვნილებებთან. ამგვარი „უკუკავშირი“ შეიძლება შედგებოდეს, მაგალითად: ერთ მაღაზიაში იყიდება კომპიუტერები დიდი დისკებით, მეორეში – თანამედროვე ვიდეო პლატიტ და ვრცელი მებსიერებით, შესაბამისად, განსახვავებული უნდა იყოს ამ ვიდეო მაღაზიათა პროგრამული უზრუნველყოფის ასორტიმენტიც. ასევე საჭიროა სხვადასხვა კორპუსები და მონიტორები, თუკი კომპანია ორიენტირებულია „ტიპურ გადაწყვეტილებებზე“ მაშინ განსხვავებები არსებითი იქნება. ამგვარი „პრიორიტეტები“ შესაძლებელია არსებითად იცვლებოდეს, ხანდახან ერთი–ორი თვის განმავლობაში.

„გლობალური“ მრავალნაციონალური კომპანია. „ფოკუსი“ – არა კონკრეტული ქვეყნის მომხმარებელთა სპეციფიკური მოთხოვნების დაკმაყოფილება, არამედ გლობალური დისტრიბუციის მართვის პრობლემა და საერთო საოპერაციო ლოგისტიკური ხარჯების შემცირება. საინტერესოა გაკეთდეს განსხვავება კონცეფციებს SCM და DRP (Distribution Requirements Planning)-ს (განაწილების რესურსთა დაგეგმვა) შორის, რომელიც იძლევა განაწილებული სასაწყობე სისტემის „შევსების“ დაგეგმვის საშუალებას, ამასთან არა მხოლოდ „ცენტრალური საწყობიდან“, არამედ საქონლის გადაადგილების ხარჯზე თანაბარი დონის საწყობებს შორის, მათ შორის მაღაზიიდან მაღაზიაში გადაადგილების გზით, საოპერაციო ღირებულებისა და უკუკავშირის დამყარების გარეშე. ასეთი მიდგომა

ოპტიმალური იქნება სერვისული ცენტრების საწყობთა სისტემის, გაცვლითი ფონდების ან მასობრივი მოთხოვნილების სასურსათო პროდუქციის – მაგალითად, შაქრის, მარილის, ბურღულეულის და მსგავსი პროდუქტების საბითუმო საწყობთა სისტემის შესავსებად, რომელიც მცირედ ექვემდებარებიან მოთხოვნებს საგანგებო შეფუთვისადმი და უმნიშვნელოდ დიფერენცირდებიან ხარისხის მიხედვით.

ლოგისტიკური ჯაჭვების ანალიზის არსი საკმაოდ მარტივია:

- საქონლის ღირებულება ყალიბდება მთელი ლოგისტიკური ჯაჭვის გასწროვ, „ვლინდება“ მხოლოდ ბოლო სტადიაზე – საბოლოო მომზარებლისთვის მიყიდვისას;
- საქონლის ღირებულებაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს ოპერაციათა, მათ შორის სატრანსპორტო და მარკეტინგული, ზოგადი ეფექტურობა მთლიანი ლოგისტიკური ჯაჭვის გასწროვ და არა მხოლოდ კონკრეტული გაყიდვის;

- ღირებულების თვალსაზრისით ყველაზე მართვადი სწორედ საწყისი სტადიებია – წარმოება, ხოლო ყველაზე მგრძნობიარე – უკანასკნელი – გაყიდვა.

SCM კონცეფციის დანერგვა ისეთივე რევოლუციური ნაბიჯი იყო, როგორც გადასვლა MRP (Material Requirement Planning) კონცეფციაზე საწარმოო მენეჯმენტში (რაც არსობრივად, ტოლფასია, თუკი შესყიდვა–გაყიდვის პროცესს თავისებურ „წარმოებად“ განვიხილავთ).

ტიპურ ამოცანებს, რომელთაც ხსნის მოდული SCM კორპორაციულ საინფორმაციო სისტემაში, წარმოადგენს:

- ნედლეულისა და მზა პროდუქციის სტრუქტურის ქსელის ფორმირება საოპერაციო ლოგისტიკური ხარჯების შესამცირებლად;

– სატრანსპორტო ოპერაციების/მარშრუტების სქემის ოპტიმიზაცია (ხარჯების თვალსაზრისით);

- კონკრეტულ რეგიონალურ ბაზარზე საქონლის მწარმოებლის შერჩევა და ა.შ.

სამწუხაროდ, ტერმინი SCM ვერ ჩაითვლება საბოლოოდ მიღებულად. კერძოდ, უნდა განვასხვავოთ მიწოდების ჯაჭვთა მარ-

თვა დისტრიბუციის მართვისგან. აღნიშნული კონცეფცია განხორციელდა სხვადასხვა პროგრამულ პროდუქტებში, ასე რომ გადაწყვეტილების არჩევისას აუცილებელია კონკრეტული ფუნქციური რეალიზაციის ზედმიწევნითი გაცნობა. ჩვენი აზრით, არსებობს გარკვეული შეზღუდულობა SCM მოდულის, როგორც ERP/CSRP-სისტემათა ნაწილის, სისტემური ინტეგრატორების განმარტებაში, ზემოთ ჩამოთვლილ ამოცანებთან მიმართებით. ამასთან, აუცილებელია გვესმოდეს, რომ SCM – ეს არის უპირველეს ყოვლისა ბიზნესის ახალი კონცეფცია, რომელიც მიმართულია რესურსების ოპტიმიზაციაზე ლოგისტიკური სტრატეგიის ყველა მონაწილეთა ინტეგრირებული ურთიერთებულების პროცესში. ბიზნესის მართვის ავტომატიზაციის ახალი მიღვმები ხასიათდება SCM, ERP/CSRP (Customer Synchronized Resource Planning), და APS (Application Packaging Standard) იდეოლოგიათა ურთიერთ შეღწევადობით.

კერძოდ, კონცეფცია SCM და CSRP კარგად ავსებს ერთმანეთს. პირველი აქცენტის აკეთებს „გლობალურ“ ლოგისტიკაზე და მასთან დაკავშირებულ, წარმოებასთან მიმართებით „გარეგან“ პროცესებზე, მეორე – „შიდა“ პროცესებზე – კერძოდ, შეკვეთების ოსტატურ მართვაზე და დანახარჯების გაფართოებულ მართვაზე, საქონლის ბიზნეს-ციკლის გაფართოებულ საწარმოო ციკლად აღქმის საშუალებით, და რაც ძალზე მნიშვნელოვანია – არა „ზოგადად საქონელზე“ როგორც MRP, არამედ „საქონელზე კონკრეტულ შეკვეთაში“, რაც ზედმიწევნით შეესაბამება იდეოლოგიას SCM. თუკი გავითვალისწინებთ, რომ მიწოდებათა ჯაჭვის „ბირთვს“ წარმოადგენს მწარმოებელი (გლობალური განმარტებით – დამატებითი ღირებულების მწარმოებელი), შეიძლება ითქვას, რომ CSRP კონცეფცია – ეს არის SCM – ის საწარმოო ბირთვის კონცეფცია. ამ ორ კონცეფციათა ერთიან სისტემად გაერთიანება მოგვცემს ბიზნესის რესურსების მართვის სისტემების ახალ ხარისხობრივ დონეზე გასვლის საშუალებას. შეკვეთებისა და ლოგისტიკური ჯაჭვების მართვის მხარდამჭერ „დახვეწილ“ ავტომატიზებულ სისტემებს შეუძლიათ მნიშვნელოვან კონკრეტულ უპირატესობათა მოტანა.

SCM მოდული და შესაბამისი ფინანსური ინსტრუმენტები იძლევა „ვირტუალური ბიზნესის“ შექმნის საშუალებას სხვადასხვა კომპანიათა განაწილებული სისტემიდან, რომელიც მოიცავს საქონლის მთლიან სასიცოცხლო ციკლს, ან პირიქით, ერთი კომპანიის რამდენიმე „ვირტუალურ ბიზნესად“ დაყოფის საშუალებას. ამასთან, თითოეული „ვირტუალური ბიზნესი“ შეიძლება ახორციელებდეს მთლიანი კომპანიისთვის დამახასიათებელი „მართვის ვირტუალურ სისტემათა“ სრული სპექტრის მხარდაჭერას. მაგრამ სისტემა კორექტულად მუშაობს მაშინ, როდესაც „გამჭვირვალეა“ კომპანიის მიერ ჩამოყალიბებული მთლიანი „ვირტუალური ლოგისტიკური“ ქსელი.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Е.А. Смирнова – УПРАВЛЕНИЕ ЦЕПЯМИ ПОСТАВОК. Издательство Санкт-Петербургского университета экономики и финансов. 2009. стр. 121
2. Ehrmann H. LOGISTIK. 4. Auflage. Kiehl Verlag. 2003. S.599.  
ISBN 3 470 47594 6
3. Wildemann H., LOGISTIK PROZESSMANAGEMENT., 3. Auflage. Munchen. TCW Transfer-Centrum. 2003. S.457.  
ISBN 3-931511-17-0
4. Kummer S., Grun O., Jammerlegg W. GRUNDZUGE DER BE-SCHAFFUNG, PRODUKTION UND LOGISTIK. 2. Auflage. Munchen. Pearson Studium. 2009. S.352.  
ISBN 978-3-8273-7351-9
5. Oelfke W. GÜTERVERKERJEHR SPEDITION. LOGISTIK. . Bil-dungsverlag Troisdorf. 2010. S.664.  
ISBN 978-3-441-00306-9

### ცოდნის გენეზაზე

**სუზანა დობორჯგინიძე**  
ეკონომიკის დოქტორი

კაცობრიობის განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ ნები-სმიერი საზოგადოების განვითარების საფუძველს წარმოადგენს ცოდნა, ცოდნის შექმნა, გავრცელება და გამოყენება. უკანასკნელ XX და XXI საუკუნეში, მსოფლიოს ქვეყნების გაძლიერებული ინ-ტეგრაციისა და გლობალიზაციის პირობებში, რომლის დროსაც მოხდა და ხდება ღრმა ფუნდამენტალური ცვლილებები, რასაც თან სდევს ქვეყნებს შორის მძაფრი კონკურენტული ბრძოლა, განსაკუთრებულად აქტუალური ხდება ცოდნის შეძენა, მისი გა-ძლიერება, გავრცელება და გამოყენება. თანამედროვე მსოფლი-ოში ადამიანს არ ძალუდს მოიცვას მთელი ცოდნა, ეს ფაქტიუ-რად შეუძლებელიცაა. ყოველდღიურად იმდენი ცვლილებები და გარდაქმნები ხდება, რომ ამ ყოველივეს ასახვა ადამიანის გონებაში წარმოუდგენელია. უნივერსალურად განათლებული ადამიანები კი აღარ არსებობენ. თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალება ინ-ტერნეტი გზას გვიკვალავს თანამედროვე კაცობრიობის ცოდნი-საკენ. შეიცვალა და ყოვლისმომცველი ხასიათი მიიღო ინფორმა-ციის და ცოდნის დამუშავების შესაძლებლობებმა: მათი მოპოვება, გაგზავნა, გაცვლა ისეთი მოცულობით ხორციელდება, რომელიც წარმოუდგენელიც კი იყო კაცობრიობის განვითარების წინა ეპო-ქებისათვის. წარმოიშვა ბევრი ისეთი პროგრამული და აპარატული შესაძლებლობები, რომელთა მეშვეობითაც გადამუშავდება ინ-ფორმაცია და გენერირდება ახალი ინფორმაცია, მათ რეალური ცოდნის ფორმა შეიძინება. ადამიანებმა უნდა შესძლონ არსებული უზარმაზარი ინფორმაციიდან მათთვის სასარგებლო ინფორმაცი-ის ამოღება, გაანალიზება და მისი დამუშავება, გამოყენება საკუ-თარი მიზნებისთვის ანუ ცოდნის ეფექტურად გამოყენება. სწორედ ამაზეა აგებული თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა. ფას-დება არა ის, თუ რამდენად ბევრი ინფორმაციის მფლობელია ესა

თუ ის ადამიანი, არამედ ის, თუ როგორ მოახდენს ის საკუთარი ცოდნის გამოყენებას, მართვას, რამდენად არის იგი ახალი იდეებისა და მიმდინარეობების, ახალი ცოდნის გენერირების აქტიური მონაწილე.

ცოდნა თავისებური ობიექტი და უმნიშვნელოვანესი რესურსია, რომელიც საკმაოდ ფასეულია ორგანიზაციისათვის. მაგალითად, ფირმის ინტელექტუალური პოტენციალის ყიდვა და გაყიდვა შეუძლებელია, გაყიდვა შესაძლებელია მხოლოდ ცალკეული პატენტების, ტექნოლოგიური ინსტრუქციების, მაგრამ მთელი ცოდნის კომპლექსის გაყიდვა, რომელიც განაწილებულია პერსონალსა და საინფორმაციო ბაზებს შორის, შეუძლებელია. ცოდნა გადის ტრანსფორმაციის ეტაპებს, ესენია: შექმნა, შენახვა, გადაცემა, გამოყენება. შექმნა – ეს არის ძებნა, განზოგადება, ფიქსაცია, განვითარება, გააზრება, ცოდნის ახალ ფორმაში წარმოდგენა. შენახვა – გარდაქმნა, კოდირება, დაგროვება და წარმოდგენა ცოდნისა ინფორმაციის მატარებელზე, შეტანა საინფორმაციო ბაზაში. ცოდნის გადაცემა ეს არის პროცესი ცოდნის გადაცემისა ინფორმაციულ ბაზებს, ტექნიკურ საშუალებებსა და ადამიანებს შორის. ცოდნის რესურსები სპეციფიკურია დარგობრივი სფეროებიდან გამომდინარე, მაგრამ როგორც წესი, ისინი მოიცავენ მონაცემთა ბაზებს პროდუქციაზე, კონკურენტებზე, ტექნოლოგიებზე და პარტნიორებზე, მეცნიერულ-ტექნიკურ სიახლეებზე, ტიპიურ სამართველო და ინჟინერულ სიტუაციებზე.

ცოდნის მართვა ეს ცალკე აღებული პროგრამული პროდუქტი კი არ არის მონაცემთა ბაზისთვის განკუთვნილი, არამედ სტრატეგია სახელმწიფოს, რეგიონების და სანარმოების მართვისა, რომელიც ორიენტირებულია განვითარებაზე და ინტელექტუალური პოტენციალის მაქსიმალურად ეფექტურ გამოყენებაზე. ცოდნის მართვა ეს არის ორგანიზაცია სამმართველო მოქმედების, ინტელექტუალური, საინფორმაციო და პროგრამული რესურსების მთელი ერთობლიობის ბაზაზე. ცოდნის მენეჯმენტის მიზანია შენახვა, კვლავნარმოქმნა, განვითარება, ცოდნის გამოყენების ორგანიზაცია. ორგანიზაციული ღონისძიებებიდან, რომლებიც ორგანიზაციის ცოდნის მართვის სისტემის პრიორიტეტს წარმოადგენს,

გამოიყოფა: 1. პერსონალის ყურადღების აქტივიზაცია ობიექტი-საკენ “ცოდნა”. 2. სპეციფიკური პროგრამული საშუალებების შექმნა. 3. ორგანიზაციების არქივების ცოდნის ინვენტარიზაცია. 4. ცოდნის უნიკალური მატარებლების – ექსპერტების ბანკის შექმნა. 5. ელექტრონული ქსელების შექმნა ორგანიზაციაში. 6. კავშირის უზრუნველყოფა საერთაშორისო ქსელებითა და ცოდნის ბაზებით. 7. პერსონალის სწავლების სისტემის ორგანიზაცია ცოდნის ურთიერთგაცვლის, განვითარების და შენახვის მიზნით. 8. მიმდინარე პროცესების დროს, ინტეგრირებული სამუშაოების სისტემის ორგანიზაცია, როგორც სწავლების ინსტრუმენტი, ცოდნის გაცვლისა და გაღრმავებისთვის.

ცოდნის მენეჯმენტი ერთ-ერთ აქტუალურ თემას წარმოადგენს დღეს როგორც სამრეწველო, ასევე საინფორმაციო-კვლევით სამყაროში. ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, გვიწევს უზარმაზარ მონაცემებსა და ინფორმაციასთან შეჭიდება. მონაცემები და ინფორმაცია არ არის ცოდნა, სანამ ჩვენ არ მივხვდებით თუ როგორ გადავაქციოთ ისინი ღირებულად. სწორედ ამაში გვეხმარება ცოდნის მენეჯმენტი. სამწუხაროდ, არ არსებობს ცოდნის მენეჯმენტის უნივერსალური განმარტება. ზოგადად იჩჩევენ შემდეგ განსაზღვრებას, მისი სიმარტივისა და ფართო კონტექსტის გამო: ცოდნის მენეჯმენტი (KM) მოიცავს მულტიდისციპლინარულ მიღებებს ცოდნის ეფექტურად გამოყენების გზით ორგანიზაციაში შედეგების მაქსიმალიზაციისთვის. აქცენტს აკეთებს ისეთ პროცესებზე, როგორიცაა, ცოდნის შეძენა, შექმნა და გაზიარება, ასევე კულტურულ და ტექნიკურ საფუძვლებზე. ცოდნის მენეჯმენტი მდგომარეობს მუდმივ სწავლებაზე დამყარებული კულტურის შექმნასა და მხარდაჭერაში, რომლის დროსაც ორგანიზაციის მუშავები სისტემების მიზნების მისაღწევად.

„ცოდნის მენეჯმენტის“ გამოჩენის სამი მიზეზი შიძლება გამოვყოთ:

➤ სოციალური მიზეზი.

მატერიალური წარმოების კომპანიაში დამოკიდებულებით მეორეხარისხოვანი ხდება არამატერიალური (ინფორმაცია და ცოდნა),

ჩნდება ახალი როლი კომპანიაში, მცოდნე თანამშრომელი. თანამშრომლის დახასიათება: 1. სრულად ფლობს წარმოების საშუალებებს: ინტელექტს, მეხსიერებას, გამოცდილებას და არის ინიციატივიანი; 2. მისი ცოდნა სპეციფიურია და შეიძლება მოერგოს მკაცრად განსაზღვრულ ბიზნეს პროცესსაც.

➤ ეკონომიკური მიზეზი.

საინფორმაციო ტექნოლოგიებში ჩადებული ინვესტიციების შეფასებისას აღმოჩნდა, რომ საქმე გვქონდა კომპიუტერულ პარადოქსთან. თურმე შეუძლებელია დაადგინო IT ტექნოლოგიებში ჩადებული თანხების ეკონომიკური ეფექტი. ჩატარდა სხვადასხვა IT კომპანიების კვლევა და აღმოჩნდა, რომ თუ ავილებთ რომელიმე კომპანიის თვითორებულების 100%-ს აქვთან, 95% არამატერიალური აქტივები იქნება, ეს არის თანამშრომლების ცოდნა. ამიტომ, გამოსავალი ამ პარადოქსის ისაა, რომ IT-ს ეკონომიკური შეფასება განხორციელდეს აგებულ ცოდნაზე, როგორც ეკონომიკურ ფაქტორზე, შესაბამისად, IT თავად არ არის მომგებიანი, მოგება გენერირდება ცოდნის მეშვეობით ჩატარებული ოპერაციებით.

➤ ტექნოლოგიური მიზეზი.

ტექნოლოგიური მიზეზი მდგომარეობს IT-ს ევოლუციური განვითარების პროცესში:

1. გამოთვლები; 2. კომუნიკაცია; 3. აქტიური აზროვნების მხარდაჭერა.

ორგანიზაციები თანდათან უფრო აცნობიერებენ, რომ ინტელექტუალური კაპიტალი და კორპორაციული ცოდნა ღირებული აქტივია, რომელიც შეიძლება მართო ისევე ეფექტურად, როგორც ფიზიკური აქტივები, რათა გააუმჯობესო შედეგი. ცოდნის მენეჯმენტი ფოკუსირებას ახდენს ადამიანთა კავშირებზე, პროცესებზე და ტექნოლოგიებზე, რათა მიღწეულ იქნას კორპორატიული ცოდნის მიზანი. დღევანდელი მონაცემთა ბაზის პროფესიონალები არიან მომავლის ცოდნის მენეჯერები, და ისინი შეასრულებენ გამაერთიანებლის როლს, რათა გახადონ ეს კავშირები შესაძლებელი.

21—ე საუკუნე გლობალური მასშტაბის ცვლილებათა საუკუნეა და ამ ცვლილებების ტემპი სულ უფრო მატულობს. გამუდმებით

იქმნება ახალი ცოდნა, ინფორმაცია. მათი მოდინების სისწრაფე და მოცულობა იმდენად დიდია, რომ ძალიან სწრაფად ძველდება კიდეც. ამიტომ ადამიანისათვის აღარაა საკმარისი პროფესიისა და სპეციალობის ერთხელ შესწავლა. წარმატებისათვის აუცილებელი ხდება მუდმივად, მთელი სიცოცხლის მანძილზე ცოდნის ოპერატორილ ძიება, მოპოვება, ათვისება და რეალიზაცია.

ამრიგად, ქვეყნის კეთილდღეობისათვის, წარმატებული განვითარებისათვის, ეკონომიკური სიძლიერისა და მდგრადობისათვის უპირატესი მნიშვნელია ენიჭება მისი მოქალაქეების ცოდნის, განათლების პოტენციალს. მაგრამ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ამ პოტენციალის გამოყენების, მოხმარების უნარს, ანუ იმას, თუ რა პროდუქტს ვაწარმოებთ ისეთი რესურსით, ისეთი კაპიტალით, როგორიცაა ცოდნა, განათლება და როგორი წარმატებით მოვახერხებთ ამ პროდუქტის რეალიზაციას მსოფლიო ბაზარზე.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Н. В. Моргунова, М. А. Шумилина Менеджмент знаний, 2012, ср. 5-24
2. В. В. Глухов, С. Б. Коробко, Т. В. Маринина ЭКОНОМИКА ЗНАНИЙ, 2003, ср. 84-120
3. <http://www.management.com.ua/>



## PERSPECTIVES OF ARMENIAN-GEORGIAN ECONOMIC COOPERATION

Scientific supervisor:

**G.Baghdasaryan. Doctor of economics, professor**

Applicant of European Regional Academy:

**KASIMYAN MARGARIT**

World economic development objective regularities prove that world's further development and the economic growth are largely conditioned by world integration and globalization processes. In order to be deeply involved in world integration processes countries at first cooperate with each other within regional integration processes, having a great opportunity to expand their further cooperation in future. Therefore, our country is not an exception too. So, we believe that its effective involvement in regional integration processes and intensive cooperation with the neighboring countries will mostly ensure country's further economic growth and development. In the context of regional cooperation we particularly emphasize the necessity and urgency of the further development and improvement of Armenian-Georgian economic relationship. In general, Armenian-Georgian relationship have traditionally been friendly and their culture, traditions and history have a lot in common, which can be a solid base for further economic cooperation.

Generally, we think that after the Soviet Union had collapsed the resumption of the economic cooperation and the economic relationship between these two countries can be divided into economic, juridical and organizational directions. These directions provide a correlated character in Armenian-Georgian relationship and require special approach for taking

### ԱՆՇԱԽՈՅ ՎԱՐԵՐԱՋԱ

the economic cooperation to much stronger basis and for making positive reforms in economic system.

Speaking about the operations carried out within these measures we want to note that the juridical direction have had more analytical and constructive nature and by this way countries have made main operations for appliance of their economic relationship. So far, main operations carried out under this direction are the bilateral agreements signed between these countries after the declaration of independence, which have provided legislative and juridical basis for their economic cooperation. Particularly, countries signed agreements about reciprocal protection and encouragement of investments, about creating financial groups, about opening customs checkpoints, about cooperation in custom matters, free trade agreements, etc. All these agreements were aimed to expansion and development of the cooperation in all spheres of economic life. Therefore, signing of these agreements was that legislative and judicial cornerstone, which was necessary for emerging the whole further cooperation. Speaking about the economic direction, we would like to mention that it is the most important base for making further reforms and structural changes for countries. This is due to the fact that economy's radical restructuring increases the opportunities of developing foreign economic relations and gives more chances for creating joint ventures with neighboring countries, expands states' rights and opportunities in the foreign economic cooperation sphere. Therefore, the future development and improvement is very important. So, the opportunity of further development and improvement of economic direction, the elaboration and implementation of all the necessary operations within the system are very important, which will give these countries much more chances to get positive results from mutual economic cooperation. Generally, in Armenian-Georgian relationship the economic direction of development includes several ways of economic relationship, which are bilateral trade, capital flows, transfer of technologies, etc.

At the same time we can express the importance of further development of Armenian-Georgian economic cooperation for our country in some major provisions. These are:

• Georgia, due to its convenient geographical location between Russia and Asian countries, does not only have a specific influence in the region, but also serves as a connecting link for Armenia and Russia, as well as it has great opportunities in connecting Armenia with the rest of the world.

• Thanks to the close cooperation it will be possible for Armenia to overcome its small markets' limited opportunities.

• The development of economic cooperation of these countries will stimulate the attraction of foreign private and governmental investments and by this way realize a number of significant intergovernmental projects /in such spheres as transport, nature conservation, etc./.

• The further development of partnership will stimulate the incrimination of the benefits from bilateral trade and the amplification of their importance in the region.

However, despite the greater likelihood of effective cooperation between Armenia and Georgia, we can insist that the partnership nowadays is in a quite low diplomatic and economic level. In our opinion this situation is explained by the fact that both countries had chosen different directions in their foreign economic policies. Specifically, Georgia is increasingly oriented toward the West and the further development of the country is mainly connected with Western World.

But, as we have already mentioned, despite of this, it is very important to strengthen and diversify the bases of cooperation with this country and it is very necessary to accelerate a process of developing regional integration relationship with it.

Currently the bilateral trade is the dominant sector of Armenian-Georgian economic partnership. Therefore, we believe that undertaking measures, at first must be directed to the improvement of this sector and to strengthening of the competitive advantages that countries have in bilateral trade. For this purpose, for evaluation of Armenian-Georgian bilateral trade and their foreign economic policy orientation, we want to analyze trade tendencies for last 3 years, as well as assess the share they have in mutual trade.

**Table 1**
**Export and import of the Republic of Armenia by countries  
/thousand US dollars/<sup>1</sup>**

Countries	2009		2010		2011	
	Volume	Share /%/	Volume	Share /%/	Volume	Share /%/
<b>Export</b>						
Total	710157,5	100	1041056,6	100	1334338,8	100
Russia	107426,3	15.1	160507,8	15.4	222273,7	16.7
Germany	114963,2	16.2	132616,3	12.7	157988,5	11.8
USA	66961	9.4	82710,6	7.9	100727,6	7.5
Bulgaria	60024,3	8.5	156560,3	15.0	152230,7	11.4
Netherlands	52164,6	7.3	98613,9	9.5	117208,5	8.8
Belgium	46790,6	6.6	72495,7	7.0	70506,9	5.3
Georgia	52806,1	7.4	49035,2	4.7	61851,9	4.6
<b>Import</b>						
Total	3321133,9	100	3748953,5	100	4145332	100
Russia	792241,6	23.9	835271,7	22.3	890873,2	21.5
China	284605,4	8.6	404021,1	10.8	404235,4	9.8
Germany	176046	5.3	210712,1	5.6	245087,5	5.9
Ukraine	201948,4	6.1	229924,3	6.1	232432,1	5.6
USA	120760,8	3.6	110816	3.0	147372,1	3.6
Turkey	177648,8	5.3	210381,2	5.6	240248,2	5.8
Islamic Republic of Iran	162398	4.9	199884,7	5.3	216792,3	5.2
Georgia	40890,8	1.2	54349,6	1.4	60173,4	1.5

As we can see in the data of Table 1, Russia is in the first place in export and import structure of Armenia by its volume and share. The exception was made only in 2009, when in export structure Germany was in the

1 Statistical yearbook of Armenia 2012, p. 468-474

first place, whose share amounted to 16.2% of the whole export. As we see from the structure of the countries having the highest shares in Armenia's export, our export is mainly directed towards industrially developed countries, and particularly to the EU countries. This, of course, proves the fact that our products with their useful features are in great demand in European countries. As for the Armenian-Georgian trade relations, in our export structure in 2009, 2010 and 2011 years Georgia was respectively in 5th, 8th and 10th places. Moreover, reduction in export volumes toward Georgia we notice only in 2009, when the export rate decreased by approximately 7.14% and amounted to 49035, 2 thousand U.S. dollars. At the same time there is no reduction in volumes of all other countries mentioned above. By the way, in 2009 all the exports registered sale growth by increasing for about 1.5 times compared with previous year. Despite the fact, that in 2011 Armenian-Georgian bilateral trade had some activation and the trade turnover has grown for about 26.1%, the share of Georgia in Armenia's total exports has substantially declined and in Armenian geographic structure of export it was in 10th place.

Referring to Armenia's import volumes and main partner countries share study, it should be noted that the first positions are stable for Russia and China in these years. During these years volumes of import from these countries have registered only growth trends. Moreover, if in Armenia's export structure the leading positions have mainly had industrially developed countries, in import structure the picture is quite different. In Armenia's import structure large shares go to neighboring Turkey and Iran. Turkey's share in Armenia's import structure fluctuated between 5,3% /in 2009/ and 5,8% /in 2011/, and Iran's share was within 4,9% /in 2009/ and 5,3 /in 2010/. As of the imports from Georgia, in these years it has a very small share in total import. During these years it had ranged from 1.2% /in 2009/ to 1,5% /in 2011/. By these rates in these years its place in Armenia's import structure has fluctuated from 17 to 19.

Now we will try to present the role and importance Armenia has in Georgia's foreign trade.

Table 2

**Export and import of Georgia by countries  
/thousand US dollars/<sup>1</sup>**

Countries	2009		2010		2011	
	Volume	Share /%/	Volume	Share /%/	Volume	Share /%/
<b>Export</b>						
Total	1 133 622,4	100	1 677 472,1	100	2 189 135,8	100
Turkey	225 768,7	19.9	216 799,3	12.9	227 583,8	10.4
Azerbaijan	165 633,8	14.6	256 241,8	15.3	425 906,3	19.4
Canada	117 224,1	10.3	118 736,0	7.07	114 793,8	5.2
Armenia	88 941,7	7.8	166 754,3	9.9	223 036,7	10.2
Ukraine	83 955,0	7.4	110 389,0	6.5	141 246,7	6.4
Bulgaria	82 290,6	7.2	66 757,2	3.9	93 689,0	4.3
USA	36 933,9	3.2	187 225,9	11.1	143 466,2	6.5
<b>Import</b>						
Total	4 500 244,1	100	5 257 122,4	100	7 057 759,7	100
Turkey	787 885,1	17.5	886 694,3	16.9	1 272 426,8	18
Ukraine	421 238,0	9.4	560 867,3	10.7	705 580,6	9.9
Azerbaijan	410 176,3	9.1	484 587,4	9.2	610 793,5	8.6
Germany	302 143,0	6.7	333 438,9	6.3	480 587,9	6.8
Russia	291 607,7	6.5	290 535,6	5.5	389 711,6	5.5
USA	231 556,2	5.1	180 951,3	3.4	245 796,7	3.5
China	174 744,9	3.9	335 206,5	6.3	524 755,8	7.4
Armenia	41 877,9	0.9	46 136,7	0.8	59 086,5	0.8

It is obvious that Georgia's major foreign trade partners are Turkey and Azerbaijan, whose priority shares in both export and import volumes of the country steadily maintain.

However, as you can see in 2009-2011 the share of Turkey in country's export structure has decreased, but, at the same time obvious strengthen-

1 URL [http://geostat.ge/index.php?action=page&p\\_id=137&lang=eng](http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=137&lang=eng)

ing of Azerbaijan's positions can be seen, which was in the first place in 2010 and 2011 /Table 2/. As for the import, there is also a significant role for Ukraine, which is in the second place in country's import structure. This country registers stable trends in volume increasing year by year. As we see, Turkey has stable positions as well. Moreover, only for this period, import volumes of this country increased for about 1.6 times or by 61.5%.

Turning to study Armenia's role and significance in Georgia's geographical structure of foreign trade, it should be noted that it has great volumes in export structure, which increased significantly during these years. Particularly, in 2011 Armenia's export volumes amounted 223067,7 thousand U. S. dollars, which compared to the previous year had increased by about 33,7% and in Georgia's import structure our country was in the third place after Turkey and Azerbaijan. As you can see, positions of our country are quite stable in Georgia's export structure, which, unfortunately, can't be seen in import structure. During these years the share of Armenia in whole Georgia's import hasn't exceeded 0.9%. And, despite the fact that import volumes of Armenia showed trends of growth, the picture didn't change and Armenia in these years was only in 23-24th places in Georgia's import structure.

As we have already mentioned, it is obvious that Georgia is mostly oriented to Turkey and Azerbaijan. And this fact, of course, hinders the establishment of closer economic cooperation between Armenia and Georgia. Otherwise, Georgia's developing economic relationship with these countries will suffer. And, as we know for Georgia it is more preferable to have a developed economic cooperation with such countries as fuel-rich Azerbaijan and economically powerful Turkey than with Armenia that has neither the first nor the second<sup>1</sup>. Therefore, there are a lot of serious barriers in the way of economic integration and developed Armenian-Georgia economic cooperation such as Armenian-Azerbaijani and Armenian-Turkish nowadays conflicts.

However, even in case of such escalated Armenian-Azerbaijani and

<sup>1</sup> A. V. Darbinyan. "Armenia in international integration processes" Yerevan, "Public Service" 2000, p.143-144.

Armenian –Turkish relationship, this two countries are imposed to adopt the importance of the situation and cultivate an integrated system of serious measures for developing the further economic partnership. And today, more than ever, due to the political changes in Georgia, there are formed very favorable conditions for cultivating such measures and developing economic relations with this country.

Following the ongoing political developments, we believe that in the near future economic reforms will be consistent with standards of civilized society, as it is evident country's new Prime Minister during his first months' operations has tried to somehow balance existing relationships with Turkey and Azerbaijan in order to develop economic partnership with Armenia and Russia. This proves the fact that Armenian-Georgian developed cooperation and the extension of regional integration processes are economic necessities for Georgia too.

In order to completely analyze Armenian-Georgian trade relationship, we also offer to analyze the volumes of commodity groups that have great share in bilateral trade turnover.

As you can see, despite their small shares in structure export and import, commodity groups like "alcoholic and non-alcoholic drinks and vinegar", "pharmaceutical products", "tobacco and manufactured tobacco substitutes", "vehicles other than railway and parts thereof", "fuels, petroleum and petroleum products bituminous substances; mineral waxes", "ferrous metals" and "salt, sulphur, earths and stone, plastering materials, lime and cement" have greatly increased in volumes (see table 3 ).

Particularly, in the survey of dynamics, great interest is shown to "tobacco and manufactures tobacco substitutes" commodity group. In 2009-2011 years volumes of export of this commodity group has increased by almost 2.4 times and amounted to 1890,2 thousand U.S. dollars. The commodity group also has a significant share in the import structure of Georgia. Moreover, in contrast to the stable trends in export volumes, import volumes have quite faltering nature. But, on the other hand, while the share of this commodity group in our export amounted from 0.9 to 1.2% in these years, its share in structure import amounted from 2.5 to 6.1%. As we know, Georgia is especially specialized in wine production and very

**Table 3**  
**Structure export and import of the Republic of Armenia  
 and Georgia /thousand US dollars/<sup>1</sup>**

	The commodity group	2009		2010		2011	
		Export					
		Volume of export	Volume of export to Georgia	Volume of export	Volume of export to Georgia	Volume of export	Volume of export to Georgia
	Total	710157.5	52806.1	1041056.6	49035.2	1334338.8	61851.9
1	Alcoholic and non-alcoholic drinks and vinegar	80114.2	791.0	109071.2	1071.4	147130.6	1890.2
2	Pharmaceutical products	3849.1	1559,8	5022.8	1893,5	5790.3	2043.9
3	Tobacco and manufactured tobacco substitutes	3849.1	1947.4	8307.2	1457.1	16319.7	2605.0
4	Vehicles other than railway and parts thereof	5031.5	2300.6	3403.6	1981,1	8451.0	4674.8
5	Plastics and articles thereof	5239.8	4452.9	6561.0	5609.5	8481.3	7157.6
6	Coffee, tea and other spices	9815.1	7077.8	6060.5	3965.1	5735.1	3397.0
7	Salt; sulphur; earths and stone; plastering materials, lime and cement	9970.6	8335.2	5530.4	2745.2	9869.5	6977.7
8	Glass and glassware	10284.5	9612.6	11412.0	11140.3	10252.6	9736.2

<sup>1</sup> National Statistical Service of the Republic of Armenia. Foreign Trade of the Republic of Armenia for 2009, p. 210-211, 222, 224-225, 230-231, 239, 244, 270, 273, 285, 286, Foreign Trade of the Republic of Armenia for 2010, p.220-221, 233, 235-236, 238, 241, 251, 282, 285, 298-299, . Foreign Trade of the Republic of Armenia for 2009, p. 210-211, 222, 224-225, 230-231, 239, 244, 270, 273, 285, 286, Foreign Trade of the Republic of Armenia for 2011, p. 155-156, 164-167, 169-170, 175, 179, 196, 198, 208.

		Import					
		Volume of import	Volume of import from Georgia	Volume of import	Volume of import from Georgia	Volume of import	Volume of import from Georgia
	Total	3321133.9	40890.8	3748953.5	54349.6	4145332.0	60173.4
1	Fuels, petroleum and petroleum products bituminous substances; mineral waxes	529683.8	680.4	648750.6	3204.9	806145.0	5037.0
2	ferrous metals	100468.0	781.3	123024.6	9673.6	116426.8	10503.9
3	Salt, sulphur, earths and stone; plastering materials,lime and cement	9923.0	1175.9	13967.8	1090.4	12153.3	1321.8
4	Alcoholic and non-alcoholic drinks and vinegar	42076.8	2479.1	52568.5	3508.5	47121.8	2885.8
5	railway or tramway locomotives, rollingstock and parts thereof; tramway and parts thereof	30241.5	5394.0	41825.7	6659.1	19444.2	11965.7
6	edible fruit and nuts; peel of citrus fruit or water-melons	33711.6	5594.9	43596.6	8279.3	19045.6	47282.3
7	fertilisers	13614.2	5611.0	11676.3	3102.8	15272.6	5714.8
8	wood and articles of wood; wood charcoal	49872.4	10475.0	52722.0	6975.1	62532.5	2410.2

often they import grape or even prepared grape material from Armenia for organizing their production in great volumes. This fact, of course, is very beneficial for Armenia, as this way Armenian farmers will have an alternative for their product realization. But, on the other hand, the lack of grape may be a serious reason for increasing prices in domestic wine market. Therefore, for Armenian-Georgian economic cooperation further development we offer to make efforts in setting up wine producing joint ventures, which will give a chance to both of them for using their supe-

rior capabilities in this area and organize a high quality wine production, which will enjoy a higher competitiveness in world market.

Study of dynamics in the export structure of the «Pharmaceutical products» commodity group is also very interesting. Export volumes of this commodity group amounted to 1559,8 thousand U.S. dollars and which was 40,5% of its export in 2009. Export volumes amounted to 2043,9 thousand U.S. dollars in 2011 increasing by about 1,3 times compared with 2009. But, despite the volume increase its share in structure export to Georgia was greatly reduced to registering a share for about 35.3%.

As we know, Armenia has very favorable conditions for organizing domestic production for products such as «tobacco and manufactured tobacco substitutes» commodity group. Though, this commodity group export volumes have registered steady growth trends during these years and have increased by about 4,2 times, its export volumes to Georgia have had a very faltering nature. As a result, Georgia's import volumes have increased only by 1,3 times and the share of Georgia in the whole structure export of this commodity group has declined by about 34% and amounted to 34,6%. So, it is logical that the demand for these products in Georgia has had a great recession, which is a serious cause for concern and requires additional studies in Georgian market by Armenian producers. From Table 3 it is obvious, that "Vehicles other than railway and parts thereof" and "Glass and glassware" commodity groups' trade volumes also have faltering nature.

In the structure export to Georgia the commodity "Plastics and articles thereof" has a very great share and have registered steady growth in export volumes. This commodity's export volumes amounted to 8481.3 thousand U.S. dollar in 2011. Moreover, the share of the commodity group exported to Georgia registered 84.3% share in whole export of these products. So, we assume, that in case of these trends' maintenance in future, economic partnership will be more stimulated and it will provide greater positive results to both of countries.

As shown in Table 3, «coffee, tea and other spices» commodity group has registered reduction in export volumes during these years. Comparing with 2009 we see that export volumes in 2011 declined by about 2

times. But, in spite of the decline of the volumes, the commodity group's share in export to Georgia amounts 59.2%, which is a quite serious data, especially in the case, that Armenia is mostly an importer of such products and there are no sufficient conditions for their production in our country.

Speaking about «Salt, sulphur, earths and stone; plastering materials, lime and cement» commodity group, we would like to notice that exports of these products significantly exceed the imports. The largest export volume was registered in 2008, when it amounted to 38256.7 thousand U.S. dollars and its share in export to Georgia was 46.7%. Thanks to the significant growth of the export volumes of cement it was in heading positions in this commodity group exported to Georgia in these years. Moreover there are two types of cement production: dry and wet. And both of them are very competitive in Georgian market. Generally, the majority of wet cement production costs are the costs done in gas. But, as it is known, Armenia is a natural gas importer. So the import volumes of gas and its prices directly affect on further export volumes of this product. By the way from 01.April.2009 prices for thousand cubic-meters of Russian gas were increased from 110 to 154 U.S. dollar. Therefore, we think, significant export volumes reduction since 2009 was not surprising. In 2010 export volumes amounted to 2745.2 thousand U.S. dollar which was only 5.6% of the its export. However, despite the further increase of gas prices this products' export volumes amounted to 6977.7 thousand U.S. dollar in 2009, which has increased by about 2.5 times compared with 2010. This proves that Georgian demand for these commodities is quite high and further volume growth is very perspective. What refers to the import volumes study of this commodity, it is evident that despite of small volumes there have been registered stable growth trends. Import volume of this products amounted to 1321,8 thousand U.S. dollars in 2011 which had increased by 1,1 times compared with 2009.

Speaking about import structure study, we would like to notice that during these years only «wood and articles of wood; wood charcoal» commodity group had registered volume reduction. The import volume of these products amounted to 2410,2 thousand U.S. dollars decreasing by 4.3 times if we compare it with 2009.

Continuing the analysis, it should be noted that commodity groups like “ferrous metals” and “Fuels, petroleum and petroleum products bituminous substances; mineral waxes” have shown a quite faltering character. These products have had unprecedented volume increase. Particularly, the “ferrous metals” commodity group compares with 2009 had largely increased in 2010 and in 2011 amounted accordingly 9673.6 thousand U.S. dollar and 10503.9 thousand U.S. dollar. The volume was increased by 12.3 times in 2010 and shared 17.8% in the structure import of this commodity group from Georgia. And it had increased by about 1.1 times in 2011. The commodity group - “Fuels, petroleum and petroleum products bituminous substances; mineral waxes” has increased for about 7.3 times during these years and amounted to 5037.0 thousand U.S. dollar in 2011.

Thus, this analysis approves the absence of serious bases for productive economic cooperation. We can insist that either Armenia or Georgia, as countries inclined to a regional integration rather weakly complement bilateral economic systems. This fact, of course prevents the further expansion and development of regional integration processes. As we have already mentioned, bilateral trade is the most developed sector in economic relations system. But it's also on a very weak base now. For this reason, we think that countries are facing a serious problem in implementation of structural reforms. Only as a result of these reforms, it will be possible to correct the situation and walk through the actual integration.

Therefore, we suggest arranging and actualizing mutual economic and political joint programs and initiatives for these two countries by following the examples of integration processes and integration unifications which have proved positive results in various regions. This programs and initiatives will involve providing of tax benefits, simplifying of customs procedures and line of measures involving the growth of mutual investments. It is also suggested to found infrastructures which will promote and encourage the involvement of these countries' companies in external trade for future actuation of external trade of products and services. Following infrastructures, by their nature, must be directed to financing and encouragement of spheres that have bigger potential producing products that are more competitive for these countries.

This will surely promote growth of positive results in mutual trade, growth of investment cooperation, the development of economic relationships in other spheres, and will eventually take Armenian-Georgian cooperation to a higher level by creating free trade zones and abilities to create customs union.

### Bibliography

1. Statistical yearbook of Armenia 2012, 595p.
2. URL [http://geostat.ge/index.php?action=page&p\\_id=137&lang=eng](http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=137&lang=eng)
3. A. V. Darbinyan. “Armenia in international integration processes” Yerevan, “Public Service” 2000.
4. National Statistical Service of the Republic of Armenia. Foreign Trade of the Republic of Armenia for 2009, 313p.
5. National Statistical Service of the Republic of Armenia. Foreign Trade of the Republic of Armenia for 2010, 327p.
6. National Statistical Service of the Republic of Armenia. Foreign Trade of the Republic of Armenia for 2011, 327p.

## ტურისტული მომსახურებების ბაზრის გლობალიზაცია

### მედეა ქავთარაძე

ედ, ბათუმის საზღვაო აკადემიის  
ასოცირებულიპროფესორი  
**ნათია ბეჟანიძე**

ედ, ბათუმის შოთა რუსთაველის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

მსოფლიო მნიშვნელოვანი ცვლილებების ეპოქაშია, რაც დაკავშირებულია ეკონომიკის ახალი ტიპის — გლობალური ეკონომიკის გაჩენასთან. მისი განმასხვავებელი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ეკონომიკური საქმიანობის ყველა ძირითადი სახეები — საქონლისა და მომსახურების წარმოება და მოხმარება, მართვა, ინფორმაციის და ტექნოლოგიების გავრცელება, ბაზრების ფუნქციონირება — ხორციელდება გლობალური მასშტაბით. ასე მაგალითად, მ. კასტელსი გლობალურ ეკონომიკას განსაზღვრავს როგორც “ეკონომიკას, რომელსაც შეუძლია იმუშაოს, როგორც ერთიანი სისტემა რეალურ დროით რეაქირები, მთელი მსოფლიოს მასშტაბით”[1].

გლობალიზაციის პროცესები, ფართო გაგებით, ხასიათდება ეკონომიკური, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად სფეროებში ურთიერთკავშირების და ურთიერთ-დამოკიდებულებების მკვეთრი გაძლიერებითა და გართულებით, რომელიც იძენს პლანეტარულ მასშტაბებს. გლობალიზაცია გამოიხატება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს შორის მზარდ ურთიერთდამოკიდებულებებში, რაც განპირობებულია საქონლისა და მომსახურებების მზარდი მოცულობების მოძრაობით და მათი გავრცელების მასშტაბების მნიშვნელოვანი გაფართოებით, აგრეთვე ყველა სახის ტექნოლოგიების სწრაფი და ფართო გავრცელებით.[2].

გლობალიზაციის საფუძველს წარმოადგენს მსოფლიო მეურ-

### მსოფლიო ეკონომიკა

ნეობის ინტერნაციონალიზაციის პროცესი. განსაკუთრებული ინტენსივობით აღნიშნული პროცესი განვითარდა XXს. 60-იან წლებიდან. ინტერნაციონალიზაციის მივყავართ საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებისაკენ, მისი გაღრმავებისა და ინტენსიფიკაციისაკენ. ამ პროცესის მთავარ მაჩვენებელს წარმოადგენს სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური გაცვლის გაძლიერება, რომელიც ეფუძნება შრომის მზარდ საერთაშორისო დანაწილებას. XXს. 90-იანი წლების შუა პერიოდში აღნიშნულმა პროცესმა მსოფლიოს ეკონომიკური სივრცის მრავალჯერადი დაპატარავება და საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების რთული სისტემის ჩამოყალიბება გამოიწვია.

ეკონომიკური ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის ზრდის ყველაზე ზოგადი მაჩვენებელია საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობის გადიდება. ამ აზრით, მომსახურებებით, მათ შორის ტურისტულით, ვაჭრობა გამონაკლისი არ არის. მომსახურებებით საერთაშორისო ვაჭრობა მნიშვნელოვნად გაიზარდა XXს. ბოლო მესამედში. 1995 წელს მომსახურებების ექსპორტის ყოველწლიურმა მოცულობამ ერთ ტრლნ. დოლარს გადააჭარბა. ხოლო საქონლისა და მომსახურებებით ვაჭრობის საერთო ღირებულებაში მომსახურებების ნილმა შეადგინა მეოთხედი. თუ 1980 წელს მომსახურებების მსოფლიო ექსპორტი შეადგენდა 367 მლრდ. დოლარს, 1981 წ. - 803 მლრდ., 2001 წელს ეს მაჩვენებელი 1350 მლრდ. დოლარი იყო. ე. საუკუნის ბოლო მესამედში მომსახურებების მსოფლიო ექსპორტი ყოველ 10 წელიწადში თითქმის ორჯერ იზრდება[3].

მომსახურებებით ვაჭრობა თანამედროვე ეტაპზე სწრაფად ფართოვდება და სულ უფრო მსხვილ მასშტაბებს იძენს, რითაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკისა და მსოფლიო მეურნეობის განვითარებაზე. მომსახურებების წარმოება განვითარებული ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურაში ყველაზე დინამიური მუხლია.

**ცხრილი №1.**  
ზოგიერთი ქვეყნის მშპ-ს მოცულობა და სტრუქტურა, 2001 წ.

ქვეყანა	მშპ მოცულობა მლრდ. დოლ.	სოფლის მეურნეობა, %	მრეწველობა %	მომსახურებები, %
აშშ	9612680	2,0	18,0	80,0
იაპონია	3394373	2,0	35,0	63,0
გერმანია	2062239	1,2	30,4	68,4
საფრანგეთი	1426548	3,3	26,1	70,6
ბელგია	278629	1,4	26,0	72,6
დიდი ბრიტანეთი	1404385	1,7	24,9	73,4
ფანია	147417	3,0	25,0	72,0
ესპანეთი	1363003	2,5	30,4	67,1
კანადა	8560903	3,0	31,0	66,0

წყარო: География: Справочник. М., 2004; Устинов И. Н. Мировая торговля. М., 2002

რა თქმა უნდა მომსახურების გლობალიზაცია განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია მომსახურების ბიზნესის როლი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაშიც, რამდენადაც ამ სფეროში ინარმოება ქვეყანაში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის 60%, ხოლო დასაქმებულთა რიცხოვნობა შეადგენს ქვეყნის მასშტაბით დასაქმებულთა 59%[4]. მომსახურების ბიზნესის როლის ამაღლება, ძირითადად განპირობებულია მრეწველობის მთელი რიგი დარგების გაუქმებით.

XXI საუკუნის დასაწყისში ყველა სახის მომსახურებების ნილი დასავლეთის განვითარებული ქვეყნების მშპ-ში მიუახლოვდა 70%. ამავე დროს შეინიშნება დასაქმებულთა რიცხოვნობის ზრდა მომსახურების სფეროში. აშშ-ში ეს მაჩვენებელი დაახლოებით 80%-ია. აღსანიშნავია, რომ მომსახურებებით მსოფლიო ვაჭრობაში

**მსოფლიო ეპოვებია**

უდიდესი მნიშვნელობა აქვს სატრანსპორტო მომსახურებებს და ტურიზმს — ცალკეული მათგანის წილად მოდის თითქმის მეოთხედი (ცხრ. 2).

**ცხრილი №2**  
მომსახურებების მსოფლიო ექსპორტის დარგობრივი სტრუქტურა, 2001 წ.

მომსახურებების დარგები	1988 წ.	1990 წ.	1994 წ.	2001 წ.
მომსახურებების ყველა სახეობები	653,2	853,0	1100,0	1460
ტრანსპორტი	167,2	209,2	250,4	340
მათ შორის სამგზავრო ტრანსპორტი	36,2	49,6	56,9	-
ფრახტი	83,6	103,3	125,0	-
ტრანსპორტის სხვა სახეები	47,7	56,3	68,1	-
მოგზაურობები	190,1	246,9	321,1	465,0
მომსახურებების სხვა სახეები	252,4	349,0	479,1	655,0

წყარო: Дюмулен И. И. Указ. соч. С. 34.

ცხრილი გვიჩვენებს, რომ ტურიზმი, როგორც საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ერთ-ერთი ფორმა, დღესათვის იძენს უდიდეს მასშტაბებს და მისი წილი მომსახურებების მსოფლიო ექსპორტის სტრუქტურაში განუხრელად იზრდება და 2001 წელს შეადგინა 465 მლრდ. დოლარი. ტურისტების ჩამოსვლების რიცხოვნობა გაიზარდა 592,1 მლნ ადამიანამდე. თუმცა ტურისტების რიცხოვნობის ზრდის მაჩვენებელი არაერთგვაროვანია მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში. გლობალიზაციის თავისებურებას წარმოადგენს, აგრეთვე, გლობალური ეკონომიკის რეგიონალიზაცია. მაგალითად, მ. კასტელსი აღნიშნავს, რომ გლობალური ეკონომიკის სისტემური მახასიათებელია მისი შიდა

დაყოფა რეგიონებად. M მ. კასტელსის აზრით, ტურისტული მომსახურებების საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში შესაძლოა სამი რეგიონის გამოყოფა: ჩრდილოეთ ამერიკა, ევროკავშირი და აზია — წყნარი ოკეანის რეგიონი. სტატისტიკური მანაცემები გვიჩვენებენ, რომ ტურიზმის ყველაზე უფრო დინამიური განვითარება მოსალოდნელია აზია - წყნარი ოკეანის რეგიონში, სადაც ჩამოსვლის ზრდის ტემპი 2.5-ჯერ აჭარბებს ევროპის ანალოგიურ მაჩვენებელს, ხოლო ამერიკისას კი თითქმის 2-ჯერ. (ცხრ. 3).

ცხრილი №3  
ტურისტების ჩამოსვლის დინამიკა მსოფლიოს რეგიონების მიხედვით

რეგიონები	1995 წ.	2000 წ.	2010 წ.	2020 წ.	2020 წ. % -ში 1995 წ-თან
ევროპა	335	390	527	717	214,0
აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი	80	116	231	438	547,5
ამერიკა	111	134	195	285	256,8

წყარო: Гуляев В. Г. Туризм: Экономика и социальное развитие. М., 2003. С. 281

რაც შეეხება საქართველოს, 2007 წელს ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდა 1051752 ტურისტი[5]. 2008 წელს კი ტურისტთა რაოდენობა გაიზარდა მხოლოდ 22%-ით, რადგან იმ დროისათვის საკურორტო სეზონის შუა პერიოდი იყო და რომ არა აგვისტოს ომი, ეს მაჩვენებელი გაცილებით მეტი იქნებოდა. ხოლო 2009 წელს წინა წელთან შედარებით ზრდა მხოლოდ 12%-ს შეადგენდა, რაც მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია გარე გარემოს ფაქტორი - “პოლიტიკური სტაბილურობა” ტურიზმის განვითარებისათვის.

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ტურისტების ჩამოსვლის რაოდენობა 2007-2009 წლებში



საერთაშორისო ტურიზმში გლობალიზაცია გახდა ერთ-ერთი ძირითადი ტრენდი, რომელსაც მოჰყვა ბაზრის უმნიშვნელოვანესი წილის და გავლენის სფეროს კონცენტრაცია უმსხვილეს კომპანიათა ხელში. ტურისტულ ბაზარზე გლობალიზაციის პროცესები ხასიათდება შემდეგი თვისებებით: ტექნოლოგიების ცვლილება, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოდერნიზება, საქმიანი აქტივობის ინტერნაციონალიზაცია, საერთაშორისო ტურიზმის რეგულირების მექანიზმის შემუშავება.

ტექნოლოგიების ცვლილებამ და ინფორმაციის გადაცემამ მომსახურებების მრავალი სახე ვაჭრობისადმი უნარიანი გახადა. გლობალური ეკონომიკის რეალურად ფუნქციონირებაზე მიუთითებს ინტერნეტის მეშვეობით ელექტრონული ვაჭრობის განვითარება. ინტერნეტის გავრცელებაზე მიგვითითებენ შემდეგი ციფრები: 2001 წელს მომხმარებელთა რაოდენობა 400 მლნ-ზე მეტს ითვლიდა, 2005 წელს მათი რიცხვი გაიზარდა 1 მლრდ-დე, ხოლო 2010 წელს — 2 მლრდ-დე[6]. დიდ როლს თამაშობს ინფორმაციის ინდუსტრია. ანუ პერსონალური კომპიუტერების გავრცელების დონის მაჩვენებელი (ცრილი 4), რომელიც ქვეყნებს შორის განსხვავებულია (ცხრ. 4).

უახლესი კომუნიკაციების გამოყენებაში ლიდერებია - აშშ, იაპონია, და დასავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყანა (იტალია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია). ინფორმაციულმა რევოლუციამ ხელი შეუწყო ტურისტული კავშირების გაფართოებას. ტურისტული პროდუქტი — ერთ-ერთი ყველაზე უფრო მოთხოვნადია

## ცხრილი №4

ზოგიერთ ქვეყანაში და რეგიონში ინფორმატიზაციის დონე აშშ-თან  
მიმართებაში, %

ქვეყანა (რეგიონი)	ინფორმატიზაციის ინდექსი
აშშ	100
ახალი ინდუსტრიული ქვეყნები	92
დასავლეთ ევროპა	91
იაპონია	86
რუსეთი	8
არაბეთი	4,4
ინდონეზია	0,6

წყარო: Чугров С. Япония в век информатизации МЭ и МО. 2004. № 10. С. 105

ინტერნეტში. მაგალითად, ინტერნეტის მეშვეობით მომხმარებლები იღებენ მოგზაურობების შესახებ ინფორმაციის დაახლოებით 68.2%-ს. ინტერნეტის მეშვეობით ხორციელდება დაჯავშვნა. ინტერაქტიული სააგენტოების მომსახურებით სარგებლობის პირველხარისხოვან მოტივად მომხმარებლები ასახელებენ მოხერხებულობას (78.4%), მეორე ადგილზე — ყიდვის მომენტში ზენოლის არ არსებობა (66.4 %), მესამეზე — დროის ეკონომია (64.2 %) და ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა უშუალოდ ტუროპერატორისაგან. უნდა აღინიშნოს, რომ განახილების გლობალური სისტემები, რეზიერვირებისა და დაჯავშნის სისტემები, ისეთები, როგორიცაა „გალილეო”, „ამადეუსი” და სხვ. მნიშვნელოვან როლს თამაშორებენ საერთაშორისო ტურიზმში, რადგან მომხმარებლები აქტიურად იყენებენ მათ, როგორც სატრანსპორტო საშუალებებზე და სასტუმროებში ადგილების განაწილების არხების და ტურისტული პროდუქტის მარკეტინგული ინსტრუმენტების სახით.

გლობალურ ეკონომიკაში დიდ როლს თამაშობს ელექტრონული კომერცია. ტურისტულ ბიზნეზში ელექტრონულ ვაჭრობას შეუძლია რადიკალურად შეცვალოს ტურისტული პროდუქტების წარ-

## მსოფლიო ეპონობია

მოებისა და გავრცელების სტრუქტურა და აღმოფხვრას მოთხოვნა ისეთ დამატებით (დამხმარე) სტრუქტურებზე, როგორიცაა: განმანარჩულებელი არხები, საბითუმო ტუროპერატორები და ტურაგენტები. ტელეკომუნიკაციური და ინფორმაციული ტექნოლოგიები იძლევიან ინფორმაციის ნებისმიერი მანძილიდან, დროის ნებისმიერ რეჟიმში მიღების შესაძლებლობას, მათ შორის on-line რეჟიმში.

მაღალი ტემპებით განვითარდება ტურისტების სატრანსპორტო მომსახურების ინდუსტრია. ერთ-ერთ უმსხვილეს დარგს წარმოადგენს ავიასატრანსპორტო მომსახურების სექტორი. განეული მომსახურების საერთო ღირებულებამ 2000 წელს შეადგინა 1 ტრილიონ დოლარზე მეტი. ავიასატრანსპორტო მომსახურების პაზრის დაახლოებით 70% მოდის მგზავრთა გადაყვანაზე, ამასთან, საერთაშორისო ტურისტული ჩამოსვლების საერთო რიცხოვნობიდან 40% მოდის საპარო ტრანსპორტზე[7]. საქმიან მაღალი პოპულარობით სარგებლობს საკრუიზო ტურიზმი. მიუხედავად გლობალური ეკონომიკური დაცემისა, ევროპის საკრუიზო ინდუსტრიის მაღალი ზრდა გრძელდება. კრუიზების გლობალური ინდუსტრიის საერთო წვლილი ევროპის ეკონომიკაში 2006 წელთან შედარებით გაიზარდა 54%-ით და 2011 წელს შეადგინა €36700 მლნ[8].

საერთაშორისო და შიდა ტურიზმის გაფართოება, მათ შორის საქმიანი მიზნებით დასასვენებლად გამგზავრება, წლის განმავლობაში რამდენიმე მოკლევადიანი მოგზაურობის განხორციელების ტენდენცია (შვებულების დანაწილება) ხელს უწყობს საპარო ტრანსპორტით მომსახურების მოთხოვნის გაზრდას. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის პროგნოზით 2015 წლამდე ვარაუდობენ მგზავრთა რიცხოვნობის გადიდებას, რომლებიც სარგებლობენ საპარო ტრანსპორტით, ყოველწლიურად 3%-ით. ყველაზე მაღალი ზრდაა მოსალოდნელია ახალ აღმოსავლებზე 4.8% წლიურად. სწრაფი ტემპებით გაიზრდება მგზავრთა რიცხოვნობა ევროპის კონტინენტზე — 3.15 % წლიურად; აზია - წყნარი ოკეანის რეგიონშიც ასევე პროგნოზირდება მგზავრთა რიცხოვნობის ზრდის მაღალი ტემპი - 2.7% წლიურად. მაღალი ტემპებით განვითარდება საზღვაო და

სამდინარო კრუიზების ინდუსტრია — დაახლოებით 5% წლიური ზრდა[8]. სარკინიგზო გადაზიდვების ინდუსტრია განვითარდება ტრანსკონტინენტალური და შიდაკონტინენტალური ჩქაროსნული რკინიგზების ხარჯზე. თანდათან შემცირდება საავტომობილო ტურისტული გადაზიდვების ხევდრითი წილი. სატრანსპორტო საშუალებების შეფასების ყველაზე მნიშვნელოვან კრიტერიუმად ითვლება კომფორტის დონე, გადაადგილების უსაფრთხოება, ეკოლოგიური უსაფრთხოება, გადაზიდვის ღირებულება, სისწრაფე, ტევადობა.

გარდა ამისა, გლობალიზაციის მნიშვნელოვანი მახასიათებელია საქმიანი აქტივობის ინტერნაციონალიზაცია. ტურისტული ბიზნესის ინტერნეციონალიზაციის მიზეს წარმოადგენს ტურპროდუქტის თავისებურება. ტურპროდუქტი, როგორც ცნობილია, წარმოადგენს მომსახურებების კომპლექსს, რომელსაც სთავაზობენ ტურისტს და რომელიც ხშირად გამოიყენება საზღვარგარეთ. მნარმოებელი მაქსიმალური მოგების მისაღებად ცდილობს თავისი გავლენა განავრცოს ტურიზმის სხვა სფეროებზეც. მაგალითად, საპარავო და საკრუიზო კომპანიებს შეუძლიათ ტურპერატორებთან, სასტუმრო სექტორთან გაერთიანება. ინიციატივა ხშირად მოდის იმ ფირმებიდან, რომლებიც ბაზირებულნი არიან ტურისტების მომწოდებელ ძირითად ქვეყნებში და რომლებიც ტურისტული მოთხოვნის და ტურისტული ბაზრის განვითარების ტენდენციების შესწავლის წყალობით კონკურენტული უპირატესობების მქონენი არიან.

გლობალურ ინტეგრაციულ პროცესებში აქტიურ როლს თამაშობენ ტრანსნაციონალური კორპორაციები. მათი წარმოშობა განპირობებულია წარმოების კონცენტრაციითა და კაპიტალის ცენტრალიზაციით. ტრანსნაციონალურად ითვლება კომპანია: თუ მას გააჩნია ფილიალებისა და შვილობილი კომპანიების ფართო ქსელი საზღვარგარეთ; თუ მისი საქმიანობა ვრცელდება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში; თუ შემოსავლებისა და მოგების წილი საზღვარგარეთული საქმიანობიდან საეთო შემოსავლებსა და მოგებასთან შეფარდებით ძალიან მაღალია. ტურისტულ ბიზნეზში ტნკ-ს შექმნის ნათელ მაგალითს წარმოადგენს უმსხვილესი ინტეგრირ-

ბული სასტუმროების ჯაჭვი, რომელთა შტაბ-ბინები განლაგებულია აშშ-ში, თუმცა წლიდან წლამდე იზრდება სხვა ქვეყნების როლიც სასტუმრო ბიზნესის მართვაში. ყველაზე ცნობილ სასტუმრო კომპლექსებს, რომელთა მართვა ხორციელდება აშშ-დან მიეკუთვნება Hospitality Franchise System (4400 სასტუმრო 65 ქვეყანაში, ნომრების რაოდენობა 435000), Holiday Inn Worldwide (2031 სასტუმრო 62 ქვეყანაში, ნომრების რაოდენობა 365309), Best Western International (3401 სასტუმრო 60 ქვეყანაში, ნომრების რაოდენობა 276659), Marriott Hotel (898 სასტუმრო 27 ქვეყანაში, ნომრების რაოდენობა 186656), ITT Sheraton (417 სასტუმრო 61 ქვეყანაში, ნომრების რაოდენობა 129937)[9].

სხვა ქვეყნები, რომლებშიც არსებობს სასტუმრო ჯაჭვების შტაბ-ბინები, ეს არის საფრანგეთი (Accor, Club Mediterranee), დიდი ბრიტანეთი (Forte Hotels, Hilton International), გერმანია (Robinson Club GmbH), ესპანეთი (Grupo Sol Melia). საერთაშორისო ჯაჭვში გაერთიანება გულისხმობს, რომ სასტუმროები ატარებენ საჭირო მოქმედებებს თავიანთი კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. ცნობილ კორპორაციებს შემუშავებული აქვთ განსაკუთრებული წესები და სტანდარტები, რომლებიც უზრუნველყოფენ მასში შემავალი სასტუმროების კლიენტების მომსახურების სტილის და სცენარის თავისებურებებს. თუმცა, საქმიანი აქტივობის ინტერნაციონალიზაციის პროცესები გამოიხატება არა მარტო სასტუმრო ბიზნესის სფეროში, არამედ სარესტორნე ბიზნესში (McDonalds, Pizza Hart), ტუროპერატორების სექტორში, საპარავო (მსოფლიო ალიანსების შექმნა) და საკრუიზო გადაზიდვების სფეროში.

გლობალიზაციის პროცესებს თან ახლავს კონკურენტული ბრძოლის მკვეთრი გამწვავება. ტურიზმის სფეროში ფეხს იკიდებენ და შემდგომ ინერგებიან სამრენველო კომპანიები, ბაზები, ასოციაციები და გაერთიანებები. ბაზრის მრავალი მონაწილე ამცირებს საქმიანობას თავის ტარდიციულ დარგში და მიმართავს ძალისხმევას ტურიზმის სფეროში, რომელიც უფრო მომგებიანად ითვლება. ტურისტულ ბაზარზე წარმოიქმნა კონგლომერატები. მაგალითად, კომპანია Cendant, რომელიც საქმიანობს მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში, ტურისტული ბიზნეზში იღებს შემოსავ-

ლების 32%-ს. უძრავი ქონების ბაზარზე ის ცნობილია ბრენდი „Century 21”-ით (საშუალოდ ყოველ წელში ხდება 1 ობიექტის ყიდვა-გაყიდვა), ამავე დროს არის მანქანების პარკის მფლობელი (700 ათასი მანქანიდან ყოველ 2 წამში იჯარით გაიცემა 1 მანქანა) და სასტუმრო ფრანშიზისა და თაიმშერის მსოფლიო ლიდერი. 2001 წელს კომპანიამ შეიძინა გლობალური გამანაწილებელი სისტემა Galileo და სიდიდით მეხუთე ვირტუალური სააგენტო Chep Tickets, რომელმაც უზრუნველყო საპარკო გადაზიდვებზე მისი წვდომა და მისკა ტურისტული ინდუსტრიის ახალი პერსპექტივების გამოყენების შესაძლებლობა.

საერთაშორისო ტურიზმი წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების შემადგენლელ ნაწილს, რის გამოც წარმოქმნება ტურისტული საქმიანობის მთელი კომპლექსის ორგანიზების და მართვის აუცილებლობა, როგორც ცალკეულ სახელმწიფოების ჩარჩოებში, ასევე საერთაშორისო დონეზე. მნიშვნელოვან როლს თამაშობს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნდა 1975 წელს და მუშაობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატრონაჟის ქვეშ. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის საქმიანობა კონცენტრირებულია ტურიზმის ინფორმაციულ წინ წაწევაზე, მისი მნიშვნელობის გაფართოებაზე, ახალ მატერიალურ ტექნიკური ბაზის შექმნაზე.

ამგვარად, გლობალიზაცია ტურიზმის სფეროში შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ტურისტული ნაკადების, აგრეთვე მომსახურებათა ნაკადების, კაპიტალის, ინფორმაციის და ტექნოლოგიების მკვეთრი გაძლიერების პროცესი, რომელიც ჩვეულებრივ არ ექცევა ნაციონალური სამთავრობო რეგულირების ქვეშ. გლობალიზაციას აქვს ხანგრძლივი მოქმედების ხასიათი, მისი წამყვანი ძალა, უპირველეს ყოვლისა, არის ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების სფეროში რევოლუციური ცვლილებები, ბაზრების ლიბერალიზაცია და საერთაშორისო კონკურენციის გამნვარება.

## გამოყენებული ლიტერატურა და ელექტრონული რესურსები

1. Кастельс М. Информационная эпоха: экономика, общество и культура. М., 2000. С. 105.
2. Максимова М. Проблемы стабильности мировой экономики. МЭ и МО.2004. № 9. С.13.
3. Дюмулен И. И. Международная торговля услугами. М., 2003.
- C.19. .
4. საქართველოს სტატისტიკური წელიწერი 2009
5. ბიზნესი და კანონმდებლობა. 2010 №23
6. Иванов Н. Человеческий капитал и глобализация . МЭ и МО. 2004. № 9 С. 21.
7. Дюмулен И. И. Указ. соч. С. 148.
8. [www.world-tourism.org](http://www.world-tourism.org)
9. [www.hotelconsulting.ru](http://www.hotelconsulting.ru).

## გლობალურის პროცესები საქართველოში

მარინა ბალათურია  
ედ, სტუ პროფესორი  
ნატო გეგენავა,  
ედ, სტუ პროფესორი

გლობალურის პროცესი დღითი-დღე უფრო თვალსაჩინო და მასშტაბური ხდება. უნდა ითქვას, რომ გლობალური მიდგომა, გლობალური შესწავლა, გლობალური აზროვნება, გლობალური გადაწყვეტა და ა.შ. სულაც არ არის ახალი. ასეთი სიტყვათწყობები და ფორმულირებები იმდენი ხანია არსებობს, რაც თვით სიტყვა „გლობალური“. თუმცა, უკანასკნელ ხანს მან ახალი, მოდიფიცირებული გააზრება და შინაარსი შეიძინა და გლობალიზაციის სახით, დიდი მასშტაბების მქონე პროცესად ჩამოყალიბდა.

გლობალიზაციის ჩასახვა, მისი დღის წესრიგში დაყენება და მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემად ქცევა თანამედროვე მსოფლიო წესრიგმა განაპირობა. ეს წესრიგი სწვდება როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ სივრცეს და მრავალი ფაქტორით არის განსაზღვრულ-დასაბუთებული. ამ ფაქტორთა და პირობათა შორის ერთ-ერთი ძირითადია ინტეგრაციული პროცესები, რასაც თითქმის შეუქცევადი ხასიათი აქვს და დინამიურად ვითარდება.

მრავალი ათეული წლის განმავლობაში ინტეგრაციის პროცესი თითქმის ყველა სფეროში და განსაკუთრებით ეკონომიკაში, შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობდა, იხვეწეოდა, ახალ-ახალ ფორმებს იძენდა და წინააღმდეგობრივად ვითარდებოდა. იყო პერიოდი, როდესაც უკუსვლებიც გაკეთდა, რამაც ვერაფერი სასიკეთო ვერ მოიტანა და კვლავ პრიორიტეტული გახდა ინტეგრირება. ამის კლასიკური მაგალითები უხვად დაგროვდა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში: აშშ-ში, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, შვეციაში და სხვაგან.

ეკონომიკურად დიდად განვითარებულ ქვეყნებში ინტეგრაციის პროცესმა ისეთ გაქანებას მიაღწია, რომ რადიკალურად შეცვალა მისი სტრატეგიული ტემპები და მასშტაბები. იგი აღარ ეტოდა

## მსოფლიო ეპოქებია

იმუამინდელ ჩარჩოებში და გარეთ გასვლისკენ ემზადებოდა. ამის ერთ-ერთი ნიშანი იყო ტრანსეროვნული კორპორაციებისა და გაერთიანებების ჩამოყალიბება.

ამით დაიწყო ინტეგრაციის პროცესის რევოლუციური ცვლილება და მისი ტემპების უსწრაფესი ზრდა. ყოველივე ეს უკიდეგანო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგი იყო.

სწორედ ამ პროცესმა დაუდო სათავე ახალ მსოფლიო წესრიგს, რამაც მსოფლიო ანუ გლობალური მასშტაბი შეიძინა.

როდესაც ვლაპარაკობთ ახალ მსოფლიო წესრიგზე — ეს ძირითადად ნიშანავს, რომ იქმნება და ვითარდება ისეთი მიდგომები, გადაწყვეტები, ნორმები, ვალდებულებები, პასუხისმგებლობები, სტრარეგია, ურთიერთობათა ეტიკეტი და ა.შ., რომელიც ვრცელდება მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაზე გლობალურად. ეს წესრიგი კი, უპირატესად ყალიბდება პოლიტიკური და ეკონომიკური ბერკეტებით, სამართლებრივი ნორმებით, სოციოლოგიური ვალდებულებებით, ტექნოლოგიური სისტემებით და სხვ.

მსოფლიოს ახალმა წესრიგმა და მისმა შეუქცევადობამ ინტეგრირების მასშტაბები გლობალიზაციის პროცესად გარდაქმნა და ჩამოყალიბა თვით გლობალიზაციის არსი, როდესაც ვამბობთ „გლობალიზაციას“ უკვე იგულისხმება, რომ საქმე გვაქვს თანამედროვე მსოფლიო მოვლენებთან და პროცესებთან.

საპაზრო ურთიერთობათა განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მსოფლიო გლობალიზაციის საერთო სისტემაში ორი ძირითადი ურთიერთდამაკავშირებელი სფერო გამოიყოფა:

ერთია — სოციალურ-ეკონომიკური სფერო, რომელიც წარმოების და მოხმარების სისტემათა ფუქციონირებას განსაზღვრავს და განაპირობებს, რაც ბიზნესის მოტივაციებს ეფუძნება;

მეორეა — ბუნებათსარგებლობისა და ბუნების დაცვის სფერო, რომელიც მთელი სანარმოო ციკლის მატერიალურ საფუძველსა და მასზე ზეგავლენის მომზდენ სისტემას წარმოადგენს.

გლობალიზაცია ახლა მოდაშია. ისე, როგორც თავის დროზე ბიზნესზე, მასზეც ბევრს წერენ და მსჯელობენ, იმართება სიმპოზიუმები, შეხვედრები, დისკუსიები და, რაც მთავარია, იდება სახელმწიფოთამორისი, კორპორაციათშორისი სხვადასხვა ქვეყნის ფირმებშორისი და ბანკთამორისი კონფრაქტები და გარიგე-

ბეჭი.

გლობალიზაცია მთელი სიგრძე-სიგანით დგას ჩვენს წინაშე. საქართველო, ისე როგორც სხვა ქვეყნები, გლობალიზაციის საერთო წრედშია მოქცეული, რომელიც თანდათან ამტკიცებს თავის გავლენის სფეროებს მსოფლიო ქვეყნებზე.

საქართველო როგორც ბიზნესს, ასევე გლობალიზაციასაც თითქმის მოუმზადებელი შეხვდა. ბიზნესის კარიბჭესთან შეყოვნებამ, შემდეგ კი არასწორმა და დაგვიანებულმა ეკონომიკურმა სვლებმა სუსტი პირობები და გარემო შექმნეს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცებისათვის.

თანამედროვე მსოფლიოში ისეთი ტემპით ვითარდება პროცესები, რომ ყოველ დღეს დიდი მნიშვნელობა აქვს. ვინც ჩამორჩება ამ ტემპებს, ის დაკარგავს ორიენტაციას და გამოვა მდევრის როლში. ეკონომიკაში მთავარია არ გამოგრჩეს სვლები და მოქნილი მექანიზმით ფეხდაფეხ მიჰყევე საერთო მოვლენებს. ეკონომიკა კი ის ღერძია, რომელზეც ბრუნავს მთელი სახელმწიფო. გლობალური გაგებით კი — მთელი მსოფლიო. საქართველო გლობალიზაციის საყოველთაო პროცესს მიადგა. ერთი მხრივ: ფრთხებშეკვეცილი, ეკონომიკურად წელგაუმართავი, მართვის მოუქნელი მექანიზმით და ჯერ კიდევ დაუხვენავი სტრატეგიით; მეორე მხრივ კი: როგორც მდიდარი ბუნებრივი და ეკონომიკური შესაძლებლობების დიდი ისტორიული ტრადიციების, სოფლის მეურნეობის უნიკალური დარგებისა და კულტურების მქონე ქვეყანა, ბევრისათვის უცხო და აუთვისებელი მხარე, საკმაოდ ნონადი გამოგონებებითა და მეცნიერული მიღწევებით დიდად საინტერესო და ყველასათვის საშური გეოპოლიტიკური სივრცე და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია — კეთილმეზობლური განწყობილებისა და მისწრაფებების მქონე რეგიონი.

გლობალიზაციის საერთო წესრიგს დიდი სახელმწიფოები ქმნიან და არეგულირებენ. როგორც კონკურენციას, ასევე გლობალიზაციასაც თავისი ულმობელი კანონები გააჩნია. ვინც მას ვერ გაუგებს და ვერ გაუძლებს, შთანთქმევა მის ნიაღმი. ერთი მხრივ, უნდა ვუფრთხილდეთ გლობალიზაციას და მის მახეს, მეორეს მხრივ, განვჭრიტოთ სწორად და გამოვიყენოთ მისი შესაძლებლობები.

საქართველოსთვის ამ შესაძლებლობების ჭკვიანურად გამოყენება მსოფლიო დონის გადაწყვეტა ე.ნ. ტრასეკა — თბილისი-

ბაქო-ჯეოპანის ნავთობსადენი. ეს არის ევროპა – კავკასია – აზიის სატრანსპორტო დერეფანი, რომელიც ახლებურად გაიზიარებს ქვეყნებს შორის ურთიერთობის ფორმებს. ერთი იდეა და ერთი ბედით აკავშირებს მრავალ სახელმწიფოს, რომელთა შორის საქართველოს ანიჭებს ერთ-ერთ პრიორიტეტულ ფუნქციას.

ასეთი სტრატეგიული და ეკონომიკურად მომგებიანი სვლა, საქართველოს თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, რამდენიმე შეუძლია გააკეთოს, რაც რადიკალურად შეცვლის და აამაღლებს მის ადგილს მსოფლიო თანამეგობრობაში და გადაწყვეტილად განამტკიცებს ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს. ეს კი საკმარისი იქნება გლობალიზაციის პროცესში საკუთარი ხელწერის შესაქმნელად და გავლენის სფეროების მოსაპოვებლად.

საქართველოს გლობალიზაციის პროცესში ჩასართავად მრავალი სფერო და მიმართულება გააჩნია, მაგრამ არის ისეთი დარგები, რომლებიც ნაკლებად ეკვემდებარებიან ამ პროცესს. ასეთი დარგია სოფლის მეურნეობა, ნიადაგურ-კლიმატური უნიკალურობით და ზონებისა და მიკროზონების მიხედვით მკვეთრად განსხვავებული და ცვალებადი ბუნებრივ-ეკონომიკური გარემოთი.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში რაციონალურად შეიძლება გამოიყენოთ ინგესტიციები, საექსპორტო-საიმპორტო სისტემები, ტექნოლოგიური სიახლეები და სხვ., რაც გლობალიზაციის ელემენტებს შეადგენს.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში ძირითად პრიორიტეტებად გამოიყოფილი ტრადიციებისა და ფართო პოტენციური შესაძლებლობების პერსპექტივების მქონე დარგები, როგორიცაა: მევენახეობა და ნიშანდობლივ, სამრეწველო მევენახეობა, ასევე სამრნველო მეხილეობა და სუბტროპიკული მინათმოქმედების ძირითადი დარგები, მეჩაიერება, მეციტრუსეობა და მათ ბაზარზე მომუშვევე კვების მრეწველობის დარგები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული პოზიციის ჩამოყალიბებისას აღსანიშნავია, რომ შრომის ინტეგრირების კოოპერირებისა და საერთაშორისო საზოგადოებრივი დანაწილების, როგორც დღევანდელი, ისე თვალსაწიერი პერსპექტივის მოთხოვნებიდან გამომდინარე მისი სპეციალიზაცია ისტორიულ-ტრადიციული მოდელიდან დიდ და რადიკალურ გადახრას

არ ექვემდებარბა. ეს იმას ნიშნავს, რომ სავენახე ფართობებს კვლავ ვენახი დაიკავებს, სახორცლეს — ხორბალი, სასიმინდეს — სიმინდი, სუბტროპიკული ზონის სივრცეს — ჩაი, ციტრუსი, სუბტროპიკული ხილი და ა.შ.

გლობალიზაციას სხვადასხვა მიმართულებები გააჩნია. ერთ-ერთია ზონალური რეგიონული გლობალიზაცია. ასეთი მიმართულებაა ე.წ. „თავისუფალი ეკონომიკური ზონა“. უკანასკნელ ხანს საქართველოშიც გამოუჩნდა ამ მიმართულებას მომხრეები, მაგრამ თავისუფალი ეკონომიკური ზონების შემოღება ჩვენთან არავითარ შემთხვევაში არ არის მისაღები. იგი ზიანის მეტს არაფერს მოიტანს, თანაც პოლიტიკურ დაძაბულობას შექმნის. მხედველობაში უნდა მივიღოთ: გეოპოლიტიკური ვითარება და ძალაზები, ისტორიულად ჩამოყალიბებული ადათ-წესები და ტრადიციები, სოციალური და დემოგრაფიული სიტუაცია და მრავალი სხვა.

საქართველო გლობალიზაციის დიდ წრედშია ჩართული, სადაც საჭიროა სწორი ორიენტაცია და გამართლებული სტრატეგია, რამაც უნდა აამაღლოს ქვეყნის როლი მსოფლიო თანამეგობრობაში.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი რ. გლობალიზაცია: ეკონომიკური თეორია და საქართველო, სახელმძღვანელო, თბ., გამომცემლობა „სიახლე“, 2010.
2. ბარათაშვილი ევ., გეჩხაია ბ., საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა: თანამედროვე გამოწვევები, თბ., 2012.
3. გრიშიკაშვილი ა. საქართველო გლობალურ სამყაროში, თბ., 2010.
4. ვეშაპიძე შ. ბიზნესის გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციები, უურნ.: „მეცნიერება“, №3 (14), 2009, გვ. 28-32.
5. იაკობიძე დ. საქართველო და მსოფლიო. ფინანსური კრიზისი. გამომცემლობა „კომენტარი“, 2009.
6. ჯოლია გ., სენიაშვილი დ. ეკონომიკური გლობალიზაციის თანამედროვე პრობლემები. უურნ.: „სოციალური ეკონომიკა“, №6 (18), 2011.

### რეგიონული კონფლიქტების გავლენა ეპონიკურაცი-ულ პროცესებზე

ქეთევან ლარიბაშვილი  
სტუ დოქტორანტი

თავისი გეოპოლიტიკური პოზიციის მნიშვნელობისა და სტრატეგიული ეკონომიკური მდებარეობის გამო კავკასია ანტიკური ხანიდან მოყოლებული ყოველთვის იქცევდა მსოფლიოს დიდ სახელმწიფოთა ყურადღებას.

კავკასიელ ერებს ყოველთვის ჰქონდათ საკუთარი ეროვნული ინტერესები, რომელიც განაპირობებდნენ მათ დამოკიდებულებას როგორც ერთმანეთისადმი, აგრეთვე რეგიონით დაინტერესებული დიდი სახელმწიფოების მიმართ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს გაჩნდა ავანგარდული როლი კავკასიის რეგიონული პოლიტიკის განსაზღვრის საკითხში.

ისტორიის განმავლობაში, მშვიდობიანი ყოფა იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა სამხრეთ კავკასიის რეგიონში, რაც უმთავრესად განპირობებული იყო გარეშე მტრების ხშირი შემოქრებით რეგიონის რომელიმე სახელმწიფოები. ამასთან, სამივე სახელმწიფოში ადგილი ქონდა შიდა პოლიტიკურ დაპირისპირებებს, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში სამოქალაქო დაპირისპირებით მთავრდებოდა. გარკვეულ წილად მეზობელ სახელმწიფოებს ნაცვლად იმისა, რომ ეზრუნათ ერთიანი რეგიონალური მდგომარეობების ჩამოყალიბებისთვის, ერთმანეთშიც უხდებოდათ ხანგრძლივი და მტკიცნეული მოლაპარაკებების წარმოება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით კომპრომისული გადაწყვეტილებების მისაღწევად. თუმცა, იმის პოტენციალი, რომ სამხრეთ კავკასია ჩამოყალიბდეს მსოფლიოს ერთ-ერთ განვითარებულ რეგიონად, საკმაოდ მაღალია.

ინტეგრაცია - მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპის მთავარი თავისებურებაა. XX საუკუნის ბოლოს ინტეგრაციულ დაჯგუფებაში მონაწილე ქვეყნებისათვის ინტეგრა-

ცია იქცა რეგიონული ეკონომიკის დაჩქარებული განვითარებისა და მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლების მძლავრ ინსტრუმენტად.

ინტეგრაციის პროცესის შემაფერხებელი ფაქტორია როგორც შიდა, ასევე გარე კონფლიქტები, რადგან საქართველოს ევროკავშირი ერთიანი კავკასიის ფარგლებში განიხილავს და დასავლეთში სრულფასოვანი ინტეგრაცია ამ კონფლიქტების მოგვარების გარეშე წარმოუდგენელია.

გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პირობებში ჯერ კიდევ შეიმჩნევა გეოპოლიტიკური ფაქტორების მნიშვნელობა და გავლენა ქვეყნების განვითარებაზე. ამ თვალსაზრისით, საქართველო და მთლიანად კავკასია ურთიულეს და უმნიშვნელოვნეს გეოგრაფიულ არიალშია მოქცეული.

გარდა ევროპული ინტეგრაციის მდორედ, მაგრამ სტაბილურად მიმდინარე პროცესებისა, არსებობს გეოპოლიტიკური ინტერესის დამატებითი ინერციული იმპულსიც, რომელიც ევროპას უბიძგებს საქართველოსთან დაახლოებას და ეს იმპულსი შეიძლება კიდევ უფრო გაძლიერდეს საერთაშორისო ვითარების დაძაბვის შემთხვევაში. ამ ფაქტორების თანხვედრის ფონზე საქართველოს ინტეგრაცია ევროატლანტიკურ ალიანსში და ევროპის კავშირში გარდაუვალ აუცილებლობად გვევლინება.

ევროკავშირი 21-ე საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში ყველაზე განვითარებული ინტეგრაციული რეგიონია თავისი სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური პოტენციალით. საქართველოს ეროვნული და სავაჭრო ეკონომიკური ინტერესები ქვეყანას ევროპული ინტეგრაციისაკენ უბიძგებს. საერთაშორისო ბიზნესის გლობალიზაციის პირობებში სტრატეგიული თვალსაზრისით საქართველოსათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ევროკავშირთან სავაჭრო-ეკონომიკური და საფინანსო ტექნიკური ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, რაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ექსპორტის გაზრდისა და მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირების ერთ-ერთი მთავარი პირობაა, ასე, რომ საქართველოს ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ევროკავშირის ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური

## მსოფლიო ეპოვა

ურთიერთობების გაზრდა და ევროკავშირის ქვეყნებიდან ინვესტიციების მოზიდვაა.

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობას საფუძველი 1991 წლიდან ჩაეყარა, როდესაც საქართველოში დაიწყო “ტასისის” პროგრამების განხორციელება. მხარეებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ძირითად სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს “პარტნიორებისა და თანამაშრომლობის შესახებ შეთანხმება”.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე ევროკავშირმა მხარი დაუჭირა ჩვენი ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის გზასა და დემოკრატიის განვითარებას.<sup>1</sup>

ევროკავშირთან თანამშრომლობის პროცესი ხელს უწყობს საქართველოს ჩამოყალიბებას ევროპული ტიპის დემოკრატიულ ქვეყნად და მის ეტაპობრივ ინტეგრაციას საერთო ევროპულ სივრცეში, რაც აუცილებელი პირობაა ქვეყნის მშვიდობიანი განვითარებისათვის. ევროპული ინტეგრაციის თვალსაზრისით, მოცემულ პერიოდში, ქვეყნის პრიორიტეტია ევროკავშირთან პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავება და პოლიტიკური დაილოგის შემდგომი გაძლიერება.

როგორც ბოლო ათწლეულის ისტორიული პროცესი გვიჩვენებს ევროკავშირის დაინტერესება კავკასიის რეგიონით, ჯერ კიდევ, მნიშვნელოვანნილად, გეოპოლიტიკური ხედვის ინერციით არის ნაკარნახევი. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით კავკასია წარმოადგენს ერთადერთ ნიშანს აზისკენ უმოკლესი სავაჭრო მარშრუტის გახსნისათვის. ამიტომ დემოკრატიული პროცესებისა და ეკონომიკური რეფორმების ხელშეწყობა ისევე, როგორც საერთაშორისო ვაჭრობის წესების დამკვიდრება ამ რეგიონში მნიშვნელოვანი ამოცანაა.

2008 წლის აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი იყო დაძაბულობის კიდევ უფრო გამძაფრება, რომელიც წლების მანძილზე განვითარდა კავკასიაში. დღეისათვის საქართველოს ტერიტორიის 20% ოკუპირებულია, ხოლო ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი იქცა იძულებით გადაადგილებულ პირად.

1 რამაზ ფუტკარაძე, თბილისი, 2010წ.

მეორე კონფლიქტი, რომელიც უშუალოდ რეგიონის ორ სახელმწიფოს უკავშირდება, განვითარდა XX საუკუნის ბოლოს. სომხურაზერბაიჯანული ომი, მთიანი ყარაბაღის ირგვლივ ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი და ძნელად გადასაჭრელი კონფლიქტი აღმოჩნდა, ყოფილ საბჭოთა კავშირში. მწვავე პოლიტიკური კრიზისი გადაიზარდა სამხედრო დაპირისპირებაში, რომელიც 1994 წელს შეჩერდა, ცეცხლის შეწყვეტისა და სამხედრო მოქმედებების განუახლებლობის შეთანხმებით.

რეგიონში დღეისთვის არსებული ვითარების ანალიზისას ნათლად ჩანს, რომ სამივე სახელმწიფოს უმთავრეს მიზანს წარმოადგენს არსებული კონფლიქტების მოვარების საკითხი. აქედან გამომდინარე მოვლენათა იმგვარად განვითარების შემთხვევაში, როდესაც ოკუპირებული ტერიტორიები დაუბრუნდება თავის იურისდიქციას, თანაც იმ ფორმით, რომ ყველა მხარე კმაყოფილი იქნება სამომავლოდ შექმნილი მდგომარეობით, სამივე სახელმწიფო უფრო მეტ დროს დაუთმობს ინტეგრაციის პროცესს.

შედეგის მიღწევის ერთ-ერთ გზად შესაძლოა განვიხილოთ სამივე ქვეყნისთვის ერთიანი ეკონომიკური ინტერესების ჩამოყალიბების მიმართულება. ამ შემთხვევაში იგულისხმება ის გარემოება, რომ როგორც სომხეთი, ასევე დროებით ოკუპაციის ქვეშ მყოფი ტერიტორიული ერთეულები გარკვეულ ნილად გარიყულნი არიან რეგიონში მიმდინარე მასშტაბური პროექტებიდან. ამდენად მათი ჩართვა ამგვარი პროექტების რეალიზაციის პროცესში, სავარაუდოდ გახდება კონფლიქტების მოვარების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი წინ გადადგმული ნაბიჯი.

ქვეყნები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ პოლიტიკისა და კავშირების განსაზღვრაზე რეგიონში უამრავია, მაგრამ მათი დაყოფა ოთხ ბლოკად შეიძლება: აშშ, ევროკავშირი, თურქეთი და რუსეთის ფედერაცია. დღეს რეგიონული განვითარება უკიდურესად დინამიურია და მიუხედავად შიდა პრობლემებისა ძლიერი ეკონომიკური ზრდა ახასიათებს.

რეგიონში არსებული თურქული პოლიტიკა - შედარებით ახალი მოვლენაა, მაგრამ ის ძალიან ეფექტიანი და დინამიკურია. იგი ეფუძნება საქართველოსთან მტკიცე ეკონომიკურ და პოლიტიკურ

ურთიერთობებს და ამგვარად ზონისთვის სტაბილურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს. გარდა ამისა თურქეთს გააჩნია მეორე ძალიან მნიშვნელოვანი მხარდაჭერა რეგიონში თავისი ეთნიკური და ლინგვისტური ნათესაობის გამო, აზერბაიჯანთან. ეს ორი ქვეყანა ძალიან აქტიურად თანამშრომლობს. საპირისპიროდ თურქეთ-სომხეთის ურთიერთობები ყარაბაღის მისი შემდეგ გაყინულია. აზერბაიჯანისთვის თურქეთი უსაფრთხოების გარანტიაა სომხეთთან არსებული პრობლემების ფონზე, რომელიც თავის მხრივ კრემლის მოვარეობის საქართველოსთვის თურქეთთან თანამშრომლობა შეიძლება ძალიან სასარგებლო აღმოჩნდეს, რადგან ანგარა ნატოს ძალიან გავლენიანი წევრია, რომელსაც შეუძლიათ თბილის ზოგიერთი ამბიციის განხორციელებაში დაეხმაროს.

აღმოსავლეთ-ევროპის ქვეყნებს და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის სპეციალური ფორმატი არსებობს. ის კავკასიის ქვეყნებსაც მოიცავს. მისი სახელწოდებაა „თანამშრომლობის აღმოსავლური პროგრამა“, აქვს იურიდიული ბაზა, რომელიც ითვალისწინებს თანაბათანობითი თანამშრომლობისა და ინტეგრაციის პროექტების ამოქმედებას და მათ დამკვიდრებას.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, განსაკუთრებით საქართველოში პოპულარულია ევროპული ინსტიტუტებისაკენ დამოუკიდებლად სწრაფვა. თუმცა გეოგრაფიულმა, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა მიზანებმა ამ ინტეგრაციის პერსპექტივა შეიძლება გაადაგოს. ხოლო თუ კი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში პერიოდულად სისხლისმღვრელი ომები მოხდება, მაშინ ეს პერსპექტივა კიდევ უფრო შორეული გახდება. ასეთ პირობებში რეგიონული ინტეგრაციის პროექტი გაცილებით რეალისტურად გამოიყურება, თუმცა პრაქტიკულად ძნელად განსახორციელებლად.

ინტეგრაცია, სამხრეთ კავკასიის რეგიონში მშვიდობის დამყარებისა და მისი განვითარების მიზნით, ბუნებრივია თავისთავად ვერ გადაწყვეტს რეგიონის ყველა პრობლემას. მიუხედავად ამისა, ევროპული ინტეგრაციის პროექტის წარმატებული მაგალითი არსებობს და შეიძლება მისაბაძიც იყოს. ყველა დაინტერესბულ მხარეს ესმის, რომ უფრო გამჭირვალე საზღვრები და საქონლის გადადგილებისა და მომსახურებისას ბარიერების მოხ-

სწავლის მოუტანს როგორც სამხრეთ კავკასიის ყველა ქვეყანას ცალ-ცალკე, ისე მთლიანად რეგიონს. გარდა ეკონომიკური სარგებლისა და სამშვიდობო პოტენციალისა, თავად რეგიონიც უფრო გამოსადეგი გახდება ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციისთვის.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. ფუტკარაძე - „საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები: პრობლემები და პერსპექტივები“; თბ.2010 წ
2. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდი [www.mfa.gov.ge](http://www.mfa.gov.ge).
3. [www.representation.ge](http://www.representation.ge)

### ეპონობის აუდიტორიაზი

ურნალის რედაქცია ამ რუბრიკით აგრძელებს სალექციო კურსის, მეთოდური საკითხების შესახებ სტატიების სისტემატურ გამოქვეყნებას თანამედროვე ეკონომიკის აქტუალურ პრობლემებზე, რომელიც გარკვეულ სამსახურს გაუწევს უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური პროფილის ყველა დონის სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლების ფართო წრეს.

**მიპროეკტობის ღიაებული: საოჯახო მეურნეობის, ფინანსი, მცირე და დიზა ბიზნესი**

### რევაზ შენგელია

ედ, სტუ ასოცირებული პროფესორი, ურნალ „ეკონომიკის“ მთ. რედაქტორი

საოჯახო მეურნეობები. მიკროეკონომიკური თეორიის შესწავლის ობიექტებია: საოჯახო მეურნეობები, ფირმები, დარგები, საქონლის (მომსახურების), რესურსების ბაზრები და ა.შ. დავიწყოთ საოჯახო მეურნეობის განხილვით. მიკროეკონომიკაში საოჯახო მეურნეობები ასრულებენ ორ ფუნქციას. ისინი არიან, ერთი მხრივ, საქონლისა და მომსახურების ძირითადი მომხმარებლები და, მეორე მხრივ, ეკონომიკური რესურსების ძირითადი მიმწოდებლები. როგორც ითქვა, საოჯახო მეურნეობები ფირმების მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების ძირითადი მომხმარებლები არიან. ასეთი დაშვება სამართლიანია, თუმცა, საქონელი და მომსახურება მოიხმარება არა მხოლოდ საოჯახო მეურნეობების, არამედ თვით

ფირმების მიერაც, რომელიც თავიანთ წარმოებრივ საქმიანობაში იყენებენ ე.ნ. საინვესტიციო საქონელს და მომსახურებას. ესაა: მანქანები და მოწყობილობანი, ნედლეული და მასალები, ფინანსური და საშუალო მომსახურება. საქონლისა და მომსახურების მსხვილი მომხმარებელია, ასევე, სახელმწიფო, რომელიც შეისყიდის, როგორც ინვესტიციურ საქონელს, ვთქვათ, კომუნალური მეურნეობისათვის, ელექტროსადგურებისათვის, ისე სამომხმარებლო საქონელს არმისათვის, სკოლებისათვის, საბავშვო ბაღებისათვის და სხვა. მიუხედავად ამისა, ძირითადი მომხმარებლები, განსაკუთრებით, საქონლისა და მომსახურებისა, მაინც საოჯახო მეურნეობები არიან. ასე მაგალითად, საქართველოში საოჯახო მეურნეობები მოიხმარებ მშპ-ის დაახლოებით 50%-ს.

როგორც ითქვა, საოჯახო მეურნეობები, მეორეს მხრივ, გვევლინებიან ფირმებისათვის ეკონომიკური რესურსების ძირითად მიმწოდებლებად. ეს უფრო დიდი დაშვებაა, ვიდრე წინა, მაგრამ, საბოლოო ანარიშში, სამართლიანი. ასე მაგალითად, **შრომითი რესურსების მესაკუთრებად მთელ მსოფლიოში გვევლინებიან საოჯახო მეურნეობები.** სამენარმეო უნარი და ცოდნა (განსაკუთრებით განათლების სახით), ასევე, ეკუთვნის არა იმდენად ფირმებსა და სახელმწიფოს, რამდენადაც ფალკულ ადამიანებს ანუ საოჯახო მეურნეობებს. განვითარებულ ქვეყნებში საოჯახო მეურნეობები, ასევე, არიან ბუნებრივი რესურსებისა (განსაკუთრებით მიწის) და კაპიტალის (საბანკო ანაბრვების, ფირმების პაიების, აქციებისა და ობლიგაციები) ძირითადი მესაკუთრები. სწორედ ამიტომა, რომ ამ ქვეყნებში ეკონომიკურ რესურსებზე შემოსავლის ძირითადი ნაწილი მიედინება საოჯახო მეურნეობებისაკენ რენტის, პროცენტისა და სამენარმეო უნარიდან მოგების (შემოსავლის) სახით. საოჯახო მეურნეობების აღნიშნული შემოსავლის ნაწილი რჩება ფირმებს შემდგომი განვითარებისავის, ნაწილი გადასახადების სახით გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, რომლის ნაწილი მათ უკან უბრუნდებათ სოციალური ტრანსფერის სახით და ამის შემდეგ დარჩენილი შემოსავალი საოჯახო მეურნეობების კუთვნილებას შეადგენს.

ეკონომიკაში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, როგორია

მთლიანად საოჯახო მეურნეობების შემოსავლები, არამედ ისიც, თუ როგორ ნაწილდება ეს შემოსავლები საოჯახო მეურნეობებს შორის. ასე მაგალითად, 2002 წელს საქართველოს მოსახლეობის 20%-ის ხელში იყო ყველა საოჯახო მეურნეობების ფულადი შემოსავლების 46% (თანაც ამ შემოსავლების ძირითადი ნაწილი თავმოყრილი იყო მოსახლეობის შედარებით მდიდარი ნაწილის 5%-ის ხელში), ხოლო ღარიბი და უღარიბების მოსახლეობის 60%-ი ფლობდა ფულადი შემოსავლების 31%-ს. მოსახლეობის პირველი ნაწილი (მდიდართა ფენა) შეზღუდულ მოთხოვნას აყენებს ქართული წარმოების საქონელზე და უპირატესობას ანიჭებს მაღალხარისხიან იმპორტს. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი კი ორიენტირებულია სასურსათო, უპირატესად, ქართულ პროდუქციაზე, რადგანაც არა აქვს საკმარისი სახსრები მაღალხარისხიანი იმპორტული საქონლისა და, განსაკუთრებით, ბინისა და ხანგრძლივი მოხმარების საგნების შესაძენად. სოფლად მაცხოვრებლების ძირითადი ნაწილი კი ნატურალურ მეურნეობაში ხელით შრომით მოყავანილი პროდუქციით ირჩენს თავს. საოჯახო მეურნეობების ასეთი დიდი დიფერენციაცია ანუ ფულადი საშუალებების საგანგებო კონცენტრაცია მდიდარი საოჯახო მეურნეობების მცირე ჯგუფში ჰპადებს ერთგვარ შიშს და უბიძგებს მათ თვიანთი კაპიტალი გაიტანონ საზღვარგარეთ. ქვეყნიდან კაპიტალის გადინება (გატანა) კი არის კაპიტალის გაქცევა ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობის, მაღალი გადასახადებისა და უკანონოდ დაგროვილი ფულის “გარეცხვის” გამო. ეს მამინ, როდესაც საქართველოს მოსახლეობის ძირითადი მასა არ ფლობს საკმარის სახსრებს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში დაბანდებისათვის, ბანკებში ანაბრებზე შეტანისა და ფასიანი ქაღალდების შეძენისათვის.

**ფირმები.**თანამედროვე ეკონომიკის სამყაროში ერთ-ერთი მთავარი სუბიექტია ფირმა (საწარმო), რადგანაც სწორედ ფირმები (საწარმოები) ახდენენ საოჯახო მეურნეობებისაგან შესყიდული ეკონომიკური რესურსების ხარჯზე საქონლისა და მომსახურების ძირითად მასის წარმოებას. **ფირმა არის ორგანიზაცია, ეკონომიკის ძირითადი აგენტი, რომელიც ფლობს და მართავს ერთ**

ან რა მდგრადი საწარმოს და რესურსებს იყენებს საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის მოგების მიღების მიზნით. ნათევამიდან გამომდინარე, ფირმისა და საწარმოს ცნება ერთმანეთს შეიძლება დაემთხვეს მცირე საწარმოში.

ისის კითხვა—“რისთვის ყალიბდება ფირმა”? დასმულ კითხვაზე პასუხი დამოკიდებულია იმაზე თუ ვინ სვამს მას: მყიდველი (მომხარებელი), მენარმე (მნარმოებელი), თუ ეკონომისტი. მყიდველის თვალსაზრისით ფირმა აუცილებელია იმისთვის, რომ ბაზარს მიენოდოს მოთხოვნადი დოვლათი. ნათევამიდან გამომდინარე, ფირმა, რომელიც აწარმოებს არამოთხოვნად საქონელს, მისი არსებობა მყიდველის თვალსაზრისით, უბრალოდ, უაზრობაა. თუმცა, თუ ფირმას არ შეუძლია საქონლის გასაღება და შემოსავლის მიღება, მაშინ მის საქმიანობას აზრი ეკარგება თავად მეპატრონისთვისაც. **მნარმოებლის (მენარმის) თვალსაზრისით** ფირმა ყალიბდება გარკვეული მოგების მიღებისა, ან რაიმე ეკონომიკური სარგებლისათვის. აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტა ყველა მენარმეს როდი შეუძლია. სამეურნეო პრაქტიკიდან გამომდინარე, სამენარმეო წარმოების 80% წარუმატებლად მთავრდება. შესაბამისად, ადამიანები არა თუ მდიდრდებიან, არამედ კარგავენ თითქმის ყველაფერს, რაც კი ჩადეს ფირმის ჩამოყალიბებაში. როგორც წესი, წარმატებას აღნევენ ის მენარმენი, რომელთაც აქვთ არა მხოლოდ სამენარმეო სურვილი და განწყობა, არამედ სამენარმეო ტალანტიც. მათ კარგად იციან: რა და რა მოცულობით აწარმოონ, როგორ მოახდიონ პერსონალის საქმიანობის ორგანიზება, როგორ მოახდიონ მათი შრომის ანაზღაურება, როგორ და რა ფასით მიაწოდონ საქონელი მომხმარებელს და მრავალი სხვა. **ეკონომისტის შეხედულებით**, ფირმები ყალიბდებიან იმიტომ, რომ ისინი ახდენენ წარმოების ფაქტორების უფრო რაციონალურ ორგანიზებას, ვიდრე ცალკეული ადამიანები. მეტიც, ზოგი დოვლათის წარმოება (მაგალითად, თვითმფრინავი, გემი, ავტომობილი, მატარებელი და სხვა) შესაძლებელია მხოლოდ ფირმების მეშვეობით. ამგვარად, ფირმები წარმოების ფაქტორების რაციონალური შეერთება—კომბინაცით ქმნიან ეკონომიკურ დოვლათს ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და მოგების მიღებისათვის.

რა შემთხვევაშია მიზანშეწონილი საკუთარი ფირმის (ბიზნესის) ჩამოყალიბება და რა სჯობია—პასიური თუ აქტიური მესაკუთრეობა? მენარმეობრივი უნარის მქონე ადამიანის მიერ საკუთარი ბიზნესის წამოწყება მხოლოდ მაშინ არის მიზანშეწონილი, როდესაც ამ საქმიდან მიღებს უფრო მეტ შემოსავალს, ვიდრე საკუთარი სამენარმეო ტალანტის სხვებზე გაქირავების შემთხვევაში მიღებდა. წარმოების (ბიზნესის) ორგანიზებისათვის შემოსავალს, მენარმის ხელფასი ანუ ნორმალულ მოგება ეწოდება. თუ მენარმე წამოწყებული საკუთარი საქმიდან ნორმალულ მოგებას ვერ ღებულობს, მაშინ იგი უშვებს შეცდომას და დაკავებულია არამომგებიანი საქმით. დავუშვათ, პედაგოგი ბრძანდებით და გაქვთ 300 ლარი ხელფასი, ხოლო თქვენი პოტენციური მენარმეობიდან ნორმალული მოგება 300 ლარზე ნაკლებს შეადგენს. ასეთი ბიზნესი თქვენთვის ეკონომიკურად მიზანშეწონელია, რადგანაც მოგება არ იქნება საკმარისი ბიზნესის განვითარებისათვის, რის გამოც კონკურენციაში დამარცხდებით.

**საკუთარი საქმის წამოწყებამდე, ასევე, გასარკვევია კუთვნილ სიმდიდრეზე პასიური მესაკუთრეობიდან (ფიტიური ინვესტირება)** მეტი შემოსავლის მიღება შეიძლება, თუ აქტიური მესაკუთრეობიდან ანუ სამენარმეო საქმიანობიდან (რეალური ინვესტირება). რეალური ინვესტირებისას ფული ბანდება წარმოებაში, ხოლო ფიქტიური ინვესტირებისას - ფასიან ქაღალდებში, ანაბრებში (ფინანსურ სექტორში). **რეალურ ინვესტირებას უნდა მიმართოთ იმ შემთხვევაში, როდესაც ინვესტირების ობიექტიდან მოსალოდნელი მოგების ნორმა აღემატება საბანკო ანაბარზე პროცენტს.** დავუშვათ, “თი–ბი–სი” ბანკის თანამშრომელმა, რომელსაც თვეში 2000 ლარი ხელფასი აქვს, გადაწყვიტა თანამდებობიდან წასვლა და პურის საცხობის ორგანიზება კოჯორში, საკუთარ საბაზე ნაკვეთში არსებულ პატარა სახლში. იგი ამ სახლში მაინც არ ცხოვრობს, მხოლოდ ზაფხულობით აქირავებს და ღებულობს 1000 ლარის შემოსავალს. ყოფილმა ბანკირმა კუთვნილი დანაზოგი 10000 ლარის ოდენობით პურის საცხობის მოწყობაში დააბანდა. საბანკო ანაბარზე კი დაწესებულია წლიური 20 პროცენტი.

საქმიანობის პირველი წლის დამლევს, პურის საცხობი ფირმის მეპატრონეს მისმა ბუღალტერმა წარუდგინა შემდეგი ანგარიში (ყოველგარი გადასახადების გადახდის გათვალისწინებით): წლიური შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან: 155000 ლარი; პროდუქციის წარმოების წლიური ხარჯი: 130000 ლარი; მოგება: 25 000 ლარი.

მაგრამ ბანკირი, რომელიც ეკონომიკურად განათლებული ადმინისტრი, არ დაკმაყოფილდა ამგვარი სასიხარულო შეტყობინებით – ფირმის მიერ მოგებული 25000 ლარით, რადგანაც მან საკუთარი, შიდა ანუ არაცხადი ხარჯებიც გაიღო, რაც ბუღალტერს არ გაუთვალისწინებია (ბუღალტერს აინტერესებს ბუღალტრული და არა ეკონომიკური მოგება). სწორედ ამიტომ, მეპატრონე დაინტერესდა თუ რა დაუჯდა ფირმას საქმიანობა რეალურად. ამისათვის მან შიდა (არაცხადი) ხარჯები ანუ პასიური მესაკუთრეობიდან შემოსავლები ასეთნაირად დაიანგარიშა: 1. დაკარგული ხელფასი ბანკში შრომის გაქირავებიდან: 24000 ლარი(2000X12); 2. დაკარგული შემოსავალი სახლის გაქირავებიდან: 1000 ლარი; 3. დაკარგული შემოსავალი დანაზოგის ბანკში შენახვიდან: 2000 ლარი. ამრიგად, პასიური მესაკუთრეობიდან შემოსავალმა ანუ შიდა ხარჯებმა შეადგინა: 24000+1000+2000=27000ლარი. როგორც ხედავთ, ბანკირის პასიური მესაკუთრეობიდან შემოსავალი 2000 ლარით აღემატება აქტიური მესაკუთრეობიდან (მენარმეობიდან) შემოსავალს (27000–25000). ე.ი. ბანკირმა სერიოზულად უნდა იფიქროს საკუთარი ფირმის ლიკვიდაციაზე და ბანკში დაბრუნებაზე. გასარკვევია, ასევე, მომავალი მოგების (ფულის) დღევანდელი და მომავალი ლირებულებაც, ანუ გასათვალისწინებელია ინფლაციაც.

ეკონომიკის სამყაროში ფირმას მისი სახელწოდებით, სასაქონლო ნიშნით და რეკლამით იცნობენ. ფირმის დასახელება შეიძლება და დაემთხვეს მენარმის სამოქალაქო სახელს. ვთქვათ, გერმანული ჩაის ფირმა „მარტინ ბაუერი“. ეს ფირმა დაარსა 1930 წ. ფერმერმა მარტინ ბაუერმა ბავარიაში. შეიძლება ფირმის სახელწოდებაში მისი საქმიანობის საგანი აისახოს. მაგ. „ჯენერალ მოტორსი“ - ანარმოებს ავტომობილებს, „ჯენერალ ელექტრიკი“ - ნათურებს. „ჯენერალ მილზი“ - ფქვილსა და ფქვილის ნაწარმს. თუმცა, ხშირად

ფირმის დასახელება არ იძლევა წარმოდგენას საწარმოს ხასიათზე.

**ფირმების კლასიფიკაციას სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ახდენება.** მათგან მთავარია საკუთრების ფორმა, საქმიანობის ხასიათი, დარგობრივი კუთვნილება, წარმოებაში დომინირებული ფაქტორი, სამართლებრივი სტატუსი და ფირმის სიდიდე. **საკუთრების ფორმის მიხედვით ფირმა შეიძლება ეკუთვნოდეს ერთ პირს - ინდივიდუალური საწარმო;** ორ ან მეტ პარტნიორს - პარტნიორული საწარმო (სპს; ეს); მრავალ პარტნიორს - კორპორაციული საწარმო (შპს, ას) და სახელმწიფოს. ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა ითვლება კერძოდ. მიუხედავად იმისა, ერთი პირის მიერ არის დაარსებული თუ არა. **საქმიანობის ხასიათის მიხედვით გამოყოფენ მატერიალური დოკუმენტის (სამომხმარებლო და ინვესტიციური საქონელი) და მომსახურების მწარმოებელ ფირმებს.** **დარგობრივი კუთვნილების მიხედვით ანსხვავებენ სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სავაჭრო, სატრანსპორტო და სხვა ფირმებს.** **წარმოებაში დომინირებული ფაქტორის მიხედვით ფირმების კლასიფიკაციისას გამოყოფენ შრომატევად, კაპიტალტევად, მასალატევად და მეცნიერებადტევად საწარმოებს.** **სიდიდის მიხედვით.** სამუშაო ძალის, კაპიტალისა და დოკუმენტაციის მიხედვით საწარმო შეიძლება იყოს **მცირე** (დასაქმებულთა რაოდენობა, ვთქვათ, მრეწველობაში არ უნდა აღემატებოდეს 40 დასაქმებულს, ხოლო წლიური ბრუნვა 500 ათას ლარამდე), **საშუალო** (100-მდე დასაქმებული და წლიური ბრუნვა 1500 ათას ლარამდე) და სხვა დანარჩენი-დიდი (**მსხვილი**). ე.ი. ეკონომიკა წარმოდგენილია მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოებით. როგორც წესი, მცირე საწარმოთა მეპატრონენი, თვითონ მუშაობენ, თუმცა დაექირავებული შრომის გამოყენება არ არის აკრძალული.

**მცირე და დიდი ბიზნესი.** მცირე და დიდი საწარმოები ერთ-მანეთისგან მხოლოდ სიდიდით არ განსხვავდებიან. ისინი სხვადასხვანაირ ურთიერთდამოკიდებულებაში არიან ბაზართან. კერძოდ, მცირე საწარმო ძლიერ არის დამოკიდებული ბაზარზე ჩამოყალიბებულ სიტუაციაზე და თითქმის არ ძალუს მისი შეცვლა, რადგანაც მცირე ფირმათაგან თითოელს ამისათვის არასაკმარისი

სახსრები გააჩნია. პოლიტიკურ ცხოვრებაში კი მათ მიერ საკუთარი ინტერესების ლობირება მსხვილ ფირმებთან შედარებით დაბალეფეტიანია. ამავდროულად, მცირე ბიზნესი უზრუნველყოფს დასაქმების ზრდას, ერთობ მგრძნობიარეა კონკურენციისა და მომხმარებელთა მოთხოვნის მიმართ, ასევე, გვევლინება მეწარმეობის ერთგვარ ინკუბატორად. როგორც ადმიანი არ იბადება იმთავითვე დიდი, ისე ბიზნესი, როგორც წესი, იბადება ჯერ პატარა და მერე იზრდება. აღნიშნულის გამო, უმრავლეს ქვეყნებში სახელმწიფო ეხმარება მცირე ბიზნესს ზრდა-განვითარებაში. მცირე ბიზნესს, მცირე კაპიტალის გამო, ”პოლიტიკაში პატარა ხმა აქვს“.

დიდი საწარმო, საკუთარი დიდალი რესურსების გამო, ნაკლებადაა დამოკიდებული საბაზრო კონიუნკტურაზე. მეტიც, მსხვილ კომპანიათაგან ძალიან ბევრს, დიდი საბაზრო წილის გამო, შეუძლია ბაზარზე ზეგავლენის მოხდენა, ვთქვათ, ფასწარმოქმნაზე. მაგალითად, რუსეთის ფირმის – „ნორილსკი ნიკელი“ – მიერ ნიკელზე ფასების შემცირება ან ზრდა, მთლიანად ცვლის სიტუაციას ნიკელის მსოფლიო ბაზარზე. ბაზარზე ზეგავლენის ამგვარი შესაძლებლობა, მსხვილ კომპანიებს უბიძებს მონოპოლიური მდგომარეობის მოპოვებისაკენ, რის გამოც სუსტდება ბაზრის მამოძრავებელი და საფუძველი – კონკურენცია. ამავდროულად, მსხვილ კომპანიებს დიდი წვლილი შეაქვთ მრავალი საქონლის, განსაკუთრებით რთული, მეცნიერებატევადი და კაპიტალტევადი საქონლის წარმოებაში. აქედან გამომდინარე, მსხვილი კომპანიებისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულება ორადია: ერთი მხრივ, სახელმწიფო მათ ზღუდავს ანტიმონოპოლიური პოლიტიკით, და, მეორეს მხრივ, ეხმარება მათ, როგორც მეცნიერებატევად და კაპიტალტევადი დარგების დედაბოძს. დიდ ბიზნესს, დიდი კაპიტალის გამო, „პოლიტიკაშიც დიდი ხმა აქვს“.

## გელაშვილი სებიექტები და ათი ღისება-ნაკლებანებანი

### ნათია შენგელია

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი  
ეკონომიკაში, სტუ უფროსი მასწავლებელი

### რევაზ შენგელია

ედ, სტუ ასოცირებული პროფესორი

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად მეწარმე სუბიექტები არიან: ინდივიდუალური მეწარმე (იმ), სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს) და კოოპერატივი. აქედან, ინდივიდუალური მეწარმე არ არის იურიდიული პირი. იგი საქმიან ურთიერთობებში თავის უფლებებს ახორციელებს და მოვალეობებს ასრულებს, როგორც ფიზიკური პირი, ხოლო სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი არიან იურიდიული პირის სტატუსის მქონე საწარმოები (კომპანიები).

ინდივიდუალური მეწარმე, როგორც ამ კანონით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობათა სუბიექტი, წარმოიშობა მხოლოდ რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. თუ რეგისტრაციამდე მეწარმე სუბიექტის სახელით რაიმე მოქმედება შესრულდა, ამ მოქმედების შემსრულებლები და საწარმოს დამფუძნებლები პასუხს აგებენ პერსონალურად, როგორც სოლიდარული მოვალეები, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ, ამ მოქმედებიდან წარმოშობილი ყველა ვალდებულებისათვის. ეს პასუხისმგებლობა ძალაში რჩება მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციის შემდეგაც.

იურიდიული პირის მეწარმე სუბიექტების გამაერთიანებელი განმაზოგადებელი ტერმინია კომპანია. ეს უკანასკნელი საბაზრო ეკონომიკის ძირითადი ეკონომიკური აგენტია. აღსანიშნავია, რომ

დასავლეთში ყველა ახალი სამართლებრივი ფორმა წინამორბედში არსებული წინააღმდეგობების გადაჭრის მიზნით (დამატებითი სახსრების მოზიდვა და რისკის შემცირება) ეტაპობრივად იქმნებოდა და შესაბამისად ცალ-ცალკე კანონი შემუშავდებოდა. საქართველოში კი ყველა სამართლებრივი ფორმა ერთ – „მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონშია“ მოქცეული.

ინდივიდუალურ მენარმე სუბიექტში (იმ) მეპატრონე და მმართველი ერთი და იგივე პირია. ინდივიდუალური მენარმე, როგორც ინდივიდუალური სანარმოს (ის) მფლობელი, არის ფიზიკური პირი, რაც იმას ნიშნავს რომ დამფუძნებლის სამენარმეო ქონება არ არის გამოცალკევებული მისი პირადი ქონებისაგან. ე.ი. იგი სამენარმეო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის პასუხს აგებს არა მარტო სამენარმეო აქტივებით, არამედ პირადი ქონებითაც (იმ ქონების გარდა, რომელზედაც კანონის თანახმად არ შეიძლება გადახდევინების მიქცევა). დაუშვათ, თქვენ, როგორც ფიზიკურმა პირმა, გახსენით პურის საცხობი. არ არის გამორიცხული, რომ თქვენი ბიზნესი წარუმატებელი აღმოჩნდეს ანუ მთლიანმა დანახარჯმა გადაამეტოს პურის რეალიზაციით მიღებულ შემოსავალს. თუ ეს სხვაობა დიდია, მაშინ შესაძლებელია იგი გადახდის უუნაროდ შეფასდეს და გაკოტრბულად გამოცხადდეს. ამ შემთხვევაში თქვენ იძულებული იქნებით ნაღდი ფული გადაუხადოთ მევალეს. უწინარეს ყოვლისა, თქვენ მოგიხდებათ, ალბათ, პურის საცხობის გაყიდვა. მაგრამ ამოღებული ფული თუ საკმარისი არ აღმოჩნდება ვალის დასაფარავად, მაშინ თქვენ იძულებული იქნებით ვალი პირადი აქტივების (ავტომანქანა, ბინა, ძვირფასეულობა და სხვა) გაყიდვით დაფაროთ.

აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალური სანარმოს მესაკუთრე მთელ შემოსავალს ხარჯებისა და გადასახადების გამოკლების შემდეგ (იგი იხდის არა მოგებიდან, არამედ საშემოსავლო გადასახადს) თავისთვის იტოვებს და ბიზნესთან დაკავშირებულ ყველა რისკს თავად ეწევა. ე.ი. მენარმე გაითავისებს მთლიანად როგორც მოგებას, ისე ზარალს. (ის)-ში მესაკუთრენი, როგორც წესი, გენერალური მენეჯერებიც არიან. ეს ფორმა ყველაზე გავრცელებული, ძველი და მარტივია.

(ის)-ს როგორც დირსებები, ისე ნაკლოვანებები მისი ინდივიდუალური ბუნებიდან გამომდინარეობს. **დასაწყისში შევჩერდით მის ლირსებებზე:** იოლია მისი მოწყობა-ორგანიზაცია. რეგისტრაციისთვის საკმარისია განცხადება საგადასახადო ორგანოს სახელზე ნოტარიუსით დამომზებული; **მაქსიმალური თავისუფლება:** ერთპიროვნული მფლობელობის გამო გადაწყვეტილების მიღებისას არ დაგჭირდებათ მიმართოთ დირექტორთა საბჭოს, ან მიაღწიოთ შეთანხმებას პარტნიორებთან. ეს ფორმა კარგად ერგება მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალისტური თვისებების მქონე ადამიანებს. ქართველი კაცი ბუნებით ინდივიდუალისტია, ესეცაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ დღეს საქართველოში 120 ათასზე მეტი (ის)-ა; **საქმიანობის საწყის ეტაპზე მოგება ჩვეულებრივ მცირეა.** ამ მიმართულებითაც (ის) მისაღებია, ვინაიდან მთელი მოგება თქვენ გრჩებათ და არავის უნანილებთ; **ინდივიდუალური სანარმო ფირმის საიდუმლოებების დაცვის გარანტია.** რადგან საქმის წარმატებების საიდუმლოებანი მხოლოდ მისმა მეპატრონემ იცის; ამ სახეობაში მცირეა, ასევე, საორგანიზაციო ხარჯები. **შესაძლებელია საგადასახადო შეღავათები.** არ არსებობს ორმაგი დაბეგვრა; ინდივიდუალური სანარმო ერთობ მოქნილი და მობილურია. მას ბაზარზე მოთხოვნების გათვალისწინებით სწრაფად შეუძლია შეცვალოს სამეურნეო ქცევა.

**როგორც ყველა მოვლენას, (ის)-საც გააჩნია ნაკლოვანებანი, სახელდობრ:** არსებობს სიძნელეები დიდი კაპიტალის მოზიდვაში, ვინაიდან (ის)-ში დაბანდებული კაპიტალი შედგება პირადი და ოჯახის წევრების სახსრებისაგან; **საქმიანობის ხანგრძლივობის გაურკვევლობა.** (ის)-ს საქმიანობა იურიდიულად მისი მფლობელის სიკვდილის, დაპატიმრების, გაკოტრების ან ფსიქიკური დავადების შემთხვევაში მთავრდება თუ ბიზნესი აგებული იყო მისი მფლობელის ტალანტზე და კვალიფიკაციაზე; **ვალების დაფარვაზე განუსაზღვრელი პასუხისმგებლობა.** ეს ნიშანი, ერთი მხრივ, ინდივიდუალური მენარმის უპირატესობას წარმოადგენს, რადგან კრედიტორები საკმაოდ ხალისით აძლევენ ფულს იმ ბიზნესმენებს, ვისი პირადი ქონებაც სანარმოს წარუმატებლობის შემთხვევაში ვალის გადახდის გარანტის წარმოადგენს,

მაგრამ, მეორე მხრივ, წარუმატებლობის შემთხვევაში ერთპიროვნულმა მენარმემ მთელი თავისი პირადი დანაზოგი და ქონება შეიძლება დაკარგოს. ეს რისკი მენარმეს აშინებს და ინდივიდუალური საწარმოდან სხვა ფორმაზე (სადაც პასუხისმგებლობა განსაზღვრულია, შეზღუდულია) გადასვლისაკენ უბიძგებს; **მმართველური პროფესიონალიზმის უკმარისობა.** (ის)-ში მენარმე თვითონ არის გენერალური მენეჯერი, ანუ თავად უძღვება მენეჯმენტის ყველა სახეს: წარმოებას, მომარაგება-გასაღებას, რეკლამას, ფინანსებს, კადრების საქმეს და ა.შ. ცხადია, ყველას არ გააჩნია ჩამოთვლილ დარგებში პროფესიული ცოდნა. არადა, თუნდაც ერთი დარგის უცოდინარობა აუარესებს საბოლოო შედეგს. (ის)-ში პროფესიონალი მმართველის დაქირავება გაძნელებულია, რადგან შესაბამისი ცოდნისა და კვალიფიკაციის მქონე ადამიანებს არა აქვთ მისწრაფება იმუშაონ თავისი წინსვლისა და განვითარების, შრომის ანაზღაურების შემზღვდავ გარემოში; **რესურსების მცირე პარტიობით შექნის გამო შედარებით მაღალია მათზე ფასები.** წარმოების მასშტაბების ზრდის შეუძლებლობის გამო, ასევე შეზღუდულია რესურსების ეკონომიურად გამოყენება. ყველაფერი ეს ზრდის ინდივიდუალური მენარმის წარმოების ხარჯებს და ამცირებს მის კონკურენტუნარიანობას. ამგვარად, ინდივიდუალური საწარმო შეგიძლიათ შეარჩიოთ იმ შემთხვევაში, თუ: თქვენს პოტენციურ ბიზნესს არ სჭირდება დიდი კაპიტალი; საწარმო შეიძლება მართოს ერთმა პიროვნებამ ან ოჯახმა; საწარმოო ამოცანების გადაწყვეტას არ სჭირდება კოლექტიური ძალისხმევა; არ გსურთ მოგება სხვასაც გაუნანილოთ.

ინდივიდუალური მენარმის წინაშე მდგარი რესურსების შეზღუდულობის, მმართველური უკმარისობისა და მაღალი რისკის პრობლემა გარკვეულწილად, შეგიძლიათ გადაჭრათ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების (სპს) ჩამოყალიბებით. **სპს (ის)-გან ძირითადად იმით განსხვავდება, რომ მას აყალიბებს ორი (ან მეტი) პირი.** სპს არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე ფიზიკური პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით, ენევა არა ერთჯერად და დამოუკიდებელ მენარმებას და პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისათვის

**კრედიტორების წინაშე პასუხს აგებნ როგორც სოლიდარული მოვალეები-უშუალოდ, პირდაპირ, მთელ ვალდებულებებზე, შეუზღუდავად მთელი თავისი ქონებით. მისი პარტნიორები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები. სპს-ის ხელმძღვანელობის უფლება აქვს ყველა პარტნიორს, საზოგადოების დავალებით და სახელით.**

სპს-ის მიერ მიღებული მოგებიდან კი არ გადაიხდება გადასახადი, არამედ ცალკეული წევრი იხდის მიღებული შემოსავლიდან, წილიდან გადასახადს.

სპს -ში პარტნიორები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები და მინიმუმ ორნი. სპს-ს უნდა ჰქონდეს დასახელება, სადაც საჭიროა მიეთითოს საზოგადოებიდან თუნდაც ერთის გვარი. მაგ: ფირმა („გივი ჩხეიძე სპს“). სპს-ში პარტნიორები ვალების დაფარვისას პასუხს აგებენ არა მარტო საზოგადოების ერთობლივი ქონებით, არამედ მათი უკანასიობის შემთხვევაში პირადი ქონებითაც. ამასთან, კრედიტორი უფლებამოსილია, ვალის გადახდა მოსთხოვოს საზოგადოების ნებისმიერ წევრს ან ყველა პარტნიორს ერთად. ხოლო ის, ვინც ფარავს საზოგადოების ვალს, იძენს რეგრესის უფლებას, ანუ უფლებას უკან მოითხოვოს პარტნიორთანამოვალეებისგან ის თანხა, რომელიც მან მათ მაგივრად გადაუხადა მევალეს. მაგალითად, გიგა, უჩა და ქეთევანი სპს-ის თანამესაკუთრენი არიან. პარტნიორული შეთანხმების საფუძველზე, გიგას და უჩას ცალ-ცალკე შემოსავლის 40% მიჰქონდათ, დანარჩენი 20% კი ქეთევანის წილი იყო. წინა თვეში ფირმა გაკოტრდა. სამენარმეო ქონების გაყიდვის შემდეგ ფირმას კრედიტორების ვალი მაინც დაედო 10000 ლარი. ვინადან გიგას და უჩას პირადი ქონება არ გააჩნდათ, კრედიტორებმა მთელი ვალის გადახდა ქეთევანის პირად ანგარიშს დააკისრეს. მამასადამე, თუ ინდივიდუალური მენარმე მხოლოდ საკუთარ შეცდომებზეა პასუხისმგებელი, სპს-ში პასუხისმგებლობა პარტნიორთა შეცდომებზეც ვრცელდება, ანუ პასუხისმგებლობა სოლიდარულია: „ერთი ყველასათვის“, რაც ზოგჯერ უთანხმოებას და კონფლიქტს იწვევს. კონფლიქტის საგანი ხდება, აგრეთვე, პარტნიორებს შორის მართვის ფუნქციების გადანაწილება, ლიდერობისთვის ბრძოლა. თუ

სპს-ში მხოლოდ ორი წევრია, ერთის გასვლის შემდეგ ეს სანარმო ან ინდივიდუალურად უნდა გადაკეთდეს, ანდაც გაუქმდეს. ყველაფერი ეს აკინძებს საანალიზო ფორმის ღირსებებს. ამიტომაცა, რომ სპს უმრავლეს ქვეყანაში (მათ შორის საქართველოშიც) ყველაზე ნაკლებგავრცელებული ფორმაა.

პარტნიორული მენარმეობის ნაირსახეობაა - კომანდიტური საზოგადოება (კს). (კს) არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწვა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მენარმეობას. იგი შედგება მინიმუმ ერთი ნამდვილი (კომპლექსური) და მინიმუმ ერთი მეპაიე (კომანდიტორი) წევრისაგან. მისი საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს მინიმუმ ერთი კომპლექსური პირის გვარს. კომანდიტი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური პირი, ისე იურიდიული პირი, მათ შორის სახელმწიფოც. კომპლექსური შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი. სწორედ ამიტომ მისი პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შეუზღუდავია (ე.ი. ვრცელდება, როგორც სამენარმეო, ისე პირად ქონებაზე). (კს) — ის კომპლექსური საზოგადოების ვალდებულებებზე კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად ანუ თითოეული პარტნიორი ვალდებულებებზე პასუხს აგებს უშუალოდ, მთლიანად, პირდაპირ, შეუზღუდავად, მთელი თავისი ქონებით. კომანდიტს უფლება აქვს მოითხოვოს კუთვნილი მოგების მიღება და განახორციელოს კონტროლი საზოგადოების სქმიანობაზე, გაასხვისოს ან მემკვიდრეობით გადასცეს თავისი წილი, სხვა პარტნიორების თანხმობის გარეშე, გარდა წესდებით განსაზღვრული შემთხვევისა. კომანდიტი ზარალის მოზიარეა მხოლოდ თავისი წილი კაპიტალისა და ჯერ კიდევ გადაუხდელი შესატანის ოდენობით. (კს)-ში ხელმძღვანელობის უფლება აქვთ მხოლოდ პერსონალურად პასუხისმგებელ პარტნიორებს (კომპლექსური პირებს). ე. ი. კომანდიტები არ მონაწილეობენ საზოგადოების ხელმძღვანელობაში.

კორპორაციული მენარმეობის სახეობაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს). საზოგადოებას, რომლის პასუხისმგებლობა კრედიტორების (მეგალებების) წინაშე თავისი ქონებით, ხოლო საზოგადოების წევრთა პასუხისმგებლობა კაპი-

ტალში მათი წილით შემოფარგლება შპს ეწოდება. ეს ის ფორმაა, სადაც ყოველ მონაწილეს საწესდებო კაპიტალში შეაქვს გარკვეული პაი. შემდგომ საზოგადოების ვალებზე მისი პასუხისმგებლობა შეზღუდულია მისი წილით. **თავად საზოგადოება იურიდიული პირია**, რაც იმას ნიშნავს, რომ მას სამეურნეო გამგებლობაში (საკუთრებაში) ან ოპერატიულ მართვაში აქვს დამფუძნებლების პირადი ქონებისაგან გამოცალკევებული ქონება და თავის ვალდებულებებზე პასუხს აგებს ამ ქონებით. თითოეულ წევრს პას შესაბამისად ეძლევა მოწმობა ან სერთიფიკატი, მაგრამ ამ მოწმობის გაყიდვა არ შეიძლება, რადგან იგი არ წარმოადგენს ფასიან ქაღალდს. (შპს) შეიძლება დააარსოს ერთმა პირმაც. (შპს)-ს მართვის ორგანოებია: საერთო კრება, დირექტორატი და სამეთვალყურეო საბჭო. პასუხისმგებლობის შეზღუდულობის გამო ეს ფორმა საკმაოდ გავრცელებულია.

თანამედროვე საბაზორ ეკონომიკაში მთავარ როლს აქციონერული საზოგადოებები თამაშობენ. აქციონერული საზოგადოება (ას) არის საზოგადოება, რომლის საწესდებო კაპიტალი დაყოფილია ერთი და იგივე ნომინალური ღირებულების მქონე აქციებად. აქციონერული საზოგადოება არის სანარმო, რომელსაც ფლობენ მესაკუთრეები (აქციონერები) და მართავენ მათ მიერ დაქირავებული პირები. მართალია, ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმათა სტრუქტურაში (ას) — ის წილად სულ რაღაც 20-25% (საქართველოში 2,4%) მოდის, მაგრამ ისინი იძლევიან სამეურნეო ბრუნვის 80-90%-ს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, ისმის კითხვა - რა არის აქციონერული საზოგადოება და რა განაპირობებს მის წამყვან როლს ეკონომიკაში.

**როგორც ითქვა, აქციონერული საზოგადოება არის ფირმა, რომელიც თავისი საწესდებო კაპიტალს აქციების გამოშვებით და რეალიზაციით აყალიბებს. (აქცია არის საკუთრების ტიტული, რომელიც მოწმობს მისი მეპატრონის მონაწილეობას სააქციო საზოგადოების კაპიტალში. აქცია (ჩვეულებრივი) მის მფლობელს ანიჭებს მესაკუთრის და მმართველის უფლება-მოსილებას: ა) აქციონერს უფლება აქვს მიიღოს საზოგადოების მოგებიდან წილი (დივიდენდი); ბ) საზოგადოების ლიკვიდაციის (დახურვის, გაუქმე-**

ბის) შემთხვევაში მონაწილეობა მიიღოს დარჩენილი ქონების განაწილებაში; გ) მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების მართვაში (თუ ფლობს აქციას ხმის უფლებით).

მართალია, კორპორაცია (აქციონერული საზოგადოება) იურიდიულად აქციონერებს ეკუთვნის, მაგრამ მართვით ისინი ნაკლებად არიან დაკავებული. აქციონერთა მმართველური საქმიანობა ხშირად კორპორაციის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევით და სამეურნეო საქმიანობის სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობით შემოიფარგლება. რეალური ხელისუფლება, მმართველთა (დირექტორთა) ხელშია თავმოყრილი. დირექტორებს ნიშნავს და ნებისმიერ დროს გამოიწვევს სამეთვალყურეო საბჭო. კორპორაციის ყოველდღიურ ხელმძღვანელობას სწორედ დირექტორები ენევიან. ამის გამო მმართველებსა და აქციონერებს (მესაკუთრეებს) შორის ზოგჯერ გარკვეული სირთულეები წარმოიშობა. მაგალითად, აქციონერები დაინტერესებულნი არიან მაქსიმალური დივიდენდების მიღებით, ეს მაშინ, როცა მენეჯერები ცდილობენ მათ შემცირებას და სამეურნეო ბრუნვაში წარმართვას. ამ წინააღმდეგობის გარკვეულწილად, დაძლევა შესაძლებელია სამართლებრივი და ეკონომიკური ხასიათის ინსტრუმენტებით, სახელდობრ, მეთვალყურეთა (მესაკუთრეთა) საბჭოს მიერ ხელმძღვანელთა საქმიანობაზე კონტროლის დაწესებით ან მმართველთა მატერიალური წახალისებით, რათა მათ აქციონერთა ინტერესების შესაბამისად იმოქმედონ.

**ახლა კი უფრო კონკრეტულად იმ ლირსებების შესახებ, რომლებიც აქციონერულ საზოგადოებას მიმზიდველს ხდის და აპირობებს მის წამყვან როლს ეკონომიკაში:** აქციონერული საზოგადოება ხელს უწყობს მსხვილი დამატებითი კაპიტალის მოზიდვას ინვესტორთა (აქციონერთა) პასუხისმგებლობის შეზღუდვის გამო; სახსრების მოზიდვა ხდება გამსესხებლის (კრედიტორის, ინვესტორის) და მსესხებლის (აქციონერთა საზოგადოების) მინიმალური რისკის პირობებში, რაც წახალისებს მეწარმის წოვატორულ აქტიურობას აქციონერულ საზოგადოებაში მესაკუთრისა და მმართველის ფუნქციის გამიჯვნა, პროფესიული, თანამდებობრივი ზრდის და შრომის ანაზღაურების კარგი პირობები, ხელს უწყ-

ობს მაღალი რანგის მმართველების მოზიდვას და ამის ხარჯზე, წარმოების საერთო ეფექტიანობის ამაღლებას; (ას) სტაბილურად ფუნქციონირებადი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა. ინდივიდუალურ საწარმოში მფლობელის სიკვდილი, როგორც უკვე ითქვა, იურიდიულად საწარმოს დაშლას იწვევს. აქციონერის სიკვდილის შემთხვევაში კი მისი აქციები უბრალოდ მემკვიდრეზე გადადის. რომელიმე აქციონერის გასვლა ან ფსიქური დაავადება, ასევე არ იწვევს კორპორაციის დახურვას. სწორედ ამიტომ (ას) უფრო მუდმივია და სტაბილურია.

**აღნიშნულის გარდა, აქციონერულ საზოგადოებას ახასიათებს გარკვეული ნაკლოვანებებიც, კერძოდ:** მოცემული ფორმის ჩამოყალიბება და რეგისტრაცია დაკავშირებულია გარკვეულ ორგანიზაციულ სირთულეებთან და მნიშვნელოვან სახსრებთან. (ას)-ში ადგილი აქვს ორმაგ დაბეგვრას. (ას) მოგებიდან იხდის გადასახადს, ხოლო აქციონერი - მიღებული დივიდენდიდან; საქმიანობის მკაცრი რეგლამენტირება არა მარტო კანონმდებლობით, არამედ კორპორაციის წესდებითაც აქციების ბევრი მეპატრონის ჩამოცილება სააქციო საზოგადოების მართვისაგან; სააქციონერო საზოგადოებაში აქციები განთავსებულია მრავალრიცხვან მეპატრონეებს შორის. ეს ერთმანეთისაგან მიჯნავს მესაკუთრისა და მმართველის ფუნქციას და ზოგჯერ წინააღმდეგობას წარმოშობს. მაგ.: აქციონერები დაინტერესებულნი არიან მაქსიმალური დივიდენდებით, მენეჯერები კი ცდილობენ მოგება ინვესტირებას მოახმარონ; ფინანსური მდგომარეობის შესახებ ყოველწილი ანგარიშების გამოქვეყნების ვალებულება არა მარტო ასუსტებს (ას)-ის კონფედერაციალურობას, არამედ მმართველებს უბიძებებს მოკლევადიანი მიზნების რეალიზაციისაკენ, აქციონერთა მოთხოვნილებების დაკამაყოფილებისაკენ და ამით ინვესტორთა მოზიდვისაკენ. ინფორმაცია, რომელიც ეხმარება ინვესტორებს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში, შესაძლებელია, მნიშვნელოვანი აღმოჩენების კონკურენტებისათვისაც. ამ მიზეზით ზოგი კორპორაცია თავის აქციებს ღია ბაზარზე არ ყიდის. ისინი დახურულ კორპორაციად დარჩენას ამჯობინებენ, რათა არ გამჟღავნდეს საიდუმლო ინფორმაცია.

## მთლიანი შემოსავადი, მთლიანი ხარჯი და მოგება

**ქაუნა წიკლაური**  
ედ, სტუ ასოცირებული  
პროფესორი  
**რევაზ შენგელია**  
ედ, სტუ ასოცირებული  
პროფესორი

ეკონომისტს, ტექნოლოგიისაგან განსხვავებით, აინტერესებს არა ის, რამდენი ცონა ნედლეული და მასალაა საჭირო ამა თუ იმ პროდუქციის წარმოებისათვის, არამედ ის თუ რა ღირს საჭირო რესურსები და როგორ იყიდება დამზადებული პროდუქცია, ანუ როგორია წარმოების მთლიანი ხარჯები (Total Costs-TC), მთლიანი შემოსავალი (Total Revenue-TR) და მოგება (Profit-P).

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ნებისმიერი ბიზნესმენი (მეწარმე) საწარმოს აფუძნებს მაქსიმალური მოგების მიღების მიზანით. მისთვის სულერთია რას აწარმოებს (ქვემებს თუ კვების პროდუქტს, ფოლადის მილს თუ ტელევიზორს, ფეხსაცმელს თუ ტანსაცმელს), მთავარია წარმოებულმა საქონელმა და მომსახურებამ მას მოგება მოუფანოს. **მოგება** ფირმის მთლიან შემოსავალსა და მთლიან ხარჯებს შორის სხვაობაა. სწორედ ამის გამო მეწარმე გამუდმებით ბრუნავს მთლიან შემოსავალის გარდაზე და მთლიანი ხარჯების შემცირებაზე, ვინაიდან ამ უკანასკნელში ჩადებული ყოველი ლარით მცირდება მოგება. ვიდრე წარმოების ხარჯების შემცირების გზებზე ვისაუბრებდეთ, ლოგიკურია გავარკვიოთ რა განაპირობებს წარმოების დანახარჯებს, რაში მდგომარეობს მისი არსი და ის, თუ რა ნიშნით ხდება მისი კლასიფიკაცია.

პირველ კითხვაზე პასუხი მარტივია: ნებისმიერი პროდუქციის დასამზადებლად აუცილებელია წარმოების ძირითადი ფაქტორების (მიწა, კაპიტალი, მრომა) მოზიდვა. ეს ფაქტორები შეზღუდული რაოდენობით არსებობს და იმყოფაბა ვიდაცის საკუთრებაში. ამი-

### ეპორმისტი აუდიტორიაში

გომ ამ ფაქტორების ჩართვა წარმოების პროცესში დაკავშირებულია მათ შესყიდვასთან, ანუ დანახარჯთან. ამ გარემოების გამორამით მოდუქციის წარმოება იწვევს იმავე რესურსების გამოყენებაზე უარის თქმას სხვა პროდუქტის საწარმოებლად.

მთლიანი ხარჯები არის თანხა, რომელსაც ფირმა (საწარმო) გაიღებს პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო რესურსების შეძენაზე. იმას კი, რასაც მეწარმე (ფირმა) დებულობს პროდუქციის რეალიზაციიდან, საერთო ამონაგები ანუ მთლიანი შემოსავალი ეწოდება. ფირმის მთლიანი შემოსავალი გოლია გაყიდული ერთეული საქონლის ფასისა და რეალილი გენერაციის რაოდენობის ნამრავლისა. საქონლის საბაზრო ფასისა და რეალიზაციის მოცულობას შორის არსებობს უკუპროპორციული დამოკიდებულება.

მოგების სახეობების (ბუღალტრული და წმინდა ეკონომიკური მოგება) გამიჯვნისა და ამის საფუძველზე საწარმოთა მომგებიანობის უკეთ შეფასების მიზნით ფირმის მთლიან ხარჯებს ყოფენ გარე და შიდა (არაფულად) ხარჯებად. გარე, ცხადი ხარჯები ანუ ბუღალტრული დანახარჯები (*Accounting Cost*) ის დანახარჯებია, რომელსაც მეწარმე (ფირმა) გაიღებს პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო რესურსების (შენობა-ნაგებობა, ნედლეული-მასალები, ნახევარფაბრიკატები, სამუშაო ძალა და სხვა) გარედან შესაძენად ან დასაქირავებლად და აისახება საბუღალტრო წიგნში. ნათქვამიდან გამომდინარე, ცხადი ხარჯების ხველრითი წილი შედარებით მაღალი უნდა იყოს ამწყობ საწარმოებში (ვთქვათ, ქუთაისის ავტომშენებელ ქარხანაში, თბილისის ელმავალშენებელში და სხვა). ცხადი ხარჯები ემთხვევა ბუღალტრულს.

**ფირმის ალტერნატიული ხარჯები.** ამა თუ იმ საქონლის ალტერნატიული დანახარჯი (*Opportunity Cost*) არის ის ღირებულებაა, რაც უნდა დავითორ ამ საქონლის შეძენის სანაცვლოდ. როდესაც ეკონომისტები ლაპარაკობენ ფირმის ალტერნატიული დანახარჯების შესახებ, გულისხმობენ ფირმის მიერ საქონლისა და მომსაუხერების წარმოების ყველა ალტერნატიულ, როგორც ცხად (ანუ გარე), ისე არაცხად (ანუ შიდა) დანახარჯს.

არც თუ იშვიათად ფირმა სამეურნეო საქმიანობაში გარედან

შეძენილი რესურსების გარდა იყენებს საკუთარ (შენობა, ტრანსპორტი, ნედლეული, მასალა, შრომა და სხვა) რესურსებსაც. **ფირმის საკუთარი რესურსების ხარჯი არის არაცხადი ხარჯი**, რომელიც ბუღალტრულ წიგნში არ აისახება. ეს არაცხადი ხარჯი არ შედის იმ გასავლებში, რასაც ფირმა გაიღებს რესურსების გარედან შეძენისათვის. მაგალითად, მიწის მესაკუთრე, როდესაც თვითონ ამუშავებს ნაკეთოს, უარს ამბობს იმ რენტაგზე, რომელიც შეეძლო მას მიეღო მიწის გაიჯარებისას; მუშაკი დაკავებული ინდივიდუალური საქმიანობით არავის მიაქირავებს თავის სამუშაო ძალას და, შესაბამისად, არ ღებულობს ხელფასს; მეწარმე, როდესაც საკუთარ ფულად სახსრებს წარმოებაში აბანდებს, მას ეს სახსრები ვერ შეაქვთ ბანქში და, შესაბამისად, ვერ ღებულობს ანაბარზე პროცენტს. ჩამოთვლილი სიფუაციებიდან გამომდინარე, მართალია, მეწარმე საკუთარი რესურსების გამოყენებისას არავის უხდის საფასურს, მაგრამ იმის გამო, რომ მას კუთვნილი რესურსები უმცირდება, მათ ხარჯები შექმნილი დირებულება კი იმრდება, ამდენად მან საკუთარი რესურსების აღტერნაციული ღირებულება (ანუ ის შემოსავალი, რომელიც მას შეეძლო მიეღო საკუთარი რესურსების გაყიდვა-გაქირავებისათვის) უნდა ჩართოს წარმოების ხარჯებში, როგორც არაცხადი, ფარული (ალტერნატიული) ხარჯები.

მაგალითად, თქვენ გადაწყვიტეთ დამოუკიდებლად გაარემონტოთ საკუთარი ბინა. თქვენი ხარჯები იქნება: შპალერის, საღებავის, წებოს და სხვა დირებულება, მაგრამ არემონტებდით რა ბინას რამდენიმე დღის განმავლობაში, თქვენ უარი თქვით იმ სამუშაოზე, სადაც შეგეძლოთ ხელფასის მიღება (ვთქვათ, საკუთარ სამსახურში გახვედით უხელფასო შვებულებაში). თქვენი ხარჯების სტრუქტურა ლარებში ასეთ სახეს მიიღებს:


ცხადი ხარჯები:  
შპალერი – 400  
საღებავი – 200  
წებო – 50  
ჯამი – 650

ალტერნატიული ხარჯები:  
სელფასი საწარმოში – 300  
სულ – 950 (ლარი)

ცხადია, თუ სარემონტო კანტორა იმავე სამუშაოში (მასალების ღირებულების გარდა) მოითხოვს 300 ლარზე ნაკლებს, მაშინ მიაკითხავთ მას, ხოლო თუ ამ თანხაზე მეტს მოითხოვს, მაშინ, ბუნებრივია, თავად გაარემონტებთ ბინას. ამრიგად, განვასხვავეთ რა ცხადი და არაცხადი ხარჯები, შეგვიძლია განვასტოროთ რა მოიაზრება ბუღალტრული და წმინდა ეკონომიკური მოგების ქვეშ. ბუღალტრული ანუ ფინანსური მოგება არის სხვაობა ფირმის მთლიან შემოსავლებსა და ცხად ხარჯებს შორის. საწარმოთა ხელმძღვანელებს, როგორც წესი, მოგების ამ სახეობასთან (ბუღალტრულ მოგებასთან) აქვთ საქმე. ხოლო წმინდა ეკონომიკური მოგება არის ფირმის მთლიანი შემოსავლებისა და ცხადი და არაცხადი ხარჯების ჯამის სხვაობის ტოლი. მაშასადამე, ბუღალტრული მოგება წმინდა ეკონომიკურ მოგებას აღემატება არაცხადი ხარჯებით. (იხილე: საწარმოს ამონაგების, შემოსავლის სრუქტურა).

არაცხადი ხარჯების ხვედრითი წილი შედარებით დიდია საკუთარი რესურსების ფართოდ გამოყენებაზე დამყარებულ სავაჭრო, საყოფაცხოვო მომსახურების, საბკებებისა და სხვა საწარმოებში. მაგალითად, მეწარმემ შესაძლოა სასადილო გახსნას საკუთარი შენობის პირველ სართულზე, გამოიყენოს საკუთარი და ოჯახის წევრების შრომა, ტრანსპორტი, თვით მოწეული დვინო, ფქვილი, ხორცი, კარტოფილი და ა.შ.

**გამოსაშვები პროდუქციის მოცულობაზე დამოკიდებულების მიხედვით განასხვავებები მუდმივ და ცვლად ხარჯებს. ხარჯებს, რომელიც პროდუქციის მოცულობის ცვალებადობასთან (ბრდა ან შემცირება) ერთად არ იცვლება, ეწოდება მუდმივი ხარჯები (Fixed Costs-FC). ხოლო იმ ფაქტორებს, რომლებშიც განხორციელებულია ეს ხარჯები, წარმოების მუდმივი ფაქტორები ეწოდება. მუდმივი ხარჯების სახეობებია: საიჯარო გადასახადი, ქონებაზე გადასახადი, უმაღლესი მმართველური პერსონალის ხელფასი, კრედიტები**



სარგებელი, ამორტიზაციის ანარიცხები და ა.შ. მუდმივი სარჯები მაშინაც კი გაიღება, როდესაც წარმოება საერთოდ გაჩერებულია, ე. ი. წარმოებული პროდუქცია ნების ფოლია. მაშასადამე, საწარმო შეიძლება გაჩერებული იყოს, მაგრამ საიჯარო გადასახადის გადახდა მას მაინც მოუწევს. მუდმივი დანახარჯები უკან დაუბრუნებელი დანახარჯებია, რომელიც არსებოს წარმოების მოცულობის ნებისმიერი ცვლილებისაგან დამოუკიდებლათ.

სარჯებს, რომელიც პროდუქციის მოცულობის ცვალებადობასთან (ზრდა ან შემცირება) ერთად იცვლება, ცვლადი (ცვალებად)

### ეპორმისათვის აუდიტორიაში

**სარჯები (Variable Costs - VC)** ეწოდება. ხოლო ის ფაქტორები, რომლებიც ცვლადი სარჯებია განხორციელებული, არის ცვლადი ფაქტორები. ცვლადი სარჯების სახეობებია: ნედლეულზე, მასალებზე, სათბობებზე, ნარდად მომუშავე მუშაკების ხელფასებზე და სხვაზე გაღებული სარჯები. როცა წარმოება გაჩერებულია, ანუ საწარმო არაფერს აწარმოებს, ცვლადი სარჯები ნების ფოლია.

მაგალითად, როდესაც თქვენ სამეწარმეო დანიშნულებით იძენთ ავტომობილს, ეწვეთ მუდმივ სარჯებს, რამდენადაც მისი ფასი არ არის დამოკიდებულული იმაზე, ყოველდღე გამოიყენებით მას თუ არა. აი, თანხა კი გაღებული ბენზინის შეძენაზე ყოველდღე ირყევა, რადგანაც იგი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ინტენსიურად გამოიყენებოთ ავტომანქანას.

მუდმივი და ცვლადი სარჯების ჯამი ფოლია მთლიანი სარჯებისა. თუ პროდუქციის წარმოება ნების ფოლია ე. ი. წარმოება გაჩერებულია, მაშინ მთლიანი სარჯი ფოლია მუდმივი დანახარჯისა. წარმოების ბრდასთან ერთად მატულობს მთლიანი დანახარჯიც, რადგანაც მუდმივ დანახარჯებს ემატება ცვლადი დანახარჯებიც.

**საწარმოსათვის მუდმივი დანახარჯები უფრო მნიშვნელოვანია თუ ცვლადი?** ფირმისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია მთლიან დანახარჯი, ანუ მუდმივი და ცვლადი დანახარჯების არითმეტიკული ჯამი.

**მოკლევადიანი და გრძელვადიანი პერიოდი.** სარჯების მუდმივ და ცვლად სახეობებად დაყოფა ხანმოკლე პერიოდის მიხედვით ხდება. ხანგრძლივი პერიოდის მიხედვით კი ყველა სარჯი ცვლადია. მაგალითად, თუ მოცემული საწარმოს რესურსები სრულად არ არის დაგვირთული და მის პროდუქციაზე მოთხოვნა გაიზარდა, მაშინ ამ საწარმოს შეუძლია, საკუთარი შენობისა და დაბგა-დანადგარების სრული დაგვირთვით ანუ მუდმივი კაპიტალის შეუცვლელად გაბარდოს პროდუქციის გამოშვება. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მოკლევადიან პერიოდთან. მაშასადამე, მოკლევადიანი პერიოდი ანუ ფიქსირებული სიმძლავრეების პერიოდი არის დროის ისეთი მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც წარმოების მოცულობის გადიდება შესაძლებელია მხოლოდ ცვლადი სარჯების გაუმჯობესებით.

იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს რესურსები სრულად არის დაფართული და მის პროდუქციაზე იზრდება მოთხოვნა, მაშინ მას ამ გამატებით მოთხოვნის დაკმაყოფილება მოუწევს ახალი შენობის, ახალი დაზგა-დანადგარების და სხვათა აგება-შეძენის გზით, რაც შესაბამისად ხანგრძლივ პერიოდს მოითხოვს. მაშასადამე, გრძელვადიანი პერიოდი ანუ ცვალებადი სიმბლავრეების პერიოდი არის დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც წარმოების მოცულობის გადიდება შესაძლებელია არა მხოლოდ ცვლადი, არამედ მუდმივი ხარჯების გაუმჯობესებითაც. ე. ი. გრძელვადიან პერიოდში მუდმივი ფაქტორები არ არსებობს, კველა ფაქტორი ცვლადია.

გრძელვადიანი პერიოდი შეიძლება იყოს ერთი თვე, თუ ამ დროში საწარმოს შეუძლია შეცვალოს დანახარჯი წარმოების ყველა ფაქტორზე. ასევე, შესაძლებელია ერთი წელი განხილულ იქნას, როგორც მოკლევადიანი პერიოდი, თუ ამ დროის განმავლობაში თუნდაც ერთი წარმოების ფაქტორი დარჩება უცვლელი (მუდმივი).

**პირდაპირი და ირიბი ხარჯები.არსებობს კლასიფიკაციის სხვა სახეობაც, სახელდობრ, ხარჯების დაყოფა პირდაპირ და ირიბ (ზედნადებ) ხარჯებად.**

პირდაპირია ხარჯები, რომელიც შეიძლება სრულად მიეკუთვნოს საქონელს ან მომსახურებას. ესენია:

- ნედლეულისა და მასალების ღირებულება, რომელიც გამოიყენება საქონლისა და მომსახურების წარმოება-რეალიზაციისათვის;

- იმ მუშაკთა სანარდო ხელფასი, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავებულნი საქონლის წარმოებით;

- სხვა პირდაპირი ხარჯები, რომლებიც ასე თუ ისე კავშირში არიან საქონელთან.

ირიბია (ზედნადები) ხარჯები, რომელიც უშუალო (პირდაპირ) კავშირში არ არის ამა თუ იმ საქონელთან, მაგრამ მთლიანად ფირმას მიეკუთვნება. ასეთებია:

- ხარჯები ადმინისტრაციული აპარატის შენახვაზე;
- საიჯარო ქირა;
- ამორტიზაცია;

- პროცენტი კრედიტზე.

წარმოების ოპტიმალური მოცულობის განსაზღვრისათვის უნდა ერვეოდეთ ისეთ კატეგორიებში, როგორიცაა; სამუალო ხარჯი, ბრვრული პროდუქტი და კლებადი უკუგების კანონი.

საქონლის (მომსახურების) წარმოებისათვის ფირმა იყენებს შიდა (საკუთარ) და გარე (ნაყიდ) ეკონომიკურ რესურსებს. ფირმის მიერ რესურსების გარედან შეძენაზე გაწეული ხარჯები აყალიბებენ ფირმის გარე ანუ ცხად ხარჯებს, ხოლო ფირმის მიერ გამოყენებული საკუთარი რესურსების ხარჯები არის შიდა ანუ არაცხადი ხარჯები.

**პოვიტერული საბუღალტრო პროგრამების  
მიზანებისა გუდალტრული აღრიცხვის  
სრულების საშმაბი**

**ლელა კამლაძე**  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
მოწვეული სპეციალისტი  
**ჟუჟუნა ნიკლაური-შენგელია**  
ედ, სტუ ასოცირებული  
პროფესორი

ფინანსური ინფორმაციის ძირითადი არსი და მთავარი მიზანი არის საწარმოს მიმდინარე ფინანსური მდგომარეობისა და წარსული საქმიანობის შედეგების გადმოცემა. აღნიშნული ინფორმაცია ეხმარება მის მომხმარებლებს დასახოს მიზანი და სწორი მოქმედების გეგმა.

ბუღალტრული აღრიცხვა სწავლობს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: პირველადი აღრიცხვის სფერო, საწარმოში მომხდარი ოპერაციების დოკუმენტური გაფორმება და მათი რეგისტრებში ასახვა, რაც ესოდენ აუცილებელია ყველა საწარმოს ეფექტურად მუშაობისათვის. იგი შეისწავლის საწარმოს ფინანსურ ანგარიშებას.

ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პრინციპები საშუალებას იძლევა ამაღლდეს ფინანსური ანგარიშების ხარისხობრივი მაჩვენებლები და ეკონომიკური ინფორმაცია მისი მომხმარებლისათვის უფრო საიმედო და ობიექტური გახდეს. კურსის შესწავლის შედეგად სტუდენტმა უნდა შეძლოს წარმართოს საწარმოში ბუღალტრული საქმიანობა საერთაშორისო სტანდარტებით, ახალი საგადასახადო კოდექსის თანახმად.[1]

ბუღალტრის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს უნდა შეეძლოს დაიკავოს ბუღალტრის პოზიცია კერძო სამართლის იურიდიული პირების და სახელმწიფო დაწესებულებების სამეურნეო საქმიანობის სააღრიცხვო სამსახურში.

კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამების შესწავლა შესა-

**ეპონომისტი აუდიტორიაში**

ძლებელია თეორიული ნაწილის შუა პერიოდიდან ან დამთავრებისთანავე.

დღეისათვის პრაქტიკაში ბუღალტრული დოკუმენტაციის წარმოება და დამუშავება ხდება ერთ-ერთ კომპიუტერულ პროგრამაში, რაც გაცილებით ამარტივებს ბუღალტრის საქმიანობას. ეს პროგრამებია: ორისი; სუპერფორმანსი; ნიფო; კომპიუტერული პროგრამების შესწავლა რომელიც მოიცავს: პირველადი დოკუმენტაციების დამუშავებას; სამეწარმეო საქმეს; საწარმოს წესდების პრაქტიკულად შექმნას საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის ჩამოყალიბებას.

მხედველობასი გვაქვს ის საწარმოები, რომელიც ეწევიან სამირითად საქმიანობას: ა) საქონლის შექმნა-რეალიზაცია; ბ) მზა პროდუქციის წარმოება; გ) მომსახურება

პროგრამა მოიცავს ისეთ ოპერაციას, როგორიცაა საწარმოს 1 წლის პირველადი დოკუმენტების შექმნა და წარმოება. ეს, თავის მხრივ იყოფა: სალაროს შემოსავლის და გასავლის ორდერები; საგადასახადო დავალება; ბანკის ოპერაციების დამუშავება; სახელფასო უწყისი; სასაქონლო ზედნადები; ინვოისი; საბაზო დეკლარაცია; საწვავის აღრიცხვა; სამივლინებო მოწმობა; საწარმოს ფინანსური შედეგების გამოთვლა: მოგება/ზარალი.ბალანსი.საწარმოს ყოველთვიური და ყოველწლიური დეკლარაციების შევსება და წარდგენა.

ამრიგად, ფინანსური აღრიცხვის, საგადასახადო კოდექსისა და საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამების (შლშ, INჭჭ, 1ჩ) კომპლექსურ შესწავლის საფუძველზე სტუდენტმა საბაკალავრო კურსის გავლის შემდეგ უნდა შეძლოს კომპლექსური ამოცანების გადაჭრა, რაც გულისხმობს როგორც ფინანსური უწყისების, ასევე საგადასახადო დეკლარაციების მომზადებას და წარდგენას, რთულ ფინანსურ სიტუაციაში კომპანიისათვის მართებული რჩევის მიცემას და საგადასახადო კანონების მორგებას კომპანიის სასიკეთოდ.[2]

კურსის სრულყოფილად დაუფლების შემდეგ კურსდამთავრებულმა უნდა შეძლონ აწარმოონ ნებისმიერი ორგანიზაციული ფორმის საბუღალტრო საქმე და სრულყოფილად წარმართოდ საგადასახადო აღრიცხვიანობა.

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად გამოკითხულთა 54,55 % უპირატესობას აძლევს ორის ბუღალტერიას, 12,50% - ორის მენეჯერს, 10,23% - სუპერფინს, 13,64% "1 ეს"-1 ჩ პროგრამას და 9,09% ინფო ბუღალტერიას.

უნდა არინიშნოს ის გარემოებაც, რომ ჯერ კიდევ არსებობს ბუღალტრულ -კომპიუტერული სტანდარტული ტერმინოლოგი-ის არსებობის პრობლემა, აგრეთვე არ არის ნორმალური ხარისხის ქართულ ენოვანი სააღრიცხვო პროგრამები.

პრაქტიკოსი ბუღალტრები ვინც "ურნალის აღირცხვას" გასცდა ზოგი ექსელში წვალობს, ზოგი არალიცენზიურ უცხოურ პროგრამებს ხმარობს (ცუიცაBოიკს, 1ჩ.) ზოგი კი ორისს იყენებს.

აღნიშნული პროგრამები მიზნად ისახავენ შესძინონ სტუ-დენტს ეკონომიკური კატეგორიების, სამენარმეო საქმიანობისა და ბუღალტრული აღრიცხვის ცოდნა; განუვითაროს სამეურნეო ოპერაციის აღქმისა და შეფასების, სამეურნეო ოპერაციის დოკუ-მენტირების, საბუღალტრო რეგისტრების სამეურნეო ოპერაციის ასახვის, ბუღალტრული ანგარიშების დახურვის, საცდელი ბალან-სის შედგენის, კომპიუტერული ბუღალტრული პროგრამის გამოყ-ენების უნარ-ჩვევები.

ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამის არსი და ეფექტურობა გულისხმობს, რომ სტუდენტს მისი დაუფლების შემდეგ პრაქტიკულად უნდა შეეძლოს:

პროგრამის ინსტალაცია, ძირითადი მენიუს, ფუნქციონალური მენიუს და ინსტრუმენტთა ზოლის განხილვა;

ახალი ორგანიზაციის შექმნა: „ჩვენი ორგანიზაციის“ რე-დაქტირების ფანჯრის გახსნა, ანგარიშთა გეგმისა და სასტარტო ნაშთების დასმა; ანგარიშთა დათვალიერება, ნაშთების, ბრუნვითი ბალანსისა და ანგარიშთა ბარათების წარმოება; საბუღალტრო ოპ-ერაციების შესრულება და გატარებების მიხედვით ბრუნვით ბა-ლანსზე მუშაობა; სასაქონლო მატერიალური მარაგებისა და ძირითადი საშუალებების სიის ანყობა და აღრიცხვა; პირველადი დოკუმენტების დამუშავება; ფულადი სახსრების მოძრაობის (სალარო და ბანკი) აღრიცხვა; პერსონალთა სიის და ხელფასის

## ეპოვა აუდიტორიაზი

საბუჟების შექმნა; პროგრამაში მუშაობისას წარმოქმნილი პრობ-ლემების გადაწყვეტა; პროგრამა და შესაბამისად ბუღალტრული აღრიცხვის სწავლების კურსი უნდა მოიცავდეს ისეთ საკითხს, როგორიცაა ანგარიშთა გეგმა.

სანარმოს სამეურნეო საქმიანობაში მომხდარი ოპერაციების აღსარიცხავად ბუღალტრული ანგარიშები გამოიყენება. სამეურ-ნეო ოპერაციების სიმრავლე და მრავალფეროვნება ბუღალტრული ანგარიშების სიმრავლესაც განაპირობებს. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, რაც ანგარიშების გარკვეული სისტემის ჩამოყა-ლიბებას ნიშნავს.

ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა სამეურნეო საქმი-ანობის აღსარიცხავად გამოსაყენებელი და აუცილებელი ყველა ანგარიშის სისტემატიზებული სიახ, ჩამონათვალია.

ანგარიშთა გეგმის შედგენის საფუძველია ანგარიშების კლა-სიფიკაცია ეკონომიკური შინაარსის მიხედვით. ანგარიშთა გეგმის საფუძველზე ეწყობა სანარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებ-ულებების ბუღალტრული აღრიცხვის მთელი სისტემა. ანგარიშთა გეგმის მონაცემების საფუძველზე მზადდება ფინანსური ანგარიშ-გება, რომელიც შემდგომ გამოიყენება სანარმოს სამეურნეო საქმიანობის ანალიზისა და საერთოდ, მომხმარებლებზე ინფორ-მაციის მიწოდებისათვის. სწორედ ამით აიხსნება ეკონომიკურად დასაბუთებული ანგარიშთა სისტემის გამოყენების აუცილებლო-ბა, რომელიც უზრუნველყოფს სანარმოს სამეურნეო საქმიანობის დამახასიათებელი მაჩვენებლების მიღებას.[1]

ანგარიშთა გეგმაში ანგარიშების დასახელებასთან ერთად მო-ცემულია მათი შიფრი (კოდი) ე. ი. სახელწოდების ციფრობრივი (სიმბოლური) აღნიშვნა. ანგარიშთა შიფრების (კოდის) გამოყენე-ბას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. იგი ამცირებს სააღ-რიცხვო სამუშაოთა მოცულობას, აუცილებელია ბუღალტრული დოკუმენტების დამუშავებისას, აღრიცხვის მექანიზაციის (კომ-პიუტერული ბუღალტრული პროგრამები) გამოყენებისას და სხვა.[4]

ანგარიშთა დაშიფრვის რამდენიმე ხერხია ცნობილი, რომელთა-გან ძირითადია: რიგითი, სერიული, ათწილადური და კომბინირე-

ბული დაშიფვრა. ამათგან უფრო გავრცელებულს სერიული დაშიფვრა წარმოადგენს. ანგარიშების სერიული დაშიფვრის დროს დაშიფვრა რიგითი ნომრების გამოყენებით ხდება და შიფრის (კოდის) შემადგენლობაში შემავალ თითოეულ ციფრს თავისი მნიშვნელობა აქვს. შიფრი (კოდი) შეიძლება იყოს ორნიშნა, სამნიშნა, ოთხნიშნა და ა.შ. სერიული წესით ანგარიშების დაშიფვრისას აღრიცხვაში გამოსაყენებელი ანგარიშების საერთო რაოდენობა ჯგუფებად, კერძოდ, ათ ჯგუფად იყოფა. თითოეულ ჯგუფში ეკონომიკური შინაარსით მსგავსი ათი ანგარიში გაითვალისწინება. ასეთივე წესით შეიძლება მოხდეს თითოეული ანგარიშის შემდგომი დეტალიზაციაც.

ბასს-ით რეგლამენტირებულია მხოლოდ ანგარიშთა გეგმის სტრუქტურა, რომლის დაცვა სავალდებულოა. მაშასადამე, ნებისმიერ სანარმოს, მენარმეს უფლება აქვს თავად შეიმუშავოს და სააღრიცხვო პოლიტიკით განსაზღვროს მისთვის გამოსაყენებლად აუცილებელი ანგარიშთა გეგმა, ბასს-ით დადგენილი სტრუქტურის ფარგლებში.

მიუხედავად აღნიშნულისა, საქართველოში ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასთან დაკავშირებული გარკვეული სიძნელეების გამო, ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომისიის მიერ 1999 წლის 12 აგვისტოს დამტკიცდა საქართველოს პროფესიონალ ბულალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ შემუშავებული ანგარიშთა გეგმა, რომელიც ბულალტრული აღრიცხვისა და ანგარიშების რეგულირების შესახებ საქართველოს კანონის თანხმად, სავალდებულოა გამოსაყენებლად კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის.

ანსუ-ს საბაკალავრო პროგრამა “საბულალტრო აღრიცხვა და აუდიტი” მოწოდებულია რათა მოამზადოს სპეციალისტები ბულალტერიის განხრით.

დიდი მუშაობა ტარდება ამ მიმართებით საუნივერსიტეტო კურსის დახვეწისა და შემდგომი სრულყოფისათვის. შესაბამის დეპარტამენტებში სტუდენტებისთვის მზდდება სათანადო აღჭურვილი ლაბორატორია, სადაც ისინი შეძლებენ ზემოთ აღნიშნული კომ-

პიუტერული საბულალტრო პროგრამების შესწავლასა და სათანადო უნარ-ჩვევების განვითარებას. იმედი გვაქვს, რომ უახლოესი სასწავლო წლების განმავლობაში ანსუ შეძლებს გამოუშვას ამ დარგის ისეთი სპეციალისტები, რომლებიც სრულყოფილად დააკმაყოფილებენ მრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს. შეძლებენ გამოიყენონ კომპიუტერული ბულალტრული პროგრამები ფირმის, კომპანიისა თუ ორგანიზაციის აღრიცხვასა და აუდიტში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ელენე ხარაბაძე - “ბულალტრული აღრიცხვა”, თბილისი, 2009.
2. ბაზაძე ნ. “ელექტრონული ბულალტერია” განვითარებისა და რეფორმების ფონდი, გაეროს განვითარების პროგრამა, თბ. 2006 - 112 გვ.
3. მესხია ი. მაღლაკელიძე დ., ვაშაკიძე ნ. “ფიფნანსური აღრიცხვა” - ქუთაისი, “თეთნულდი,” 2008 — 328 გვ
4. Ильина О.П. «Информационные технологии бухгалтерского учёта» СПБ: Питер. 2002 – 688 с.



## SUMMARY



### **Giorgi Solomishvili - THE ROLE OF ECONOMIC LEGISLATION HARMONIZATION IN DEVELOPMENT OF AGRICULTURE OF GEORGIA**

The necessity of economic legislation harmonization in development of agriculture of Georgia is grounded in the article; in particular, there is analyzed the necessity of application of food safety, sanitary and phytosanitary security rules, product safety standards and regulations in developed countries with the purpose of population security.

Georgia's agrarian-food product export role in development of agriculture field development is analyzed in this work. In this sector import replacement policy is recognized one of the priorities. In order to achieve this, along with other measures, economic legislation harmonization in compliance with the world standards is considered. The speculation that commercial-economical collaboration level is higher among the countries with similar acting rules on internal market is grounded. With respect of this the necessity of implementation of appropriate economic legislation in Georgian agriculture is offered.

In the article the conclusion is made that implementation of European standards into Georgian legislation will facilitate Georgian-European relations and create a favorable environment for future development of the agricultural field.

\* \* \*

### **Shota Minjoria, Zhuzhuna Tsiklauri-Shengelia, Giorgi Minjoria - Taxes and Tax Policy in Georgia**

This work considers the taxes as the one of the most important mechanisms of operation of state's economic system. Besides, regulation of tax system is considered the basic precondition for development of state and its economy. It's noted that taxes and tax policy should be in compliance

### **ვარემოპარი რეზონა**

with real local conditions. Taxes and tax policy play an important role in the development of state, because they are universal. Taxes are related to interests of not only state, but to each citizen, different groups of population, industries and organization.

On the basis of analysis of modern taxes of Georgia, the defects and inefficiency of tax system are revealed. Opinions are made about the optimal model of distribution of loads between suppliers and consumers and about the further improvement of particular taxes.

\* \* \*

### **Giorgi Kuparadze, -The Impact of Tax Policy on Real Sector Investments**

In the article it is reviewed the impact of Tax Policy on real sector investments in case of Georgia. For the analysis there is used a modified King-Fullerton model. In the first part of the article is reviewed the theoretical basis of the model with its modifications and extensions. In the Second part of the article the AETR and METR indicators is calculated based on the tax code of Georgia. Based on analysis it is concluded that current tax policy in Georgia is giving more stimulus for investing in financial sector than in real sector of economy.

\* \* \*

### **Anzor Aabralava, Ketevan Garibashvili - National Economic Interests and Integration processes**

Due to its important geographical location Georgia has an opportunity to actively involve in the global integration processes. That's why at present the improvement of transport infrastructure is the most important prerequisite of economic and social development of our country. In the conditions of present-day world globalization and economic openness the complete assimilation of our transit potential will give Georgia very important political and economic benefits.

\* \* \*

The article “Financial Risks in the current Economic Systems”, written by **Aleko Kutateladze** and **Irma Kvetenadze**, reviews existing financial approaches, widespread now in the systems of banking risks. Financial risks associated with the probability of loss of financial resources. These risks are divided into the risks of buying in cash and the risks of the investment of capital (investment).

World practice shows that in practice of credit institutions the innovative components that increase the role of the securities in the investment portfolio take the great significance. New tools allow them to successfully reduce credit risks.

The output of the bank beyond a mediator functions and diversification of banking business, as well as the use of new financial instruments by the Bank significantly increased the demand for the organization of management and supervision of banking risks. Gradually were developed the necessary regulations and procedures, that allowed to predict the origin of the financial risks associated with the introduction of innovative credit facilities. This commits practitioners and theorists of risk management constantly to work in developing of new full-fledged methods within the bank full control.

\* \* \*

**ირინა ვაშაყმაძის** სტატიაში „საქართველოს საბანკო სისტემის ფინანსური მდგრადობის განმტკიცების აუცილებლობა“ აღნიშნულია: მდგრადობის პროცესების ფართო გაგებით მნიშვნელოვანია არა მარტო საბანკო საქმიანობაში, არამედ იგი გადამწყვეტია საბაზო ეკონომიკის სხვა ფინანსური ინსტიტუტებისთვისაც, ვინაიდან მასში საბოლოო ჯამში აისახება კონკურრენციული გარემო პირობებში ყველა ეკონომიკური სუბიექტების ურთიერთობები ეკონომიკის სტაბილიზაციის მიღწევაში.

საბანკო სისტემის ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესებას განსაკუთრებით ხელი შეუწყო კომერციული ბანკების რაოდენობრივ შემცირებასთან ერთად მათი გამსხვილების შედეგად სა-

ბანკო სისტემის ფინანსური მაჩვენებლების ზრდამ. საბანკო დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, როგორც ბანკის გაკოტრების შემთხვევაში მცირე თანხის მქონე მეანაბრეთა ინტერესების დაცვის საშუალება, საქართველოში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე ბანკებისადმი ნდობის გაღრმავებისა და ქვეყნის საბანკო სისტემის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშემწყობი დამატებითი ფაქტორი იქნება. ამდენად მისი დანერგვა საბანკო სექტორისათვის ურთიერთდაკავშირებული პოზიტიური ფინანსური შედეგების მომტანი გახდება.

ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე რეალურად ზემოქმედების ფაქტორებიდან განსაკუთრებული ადგილი უკავია საბანკო სისტემის ფუნქციონირების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის პირობების განსაზღვრას. საბანკო სისტემის ფინანსური მდგრადობის განმსაზღვრელ პირობების შესწავლასთან ერთად საჭიროა ამ მიმართულებით სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით, ქვეყნის ეკონომიკის თავისებურებების გათვალისწინებით, მათი პრაქტიკული განხორციელებისათვის მექანიზმების შემუშავება.

\* \* \*

In the Article of **Ekaterine Bakhtadze** “Place marketing strategies” is a basic aspect of development of countries, regions and cities, which requires the community service development, urban redesign and planning and economic development. It would be better if economic development activities in Georgia are being done within the scope of a mixed model where responsibility is shared between the public and private sectors.

In the case of place marketing the process of strategic planning covers the issues from the place audit, visionary work, forming goals and strategies to the action plans and implementation. It is too important to work purposefully on creating place image. A place is a product that attracts different target groups – customers.

According to exist four place marketing strategies places have different strategic and implementation abilities (high and low). Places can be

'losers', 'expanders', 'frustrators' and 'gamblers'. Place marketing planning should have balancing strategic vision and place has to be positioned properly.

Adjara region, especially city Batumi is accepting many challenges – increasing number of tourist, implementation of infrastructural projects, subsequent development according to the space planning project, improvement and development of real estate market. Compliance with place marketing strategies Adjara is in the role of 'Gambler', as it lacks the strategic eye and does not have any marketing strategic plans. But with luck and hard work the region has got some short-term success. The local and main actors of this process are the government of Adjara, City Mayor, Ministry of Finance and Economy with its departments of Investment and Information, International Relationships, Urban Development, Department of tourism and resorts with its tourist agency, Chamber of Commerce and Industry and Investors International Association.

It is remarkable that the umbrella brand of Adjara is Batumi with its history, awareness, strong advertising activities. To make promotion activities of Adjara investment and tourist potential effective the region has to have its marketing strategic plan which provides its movement from 'gambler' position into the position of 'expander'. At first success factors (Availability of qualified staff, ease of access to markets, customers, clients, transport links with other cities and internationally, the quality of telecommunications, the climate governments create for business, value for money of office space and others) should be searched and studied. All the stakeholders of our region should be involved in this process and share their responsibilities and functions.

\* \* \*

**Nodar Futkaradze** - "Economic Analysis of Investment Projects" is about the funding of specific projects and a limited resource allocation problem through compromise - One project financing at the expense of another.

\* \* \*

ნათია შენგელიას და უუჯუნა წიკლაური -შენგელიას სტატიაში განხილულია "ძირითადი საშუალებების საგადასახადო და ფინანსური აღრიცხვის თავისებურებები". ბიზნესის უმრავლესობა ძირითადი საშუალებების გარეშე ვერ იარსებებს, რადგან სწორედ მათი დახმარებით ხდება საქონლის წარმოება, ისინი ადმინისტრაციული და ზოგადად ნორმალური ფუნქციონირებისათვისაა საჭირო. ამიტომაც მათი ბუღალტრულად აღრიცხვა უნდა ხდებოდეს რეგულარულად და დეტალურად.

გარდა ამისა, საგადასახადო მიზნებისათვის ძირითადი საშუალებები, ცვეთის ხარჯები მნიშვნელოვანია, რადგან ისინი მონაწილეობას იღებენ მოგებისა და მოგების გადასახადის, ქონების გადასახადის გამოანგარიშებასა და საბოლოო განსაზღვრაში; ასე რომ გრძელვადიანი მატერიალური აქტივების როგორც ფინანსური ისე, საგადასახადო აღრიცხვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება და სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს მათ კომპანიაში.

\* \* \*

**Darejan Chkhubadze** - Mathematical (matrix) method of Economic Analysis and its practical value.

Business development is impossible without the use of information technologies; The Stable development of economy is reached by full development of the analysis. The widespread use of the matrix method provides the main direction in perfection of the economic analysis. It gives the possibility to calculate precisely and solve in practice different problems in different spheres.

Mathematical methods of analysis are quite labor-consuming even when using techniques, but in practice their role is very great. They give the possibility to assess objectively the situation in economy and to receive the best management decisions at any level of economy. They help to work out the strategy and tactics of the enterprise development, to document plans and management decisions, to make monitoring of their implementation, to identify reserves of increasing the efficiency of the enterprise, to estimate the final results of the production.

\* \* \*

**Revaz Nakashidze** - For Preparation of New, Reality -Equivalent Professional Cadres. Our countries' social-economic and scientific-technical developmental aims that preparation of professional cadres needs a radical transformation inevitably.

Professional education towards to public opinion begins more actively.

Every citizen would have an opportunity to get an interesting professional qualification of mastering or employing.

\* \* \*

In the article "Operating and Finance lease Accounting" of **Zhuzhuna Tsiklauri-Shengelia**, there are discussed accounting of Operating and Finance Leases . Thus, generally by summarizing today's situation and the scale of our economy , small and medium-sized businesses can still play an important role in the development of national economy. They often lack of financial resources to re-invest, to expand, to acquire buildings and/or other fixed assets. In this case management of such businesses apply to take a loan from bank , or usually use an operating, finance lease, lease - agreement with repurchasing at low prices .to acquire any expensive medical, agricultural machinery or other fixed assets. Therefore, with maintaining the liquidity, lease is a significant factor for business promotion and development in case of limited resources.

\* \* \*

**Нино Футкарадзе** «Генезис и формирование морского круизного рынка» отмечены: круизы не просто вид путешествий. Это целая индустрия, объединившая компании, занятые круизным бизнесом, судостроением, поставкой товаров и услуг для круизных судов и их пассажиров, продвижением и реализацией круизного продукта. Промышленная революция, создавшая предпосылки для формирования массового туристского рынка, сделала более доступными для широких слоев населения морские путешествия, хотя сегодня многие воспринимают их как исключительно элитарный вид отдыха.

\* \* \*

В труде **Мзисадар Бжалава** "Деятельность пароходной компании и исследование фрахтового рынка" рассмотрены основные характерные черты свободного фрахтового рынка и значения исследования фрахтового рынка для успешной деятельности пароходной компании. Проанализированы основные показатели конъюнктуры фрахтового рынка: фрахтовфя и арендная ставка конкретных сделок, среднее значение фрахтовой сделки в разный период и взависимости от притока грузов; индивидуальные, групповые и общие фрахтовые индексы. Отмечено, что основная задача исследования рыночной конъюнктуры – изучение развития тенденции сезонности и цикличности рынка, что дает возможность пароходной компании разработать обоснованные стратегические и технические планы.

\* \* \*

**Darejan Chkhubadze** - The Theoretical and Methodological aspects of Economic Analysis in evaluating the Competitiveness of Production.

The article says that success of industrial activity and business is the installation of competitiveness of production. According to it the article draws attention to the method of economic analysis of the evaluation of the parametrical index where the accent is shifted to the consideration of the issue from the point of view of the consumer.

The citrus industry, which is now in an "intensive care" condition, is taken as a reference point to represent the method. Due to foreign intervention it is now expelled from the domestic market, the traditional markets (Russia) are lost and in establishing its program of reconstruction, rehabilitation and export priorities the main emphasis is placed on the quality of product, namely on the establishment of a parameter of index of competitiveness where the role of the economic analysis is great.

In the conditions of market economy among a set of criteria the work gets more value due to consideration and evaluation of competitiveness from the point of view of the consumer in the consumer market as well as practical implementation of the method.

\* \* \*

**Lali Sadagavili, Nana Savchichvili, Natia Mindiachvili** - The work „The Importance of Elements of Profit and Loss Statement in Accounting” covers each profit and loss elements in accounts. Their correct calculation which gives the possibility to have more profit with less expenses is also discussed in above motioned work. There are two methods of expense calculations: A method of grouping according to economic content and a method of expense classification according to function. There are advantages and disadvantages of both methods on the basis of comparison and analysis. The option between expense calculation methods depends on historical and industrial factors and the particularities of enterprise. Both methods characterizes those expenses which can be changed directly or indirectly in accordance with the changes of enterprise manufacture or realization level.

\* \* \*

В статье **Мзисадар Бжалаева** “Рейтинговая оценка конкурентноспособности пароходной компании” рассмотрены основные методы оценки конкурентноспособности фирмы. Отмечено, что в современной экономической литературе вместо термина конкурентноспособность часто употребляется термин рейтинг - своего рода индикатор, который свидетельствует об эффективности политики предприятия или указывает на необходимость его корректирования.

Отмечено, что в сложной рыночной обстановке при определении ориентации компаний, необходимо правильно оценить не только собственный потенциал, но и потенциал партноров и конкурентов. А это требует изучения основных действующих факторов, воздействующих на интенсивность конкуренции. Особое внимание в работе удалено анализу технических и экономических показателей, определяющих качества конкурентноспособности пароходов.

\* \* \*

**Irma Chkhaidze** - Social Responsibility of Business in the Reality of Georgia

The present article studies the concept of corporate social responsibility. It's defined as a balanced system of the company which is oriented on social-responsibility, which on the other hand includes: to provide business profitability, take care about the environment, to provide social projects in the different sphere.

It's analyzed how it impacts the company's social responsibility, as the company's business – also the activity of the society. It's considered companies which are oriented on social-responsibility on the one hand, is it a loyal community, and on the other hand what obstacle factories are influencing on its development, that hinders the development of corporate social responsibility.

\* \* \*

**Vasil Khizanishvili**'s Scientific Article “Globalization and Business Ethics” deals with actual issues of globalization in the context of Business Ethics, where this for the latter is particularly relevant in three spheres: Culture, Law and Accountability. Each of these aspects separately and all together shows globalization as an irreversible process of deterritorialization through a prism of the global economy.

\* \* \*

**Besik Bauchadze** - The Main Modern Concepts of the Administrative Analysis in the Industrial Enterprise

The historical role of *accounting* and *analysis* in the control system was unfairly reduced. Often such functions as planning, organization, adjustment, coordination, stimulation, control were allocated in classification groups of administrative functions; and *accounting* and *analysis* were a part of the control function. The administrative analysis aims to identify the internal resources and opportunities of the enterprise, to assess the current state of business, to identify strategic problems. The need of carrying out the administrative analysis is determined by several factors: first of

all it is necessary for working out the strategy of enterprise development and effective implementation of management as a whole as it represents the most important stage of an administrative cycle; secondly, it is obligatory to assess the attractiveness of the enterprise, from the point of view of external investors, definition of the company's position in the national and other ratings; thirdly, the administrative analysis gives the chance to reveal reserves and possibilities of the enterprise, to define the directions of adaptation of internal opportunities of the enterprise to the changes of environmental conditions.

\* \* \*

**Suzana Doborjginidze - "Knowledge Management"**

Knowledge management is currently a crucial issue for the industry as well as in the information - research field. Knowledge Management (KM) consists of multidisciplinary approaches to achieve maximum results in the organization through the effective use of knowledge. It is focused on knowledge acquisition, creation and sharing, as well as cultural and technical basis. Knowledge management is to create and support continuous learning-based culture, in which the organization's employees regularly enrich and share their knowledge to their colleagues in order to achieve higher productivity.

Organizations gradually realize that the intellectual capital and corporate knowledge are valuable assets that can be governed effectively as well as physical assets in order to improve results. Knowledge management focuses on connections between people, processes and technology to achieve the goal of corporate knowledge. The current database professionals present the future of knowledge management and they will make these connections possible.

\* \* \*

В статье Г.Багдасаряна, К. Маргарет-Объективные закономерности развития мирового хозяйства -доказывают, что дальнейшее развитие и экономический рост всех стран мира в основном обусловлены тем, как глубоко они внедрены в мировые интеграционные и глобализационные процессы. Для полного интегрирования в

мировое хозяйство национальные экономики начинают строить свои отношения путем региональной интеграции, в дальнейшем имея возможности больше расширять сферы экономического сотрудничества. Следовательно, в этом контексте наша страна тоже не является исключением, т.е. ее дальнейшее развитие и экономический рост также обусловлены участием в региональных интеграционных процессах и углублением экономического сотрудничества с соседними странами.

Таким образом, в этой статье приведены основные факторы, которые способствуют развитию армяно-грузинского экономического сотрудничества и меры, которые были предприняты для этого.

\* \* \*

В статье **Медеа Кавтарадзе и Натиа Бежанидзе:** «Глобализация рынка туристических услуг» рассматриваются сущность глобальной экономики, ее отличительные особенности и основные проявления. В туристском бизнесе, как и в других отраслях экономики, появилась тенденция глобализации, отражающая сотрудничество государств и социальных организаций в политической, экономической, культурной и других областях.

В статье проанализированы показатели мирового экспорта услуг, уровень информатизации и динамики туристических прибытий по регионам мира и др.

Сделан вывод, что глобализацию в туризме можно определить как процесс резкого усиления туристических потоков, а также потоков услуг, капитала, информации. Глобализация имеет долговременный характер, а ее движущей силой является, прежде всего, революция в сфере информационно-коммуникационных технологий, либерализация рынков и обострение международной конкуренции.

\* \* \*

**Marina Bagaturia, Nato Gegenava - "The Problems of Globalization in Georgia".**

The economic consequences of globalization might be positively eval-

uated. More globalization or more economic openness and cooperation promises much more development especially for economically delayed countries. Globalization is a good school in order to get adapted to the world market and competition, learn how to achieve success. Globalization smashes artificially established political carriers and gives more economic freedom to ordinary people, so that they can make better use of own talents and skills. Globalization tightly connects individuals and enterprises, electorate of various countries who resist to confrontation and support peace in the world.

\* \* \*

#### **Kamladze Lela ,Tsiklauri -Shengelia Zhuzhuna -The Importance of Computer Accounting Programs in the Accounting Case Studies**

Today in practice accounting documents are processed in one of the computer program, making it easier for the accountant. These programs are: Oris; INFO computer programs which include: Primary documentation processing; business case: the creation of the Charter of the enterprise and the enterprise's accounting policy.

ATSU - an undergraduate program in "Accounting and Auditing" seeks to prepare specialists in the field of accounting. Great work is conducted in the improvement and further development of university course. With relevant departments are being prepared properly equipped laboratory, computer accounting programs, where students can study proper skills; We hope that ATSU will be able to prepare such specialists in this field in the nearest years, which will fully meet the requirements of the labor market. They will be able to use a computer accounting software programs in Accounting and Audit.

\* \* \*

#### **Ketevan Garibashvili-Regional Conflicts Impact on European Integration Process**

Independent drive to European institutions is very popular in South Caucasus countries, especially in Georgia. However, geographic, political and economic reasons may postpone the perspectives of this integration. And if murderous wars will take place from time to time in the South Cau-

casus countries, then this perspective will become even more distant. In these conditions, the project of regional integration looks much realistic, though in fact it is hardly feasible.

\* \* \*

In the article of **Natia Shengelia**, there are discussed "**Financial Statement, its Essence, Components, Interpretation and their Importance**". Thus, the financial statements can play an important role. It describes the company's financial situation and the results of economic operations. Its purpose is to show the effect of company's activities to the different users of different interests. Interpretation of Financial Statements enables analysis of the company's financial results , profitability, liquidity and working capital ratios, long-term financial stability for investors and other interested parties with calculating the coefficients. Moreover, it provides an opportunity to discuss the results of our business activities, planning and forecasting overall scale. Furthermore, it also shows the connection between the financial statements of different components, which in turn allows us to analyze various business opportunities in the present and in the future, as well as to compare the concrete company's data to the market average indexes, therefore, to evaluate competitors, and to plan an appropriate financial strategy for gaining a competitive advantage.



შპს „ურნალი „ეკონომიკა“  
მისამართი: თბილისი – 0171, გ. ქოსტავას ქ. 63.  
ტელ: 233-50-23, 599 56-90-78.  
**economics.bpengi.com**  
**E-mail: economica\_2008@yahoo.com**  
**E-mail: economica\_1918@yahoo.com**

**ООО журнал «ЭКОНОМИКА»**  
**Адрес Тбилиси - 0171, ул. М. Костава 63**  
**Тел. 233-50-23, 599 56-90-78**  
**economics.bpengi.com**  
**E-mail: economica\_2008@yahoo.com**  
**E-mail: economica\_1918@yahoo.com**

ივანე ჯავახიშვილის სახელის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სისტემის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
ბაზეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი  
გადაეცა ასაწყობად 13.05.2013წ.  
სელმოწირილია დასაბეჭდად 20.05.2013წ.  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 19,125